

# სახი მოწვევა

ოქტომბერი, 2008, № 42  
ფასი 7 ლარი



- 18 კომენტარები  
ომი გულისაფრთხისთვის  
მარკ მალენი
- 22 „ვანდარასტ“-ული ომი და ცაგენული მშენებელი  
ლელა გაფრინდაშვილი
- 26 ომი, რომელიც უდია მოვიგოთ  
ვახო ბაბუნაშვილი
- 32 პრესა 6-25  
სანდრო ნავერიანი
- 36 რეპორტაჟი  
ქალაქი ომში  
სალომე ჭავაში
- 42 უპატრონო ქალაქი  
სალომე კიკალეიშვილი
- 50 ომი ტყევზი  
თამარ ჭავიშვილიანი
- 56 ცერილი ვოთიდან  
ზურგი  
თამარ სუხიშვილი
- 60 ანალიზი  
ომი პროლოგით და ეპილოგით  
რეზო საყევარიშვილი
- 66 ისტორია  
ომი და თათრი კურდლელი  
არჩილ ქიქოძე
- 72 ესეი  
დღესასწაული, რომელიც მუდავ ჩვეთიანაა  
გიორგი მაისურაძე
- 94 ისტორია  
რუსული „ოდოპრიამსი“  
ეკა ხოფერია
- 100 ცერილი მოსკოვიდან  
ეპო სიგნელაში  
დევიდ რემნიკი
- 104 დასავლეთი  
მსოფლიო საქართველოს პამლევ  
მალხაზ ხარბეგია
- 118 აღმოსავლეთი პარსევეპტივა  
ორზოსათან ავუსტიო?...  
გიორგი ლობუანიძე

სპეც-პროექტი  
10 ვერსა

გიგა ბოკერია  
პაატა ზაქარიაშვილი  
გიორგი მარგვალეაშვილი  
ნინო ბურჯანაძე  
დავით უსუფაშვილი  
შალვა თალარია  
ალან პარასკევი  
ლიანა კვარჩელა  
იაგო კაზბაზიშვილი  
ზურაბ კიკერია

ავტორები: ნინო ბეჭიშვილი,  
ნინო ლომიაძე,  
ნინო ჭავჭავაშვილი,  
შორენა შავერძაშვილი



გეოსელ  
GEOCELL

“უნ აკეთს ერთის აბონენტი,  
ნამავს უნ ქველმდებელი.



ევლავ იბრძუნებს სიბრძნის ფუფი,  
ვიაშაუებთ იუალოთოთ!

იფალთოს მონასტრის აღღენა-რესტავრაციას  
ახორციელებს კომპანია ქართველი  
თავის აბონენტებთან ერთად.



თუ კოლოფერში თბილი



Ermenegildo Zegna  
SU MISURA

GREAT MINDS THINK ALIKE

# „სუ მისურას“ წარმოება

ქსოვილი არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ერმენეჯილდო ძენიას ყოველ- თვის შესამჩნევ უპირატესობას ანიჭებს მის კონკურენტებთან შედარებით. ძენია ჯგუფის დამაარსებლის ერმენეჯილდო ძენიასათვის, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოში მამაკაცის კოსტუმისთვის საუკეთესო ქსოვილის ძირა და შექმ- ნა. წამყანა ფაქტორს კი წარმოადგენდა ენარმოებინა საუკეთესო შალი, ქაშმირისა და ანგორის მატყლი ისეთი შორეული ქვეყნებიდან, როგორიცაა ავსტრალია, მონ- ლოლეთი და სამხრეთ აფრიკა.

იტალიის აპპების შეუგულში მდებარე პატარა სოფელ ტრივეროში (სადაც 1910 წელს დაიბადა ეს ბრძნელი), მან საუკეთესო ხარისხის ბუნებრივი ბოჭკო ძაფად გარდაქმნა. ძენიას ფაბრიკის ლაბორატორიაში შეიქმნა პირველი ქსოვილი, რამაც პლატფორმა უზრუნველყო **Made to Measure** განყოფილების შემდგომში განვი- თარებისათვის.

შალისა და ნედლეული ბოჭკოს პროცესითანალურად შერევით და ძაფად გარ- დაქმნით მიღწეულ იქნა ტექსტილის სრულყოფილების განსაციფრებელი ღონე. ძენიამ მიაღწია შეექმნა შალის 19 მიკრონანი (ძალიერ ნიმინდა ხარისხის ქსოვი- ლისათვის) და 11.5 მიკრონანი (უმაღლესი ხარისხის შალისათვის) ძაფი, იმის გა- თვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ ადამიანის თმის ლერი 50-დან 60-მდე მიკრო- ნია, ხოლო ყველაზე დახვენილი შოტლანდიური ტვიდის ქსოვილი კი 35 მიკრონი. ძენიას შალის ქსოვილებს ადარებენ ყველაზე საუკეთესო აბრეშუმსა და ვიკუნიას შალის ქსოვილსაც კი „ლეროების სამოსი“ ადნებიდან.

ერმენეჯილდო ძენიას მიერ შემოთავაზებულ ქსოვილთა პიკს წარმოადგენს „Vellus Aureum“ ან ოქროს სანიმისის ტრიფეი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო შალის მოსაცვლის შედეგს წარმოადგენს და რომელთაგან მაქსიმუმ დაახლოებით 50 ცალს წელიწადში ერთხელ, მსოფლიოს რჩეულ მაღანიებში მოწვეულ მომხ- მარებლებს სთავაზობენ; აქ კომბინირებულია ბრძნის მდიდრული ქსოვილი და კვალიფიციური სამკერალო საქმიანობა. „Vellus Aureum“ წარმოადგენს **Made to Measure**-ის ქსოვილს და ერმენეჯილდო ძენია არის ერთადერთი გლობალური ბრძნელი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს ქსოვილს, რომელიც დართულია მათი გემოვნებისა და სურვილის მიხედვით. საბოლოო დამუშავებას კი წარმოად- გენს მომხმარებლის სახელის ამოქარვა ქსოვილის კიდეზე.

ძენიას ფაბრიკა ორ დევადაზე მეტი დროის განმავლობაში ამარავებდა „Saville Row“-ს მსუბუქი შალისა და ქიშმირის ქსოვილებით, ან მსუბუქმა და თანამედროვე ქსოვილებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამკერალო წარმოების რევოლუ- ციურ გარდაქმნაში, აიძულებდა რა მკერავებს გამოენახათ ტანსაცმლის დამუშა- ვების უფრო მსუბუქი გზები, თხელი სარჩულებისა და ტილოს გამოყენებით. იგი პასუხისმგებელი იყო უფრო კომფორტული და მსუბუქი ტანსაცმლის შექმნაზე და, იმავდროულად, დრაპირებით უზრუნველყოფა ფორმის მგრძნობელობის გა- ძლიერებას.

ამ საუკეთესო ქსოვილებით მუშაობას ბუნებრივად მოჰყევა ის ფაქტი, რომ 1970 წელს შემოტანილ იქნა **Made to Measure** მომსახურება, როგორც მომხმარებელზე აბსოლუტურად მორგებული კერვის გამოცდილება. ძენიას **Made to Measure**-ის განსაკუთრებული სტილი უმაღლეს დონეზე მორგებული ბუნებრივ სილუეტან, რომელიც წევაპოლიტურ ტანსაცმლს მოგავრცებს და ახასიათებს მდიდრული ფულფუნების დეტალები და ძლიერი იტალიური სტილი.

**Made to Measure** მომსახურება განსხვავდება შეკვეთით დამზადების მომსა- ხურებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ არაცნობილი მკერავების მიერ სრულდება, ტრადიციულად ისეთების მიერ, როგორებიც „Saville Row“-ში არიან. შეკვეთით დამზადების მომსახურებისაგან განსხვავებით, რომელსაც შესაძლოა ექვს თვემდე ვადა დასჭირდეს, ძენიას შეეძლია აბსოლუტურად პერსონალიზირებული ტანსა- ცმელი 4-6 კვირაში მოგანოდოთ და მხოლოდ 2 მისინჯვით.

კოსტიუმების, პიჯაკებისა და ქურთუკებისათვის თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ 450-ზე მეტი სხვადასხვა ექსპუზიური ქსოვილი, მოხატულობა და ფერები შექმ-

ნილია ლანიფერი ერმენეჯილდო ძენიას მიერ. თქვენი არჩევანის გაკეთება შე- გიძლიათ კლასიკური, პარ შერლორმანის, თრეველერის, 15მილიონ 1, 14მილიონ, 13მილიონ და ტროფეოს ხაზებიდან და ასევე სეზონის სრულიად ახალი პროდუქ- ციიდან, როგორიცაა მიკროსფერო, რომელიც გთავაზობთ ბრანდინგალე თვისებე- ბს, ექსპლუზიური დამუშავების გამო ქსოვილი არ იქმუჭნება და ყოველთვის რჩე- ბა რბილი და კომფორტული. ქსოვილის შერჩევის შემდეგ, უნდა იქნეს არჩეული მოდელი, რომელიც მომხმარებლის ფიგურას შეეფერება და საუკეთესოდ აკმაყ- ფილებს მის მოთხოვნებს, ხოლო ამის შემდეგ ხდება უნიკალური და სპეციალური დეტალების საშუალებით მოდელის მომხმარებელზე მორგება.

სათითად ხდება ტანსაცმლის თითოეული ნინილის გაკონტროლება, კოდირე- ბა, შესამება სარჩულთან და გაგზავნა სამკერვალო განყოფილებაში, სადაც სრულ- დება წარმოების პროცესი.

ის, რაც ერმენეჯილდო ძენიას „სუ მისურას“ ტანსაცმელს ასე სპეციფიკურს ხდის, არის მკერავის მიერ თითოეული მათგანისადმი გამოჩენილი ყურადღება. ყოველი მათგანი გადას შემოწმებას კერვის პროცესში და თითოეული დეტალის ამორჩევა დღიდი სიფრთხილით ხდება. სარჩული და ყველა აქსესუარი დამზადე- ბულია ბუნებრივი ბოჭკოსაგან, ბამბის, ცხენის ძუს და აბრეშუმისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნას უბადლო სირტილის შეგრძნება. ყოველი დამუშავების ელემენტი ხელით სრულდება, თვით მომხმარებლის სახელის შიდა ეტიკეტზე ამო- ქარგვაც კი.

სულ რაღაც 4 კვირაში, „სუ მისურა“ კოსტიუმი მზადა მსოფლიოში ნებისმიერ ძენია ბუტიკი გასაგზავნად, სადაც ტანსაცმელი საბოლოო შემოწმებას გავილის და შესრულდება მცირე გადაკეთება (მაგალითად, შარვლის ან სახელოების შემო- ტეხვა).

## „სუ მისურა“ აქსესუარები

„სუ მისურას“ პერანგებისათვის, რომლებიც სულ რაღაც სამ კვირაში მზადება, ერმენეჯილდო ძენია გვთავაზობს 200 საუკეთესო ხარისხის ქსოვილს, როგორიცაა ეგვიპტური სარუ და ორმაგად დაწული ბამბა და მდიდრული ნარევი, ციკი ბამბი- სა და ტილის ჩათვლით. ღილუპი დამზადებულია 4 მდ სისქის ასტრალიური სადა- ფისაგან და გამოყენებულია პერანგების კერვის ტრადიციაში. ერთმაგა ან ორმაგი მანეუტისა და 12 სხვადასხვა სახის საყელოს შერჩევის მიხედვით შესაძლებელია პერანგის ოთხი ძირითადი მოდელის პერსონალიზაცია. მონოგრამები შესაძლებე- ლია განთავსდეს ოთხ სხვადასხვა ადგილას.

„სუ მისურა“ პალსტუხებისათვის, არსებობს ოთხი სიგანე, ოთხი სხვადასხვა სიგრძე და 50 განსხვავებული სახის ქსოვილი. პალსტუხის წონა დამოკიდებულია გამოყენებული სარჩულის სახეობაზე, მისი ანტობის ტექნიკასა და იმაზე, დანაოჭე- ბულია ოუ არა იგი. მარყუზზეც შესაძლებელია სახელის ამოქარვა, მოთხოვნისდა მიხედვით. რა მადენიმე კვირაში შესანიშავად შევერილი „სუ მისურა“ პალსტუხი, რომელიც მთლიანად ხელითაა და მოდელით, მიზადა გასაგზავნად.

ფეხსაცმელები და ქამრები სრული ელეგანტური ძირითადი და შეუძლია მომხმარებელის მომხმარებელი სარჩევანის გაკეთება შეუძლია სამი ექსპლუზიური ფეხსაცმლის მოდელიდან: დერბი, ოქსფორდი და მოკვასინი. ყველა მათგანი და- მზადებულია მაღალი შესრულების „გუდისარის“ კონსტრუქციის ტექნიკით, და თითოეული მათგანი არის კომფორტული და რბილი. გამოყენებულია კლასიკური ტყავები, როგორიცაა ბოჭკოს ტყავი და ზამში, ხოლო უფრო უფრო გამბედავი კუნენტული ძირითადი მოდელის შესაძლებელია სახელის ამოქარვა, მოთხოვნისდა მიხედვით. რა მადენიმე კვირაში შესანიშავად შევერილი „სუ მისურა“ პალსტუხი, რომელიც მთლიანად ხელითაა და მოდელითაა გასაგზავნად.

ფეხსაცმელები და ქამრები სრული ელეგანტური ძირითადი და შეუძლია მომხმარებელის მომხმარებელი სარჩევანის გაკეთება შეუძლია სამი ექსპლუზიური ფეხსაცმლის მოდელიდან: დერბი, ოქსფორდი და მოკვასინი. ყველა მათგანი და- მზადებულია მაღალი შესრულების „გუდისარის“ კონსტრუქციის ტექნიკით, და თითოეული მათგანი არის კომფორტული და რბილი. გამოყენებულია კლასიკური ტყავები, როგორიცაა ბოჭკოს ტყავი და ზამში, ხოლო უფრო უფრო გამბედავი კუნენტული ძირითადი მოდელის შესაძლებელია სახელის ამოქარვა, მოთხოვნისდა მიხედვით. რა მადენიმე კვირაში შესანიშავად შევერილი „სუ მისურა“ პალსტუხი, რომელიც მთლიანად ხელითაა და მოდელითაა გასაგზავნად.

ფეხსაცმელები და ქამრები სრული ელეგანტური ძირითადი და შეუძლია მომხმარებელის მომხმარებელი სარჩევანის გაკეთება შეუძლია სამი ექსპლუზიური ფეხსაცმლის მოდელიდან: დერბი, ოქსფორდი და მოკვასინი. ყველა მათგანი და- მზადებულია მაღალი შესრულების „გუდისარის“ კონსტრუქციის ტექნიკით, და თითოეული მათგანი არის კომფორტული და რბილი. გამოყენებულია კლასიკური ტყავები, როგორიცაა ბოჭკოს ტყავი და ზამში, ხოლო უფრო უფრო გამბედავი კუნენტული ძირითადი მოდელის შესაძლებელია სახელის ამოქარვა, მოთხოვნისდა მიხედვით. კამარი აუცილებელი აქსესუარია, რომელიც კონდინიციაში უნდა იყოს სამოსათან, რათა მიღწეული იქნას სარმონიული შესახედაობა. ექვსი კვირა საჭირო ფეხსაცმლის უნიკალური ისტატობით შესრულებისთვის.





**BOSS**  
HUGO BOSS

Boss Store Tbilisi

37, Rustaveli ave.

0108 Tbilisi

Georgia

Tel: (+ 995 32) 92 10 35

Fax: (+995 32) 92 33 44

E-mail: [victoria\\_fashion@caucasus.net](mailto:victoria_fashion@caucasus.net)

[www.victoria98.com](http://www.victoria98.com)

## სახლი მოწოდები


18



60



94



12 სეღაპონის ცერილი

14 ჩვენი ავტორები

18 კომენტარები  
ომი გულწრფელობისთვისავტორი: მარქ მალენი  
ინგლისურიდან თარგმნა რუსული ამირეჯიბმა22 „ვანდარასფე“-ული ომი და თაგაზული მშვიდობა  
ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი26 ომი, რომელიც უდია მოვიგოთ  
ავტორი: ვახო ბაბუნაშვილი32 პრესა 6-25  
ავტორი: სანდრო ნავერიანი36 რეპორტაჟები  
ქალაქი ომში

ავტორი: სალომე ჭავჭავი

42 უატრონი ქალაქი  
ავტორი: სალომე კიკალეიშვილი50 ომი ტყები  
ავტორი: თამარ ჭიშეკარიანი56 წერილი ფოთიდან  
ზურგი  
ავტორი: თამარ სუხიშვილი60 ანალიზი  
ომი პროლოგით და ეპილოგით  
ავტორი: რეზო საყვავარიშვილი66 ისტორია  
ომი და თათრი კურდლეილი  
ავტორი: არჩილ ქიქოძე72 ესეი  
დღესასწაული, რომელიც მუდავ ჩვეთანაა  
ავტორი: გიორგი მაისურაძე76 სპეც-პროექტი  
10 კითხვა

ავტორები: ნინო ბეჭიშვილი, ნინო ლომაძე, ნინო ჭაფიაშვილი,

შორენა შეკერძოშვილი

94 ისტორია  
რუსული „ოდოგიამსი“  
ავტორი: ეკა ხოფერია100 წერილი მოსკოვიდან  
ეპრ სიბალეში

ავტორი: დევიდ რემნიკი

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ

104 დასავლეთი  
მსოფლიო საქართველოს შემდეგ  
ავტორი: მალხაზ ხარბეგია118 აღმოსავლური პერსპექტივა  
ორშოსათან ავუცილებელი?...

ავტორი: გიორგი ლობუანიძე

# დროს თქვენ აკონტროლილებთ



## ვალიანი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკი"

- მიიღეთ საპროცენტო სარგებელი თქვენთვის სასურველ დროს:
  - ერთბაშად: ანაბრის გახსნისას ან ანაბრის ვადის ბოლოს
  - ნაწილ-ნაწილ: ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად
- მიიღეთ ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი ანაბარზე
- გახდით მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიერე ჭერიალის"
- პატივცემული მეანაბრე
- ისარგებლეთ ანაბრის ვადის ფართო არჩევანით



ბანკი რესპუბლიკ  
BANK REPUBLIC

18 22 92 55 55  
[www.republic.ge](http://www.republic.ge)

# შეკვე მოწოდები

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი

თეონა ბექიშვილი

კორექტორი

ნინო საითიძე

ცომერზე მუშაობდნენ

ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, სალომე კიკალეიშვილი, თამარ სუხიშვილი, სალომე ჯაში, მარქ მალენი, ლელა გაფრინდაშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, ნინო ლომაძე, დათო ტურაშვილი, გიორგი მაისურაძე, არჩილ ქიქოძე, კახა თოლორდავა, ეკა ხოფერია, რეზო საყვავარიშვილი, ნინო ჯაფიაშვილი, ნინო ბექიშვილი, დათო გაბუნია, სანდრო ნავერიანი, მარიკა ქოჩიაშვილი, თამარ ჯიშვარიანი

ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, თომას დვორქავი, სალომე ჯაში

ილუსტრაცია

მაია სუმბაძე

დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე, კახა დოლიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ლელა შუბითიძე

სარეკლამო და გაყიდვების სამსახურის უფროსი

ნესტან ავალიანი

რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 91 23 26

ელ-ფოსტა: advertise@shokoladi.ge

დისტრიბუტორი

ზვიად შენგელია

გამომცემელი

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დაილოგი“, „თიბისი და თიბისელები“.

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,

ტელ./ფაქსი: 91 23 26

ელ-ფოსტა: mpublising@caucasus.net

სტამპა

შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

ურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია.

ურნალში გამოქვეყნებული მსალების ნაწილობრივი  
ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

[www.shokoladi.com](http://www.shokoladi.com)



# სახალხო ბანკი



ანაბლების აქცია “პოზიტივი”

**+2%** საჩუალო ყველას

თანხების გატანა ნებისმიერ დროს

5-ჯერ მეტი შანსი მოიგო:

**5** ბინა თბილისში

**50** პლაზმო

**500** საჩუალი



პირველი გათამაშება 2008 წლის დანამდებრის ბოლოს



55-55-00

[www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge)

## რედაქტორის ნირილი



კახა თოლორდავა მეუბნებოდა, ყველა ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი თუ ფოტოგრაფი თბილისშია, ეგენი ხომ სისხლის სუნზე მოდიანო. რამდენიმე დღის წინ მეც მოვხვდი უცხოელ ჟურნალისტებთან. ისე გულიანად ქირქილებდნენ, დავრწმუნდი, რომ სხვისი ომი სხვისი ომია. ისევე, როგორც ჩემი ლიბანელი მეგობრის, რუდი ჯაფარის ომი არ იყო ჩემი. თუმცა, პირველმა, სწორედ მან დამირეკა და მკითხა, ახლა მაინც ხომ გესმის არაბების და მტრის ზიზლისო. ომგამოვლილ ადამიანებს ალბათ უკეთ ესმით ერთმანეთის, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე ჩემი თანამოქალაქეების, რომლებიც 12 აგვისტოს გამარჯვებას ზეიმობდნენ. თუმცა ამ გაუცხოებამ საბოლოოდ გამომაფხიზლა და მივხვდი, რომ ჩვენ ძალიან უცნაური თვითგანადგურების (ცისთვის თვითგადარჩენის) ინსტინქტი გვაქვს – იმის ნაცვლად, რომ ვიაზროვნოთ და რეალობას თვალი გავუსწოროთ, მუდმივად ვნილბავთ მას, ჰიპნოზსა და ექსტაზი ვიგდებთ თავს, ტკივილმა რომ არ შეგვაწუხოს. ტკივილის გარეშე კი ვერ ხვდები რა განუხებს, ან განუხებს თუ არა რამე საერთოდ. ამიტომ, თავსაც ვერ შევლი.

მაშინ, როცა ჩემი ცნობიერება მარტივ მარმარულებად დაიშალა, ჩემი „ომგამოვლილი“ თანამოქალაქეები მღეროდნენ და „სარკო, სარკო“-ს ძახილში ვარჯიშობდნენ. ძალიან მინდოდა ხუთი პრეზიდენტის მოსმენა, მაგრამ სირცხვილისაგან არ ვიცოდი სად დავმალულიყავი. სასონარკვეთილმა მეგობარმა მითხვა, უნდა ჩამოგვართვან ქვეყნის სტატუსი, ფანდურები უნდა დაგვირიგონ და დაგვარქვან „ფოლელორული ანსამბლი საქართველო“, ამის მეტი მაინც არაფერი ვიცით და ვერაფერს ვსწავლობთო. მეორე დღეს კი, ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა მომახალა, თქვენ სრულიად ავადმყოფი ერი ხართ, ეს რა მოაწყეთ, რას ზეიმობდით, როცა ნახევარი ქვეყნა დაბომბილია და გარდაცვლილები ჯერ კიდევ ქუჩაში ყრიანო. მერე დიდხანს მიხსნიდა რას ნიშანებს „სოლიდარობის მანიფესტაცია“ და როგორ შეიძლებოდა ჩვენი ერთსულოვნების გამოხატვა ტაშ-ფანდურის და კარნავალების გარეშე.

ასეა ხოლმე, ჩვენს სათქმელს ყოველთვის „სხვა“ ამბობს. ჩვენს თავს გადამხდარი ომებითაც სხვები სწავლობენ. „მსოფლიო საქართველოს შემდეგ“ – ეს იყო ჟურნალ „ნიუსვიქის“ 1 სექტემბრის ნომრის „პედლაინი“. ჩვენ კი გვჭირდება „საქართველო საქართველოს შემდეგ.“ იქნებ, სწორედ ჩვენი წარმოსახვითი საქართველოსგან უნდა გავთავისუფლდეთ, რომ წამდვილი საქართველო და თავისუფლება მოვიძოოთ? იქნებ, უნდა დავივიწყოთ ყველაფერი – საზღვრები, ტერიტორიები, ბელადები, წაციონალისტური და მესიანისტური ამბიციები და გავხდეთ ადამიანები, რომლებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფალი ცნობიერება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა. იქნებ, ვალიაროთ საკუთარი მარცხი და დანაკარგი იმისათვის, რომ ახალი ურთიერთობების შენება დავიწყოთ იმათთან, ვინც მიგვაჩინა, რომ ჩვენია.

იქამდე კი, ჩვენ ჩვენს ომს მიგხედოთ, ომს თავისუფლების მოსაპოვებლად, ომს, რომელიც მართლა მოსაგებია და რომელშიც ყველაზე ერთგული მოკავშირებიც ვერ დაგვეხმარებიან.

„ცხელი შოკოლადის“ ეს საგანგებო გამოშვება აგვისტოს მოვლენებს ეძლვება. ვეცადეთ გვეფიქრა, კითხვები დაგვესვა და მათზე პასუხები მიგველო. ბოლო 3 კვირის განმავლობაში ეს კითხვები უამრავჯერ შეიცვალა, თუმცა არ შეცვლილა პასუხები. ჩვენ წავაგეთ მშვიდობა. ჩვენ რომანებს უუმდეროდით მშობლიურ, ორთავიან რუსეთს და გვეგონა, რომ ევროპას ჩეჩენეთზე თუ არა, საქართველოზე მაინც აუჩუყდებოდა გული; ჩავთვალეთ, რომ ამერიკა საქართველოს გამო თამაშის წესებს შეცვლიდა და ვარსკვლავთა ომს წამოწყებდა რუსეთის ჭკუის სასწავლებლად. გავიგეთ, რომ დღევანდელ მსოფლიოს პრაგმატული პოლიტიკა მართავს და არა მაღალფარდოვანი იდეალები. ყველაფერი გავიგეთ იმის გარდა, რომ თუ ტოტალიტარულ ან თეოკრატიულ სახელმწიფოს არ ვაშენებთ, ჩვენც ის თამაში უნდა ვითამაშოთ, რასაც დანარჩენი მსოფლიო დემოკრატიას ეძახის. ამისათვის კი, თავდაცვის ინსტინქტი გვაქვს გასაძლიერებელი, ტვინის რეცხვის, პროპაგანდის და რეალობის ილუზორული ინტერპრეტაციების წინაღმდეგ.

კიდევ დიდ ხანს მოგვიწევს ფიქრი და წერა ჩვენი რეალობის გმირებზე, ანტიგმირებზე და მომავალზე. მაგრამ ამასობაში შევეიცარიაში გრანდიოზული ექპერიმენტი დაიწყო (და დროებით შეჩერდა) – მეცნიერები „ბიგ ბანგ“ - ის გამეორებას ცდილობენ იმისათვის, რომ გაიგონ, როგორ დაიბადა ეს სამყარო. იქნებ მალე გავთავისუფლდეთ პატარა ერის კომპლექსებისაგან და ჩვენც დავიწყოთ ფიქრი იმაზე, რაზეც დანარჩენი სამყარო ფიქრობს.

შორენა შავერდაშვილი

# სახალხო ბანკი



გერერალური დირექტორი ქოქა გოგინავა,  
გერერალური დირექტორის პირველი მოადგილე ბესო აბულაძე

## ახალშობილთა მეურვეობა - „სახალხო ბანკის“ ახალი ინიციატივა

საქართველოში განვითარებული საომარი მოქმედებების გამო სამაჩაბლოდან და ყოლორის ხეობიდან დროებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისა და სოლიდარობის მიზნით, „სახალხო ბანკის“ ინიციატივით ახალშობილებს მეურვეობა გაეწევა.

პირველი ახალშობილი, რომლის მეურვე გახდა „სახალხო ბანკი“ გახლავთ სამაჩაბლოდან, კერძოდ სოფელ აჩაბეთიდან დევნილი ელენე ბასიშვილისა და გიორგი ოქიაშვილის ქალიშვილი მარიამი, რომელიც 16 აგვისტოს დაიბადა. „სახალხო ბანკის“ გერერალურმა დირექტორმა ქოქა გოგინავამ და გერერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ ბესო აბულაძემ მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით მარიამს ბანკის სახელით 1000 ლარი გადასცა.

„სახალხო ბანკი“ ბავშვის ნორმალურ და კომფორტულ გარემოში აღზრდისთვის აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნების გარდა დევნილ ოჯახში დაბადებულ ყველა ახალშობილს გადასცემს ფულად დახმარებას.

ამავე ინიციატივის ფარგლებში ბანკის შვილობილი კომპანიები „სახალხო დაზლვევა“ და „სოციალური სახლი“ უზრუნველყოფენ ორსულთა და ახალშობილთა უფასო სამეცინო მომსახურებას.

გარდა ამისა, დევნილთა თანაცვლისათვის აქტიურად მუშაობს „სახალხო ბანკის“ მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო „სახალხო ფონდი“, რომლის ანგარიში ყოველფორის ივსება ბანკის თანამშრომელთა მიერ შემოზირებით თანხებით.

## ნინო ბერიშვილი

ჩემი ერთი კარგი მეგობარი სულ ამბობდა, წიგნები სწორედ მაშინ მოდიან ჩემთან, როცა ყველაზე მეტად მჭირდებაო. ხან ვეთანხმებოდი, ხანაც მეღმიებოდა — წიგნები

მოდიან... ომის შემდეგ ერთი წიგნი ჩამივარდა ხელთ — „ზალიკოს საქართველო“ — მოგონებების კრებული ზაალ ქიქოძეზე. უცნაურია, ეს წიგნი აქამდე არ მქონდა ნანახი და სწორედ ახლა, ომგადატანილმა, გაოგნებულმა და შოკში მყოფმა წავიკითხე. ჩვენი ურნალი წერდა ქიქოძეზე, ზაალის ვაჟის, არჩილ ქიქოძის სტატიას ამ ნომერშიც

წაიკითხავთ, მე კა ორიოდ სიტყვით გეტყვით, რატომ იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი სწორედ ახლა ამ წიგნთან შეხვედრა. აյ ის პატარა წერილი ვიპოვე, რომელიც 90-იან წლებში, სრული ნაციონალისტური ისტერიის ფონზე, განსაკუთრებით დამამახსოვრდა

და ომის დღეებში ამომიტივტივდა. როცა წავიკითხე, მაშინვე ვთქვი, აი, თურმე, ვინ

ყოფილა ის უცნაური, წერილი ალპინისტი, უნივერსიტეტში რომ ვხდავ-მეტექი. ამ წიგნმა კიდევ ბევრი რამ მითხვა ზაალ ქიქოძეზე.

ისეთიც, რაც ლეგენდად გამეგონა (როგორ ემარტინდა ჭუბერის გზაზე დევნილებს), ისეთიც, რაც არ ვიცოდი (როგორ დადოოდა ცხინვალში, როგორ მეგობრობდა ოსებთან, როგორ ჩაუტანა პირველი კომისუტერები ცხინვალელ ბავშვებს, როგორ ჩაუყვანა საკუთარი ფერმის ორი ძროხა თებების ერთ ოჯახს და სხვ.). მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ ამ პატარა წერილიდან, რომელსაც

ჰქვია „რა ვერ გაიგო აკავი ბაქრაძემ და ბევრმა სხვამ“ და 1995 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „არგუმენტში“:

„ეთნიკური კონფლიქტი, ძალზე იშვიათად იწყება ქვევიდან, მოსახლეობის „დაბალი“ ფენების დონეზე. მათ ამისთვის არა სცალიათ, რადგან დაკავებული არიან უმაღლესი საქმიანობით – მრომით, ნამდვილი შრომით...“ იმაში კი, რაც დაგვემართა, ყველას გვაქვს პრალი და არაფრის გადაბრალება ერთმანეთზე არ შეიძლება. როგორც არ უნდა მოეწყოს საქართველო, ოსები დარჩებიან თანამოძმებად,

თანამოქალაქებად, რადგან, უბრალოდ, არც იქ მცხოვრებ თებებს და არც ქართველებს დედამინაზე სხვა სამშობლო არა გვაქვს“...

”როდესაც ეთნიკური კონფლიქტი გალრმავდება, მთელი კაცობრიობა, თავისი ყველაზე პროგრესული“ წანილის ჩათვლით, უძლურია

მის მოგვარებაში. უბრალო ხალხი იუუჟება, იტანჯება, ქვეყანა ოხრდება, ერთეულები კი მდიდრდებიან..“

მნარეა დღეს ამ სიტყვების წაეკითხა და იმის კიდევ ერთხელ გააზრება, რაც ჩეგნს თაგს მოხდა, რაც გადავიტანეთ, რაც დავკარგეთ...

ამას წინათ მარადიულ სიუჟეტებს ვიხსენებდი, იმათ, ყველამ რომ ვიცით და სულ რომ მეორდება, მარტო წიგნებში კი არა, ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც. ათი მართალი კაცი მოითხოვა ღმერთმა სოდომი რომ არ დაენგრია. ნუთუ, ჩვენში არ აღმოჩნდა ათი მართალი?

ათი ზალიკო ქიქოძე?

ეს კითხვა, ალბათ, სულ გამანვალებს....

## სანდრო ნავარიანი

როცა ჩემი ახლობლები თვალებში მიყურებდნენ და ეგონათ, რომ რა-ლაც იმედს დაინახავდნენ, რომ მე მათ დავამშვიდებდი და ვეტყოდი – ყველაფერი კარგად იქნება – აი, ამის თქმა რომ ველარ შევძლი, მაშინ გამიჭირდა ყველაზე მეტად. ავდექი და აიგანზე სიგარეტის მოსაწევად გავედი, ქუჩიდან კი სევდიანად შემომესმა When I find myself in times of trouble, mother Mary comes to me, speaking words of wisdom, let it be... დაე, ალსრულდეს – დაცინვა და მეტი არაფერი....

როცა ბორჯომის ტყეები იწვოდა, სულ იმის იმედი მქონდა, ღვისეშობლის წილხედრი ქვეყანა ვართ და, აბა, ერთ სერიოზულ წვიმას როგორ არ გამოვვიგზავნიან ზევიდან-მეტექი, თანაც მარიამობის დადგომას წუთები აკლდა. წვიმა არა, მაგრამ ისლამური თურქეთიდან ვერტმფრენები გამოგვიგზავნეს. ესეც საქმეა. მაგრამ მე მაინტერესებს, ღვთიშმობლის წილხედრ ქვეყანას, ასეთ გასაჟირში, ერთი ძლიერი წვიმა რატომ არ გვაღირსეს? ამის პასუხად მაზა მერა ჩამჩირინებდა – let it be.

როცა ბორჯომის ტყეები იწვოდა, მე და ჩემნაირები ტელევიზორებთან ვისხვდით და ყოველ გადამწვარ კვადრატულ მეტრზე კრემლს ვწყველიდით, შემდეგ კი დავამატებდით – „ოპ, ლმერთო, ნეტაი, იქ მოწვიმოს და მეტი არაფერი არ მინდა“ ან „ნეტა, ამერიკელებმა თავისი ტექნიკა გამოგვიგზავნონ, ორ საათში ჩავაქრობდით ცეცხლს“. აი, ასე, ვისხვდით და ვოცნებობდით, გაკეთებით კა არაფერს ვაკეთებდით.

სანამ ასე, ღვთისმშობლის და ამერიკელების იმედად ვიქები, ყოველთვის იქნება რუსიც, ან ვინმე სხვა, რომელიც ტერიტორიაში ან ისტორიაში შემცილება, მე კი ისევ იმედი მექნება, რომ დამზმარებიან ამერიკელები და ღვთისმშობელი, რომელიც ჯიუტად მიმორებს – let it be.





პროკრედიტ ბანკი  
ProCredit Bank

საქათველო,

საქათველოსთვის!

თქვენი სამგეო ეახავები ბანკი



### ლათო ჩურქვილი

იმ საშინელ დღეებში მილან კუნძურა გამახსენდა, რომელმაც ერთხელ იო-სიფ ბროდსკის უთხრა – თქვენ რომ წიგნები გამოგვიგზავნეთ, სინამდვილე-ში ბომბები ყოფილაო და მერე ეს კამათი გამოქვეყნდა კიდეც. კამათი რა-საკვირველია, ბროდსკის შეპასუხებამ გამოიწვია და როგორც ხდება ხოლმე, რუსებმა ჩეხებს კულტურის გავრცელება დაამადლეს. კულტურაში რუსმა პოეტმაც, უპირველესად, რუსული ლიტერატურა იგულისხმა, მაგრამ რუ-სები იმ მართლაც მშენიერი წიგნების სანაცვლოდ, აგრე უკვე მერამდენე საუკუნეა, მორჩილებას გვთხოვენ. ჩვენ კი მორჩილება არ შევიძლოა – არც ჩვენ და არც ჩეხებს, არც ლიტერატურას თუ პოლონელებს და იმას, რასაც იოსიფ ბროდსკიც ვერ მიხვდა, როგორ უნდა მიხვდეს რუსეთის არმიის რო-მელიმე ჯარისკაცი.

თუმცა სინამდვილეში ნებისმიერი რუსი გენერალიც იგივეს ფიქრობს, რასაც ბროდსკი, ლერმონტოვი ან გრიბოედოვი და ჩვენც იმდენივე საუკუნეა იმ ტყუილის გვაჯერა, რომელიც ჩვენ თვითონ მოვიგონეთ. შევარდნაძემ ერ-თხელ ხმამაღლაც კი თქვა ეს ტყუილი – ორი რუსეთი არსებობს: ერთი კეთილი და მეორე – კეთილმოტყული და მოდით, ჩვენ მხოლოდ კეთილ რუსეთიან ვიმეგობროთ.

სინამდვილეში რუსეთი ერთია, ერთადერთია და არც იცვლება და ახლაც ზუსტად შევიდი ადამიანი იდგა პროტესტის ნიშნად წითელ მოედანზე, რო-გორც მაშინ, 1968 წელს, როცა რუსებმა პარადა აიღეს. ისინ, ვინც საქარ-თველის დაბომბვას აპროტესტებდნენ, ისევე დააპატირეს განსხვავებული აზრის გამო, როგორც ისინი, ვინც ორმოცი წლის წინ ჩეხეთის დაპყრობა გააპროტესტა. ორასმილიონიან რუსეთში მხოლოდ შევიდ ადამიანს სურს დე-მოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ რუსეთის არმიის ჯარისკაცები დღემდე იმით არსებობენ, რასაც დაპყრობით ამებში მოგვივრდება.. ამიტომაც, როცა ასეთი მტერი გყავს, ჭუაც გაცილებით მეტი უნდა გქონდეს თუ იმის მოგება ვრნდა რუსეთის წინააღმდეგ და არა მხოლოდ ბრძოლის, თორემ ბრძოლებში მაგრები ადრეც ვიყავით და იმის მოგება კი ყოველთვის გვიჭირდა.

ბრძოლისაგან განსხვავებით, იმის მოგება იმიტომაც არის ძნელი, რომ ემოციების გარდა მას გონებაც სტირდება და მოთმინებაც, ეკონომიკაც და სოფლის მეურნეობაც, განათლებაც და განვითარებული დემოკრატიაც. ყველაფერს დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ხელისუფლების უმრა-ვლესობას დემოკრატია სისუსტე ჰქონია და არა სიძლიერე და უბედურება კი ის არის, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილიც იგივე აზრისაა. აფხა-ზებთან და ოსებთანაც ძალისმიერი საშუალებების გარდა, სხვა ყოველგვარი ურთიერთობა იმიტომ გამოვრიცხეთ, რომ დემოკრატიის შეგვეშინდა. დღე-მდე ისიც არ გვჯერა, რომ უიარაღო ქართველი გაცილებით ძლიერია, ვი-

დრე შეიარაღებული და ახლაც, ოცდამეტერთუ საუკუნეშიც წარმოდგენები საუკუნეთარ ქვეყანაზე, საბჭოთა პერიოდის ენოფილმებით გვაქვს შექმნილი და რეალობის შეგრძნება არ გაგვაჩინია. სწორედ იმ საბჭოურმა იზოლაციამ განაპირობა კიდეც ჩვენი არააღევატურობა, რადგან სამოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენ მხოლოდ დაახლოებით გვქონდა წარმოდგენა იმის შესახებ, რაც დანარჩენ სამყაროში ხდებოდა. რასაკვირველია, ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენზე უარესი ამბებიც ხდება, თუმცა ჩვენ სწორედ იმ სამყაროსთან გვ-სურს ინტეგრაცია, რომელიც უკეთესია, მაგრამ მათი ცხოვრების წესისა და პრინციპების გათავისებას, მაინც არ ვჩეარობთ. ჩვენი გაორებაც პირ-დაპირ კავშირშია ტყუილსა და შიშთან და რაც მალე გავაკეთებთ ნამდვილ არჩევანს, უფრო მალე დავაღწევთ თავს რუსულ სივრცეს, რომელიც ჯერ კიდევ გვთვლის თავის წანილად, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ვგავართ მათ საბჭოური ინერციას გამო. კიდევ კარგი, საკმაოდ მეტიჩარა ხალხი ვართ და გული და ტყინი მაინც ეგრიპისკენ მიგვიწევს და არა რუსეთისკენ, რადგან ინტუიციით მაინც ვგრძნობთ, რომ რუსეთისაგან არაფერი გამოვა, რადგან რუსებს მართლა ურჩევნიათ ტოტალურ ძნერში იცხოვორონ, ღლონდ რუსე-თის იმპერიამ იარსებობს.

მათთვის მთავარი იმპერია და არც იზოლაციის ეშინიათ, არც ევროკავში-რის სანქციების, რადგან ამერიკელებმა უარესი საშინელება ჩაიდინეს სულ

რამდენიმე წლის წინ და თუ ისევ ცივი ომი დაიწყება, რუსეთში ეს ყველას გაახარებს იმ შეიდი ადამიანის გარდა. შეიდი მოქალაქის გამო კი, ამხელა სახელმწიფოს არავინ შეცვლის და კიდევ მინიმუმ სამასი წელი რუსეთი ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც იყო და არის. ამიტომაც, თუ ნამდვილად გვსურს რომ მოვიგოთ, არამარტო მინი-ნააღმდეგის რაობა უნდა ვიცოდეთ, არამედ საკუთარი შესაძლებლობებიც და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არა ვართ ავლანელები, დღისით რომ ვიბრძოლოთ და საღამობით შარდენის ქუჩაზე ვისხდეთ, ასე მარტივად იმის მოგება, ნამდვილად შეუძლებელია. ავლანეთში თავისი სახლიც კი არავის ჰქონდა (ალბათ ნაჯიბულას გარდა), როცა რუსებს ებრძოდნენ და როცა რუსები მათ ბომბავდნენ, მართლა ვერაფერს აკლებდნენ ავლანეთის ეკონომიკას, რადგან ავლანელები უკვედაბომბილი გამოქვაბულიდან ახლა სხვა, ჯერდაუბომბავ გამოვეჯაულში გადადიოდნენ და ათი წელი ასე ებრ-ძოდნენ რუსეთის საბჭოთა იმპერიას. ჩვენ კი მხოლოდ სამი დღე გვბომბა-ვდნენ და მეოთხე დღეს ერთმა ჩემმა ახლობელმა მითხრა, სომხეთში უნდა წავიდე ოვახათან ერთადო. სუმრობა მეგონა და მეც ვეხუმრე — ერევანში სიცოცხლეს, იგორეთან სიკვდილი ჯობია-მეტე და მერე გამახსენდა, რომ ყველა სუმრობაში შეიძლება იყოს სიმართლის მარცვალი და მართლა ერე-ვანში წავიდნენ, ის ჩემი ახლობლებიც და სხვებიც. მართალია, ჩვენ არსად წავსულვართ, მაგრამ რა უფლება მაქვს ისინი გა-ვამტყუნო, ვისაც დაბომბვის შეშინდა, როცა დაბომბვის დაწყებისთანავე, მეც საშინელება დამემართა.

ახლა კი მრცხვენია, მაგრამ მაშინ კი მართლა გავიფიქრე, რომ ბავშვები ეზოში ჩამეტვანა, ჩამეტანა რუსული წიგნები და ჩემი შვილების თანდასწრე-ბით, დემონსტრაციულად დამეწვა ისინი.

კიდევ კარგი, რომ სულ ბოლო წამს (ალბათ მხოლოდ წამით) გონება ისე გამინათდა და გადავიფიქრე, თორემ ვერასოდეს ველარ ავუხსნიდი ჩემს შვილებს იმას, რისი ახსნაც სხვებისთვის ისედაც მიჭირს.

თუმცა მაინც მჯერა, რომ ის ფული, რაც ამ ბოლო წლებში ჩვენს შეიარაღე-ბას მოხმარდა, წიგნებსა და განათლებარჯვა, არა თუ აფხა-ზეთსა და ჩრდილო ქართლს, ალბათ მანამდე დაკარგულ ტერიტორიებსაც დაგიბრუნებდით.

ხომ დაუჯერებელია, და მე მაინც ასე მჯერა და თანაც პაციფისტი არა ვარ.

სამწუხაროდ.



ფარმაცეტული კომპანია  
ჯიპსი გთავაზობთ  
სახის კანის უფასო  
ღიაგნოსტიკას და  
თქვენთვის შესაფეხისი  
კოსმეტიკური  
საშუალებების შეჩრევას

## წარის ღიაგნოსტიკის წაგინიშვნები

ბასენისა შავება აფთიაქაში:

პეტიონის 2 (ღოღიძის ქუთხეში)  
ჩესტაველის 16  
ჭავჭავაძის 50



## ომი გულწრფელობისთვის

ავტორი: მარქ მალევი

თარგმნა რუსულ ამირაჟიბა

საქართველოს დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებული შეხედულება აქცის ამ ომზე. განსხვავებული შეხედულება, და არა უთანმოება. საქართველოში ომზე საუბარი სამართლიანობის გარშემო ტრიალებს. საქართველოს გარეთ პრაქტიკულად ყველა (რუსეთის და მისი სატელიტების გარდა) დარწმუნებულია, რომ კრემლის ბოლოდროონდელ ქმედებებს გამართლება არა აქვს. ის, რაც 7 აგვისტოს წინ უძლოდა, ბევრად მეტი იყო ვიდრე პროგოკაცია. ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოზე თავდასხმა, რომელსაც საქართველომ, თავდაცვის მიზნით, მხოლოდ მაშინ უბასუხა, როცა დიალოგის გამართვაზე უარი მიიღო. როდისძა არის ჯარის გამოყენება გამართლებული და სამართლიანი თუ არა ასეთ ვითარებაში?! მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ახლა მარტოა, როცა ჯერ კიდევ ძალის გამოყენების სამართლიანობას ამტკიცებს. ამაზე მსჯელობა უკვე დამთავრდა საერთაშორისო არენაზე. ახლა მსოფლიო სხვა კუთხიდან უყურებს განვითარებულ მოვლენებს.

მსოფლიო ახლა იმაზე მსჯელობს თუ რამდენად ჭევიანური იყო სამხრეთ ოსეთზე იერიშის მიტანა. ძნელია ამ საკითხზე საუბარი, როცა საქართველო ჯერ კიდევ ოკუპირებულია, მაგრამ განსჯის დროულად დაწყებას თავისი პლუსები აქვს.

### რა მიზნები ამოძრავებს კონფლიქტის მხარეებს?

ქართველების უმრავლესობა მომხდარში რუსეთის როლზეა ფოკუსირებული. რატომ სჩადის ამას რუსეთი? რა უნდა? მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის პუტინის პიროვნული ანტიპათია სააკაშვილისადმი; კრემლის სურვილი, რომ სამეზობლოს თავისი ძალა დაანახოს და ამავდროულად ხაზი გაუსვას აშშ-სა და ევროპის სისუსტეს; სურვილი ენერგომატარებლების ტრანზიტზე მონოპოლის შენარჩუნებისა; აშშ-სა და ნატოს დამცირების სურვილი და, ალბათ, ბევრი სხვაც.

რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხს, დარწმუნებული ვარ, რომ მათი მიზანია ეს საკითხი რაც შეიძლება დიდხანს არ მოგვარდეს. რუსეთს უკვე ჩვევად ექცა მოუგვარებელი პრობლემებით უონგლიორობა. ვითომდა მათი მოგვარების მიზნით, ეს პრობლემები იმ ქვეყნებთან ვაჭრობის საგანი ხდება, რომლებიც მართლა არიან დაინტერესებული გამოსავლის პოვნით. რუსეთის საზღვრები მკაცრად დადგენილი რომ იყოს, მაშინ კრემლს ხელიდან გამოეცლება მეზობელებთან ურთიერთობის „ბერკეტი“. სხვათა შორის, ასეთი მიდგომა დიამეტრალურად განსხვავდება ჩინეთის პოლიტიკისაგან, რომელიც აგრე უკვე თხუთმეტი წელია თანდათანობით, რაც შეიძლება ჩუმად და ბეჯითად, აგვარებს საზღვრებთან დაკავშირებულ პრობლემებს.



SINCE 1884

**SARAJISHVILI**

6 3 6 3 X 0 3 0 2 0



კომიტეტი

რა უნდა საქართველოს? ქართველების უმრავლესობას უბრალოდ სურს, რომ ეს ორი რეგიონი კანონიერად გახდეს საქართველოს ნაწილი, ანუ სურს მათი „დაბრუნება“. „დაბრუნება“ შეიძლება ბევრ სხვადასხვა რამეს გულისხმობდეს. ვინაიდან ეს რეგიონები დე ფაქტო დამოუკიდებლები არიან, საქართველომ რაიმე უნდა დათმოს მათ „დასაბრუნებლად“. ყველაზე ფართო ავტონომიის შეთავაზებაც კი, განსაკუთრებით ახლა, სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. როცა საქართველოს მიზანი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დაბრუნებაა“, ისინი კიდევ უჯრო მეტად იღტვიან დამოუკიდებლობისკენ.

იქნებ სწორედ ეს „დაბრუნების“ სურვილია, რაც ყველაზე მეტად აფერხებს მისა ასრულებას. იქნებ ჯობდეს, საქართველომ ისეთ გამოსავალზე იფიქროს, რომელშიც „დაბრუნება“ არ ფიგურირებს. რათემ უნდა, ყველაფერზე უნდა გაიმართოს მშევრება, პირველ რიგში კი ღილაკების დაბრუნებაზე, თავისუფალ გადაადგილებაზე, საკუთრების უფლებებზე, რუსეთის სამხედრო ოკუპაციაზე და სხვ.

ამ რეგიონების საკითხის მოგვარების სამი გზა არსებობს. პირველი უკავშირდება რაიმენაირ გარიგებას დიდ სახელმწიფოთა შორის. როგორც დიდ იმპერიებს შორის განლაგებული პატარა ქვეყანა, საქართველო ყოველთვის განიხილავდა ამ გზას. თბილისის ქუჩებში ახლაც გაიგონებთ ამაზე საუბარს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი გარიგებები საკმაოდ იშვიათია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კრემლის მიზანია უბრალოდ არ დაუშვას საკითხის მოგვარება, ეს გზა ნაკლებად სავარაუდოა.

მეორე განვითარებული საკითხის რაიმე სახის სამშედვრო გზით მოგვარეობა. არა მგრინია, რუსეთმა ოდესმე დაუშვას იმიდან საქართველოს

ის შემთხვევაა, როცა აჩქარება უფრო საშიშია, ვიდრე მოთმინება.

გრძელვადიანი მშვიდობიანი პოლიტიკის გზას რამდენიმე უპირატესობა აქვს.: 1) დიდ სახელმწიფოთა შორის გარიგების გზისაგან განსხვავებით, მან მართლა შეიძლება იმუშაოს; 2) მისი წარმატების შემთხვევაში, არსებობს შანსი, რომ მან პერმანენტული ხასიათი მიიღოს; 3) ის ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც წაცია-სახელმწიფოს სხვა მისწრაფებრებს. დაუშვებელია ამ პოლიტიკის სხვა გზებთან აღრევა, მაგალითად, იმის თქმა, რომ მშვიდობა გვსურს, მაგრამ თუ მშვიდობიანი გზით ვერ მოვალნიერთ სასურველ შედეგს, მაშინ გაგანადგურებთ.

ეს გზა მნიშვნელოვანი დასაწყისი იქნება საქართველოს თვის. ამჟამად საქართველოს ხალხიც და ხელისუფლებაც ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ როგორ ააწყოს ურთიერთობები რუსეთთან, ევროპასთან, ნატოსთან, ამერიკასთან, ევროკავშირთან და ა.შ. თუ საქართველო ამ ახალ გზას აირჩიებს, მაშინ მან პრობლემებს აფხაზების და ოსების თვალით უნდა შეხედოს და ყურადღება არ მიაქციოს უფრო დიდ მოთამაშებს. როცა ამ დიდ მოთამაშებს უგულებელყოფს, ალბათ, მათი როლიც შესუსტდება. რუსეთი იბრძოლებს იმისთვის, რომ პირდაპირი დიალოგი არ გაიმართოს, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ წუთში ისევ ისეთი ერთიანია, როგორც ვარდების რევოლუციის დროს, რიტორიკა და მეტაფორა ზოგჯერ ზედმეტად ნაციონალისტურად და აგრესიულად უღერს აფხაზების და ოსების თვალში. თუკი ამ გრძელვადიან მშვიდობან პოლიტიკას ირჩევს, საქართველომ მათი გრძნობები და ემოციებიც უნდა გაითვალისწინოს და მათ გააზრებულად მიუდგეს.

**საქართველოს** მიზანი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დაბრუნება“, ისინი კი უფრო მატად ილტვიან დამოუკიდებლობისკენ. იქნებ სწორებ ის „დაბრუნების“ სურვილია, რაც ყველაზე მატად აფხაზებს მის ასრულებას. იქნებ პორბლე, საქართველომ ისეთ გამოსავალზე იფიქროს, რომელშიც „დაბრუნება“ არ ფიგურირებს.

გამარჯვებული გამოსვლა. პუტინის მიერ შექმნილი რეჟიმი მოზეა დამოკიდებული და ხელიდან არ გაუშვებს არმის გამოყენების შანსს. რუსეთს არ აღელვებს არც ადამიანური და არც ფინანსური დანაკარგები, ვინაიდან მედიასაც აკონტროლებს და ენერგორესურსებისგან შემოსული ფულიც ბევრი აქვთ. ბოლოდროონდელმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ მას დიდად არც საერთაშორისო იმიჯი აღელვებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველომ რაიმე მოიგო რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში ჩართვით.

მესამე, და ჩემი აზრით, ერთადერთი წარმატებული გზა შეიძლება იყოს საკითხის მშევდობიანი მოგვარება. ამ გზის ერთადერთი ნაკლი ის გახლავთ, რომ დიდ დროს მოითხოვს, ძალიან დიდს, არადა სა-ქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ეტყყობა, რომ გრძელვა-დიანი გეგმები დიდად არ ეპიტნავება.

ლეობას არაფერი ევალება, შეუძლია იჯდეს და ელოდოს. თუ არჩევნი მესამე გზაა, მისი განხორციელება, ხელისუფლებასთან ერთად, მთელი მოსახლეობის საქმეც ხდება.

ნებისმიერ ოშში, ცეცხლისშეწყვეტის შემდეგ დგება საკითხი: რომელი მხარე იქნება უფრო გულახდილი იმის შესახებ, რაც მოხდა. ქართველთა უმრავლესობა 1990-იანი წლების დასაწყისის ომებში მონიანალმდევებს ადანაშაულებდა და არ უფიქრდებოდა იმას, თვით ქართველებმა და საქართველომ რა როლი ითამაშეს მათ გაჩადებაში. ეს არც სხვა მხარეებს გაუკეთებია, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საქციელის სამართლანად შეფასება შეგვიძლია, ეს კი იოლი არ არის.

საქართველოს შეუძლია ამ ბოლო ომის მოგება გულახდილი და საჯარო მსჯელობით იმაზე, თუ რა მოხდა. მსოფლიო უახლოესი თვეების მანძილზე დააკვირდება ამ პროცესს, რათა დაინახოს, რა-მდენად უჭერს შხარს და მონაწილეობს ამ განსჯაში საქართველოს მთავრობა. ამ დისკუსიაში მონაწილეობით და გულახდილობით მთა-ვრობას შეუძლია თავისი სიძლიერე დაამტკიცოს. გულახდილი საუ-ბარი ბოლოდროონდელ მოვლენებზე მტკიცნეული იქნება. ის კონ-ცენტრირებული უნდა იყოს არა სხვების დანაშაულის გამოვლენაზე, არამედ საკუთარ როლზე. საქართველოს დასაკარგი არაფერი არა აქვს, მოსაპოვებელი კი ძალიან ბევრი.

განახლებული

## აღინია ნოვე



ესთეტიკური პრაცედურები ქიმიური სხელი სპეციალისტი  
+ სისხლძელვთა ესთეტიკური ქიმიური

თბილისი, თევზობების მოედნის 13. ტელ: 34 63 66, 35 14 45, 34 88 85

[www.tsopeclinic.com](http://www.tsopeclinic.com)



## „ფანლარასტ“-ული ომი და წაგებული მშვიდობა

ავტორი: ლელა გაფრილაშვილი

ფოტო: თომას ლვორჩაკი

ვუძღვინ ზალიკო ქიქოძის ხსოვნას

ერთი ფილოსოფოსი მახვილისიტყვაობდა: რა უცნაური არსებაა ეს ადამიანი – განგებამ ფიქრის უფლება უბოძა და ის მაინც სიტყვის უფლებისთვის იკლავს თავსო.

არადა, რომ არა აზრის გ/ამო/თქმის და სხვებისთვის გაზიარების ეს უცნაური მიზანსწრაფვა, ალბათ ამ წერილის დაწერის სურვილი არ გამიჩნდებოდა. არც ჩემ მიერ განცდილი „ომი-მშვიდობის“ გაპა-ექრების ისტორიას მოგიყვებოდით და თქვენი თანაგანცდის იმედიც არ მექნებოდა.

წერის სურვილი ომის პროცესში მიმდინარე საზოგადოებრივმა მითქმა-მოთქმამაც გამიძლიერა: ერთი ამტკიცებდნენ, რომ ხელი-სუფლება რუსეთს შეეკრა, ხოლო მეორენი – ეს ყველაფერი და-სავლეთის ხელდასმით მოხდაო. ამ ვარაუდებში, ძნელი არ არის, აზროვნების საბჭოური დალის ამოცნობა: ყველაფრის მიზეზი გარეთ არის, სხვაგან და სხვებში, პოლიტიკური პროცესები კულისებში, სა-ზოგადოებისგან ფარულად იგეგმება, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ და, მით უმეტეს, ვერ შევცვლით ისტორიის მდინარებას.

ამას თან დაერთო ეთნოცენტრიზმით გამოწვეული ფსიქოზი იმის თაობაზე, რომ დასავლეთი კარგად ვერ ირჯება. ანუ, ხმალ-ხანჯალ-აბჯარ-მუზარადი ვერ აისხა და ვერ ეკვეთა ლეთისმშობლის წლებე-დრი ხალხის მტერსა და დუშმანს! ჩვენ ხომ მთელი ეს პერიოდი სწორედ „სამართლიან ომს“ ველოდებოდით?

ვინც დღემდე ასე ფიქრობს, მისთვის ახია რაც მოხდა და რაც მოხდება. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მივხვდეთ, რომ შეუძლებელია ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი ყოველთვის ჩვენგან შორს, ჩვენ-თვის მიუწვდომლის წიაღში იყოს. ხომ შეიძლება უახლესი ისტო-რიის გაკვეთილებით მაინც ვისწავლოთ, რომ - ეს ჩვენ ვართ ჩვენი

დღევანდელობის მიზეზი? ჩვენ წავაგეთ მშვიდობა, რადგან ომის სა-მზადისს მიუყყრულ და ვერ ვხვდებოდით, რომ მეგობრები მშვიდო-ბისკენ მოგვიწოდებდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რეგიონში თავიანთი ინტერესები აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ ეს კონფინ-ტაცია საქართველოს ავნებდა და დააზარალებდა.

არ დაიჯეროთ, რომ ევროპას რუსეთი ჩვენმა ხელისუფლების გა-აცნო! გაიხსნეთ მეორე მსოფლიო ომი, კავკასიური ომები, ჩეჩე-თის ტრაგედია, ბესლანი, ნორდ-ოსტი და ჩანვდით ამ შეხედულების აპსურდულობას!

დაინახეთ, რომ ჩვენს დიდ მეზობელთან ომს ვერასოდეს მოიგებ, მშვიდობას კი – დიდი ხნით და უცილობლად წააგებ.

### მშვიდი და მშვიდობიანი

აფხაზებს და ოსებს პირველად 2000 წელს საერთაშორისო ორგანი-ზაციის International Alert-ის მიერ ორგანიზებულ სემინარზე შევხვდი. მათთან დალაპარაკება ცოტა მაშინებდა, რადგან ომთან ემოციურად არაფერი მაკავშირებს. ბევრი მძიმე შეფასება და კრიტიკული აზრი მოვისმინე, მაგრამ ასევე დავინახე, რომ ამ აგრესიული ამოთქმის გარეშე შეუძლებელია გადატანილი ტრაგედიისგან დისტანცირება (დაცლა და განცყვეტილი ურთიერთობების აღდგენა). ადამიანებს უნდათ, გაგაგებინონ თავიანთი განცდები, დაგროვილი და ვერგამო-თქმულ ნაფიქრალი, რათა შენი თანაგანცდა გამოიწვიონ. მხოლოდ მომხდარის შეფასების შემდეგ შეიძლება დაიწყოს გადაფასების, ანუ მომავლის შენების პროცესი.

ასეც მოხდა. წარსულის გადააზრებამ თანამშრომლობის სურვილი დაბადა. ჩვენს ერთობაში ყველა კავკასიური ეთნოსის წარმომადგე-

ნელი ქალი მონაწილეობდა, ამიტომაც მას კავკასიელ ქალთა ლიგა / Caucasus Women's League დავარქეოთ.

2003 წლის სექტემბერში ლიგალები (ანა ჩოჩიევა, აზა ხაჩიროვა, აშატ მაგომედოვა, ნათელა აკაბა, ირინა გრიგორიანი, ვალენტინა ჩერევატენკო) ცხინვალში შევირიბეთ. ანამ გამორჩეულად სტუ-მართმოვარე მასპინძელი შეგვირჩია, ამიტომ დაძაბულობა და შიში არავის გვიგრძენია.

ყველა შეხვედრა ომის წლებში გადატანილი უბედურების გახსენებით იწყებოდა და ქართულ-ოსური ურთიერთობების საუკეთესო მაგალითებით მთავრდებოდა.

არასოდეს დამავიწყდება დევნილთა საერთო საცხოვრებელს შეკედლებული ქალი, რომელიც დერეფანში შემოგვევება და თავისი შემზარევი ისტორიის თხრობა დაიწყო: როგორ ატარა დაჭრილი ქალიშვილი ტყე-ტყე და როგორ დალია სული საბრალომ. თვალებგაფართოებული ვუშენდი და ცრემლები თავისთავად მდიოდა. თავზარდაცემული ვიყავი და ამ სიგიჯის ზღვარზე მდგომი ქალის საცოდაობით ვინოდი.

პოლიტიკოსებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს უფრო კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები ანტერესებდათ და ამიტომ, კომუნიკაციას პოლიტკორექტულობისა და დიპლომატიის სუნი ასდიოდა – აზრებიც და ემოციებიც თითქოს აფთიაქის სასწორები იდო და წონასწორობას არ კარგავდა.

ერთ-ერთი დასკუსიის ბოლოს, ჩემი მზერა კედელზე გაკრულმა მთამსვლელების ფოტომ მიიღორ. იქვე მდგომა ახალგაზრდამ ჩათვალა, რომ ალპინიზმის ფანი ვარ და გამომელაპარაკა:

– ძალიან მიყვარს ეს საქმე, სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში ყველგან ნამყოფი ვარ.

– მე კი, ვერაფრით გაგავირვებთ მაგ სფეროში. უბრალოდ, ეს კაცი ზალიკოს მივამსგავსე და ამიტომ დავაკვირდი.

ეს ვთქვი და ყმანვილს თვალები საახალწლო გირლანდებივით აენთო. ვიფიქრე, ახლა ხელში ამიყვანს და დამაბზრიალებს-მეტქი.

– ქიქოძეს იცნობ? ჩემი მეგობარია. აი, ვინ მიყვარს ძმასავით. აი, ვინ არის მშვიდი და მშვიდობიანი. აუცილებლად მომიკითხე, არ დაგავიწყდეს!

რომ არა ჩვენი მასპინძლის მანქანის გამოჩენა, ამ ბიჭს თავს ვეღარ დავალნებდი. გარშემო ყველამ იფიქრა, რომ დიდი ხნის უნახავმა ნათესავებმა ერთმანეთი ვიპოვეთ.

ცხინვალიდან მე და ყარაბახელი ირინა გრიგორიანი ერთად დავბრუნდით. თბილისში, როცა ვეტერინარი მითხრა:

– ერთი გამაგებინა, რა კონფლიქტი გაქვთ თქვენ და ოსებს? ერთმანეთთან ისე მიდი-მოდიხართ, არავის ეკითხებით. ჩემს ქალაქში რომ აზერბაიჯანელი ჩამოვიდეს, დაცვით უნდა იაროს. შენ კი, ისე დასეირნობდი, რომ პასპორტიც არავის უკითხავს. იმ დიდ ბაზრობაზეც ყველა ერთად ვაჭრობს.

მაშინ ვერც ვიფიქრებდით, რომ ეს ვითარება მალე კარდინალურად შეიცვალებოდა: ერგნეთი დაიკეტა და 2004 წლის ზაფხულში კინალამ ომი დაიწყო. თანაც ყველა, ვინც ხმის ამოღება გაპედა, ლამის ეშაფოტზე აიყვანეს.

პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიული გეგმის უქონლობაში და ფარულ, საომარ „თამაშებში“ დაადანაშაულა:

.... დღისით სამშვიდობი მოლაპარაკები, ლამით – ომი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საქართველოს ცალკე დღისა და ცალკე ღამის მთავრობები ჰყავს. უფრო სწორად, ჰყავს ღია, ფორმალური და ოფიციალური მთავრობა, რომელიც რატომღაც შეზღუდულია თავის მოქმედებაში და მის პარალელურად – ჩრდილოვანი, არაფორმალური, არაოფიციალური ჯგუფი, რომელიც არალეგალური – კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიღმა არსებული ბერევეტებით მართავს პროცესებს. თანაც მართავს ცუდად, სამაგიეროდ – ყოველგვარი პა-

სუხისმგებლობის, უფრო სწორად – პასუხისმგების გარეშე.....“

გიორგი არგელაძეს, ხელისუფლების მეხოტებესა და დამქაშს, ივლიანე ხაინდრავას მიერ დასმულმა კითხვებმა, რატომღაც ბაბურინისა და ურინოვსების ანტიქართული პათოსი გაახსენა. გალიზიანების მიზეზი ნათელი იყო: პასუხისმგებას ვინ შეპტედავდა სიტყვაძვირ და „ბრძენ“ ირაკლი იქრუაშვილს, ცეცხლით და მახვილით რომ დაერია მტყუანსა და მართალს? პასუხისმგებლობაც პოსტრევოლუციურ საქართველოში აღარავდა. თუმცა, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, ვინც მოის დაწყებას არასოდეს დაუშვებდა.

ამ სამხედრონარევ „ჰუმანიტარულ შტურმს“ კინალამ ანას მეუღლე, ალან პარასტავეი, შენირა. იგი 30 დეკემბერს ცხინვალელმა სამართალდმცავებმა სასტიკად ცემეს, რადგან ქართული სოფლებისთვის განკუთხნილი ჰუმანიტარული ტვირთის ცხინვალში დაკავების მიზეზით დანიტერესდა. მე და მარინა ფალავამ იგი საავადმყოფოში მოვინახულეთ. შეუსაბარში ვიყავით, როცა ოთაში ზალიკომ შემოანათა.

გაოცებული ვუურუებდი ალანის რეაქციას: ისე წამოხტა, თითქოს არაფერი სტყიოდა და სტუმარს გადახვია. ამ სანახაობით ნასიამოვნებს, გონიერა გამინათდა და ის ოს ბიჭი გამახსენდა, გულწრფელი

## ხომ შეიძლება უახლესი ისტორიის გაკვათილებით

ასიც ვისენაცლოთ, რომ – ის ჩვენ ვართ ჩვენი

დღევალების მიზანი? ჩვენ ნავაგათ მშვიდობა,

რასდაც რომის სამზადის მივუყრებათ და ვერ

ახლებოლოთ, რომ მაგიდარები მშვიდობისაც

მოგვიცოლებით არა მხოლოდ იმით, რომ მათ

რაგიონით თავიათი იცხერება აქვთ, არაგაც

იმითომაც, რომ ეს კონფრონტაციას საქართველოს

ავებლა და დააზარალება.

სიხარულით სავსე თვალებით. რაც მთავარია, – მივხვდი, რომ ასეთი სიყვარული რომ დაიმსახურო, ზალიკოსავით მშვიდი და მშვიდობიანი უნდა იყო. ბევრ ოსს და ქართველს ახსოვს, – რა დღე აყარეს მას პირველი მოწვევის ნაცებმა 1991 წელს, როცა ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების უგუნურებაზე აღაპარაკდა.

## სირსხვილი და სიცილი

მალე ვითარება აფხაზეთშიც დაიძაბა. ქართულმა მძიმე ტექნიკამ თავი ენგურის ხილაბანაც მოიყარა. აქცე, 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციაც ჩატარდა: 200-მდე ბავშვი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სათამაშო ავტომატებით შეიარაღებული, მნობრად მარშირებდა.

ახალი კონფრონტაციის მოლოდინით შემფოთებულმა აფხაზმა ქალებმა რამდენიმე ქართველს (ნაირა გელაშვილი, ანა წვინარია-აბრა-მიშვილი, მარინა ელბაქიძე, იულია ხარაშვილი, მარინა ფალავა, ლელა გაფრინდაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ალა გამახარია, თინათინ ხილაბანი, გიორგი არაშვილი, გიორგი გეგმიშვილი) ნერილი მოგვერესს, სადაც ქართველ ლიდერთა სამშვიდობო განცხადებებისა და მათი ქმედების ურთიერთგამომრიცხაობაზე საუბრობდნენ და ასევე აფხაზური საზოგადოების მოლოდინზე, რომ მშვიდობის დროშის ქვეშ გაერთიანებულ პოლიტიკოსთა შორის რომელიმეს ეყოფიდა გამჭვიდვაობა და 1992-1993 წლების მოვლენებს შეაფასებდა.

.... გიორგი არაშვილი, რომ სააკაშვილის და მის ნათესავებს აფხაზეთში არავინ ელოდება. და მით უმეტეს, მათ იქ ვარდებით არავინ დახვდება. აი, უკვე 10 წელზე მეტია, რაც აფხაზი ხალხი სულ სხვა რამეს ელის: როდის გამოჩინდება საქართველოში ლიდერი,

## კომენტარი

რომელსაც ეყოფა პოლიტიკური ნება და ვაჟკაცობა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, შეაფასოს, რაც 1992-1993 წლებში აფხაზი ხალხის წინააღმდეგ განხორციელდა? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს, პირველ ყოვლისა, სჭირდება თავად საქართველოს, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მეზობელ ხალხებთან ახალი ურთიერთობების მშენებლობა, რომლებიც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებზე.

ძვირფასო კოლეგები, იმედი გვაქვს, რომ თქვენ იზიარებთ ჩვენს შეშფოთებას. დარწმუნებულები ვართ, რომ საჭიროა ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ ახალი ქართული ლიდერების პოპულისტურმა განცხადებებმა და უპასუხისმგებლო საქციელმა არ ჩაშალოს სამშვიდობო პროცესი. ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ, გავატაროთ რიგი ერთობლივი ზომებისა:

1. გამოვაცხადოთ დროებითი მორატორიუმი ყოველგვარ ცალმხრივ ქმედებაზე – არასანქცირებული ვიზიტები ორივე მხრიდან, აგრეთვე მასობრივი მიტინგები, მსვლელობები და მანიქესტაციები (მათ შორის, სამშვიდობო ლოზუნგებით გამართული) უშუალოდ უსაფრთხოების ზონასთან. უნდა ვიცოდეთ, რომ უსაფრთხოების ზონასთან ყოველგვარ დესტაბილიზაციას შეუძლია გამოიწვიოს პროვოკაცია და ძალადობის ესკალაცია.

უმოკლეს დროში შედეგს ტელეხიდი სოხუმი–თბილისი, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა იმსჯელონ შექმნილი ვითარების გარშემო და მონახონ დაძაბულობის განმუხტვის გზები.

ჩვენ ვალდებულები ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ბოლო წლების მიღწევა – ერთმანეთისადმი პატივისცემა და ურთიერთგაგების დასაწყისი, რაც დაგვეხმარებოდა მშვიდობიანი მომავლის აშენებაში“.

**2004 წლის მოვლენების შემთხვევაზე დუმილის გამო თუ ვინაო შეასახულებინა, თავის გასამართლებელი ათასი მიზანი შემიძლია მოვიფირო. მაგრამ რას ვუზამ სიცილის, რომელიც საკუთარი შესცომების ალიარებას გაიძილა. მხოლოდ მისი ფინანსურის გამო მისი მიზანი ალიარებას გაიცის.**

ჩვენ, ამ წერილის პასუხად, გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტის, რესპუბლიკური პარტიის წევრის (ფსევდონიმით „მეგობარი“), 1931 წელს დაძეჭდილი ანალიტიკური სტატია მოვიძეთ და გაზირ „24 საათში“ გამოვაქვეყნეთ. ავტორი ქართველების მიერ აფხაზთა მიმართ დაშვებულ 3 შეცდომაზე საუბრობს: 1. აფხაზების ქართველებად გამოცხადება და ამით მათი ეროვნული ლირსების შელახვა; 2. მენშევიკური მთავრობის მიერ ამ ხალხის მიმართ უპასუხისმგებლო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და 3. გენერალ ჯულელის გვარდიის აფხაზეთში შესვლა და იქ გარალებული ძარცა-გლეჯა და ძალადობა.

„მეგობარი“ ამავდა წატრობდა, რომ ეს შეცდომები ქართველებს აღარასიდეს დაეშვათ. 90-იანი წლების დასაწყისში ისტორია განმეორდა და თანაც უფრო მძიმე და დამანგრეველი შედეგებით.

ამ დღეებში, როცა აფხაზეთიდან გამოგზავნილ წერილს ვკითხულობდი, უკანა მხარეს რაღაც მინაწერი აღმოვაჩინე. „სირცხვილი და სინდისი“ – ასე დამირქმევია გამოხმაურებისთვის, რომელიც ვერ დავასრულე და აფხაზებთან გაგზავნაც სამომავლოდ გადავდე.

დიახ, 2004 წლის მოვლენების შემდეგ დუმილის გამო თუ ვინმემ შემარცხინა, თავის გასამართლებელი ათასი მიზეზი შემიძლია

მოვიფიქრო. ბოლოს და ბოლოს ვიტყვი, რომ მე მაინც ვერაფერს შეცვლილი და ვერავის დაგარნიშნებდი-მეთქი.

მაგრამ რას ვუზამ სინდისს, რომელიც საკუთარი შეცდომების აღიარებას გაიძულებს. მხოლოდ მისი წყალობით შემიძლია ვთქვა, რომ მშვიდობის წაგებისთვის პასუხისმგებლობა მეც მეკისრება.

### „სიყვარული“ თუ „ზიმაობა“

2005 წლიდან პატრიოტული პროპაგანდა და მილიტარისტული სულისვეთება ძალას იკრებდა. კლიპი კლიპზე მზადდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ როგორც კი იმღერებ, – ტერიტორიასაც უმაღ დაიბრუნება.

ქართული საზოგადოების ნაწილი გვარიანად კი ქირქილებდა ამ ვირტუალურ, სასიმღერო „ომობანაზე“, მაგრამ მისი შინაარსი საკადრისად არავის გაუკრიტიკებია. მაგალითად: არავის დაუსვამს კითხვა ზუმბასთვის იმის თაობაზე, თუ რატომ შეცვალა მან გალაკტიონის ტექსტი და ფრაზას „ზღვა, რომელიც შორია“, რატომ ამჯობინა „ზღვა, რომელიც ჩვენია?“ ასევე არავინ დაინტერესებულა, – სად გამგზავრა ამ ბიჭმა ეს თავისი ნაცონბ-მეგობრები და დევნილები მაშინ, როცა ენგურის ხიდზე რუსები დგანან?

მილიტარისტული ჰიმნოგრაფიის მწვევრალი, „ფსოუს წყალი“, უკვე ააშეარავებს საომარ მზადებას, შეჰებარის ბრძოლისა და თავგანწირვის რომანტიკას.

ფსოუს წყალი, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან მოყოლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის და ერთიანობის საკრალურ სიმბოლო იქცა. გახსოვთ, ალბათ, რა დიდი გზნებით დაეწავა მას გიორგი ყარყარაშვილი. ალბათ, ამიტომ ემუდარება მომღერალი ქართველ მებრძოლებს მამულის საზღვარზე მოჩუბჩუხე, უკვდავმყოფელ სითხესთან ზიარებას.

სიმღერის ვიზუალური წაწილიდან კიდევ შეიძლება რაღაცის გაგება, მაგრამ ტექსტი სავსეა წაძალადევი სიტყვათშეთანხმებებით და ხელოვნური, გულისამრევი მაღალფარდოვანებით.

წარსულიც და ანმყოც, მიმით გამოწვეული სისხლი, ცრემლი და ძაქები თურმე დროის ბრალია, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა და არა – ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას. მოკლედ, ჩვენ მხოლოდ ფსოუს წყალს დავლევთ და მაშინვე შავი ზღვის სანაპიროზე აღმოჩნდებით. თანაც უკვდავება და შვილების მაღლიერება გარანტირებული გვაქვს.

ლექს-სენის სიმღერამ „კოკოითი ფანდარასტ“ ბევრი გააღიზანა, მაგრამ არა ტექსტის შინაარსის, არამედ – ოსურენოვანი ცნების „ფანდარასტ-ის“ გამოყენების გამო, რომელმაც შეურაცხმყოფელი გამოთქმები და რეპლიკები გამოიწვია. ბოლოს კი, ქართული შოუბიზნესის ვარსკვლავებმა, „ჭკუითა და წინდახედულებით გამორჩეულმა“ მასხარებმა, ამ სიმღერის სამარცვიონ ინტერპრეტაცია გააკეთეს და მთელი თვეები გაპირიდენ: „კოკოითის თურმე კაცი არ ჰქვას, კაცი კი არა, თურმე ფანდარასტია.“ ამ უმეცრებასაც, სერიოზული საზოგადოებრივი გამოძახილი, რადგან, გულის სიღრმეში, ჩვენც ვეთანხმებოდით ამ შეურაცხყოფას.

უკვე აღარაფერი მიკვირს. ამიტომ, ივლისის ბოლოსკენ წამოწყებული ერთ-ერთი ქართველი ინტელექტუალის ომის აპოლოგიაც არ შემიცხადება. მსჯელობის გასამღელად, მან ამერიკული, 60-იანი წლების კონტრკულტურული მოძრაობისა და ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგებათ სლოვანი გამოიყენა: „Make Love, Not War!“. ფრაზის პირველი წაწილის ქართული თარგმანისას ცნება „ჟიმაობა“ გამოიყენა და არა – „სივყარული“.

ხედებით ალბათ, რომ ამ ინტელექტუალს ინგლისური ენის ცოდნას როდი ვუწუნებ. მე მხოლოდ მისი ლანგვისტური არჩევანი მაღი-ზიანებს: როცა ამ უნიკალურ გამონათქვამში სიყვარულს, ანუ მშვიდობას ვერ ამოიკითხავ, მაშინ ომი, ანუ სიძულვილი, გარდაუვალი.



Development Solutions  
LIFESTYLE

ვაჟ 0333 2738068 მობილური  
თაღლისი, ლასათიანი 36ა, 0105  
ტელ.: (995 32) 241555  
ფაქს: (995 32) 241552  
[www.ds.com.ge](http://www.ds.com.ge)

თბილი - 0333 2738068 სოლისგან - სამოსის სტრიტ



# თმი, რომელიც უნდა მოვიგოთ

ავტორი: ვახე ბაბუაშვილი

2008 წლის 24 ივლისი

კარგი ზაფხულია, ვერაფერს იტყვი, რომ არა რაღაც საშიშროების მუდმივი, ყრუ, ცივი და, ამავე დროს, კარგად ნაცნობი მოლოდინი, რომელიც ნელ-ნელა შემომეპარა და თავს არ მანებებს. ეს ნელი უახლესი ისტორიის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი ნელია საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში. გვიმბავენ, თვითმფრინავებს გვიგდებენ (მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით უპილოტოს), ბლოკადას გვიცხაფებენ, ხალხს გვიძევებენ, გვამცირებენ, ომით გვემუქრებიან და ეს მუქარა დღითი დღე სულ უფრო რეალური მეჩვენება. ჩემთვის ეს ომია და, როგორც არ უნდა შეალამაზო სხვადასხვა განსაზღვრებით (ცივი ომი, ეკონომიკური ომი, იდეოლოგიური ომი, საინფორმაციო ომი, ხუთდღიანი ომი და ასე შემდეგ), ნებისმიერ ომს თავისი შედეგები აქვს და ეს შედეგები ყოველთვის დამანგრეველია.

**მე – პაციფისტი**

„თუ მე ჩემს თავს არ ვიცავ, მაშინ ვინ დამიცავს მე? თუ მე მხოლოდ ჩემს თავს ვიცავ, მაშინ ვინ ვარ მე? თუ ახლა არა, მაშინ როდის?“

პაციფისტი – მშვიდობისმოყვარე.

**თალმუდიდან**

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**

მშვიდობისმოყვარე მგონი ვარ. ბავშვობიდან ვცდილობ კონფლი-ქტები მშვიდობინად მოვაგებარო, ვერ ვიტან ჩაგვრას და მჩაგვრე-ლებს, არ მიყვარს იარაღი და მძულს ომი. ვუსმენ ლენონს და ვკი-თხულობ ფრომს. პაციფისტი ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ.

რამდენიმე წლის წინ ქართველი პაციფისტების შეკრებაზე მი-ვედი.

საზოგადოებისთვის ერთმა ძალიან კარგად ნაცნობმა „პაციფისტ-მა“, ჩემმა ძეველმა მეგობარმა მთხოვა, მივსულიყავი და ლენონის რომელიმე სიმღერა მემღერა. არ მახსოვს, *Imagine* თუ *All You Need Is Love* შევარჩიეთ.

შინაგანი ხმა მეუბნებოდა, არ წახვიდეო. ვგრძნობდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო. მაინც მივედი (ქართველებს ხომ პრინციპული უა-რის თქმა ძალიან გვიჭირს, მით უმეტეს „ახლობლისთვის“). ეს იყო 60-70-იანი წლების ამერიკული ანტისაომარი მოძრაობის გაუაზრე-ბელი, ზედაპირული ასლი. ისმოდა დაუსაბუთებელი და ამ მდგომა-რეობაში ჩემთვის სრულიად მიუღებელი მოწოდებები ნეიტრალიტე-ტისა და ყოველგვარ საომარ მოქმედებაზე უარის თქმის შესახებ. იმ საღამოს არ მიმღერია.

სამწუხაროდ, დღემდე ასე გრძელდება.

ამერიკული პაციფისტური მოძრაობა ძალიან ძლიერი, იმ საზოგა-დოების ძალიან რეალური პრობლემებით გამოწვეული საზოგადო-



გაერთიანებული ტელეკომუნიკაციები

სისხლი გაერთიანებული ტელეკომუნიკაციები



თქვენი სახელი ახალი ტელეფონი!

გახდეთ გაერთიანებული ტელეკომუნიკაციების აპარატი და **ისეუბერთი ცვლას შემთხვევაში**

რეცენზია კადენცია **400000** აპარატის მთველი საჭარბელოს მასშტაბით

ცალიერების მიზანის და აუდიო-ვიზუალური მომსახურების დასრულებულების მიზანის და აუდიო-ვიზუალური მომსახურების დასრულებულების

100-100

[www.utg.ge](http://www.utg.ge)

## კომიტეტი

ებრივი მოძრაობა იყო. ამერიკა ომს აწარმოებდა სხვა ქვეყანაში, სხვა კონტინენტზე, ამერიკიდან ათასობით კილომეტრში. ამ ოში ათიათასობით ახალგაზრდა ამერიკელი დაიღუპა. რისთვის? სა-დღაც, გაუგებარ ქვეყანაში ამერიკის რაღაც გაუგებარი, ეფექტუ-ლი ინტერესების დასაცავად? ამას წინა საუკუნის 70-იანი წლების ამერიკული საზოგადოება, რა თქმა უნდა, ვერ აიტანდა.

### რა ხდება დღეს?

დღეს ჩვენ გვებრძვიან, ჩვენ გვართმევენ ტერიტორიებს, ჩვენს ხალხს აძვებენ და ხოცავენ, ჩვენ გამოგვიცხადეს ომი და ჩვენ ვი-ცავთ თავს. როდესაც თავს იცავ, უნდა შეეცადო, რომ შენი ქვეყანა გაძლიერდეს, და ამას ყველანაირად უნდა შეუწყო ხელი, თუ არ გინდა, დაჩაგრო, დამარცხდე და განადგურდე.

პაციფისტი ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ! მაგრამ ვიცი, რომ თუ არ მოვითხოვე კარგად გაწვრთნილი, ძლიერი, კარგად დაფინანსებული ჯარი, მშვიდობას ვერ შევინარჩუნებ. მშვიდობის მოყვარე რომ ვარ, ამიტომ მინდა მაღალი ზეობის, პატრიოტულად აღზრდილი, ნატო-ში განევრიანებული ქვეყნის ძლიერი ჯარი, თავდაცის სამინისტრო და ასე შემდეგ.

პაციფისტი ვარ, აბა რა ჯანდაბა ვარ! სიბრაზისგან გული ლამის გამისკენეს, როდესაც ერაყის ომის დოკუმენტურ კადრებს ვუყურებ, სადაც კბილებამდე შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცები მშვი-დობიან ერაყულ ოჯახს სადილობისას სახლში უვარდებიან, სადაც აღმოსავლური წესებით ღირსებაა ყრილი მამა მცირენლოვან ბავშ-

სახადების ნაწილი ხომ ამაში მიდის). ბოლოს კი იქამდე მივედი, რომ ეს არმია საკუთარ არმიად მივიჩნიე.

ვახ, თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო! მიდით, ივარჯიშეთ!!!

მშვიდობიან დროს ჯარმა აბა რა უნდა აკეთოს? უნდა ივარჯი-შოს, მოისთვის მოემზადოს. ჩვენ ეს კარგა ხანია დავივინებული. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართულმა არმიამ „რუსული წითელი ჭირისგან“ ბაქოს განთავისუფლებაზე უარი თქვა და ამით მთელი კავკასიის განვითარება, სულ ცოტა, ერთი საუკუნით შეაფერხა, საქართველოს ჯარი, ანუ გარეშე ძალების-გან საზოგადოების, ქვეყნისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინ-ტერესების დამცავი სტრუქტურა არ ჰყოლია. დაცვა გვჭირდება სიმშვიდისთვის, სიმშვიდე გვჭირდება განვითარებისთვის, განვი-თარება გვჭირდება მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი ღირსეუ-ლი ადგილის დამკიდრებისთვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი. ამიტომ მიხარია ამ ჯარის არ-სებობა. ისიც მიხარია, რომ მსოფლიოს უმეტესი ტერორისტული და ყაჩაღური ორგანიზაციების მიერ მიღებული „კალაშნიკოვის“ მაგივრად ქართულ არმიას, როგორც იქნა, ამერიკული წარმოე-ბის იარაღი უჭირავს. ისიც მიხარია, რომ ჩვენს ჯარს „კედების“ და „ბოტასების“ მაგივრად გამართული, ერთნაირი ფორმა აცვია, კარგად იცვებება და ქართული სახელმწიფოს დროშას მწყობრში ამაყად მიყვება.

ამიტომაც მეცსება გული სიძულვილით, როდესაც თავდაცვის და-ბლვერილი მინისტრი ბაქებუქობს და ამ დროს მილიონებს აკეთე-

**კაციფისტი ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ! მაგრამ ვიცი, რომ თუ არ მოვითხოვე კარგად გაწვრთნილი, ძლიერი, კარგად დაფინანსებული ჯარი, მშვიდობას ვერ შევინარჩუნებ. მშვიდობის მოყვარე რომ ვარ, ამიტომ მინდა მაღალი ზეობის, პატრიოტულად აღზრდილი, ნატო-ში განევრიანებული ქვეყნის ძლიერი ჯარი, თავდაცის სამინისტრო და ასე შემდეგ.**

**კაციფისტი ვარ, აბა რა ჯანდაბა ვარ! სიბრაზისგან გული ლამის გამისკენეს, როდესაც ერაყის ომის დოკუმენტურ კადრებს ვუყურებ, სადაც კბილებამდე შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცები მშვი-დობიან ერაყულ ოჯახს სადილობისას სახლში უვარდებიან, სადაც აღმოსავლური წესებით ღირსებაა ყრილი მამა მცირენლოვან ბავშ-**

ვებს ეფარება და „ვარსკვლავური ომების“ ეკრანიდან ჩამოსულ ჯა-რისკაცებს წინ ეღლებება.

პაციფისტი ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ, მაგრამ საშინალად არ მინ-და ზაფხულის ერთ მშვენიერ, მშვიდ დღეს, მეც იმ ერაყული კაცის მსგავსად აღმოვჩნდე გაუთლელი, უკულტური, მთვრალი რუსის ჯარისკაცის წინ. განა ეს შეუძლებელია? განა თუნდაც ბოლო ერთი საუკუნის საკუთარმა გამოცდილებამ საქამარისად არ გვასწა-ვლა? ბალტისპირეთმა თუ ისწავლა, ჩვენ რაღა ჯანდაბა დაგვე-მართა??!!!

### არმია

ბოლო ოთხი ზაფხულია, რაც კიკეთში, სადაც ჩემი 41-ვე ზაფხუ-ლი მაქს გატარებული, ახალი ხმოვანი ფონი გაჩნდა. მთელი დღე სხვადასხვა კალიბრის ავტომატური იარაღის ინტენსიური სროლა ისმის. კოვრის ბატალიონი ვარჯიშობს. ამ ხმამ თავიდან ძალიან გამაღიზიანა და პაციფისტური შეხედულებებიც გამიძლიერება. რამ-დენომეტ დღეში, როდესაც ემოციამ გაიარა და გავაცნობიერე, რომ ეს ის არმია ვარჯიშობს, რომელსაც ევალება სწორედ ამ კიკეთის, თუ სხვა, ჩვენთვის სანუკვარი ადგილის და ხალხის დაცვა, გაღიზიანე-ბა პატივისცემით შემეცვალა. იმასაც მიგვდი, რომ მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც ამ ჯარის წვრთნებში ფულს იხდის (ჩვენი გადა-

ბს ამ ჯარის და ჩვენს ხარჯზე, როდესაც გამოუცდელ, შუბლზე იარაღმიბჯენილ, შეშინებულ პოლიციელებს იძულებითი დარიქების გამო საჯაროდ ქვეყნის მოღალატეებს და ლამინატებს უწოდებს და დაახლოებით წელინაზნახევარში თვითონ იჩოქებს და სიტყვას ტეხს, შემდეგ კი სხვა ქვეყანაში გარბის და იქიდან ცდილობს ძალაუფლე-ბის დაბრუნებას ოპოზიციის საპროტესტო მიტინგების დაშლის სა-ნაცვლოდ. მაშინაც ცბრაზდები, როდესაც რეზერვისტების კარგად „გაბიარებულ“ პროგრამას ნაჩქარებად, გაუთვლელად ასრულებენ და გულანთებულ ადამიანს პირველსავე საღამოს შინ უშვებენ: „71-იანები და ზევით აღარ გვჭირდებაო...“ თურმე ნუ იტყვი და, ორ-განიზაციულად ვერ განსაზღვრეს, რა რაოდენობის ხალხის მიღება შეუძლიათ...

შეცდომების გარეშე საქმე არ კეთდებაო? კი, გეთანხმებით, მა-გრამ ზოგი შეცდომა იმდენად მარტივი გასათვლელია, რომ მეტი არ შეიძლება. მე სწორედ იმის შეშინია, რომ ამდენი სულემური შეცდომით ნიპილიზმს ნერგავენ ჩვენს (პირველ რიგში ჩემს) ახალ-გაზრდა სახელმწიფოებრივ თვითშეგნებაში.

### ДЕНЬ ПОБЕДЫ ...

(წარმოიდგინეთ ვიეტნამური აბსურდი: წინა საუკუნის 70-იანი წლების ვიეტნამი. სადღაც სველ ჯუნგლებში ამერიკული ავიაციის



თიბისი ფონდი  
მარკეტინგისა და მხარეთა მიმღებლის

## აქცია დაზარალებულთა მხარეთა საჭიროება



### გახსენით ანაბარი 1 ლეპამბრამდე.

- ▲ ყოველი ანაბრის თანხის 1%-ს ბანკი დამატებით შემოყოფს და გადარიცხავს დაზარალებულთა დახმარების ფონდიში
- ▲ ანაბარზე დაგერიცხებათ +1%

€ 27 27 27

[www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლევთ რეალურობას

## კომიტეტი

ინტენსიური შეტევის შემდეგ ჭრილობამოშუშებული „ვიეტკონგელები“ ერთ-ერთი თანამეპრძლოლის შეილის დაბადებას აღნიშნავენ. თავისებური ლხინი აქვთ, ვიეტნამური ტრადიციის მიხედვით. მღერიან, ცეკვავენ და უცებ, წარმოიდგინეთ, ყველა ერთად იწყებს „იანკი დუდლა“ ან რომელიმე ამერიკულ სიმღერას! წარმოიდგინეთ? ც ხომ სასაცილოა?

ასეთი სულისკვეთების ვიეტნამში მოიგო ის ომი? ეჭვი მეპარება.) მართლაც მშვენიერი ზაფხულია...

კაცმა რომ თქვას, არაფერი განსაკუთრებული. ისეთივე ზაფხულია, როგორც წინა 41 ზაფხული. ეს ალბათ უფრო ჩემი ემოციური მდგომარეობაა ასეთი. ერთი შეილი თოთხმეტი წლისაა, მეორე სამის ხდება. ორივე ძალიან საინტერესო ასაკია. პირველი ყმა-წვილკაცობაში გადადის, მეორე პიროვნებად ჩამოყალიბების განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. კიკეთში ვზივარ და ინტერნეტით მთელ მსოფლიოს ვუკავშირდები, დენი არ ქრება, მადლობა ღმერთს, ყველა ჯანმრთელადაა, მუსიკალური იდეებიც მაქვს და სხვა საინტერესო აზრებიც მეპადება თავში...

მართლაც მშვენიერი ზაფხულია...

ისევ კიკეთი. 2008 წლის 25 ივნისი.

აქ, ჩვენთან, კიკეთის შემოსასვლელთან ახალი რესტორანი გახსნეს, „მასპინძელო“.

ქვეყნის შეილი ვარ და ძლიერი იმუნიტეტი მაქვს ასეთ რამეებზე გამომუშავებული.

## და უცებ – დენი პიბედი ...!!!

ამის წინაშე კი ჩემი იმუნიტეტი სრულიად უძლური აღმოჩნდა. რა ვქნა და, ვერ აღვიქვამ ამ სიმღერას ჩვენი, საქართველოს გამარჯვების სიმღერად, ისევე, როგორც ვერ აღვიქვამ საქართველოს მიღწევად საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში ჰესებისა და ქარხნების მშენებლობას. ქედს ვიხრი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც საზარელ ფაშიზმთან ბრძოლას შეენირა, მაგრამ არც მიღიონობით უდანაშაული ბავშვის, ქალის, მოხუცის თუ უბრალოდ თავისი ქვეყნისთვის გულანთებული ადამიანის დავინუება შემიძლია, რომელიც საზარელ საბჭოთა რეზიმს შეენირებენ.

არ არის ეს ჩემი ქვეყნის გამარჯვების სიმბოლო! და არც უბრალოდ ლამაზი სიმღერაა, ეს, პირველ რიგში, იდეოლოგიური ნაწარმოებია, მაღალი დონის იდეოლოგიური ნაწარმოები. ეს არის ჰიმნი ფაშიზმზე გამარჯვებული საბჭოთა კავშირისა, იმ ქვეყნისა, რომელიც სისასტიკით და არაადამიანური იდეოლოგიით ფაშისტურ გერმანიას თავადაც არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ჰოდა, ამიტომაც ვერ მოვითმინე და მივედი იქ მყოფ ერთ-ერთ ნაცინობ მუსიკოსთან.

**მაშინ, როდესაც საკართველოს პრეზიდენტი მასების საშუალებით  
გვამცირობს, რომ საკართველო რუსეთთან თითქმის სამორისადაც  
სახელმწიფოს უზიშობრივი სამსახურის მიმართ გამოიყენება  
რა ჯანდაც არ უნდა ერქვას, რა ჯანდაც არ უნდა ერქვას,  
რა ჯანდაც არ უნდა ერქვას, რა ჯანდაც არ უნდა ერქვას  
დენი პიბედი-ს ზეიმობენ!**

მთელი გაზაფხული-ზაფხული მის მშენებლობას გზიდან ვაკეირდებოდი. თავიდან – არაფერი საინტერესო. მერე ბევრი ხის მასალა გამოჩნდა – ეს უკვე საინტერესო!!! ცოტა ხანში პატარა ფაცხებიც გამოიკვეთა, ლამაზი კრამიტის სახურავებით, საინტერესო ღია სამზარეულოთი. ბოლოს ჰამაკებიც (!) დაკიდეს.

ეს კი მართლა საინტერესო იყო!!! ადგილიც ჭეკვანურად შეარჩიეს (თბილისიდან მანგლისამდე სულ რაღაც 3-4 რესტორანია, ისინიც ან საშინლად ძვირია, ან საშინლად უგემური). შესაბამისად, „მასპინძელომ“ პოპულარობაც მალევე მოიპოვა და იქ მოხვედრისთვის ადგილების წინასწარი დაჯავშნა გახდა საჭირო. სწორედ ასეთი თადარიგის დაჭრის შემდეგ ჩვენმა მეგობარმა ამ საღამოს რამდენიმე ადამიანი დაგვპატიუა „მასპინძელოში“.

კულინარული შეფასებისთვის ამ ადგილს არ გამოვიყენებ, ამაზე სხვაგან ვისუბროთ.

მე მნიდა ქართული აბსურდის შესახებ მოგიყვეთ. ზემოთ მოყვანილი ვიეტნამური აბსურდისგან განსხვავებით, ეს დოკუმენტურია, ამიტომაც არ მეცინება და ამიტომაც მწყდება გული.

მთელი ორი საათი, რაც „მასპინძელოში“ გავჩერდით, მთლიანად შავებში ჩაცმული, სრულიად უემოციო მომღერლები დაბალი ხარისხის ფონოგრამის თანხლებით მდაბიური მუსიკით გვიბურღავდნენ ტვინს და ამას მრავალკოლოვატიანი აპარატურით ცდილობდნენ. რა ვქნა, არ მიყვარს ღრიალში სადილი და დასვენება, მაგრამ ამ

რა საინტერესო რეპერტუარი გქონიათ ც ც – ეტყობა, იმდენად ირონიული ინტონაცია მქონდა, რომ ისიც მაშინვე მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი. ჩემებიც გადმოიხარა და ხმადაბლა მითხრა:

რა ვქნა, უშიშროება ქეიიფობს და შეგვიკვეთებს (!!!!!!!!)

საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების სამსახური, დეპარტამენტი თუ სამინისტრო, რა ჯანდაბაც არ უნდა ერქვას, 2008 წელს, მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი და უმაღლესი მხედართმთავარი თითქმის ყოველდღე მასმედის საშუალებით გვამცნობს, რომ საქართველო რუსეთთან თითქმის საომარ მდგომარეობაშია, როდესაც მტერმაც და მოყვარემაც კარგად იცის, რომ აფხაზეთის და ოსეთის კონფლიქტებში რუსეთთან დავმარცხდით და არა ჩვენს მოძმე ხალხთან, ზუსტად მაშინ საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების სამსახურის, დეპარტამენტის თუ ახალგაზრდა თანამშრომლები იჯახებთან ერთად რაღაცა დენი პიბედი-ს ზეიმობენ!

არ ვიცი, იქნებ საქართველო-რუსეთის კინფლიქტში საქართველოს მომავალ დენი პიბედი-ს ზეიმობდნენ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ვიეტნამელები მოის დროს ამერიკულ სიმღერებს არ მღეროდნენ.

მაინც მშვენიერი ზაფხულია!

ც დნემ პიბედი, თოვარიში!

P.S.

2008 წლის 7 აგვისტო, ხუთშაბათი, დილის 2:10.

მოდერნი Reflex  
ექიმინი Marco Pareschi



გორგანი სალონი საქართველო

ბათუმის გამზირის 8

თბილისი

ტ. 252 253

Scavolini@chimmer.ge

ჩვენი კატალოგი მეცნიეროს ნიშანის საფუძველი - [www.scavolini.com](http://www.scavolini.com)

Scavolini S.p.A. - 61025 Montelabbate (PU) - Italy Tel. +39 0721443333 - Fax: +39 0721443413

**SCAVOLINI**



## პრესა 6-25

ავტორი: სალომო ნავარიანი

ემოციების დრო აღარ არის. ემოციების დრო უკვე მეორე დღეს აღარ იყო. მეტიც, იმ ღამეს, როცა საინფორმაციო გამოშეხებმა საგანგებო რეჟიმში დაიწყეს მუშაობა და დილისთვის სამხრეთ ოსეთი თითქმის უკვე „ჩვენი“ იყო, მე კი ქართული ჯარით ისე ვამაყობდი, როგორც არასდროს არაფრით მიამაყია, აი, უკვე მაშინ აღარ იყო ემოციების დრო. იმ ღამეს, ყველა ჩვენთაგანს ცივი წყალი უნდა გადაევლო და ეფიქრა, რა შედეგები მოყვებოდა ამას და როგორ უნდა მოვქცეულიყავით ჩვენ, სამხედრო თუ სამქალაქო პირი, ჩინოვნიკი თუ პროლეტარი. მაგრამ ჩვენ ემოციებით ვცხოვრობთ, ცრემლით, ქართული მინის სიყვარულით, წარსულის დიდებით და იმპულსური აწმყოთი. როცა ყველა ჩვენთაგანს უნდა დაგვევიწყებინა ემოციები, მაშინ მოვაწყვეთ მშვიდობიანი მანიფესტაცია რუსთაველზე, ვიმღერეთ უკარგისი სამღერები, წავიკითხეთ ლექსები, პრეზიდენტის დანახვაზე მის სახელს ვსკანდირებდით, წუთიერი დუმილით პატივი მიგაგეთ და-ღუპულ ჯარისკაცებს, ისევ ვიმღერეთ, გიგა ბოკერიას ყველა-ფერი ვაპატივთ და მისი რეაბილიტაცია მოვახდინეთ და, კიდევ კარგი, ევროპულმა პრაგმატულობამ და თავმდაბლობამ ნიკოლა

სარკოზისთან ერთად არ ჩაიძინა და საფრანგეთის პრეზიდენტი მანიფესტაციაზე შეკრებილ ხალხთან არ გამოვიდა, თორემ მზად ვიყავით, მის დანახვაზე ყველას ერთად გვეყვირა – „სარკოზ, სარკოზ“ (ქართულ ტელეარხებზე საფრანგეთის პრეზიდენტის გვარი დღესაც ასე ისმის). ასე მხოლოდ ფანატიკოსები იქცევიან და ჩვენც სწორედ ფანატიკოსები ვართ, ფანატიკოსი მომიტინგები, მანიფესტანტები. მანიფესტაცია და მიტინგი კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ემოციების შედეგია.

სწორედ ემოციების შედეგი იყო ის, რომ 6-25 აგვისტოს პრესა საგსე იყო ემოციურად დაუცლელი უურნალისტების სტატიებით, ამბებით, თუ რა გამოიარა ადგილობრივმა მოსახლეობამ, როგორ ეტირებათ, როცა დევნილებს ხედავენ, და ათასი ეგეთი, მართლაც ძალიან სამწუხარო ამბით.

სწორედ ემოციების ბრალი იყო, რომ 6-25 აგვისტოს პრესაში, თუ ერთ-ორ გამონაკლისს არ ჩავთვლით, არ ყოფილა არცერთი ანალიტიკური წერილი, მომხდარის გაანალიზება, მიზეზების ძებნა – რატომ? როგორ? სად დავუშვით შეცდომა? დავუშვით კი საერთოდ შეცდომა? ჩაგვითრიეს ომში თუ ჩვენ დავიწყეთ ომი? არ-

სებობს გამოსავალი? რა უნდა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? ერთი სიტყვით, კითხვების ნუსხის წარმოდგენით, უბრალოდ, თავს მოგანაცენთ, დარწმუნებული ვარ, ანალოგიური კითხვები გაქვთ ოქვენც, რომლებზე პასუხებიც ვერ მიიღეთ. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია, ქართულ პრესას თქვენოვის ამ კითხვებზე პასუხები გაეცა. გამონაკლისებს რაც შეეხება, ეს ძირითადად უცხოური პრესიდან ნათარგმინ სტატიისი იყო.

გასაგებია, რომ პუეზინსკი მაგარი მოაზროვნე და ანალიტიკო-სია — ამიტომაც არის პრეზიდენტების მრჩეველი, ცნობილია, რომ სოკორიც საღად აზროვნებს და მისი სტატიები და პროგნოზებიც ყოველთვის ანგარიშგასაწევია. პაველ ფელეგნაუერი, მართლა ძალიან საინტერესო ანალიტიკოსია, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ის რუსული გაზეთის მიმომხილველია და საომარი მოქმედებების დაწყებაში კრემლს ადანაშაულებს, არ შეიძლება დღეგამოშვებით რომელიმე ქართული გაზეთი მასთან ინტერვიუს ბეჭდავდეს, ან მის სტატიებს თარგმნიდეს. ეს იმის ბრალია, რომ ქართულმა პრესამ დღემდე ვერ გამოიმუშავა ანალიზის უნარი. უკანასკნელი წლების მოვლენები, უხეშად რომ ვთქვა, პრესისთვის „ოცნებაა“, მაგრამ ყოველ ჯერზე ქართული პრესა უმნიშვარი ბავშვივით ისტერიკაში ვარდება და ვერ ახერხებს საზოგადოებას საფუძვლიანი ინფორმაცია ან ანალიზი შესთავაზოს. არადა, ერთი შეხედვით, უფრო იოლი არ უნდა იყოს ქართულ კონფლიქტზე, ქართულ ჯარზე, ქართულ გამოცდილებაზე მსჯელობა ქართველი პუბლიკისტისთვის, ვიდრე უცხოელისთვის, რომელიც ერთხელაც კი არ ყოფილა საქართველოში? როდემდე უნდა გვანიჭებდეს უდიდეს

ამ კრიზისმა კი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართული პრესა აბსოლუტურად პოლარიზებულია, ერთ პოლუსს ცალსახად ყვითელი, საპირფარეშოში მოსახმარი, მასობრივ ცნობიერებაზე გათვლილი მაკულატურა იკავებს, მეორეს – აშეარად თუ შეფარულად სამთავრობო ტენდენციების გამტარებელი გამოცემები.

მაგალითად, მართალია „24 საათი“ ლიბერალური ღირებულებების მქონე გაზეთის იმიჯს იჩემებს და ზოგ შემთხვევაში ამართლებს კიდეც ამ სტატუსს, მაგრამ ამ გაზეთის ტრონი ხშირად სამთავრობო პროპაგანდისტული რუპორისას უფრო ჰგავს, ვიდრე ლიბერალური და თავისუფალი ღირებულებების მატარებელი გაზეთისას.

თუმცა, მიუხედავად „24 საათის“ ტენდენციურობისა, ის მაინც ახერხებდა შედარებით ანალიტიკური შინაარსის გამოცემა ყოფილიყო, მაგრამ ამას დასავლური პრესის თარგმნის ხარჯზე აკეთებდა. რაც შეეხება მის ტენდენციურობას, ეს აშკარა იყო გაზითში გამოქვეყნებული სტატიების შინაარსიდან გამომდინარე.

25 აგვისტოს ნომერში მაია ქვარცხავას სტატიაში – „ძალა ერთობაშია“ – ავტორი კატეგორიულად ითხოვდა ყველანი ჩვენი პრეზიდენტის გარშემო გავერთიანებულიყავით და დაუმარცხებლობის გარანტიებს გვაძლევდა. ასევე ძალიან გაღიზიანებული იყო იმით, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი და ოპოზიციურად განწყობილი სუბიექტი თავის უკმაყოფილებას საზოგადოდ გამოხატავდა. ის კიცხავდა მათ იმის გამო, რომ ასეთ მძიმე ვითარებაში საერთოდ ხმას იღებენ და რაღაც ისეთ აბსურდებზე ლაპარაკობენ, როგორიც, მაგალითად „აფხაზეთის და სამხრეთ ისეთის

თელევიზიას არ აქვს ანალიზის ისეთი მოქნილი საშუალება, რომორც პრესას, მაგრამ ჩვენ აგას ვერ ვიყენოთ, იმ მიზანის გამო, რომ არ გვაქვს ანალიზიკური აზროვნების უნარი და ამიტომაც, ერთოული პრესა პგავს ერთოული ჟალევიზის განალიზ და დამახილებულ ვარიაციებს.

յմապողուղեծած և սօսմոցնեծած ու զայլու, ըռմ հիշենք գասացեղեց-  
ծել սաշմեց, „նոյն ոռոշ տամօնու“, „ցարգուանու“ աճ, „գոնից ցաւուցնցուց“  
ակցեցած և հիշենք մացուրագ գուղուղեծ հիշենք პրոնձլեմու ցաանցր-  
ծած? հիշենք յո, ՚մեմցւց սպառ գուցու կմապողուղեծիու զտարցմնու մատ-  
սկագուցած և პորցել ցաւուցնցու ուց նամոցքիմացտ, տուդյու հիշենք  
ցալցրուու ուղլուս ՚մեցցոց ուցու.

დასავლური პრესა, რასაც ქართული პრესა შემდგე ქართველებს გვაწვდის, ისეთივე ლიბერალურ ფასეულობებზე და პათოსზეა აგებული, როგორზეც მთელი დასავლური სამყარო, ჩვენთვის კი მათი ენა ძნელად გასაგებია. ამიტომაც, როდესაც ფელგზნგაურის ან სოკორის სტატიებს ვკითხულებთ, საზოგადოებას უჩნდება განცდა, რომ ამ ხალხს მათი არ ესმის, ეს განცდა კი გამომდინარეობს იქიდან, რომ საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია დასავლური ფასეულობები. და როდესაც ერთ გაზეთში ვკითხულობთ ასეთ, „დასავლურ“ სტატიას, მის გვერდით კი გაუაზრებელი, ქართული „გენისა“ და „სულისკვეთების“ ემოციური ნაყოფია ნარმოჩენილი, ვიძნევით და ვერ ვხედავთ რეალური სურათის შინაარსს. ასეთი დაბნეულობა საზოგადოებაში იწვევს კრიზისს და მას უჭირს დასკვნების გაკეთება. რა თქმა უნდა, საზოგადოების კრიზისი მხოლოდ პრესის კრიზისის ბრალი არ არის, მაგრამ დიდობილად სწორებ ამით არის განპირობებული.

ნატო-ში განერვრანებაზე გაცვლაა...” მაია ქვარცხავა ასევე წერს, რომ „სააკაშვილის ზიზღით აბსოლუტურად დაპრმავებული უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ მიხვდე ნოემბრის ოპოზიციის სრულ დე-მორალიზებასა და პოლიტიკურ კრახს. რით ვერ გავიგეთ, რომ ვინც ასე ძლიერ არ უნდა რუსეთს, სწორედ ის ლიდერი სჭირდება დღეს საქართველოს, სწორედ მის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს ერი და ბერი და მაშინ ველარავინ მოგვერევა დედამიწის ზურ-გზე“. არადა, მისი სტატიის ავტორის გრაფის ქვეშ წერია „შურ-ნალისტი, პედაგოგი, ლეპაის უნივერსიტეტი...“ სიმართლე ვთქვა, მე არც სააკაშვილი მეზიზღება და არც ვინმე ოპოზიციონერი და საერთოდაც, ზიზღისთვის ჩემი გრძნობები არ მემეტება. უბრა-ლოდ, მგონი არ არის სწორი, როდესაც უურნალისტი და პედა-გოგი ითხოვს, რომ ყველანი გაჩუმდნენ, იმიტომ, რომ ახლა ამის დრო არ არის. თუმცა, ესეც არ არის ჩემი და თქვენი განსასჯე-ლი, მთავარია, რომ როდესაც გაზეთი ასეთი პათოსის წერილებს ბეჭდავს, ეს უკვე მისი პოზიციაა.

„24 საათის“ ცალ მხარეს დგომის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ისიც, რომ კრიტიკულ პერიოდში ორჯერ დაიბეჭდა პარლამენტარ დავით დარჩიაშვილის ორი სხვადასხვა სტატია. 11 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მისი პირველი სტატია საათაურით „ჩვენი საქმე სამართლიანია – ჩვენ გავიმარჯვებთ“. მე არ მახ-“

კომიტეტი

სოვეს როგორი სტატიები იბეჭდებოდა „კომუნისტში“, მაგრამ, ალ-ბათ, ისეთივე პათოსით იწერებოდა, როგორითაც ბატონი დავითი წერდა 11 აგვისტოს „24 საათში“. სტატიაში ავტორი გვთხოვდა, რომ ყველანი ვიყოთ ერთსულოვანნი, საზოგადოება და სახელმწიფო სტრუქტურები, რომ რუსები გვინგრევენ ინფრასტრუქტურას, ინსტიტუტებს, რომ რუსები არიან უსაზღვროდ ბრიყევები და არა-პატიოსნები... არ შეიძლება ასეთი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი იმიჯი „ლიბერალურად“ შეაფასო და ტენდენციურობას როცა შეგახსენებენ, ჩაგვცინოს. ასეთი სტატია ლიბერალური ლი-რებულებების მატარებელ გაზიერში არ უნდა გამოქვეყნებულიყო, არა იმის გამო, რომ ის ერთ, ან მეორე მხარეს წარმოადგენს, არა, უბრალოდ, იმიტომ, რომ ეს არის მოწოდება, პროპაგანდა, რაც ლიბერალური და ობიექტური პრესის ჩარჩოებში არ ჯდება. ეს უფრო ჰგავდა მცდელობას, რომ საზოგადოებას დაეჯერებინა, თუ ისინი დგანან ხელისუფლების მხარეს, ესე იგი ისინი აგრესორების წინააღმდეგ იბრძვიან. სწორედ ეს იყო შეურაცხმყოფელი. და შეურაცხმყოფაც რომ დავიგონიყოთ, სტატია უბრალოდ არაფერი არ იყო, ეს არ იყო არც პატიოოტული პათოსის მატარებელი წერილი და მით უფრო – ანალიტიკური. ის არაფერი იყო, გარდა პრო-პაგანდისა, რაც ახალი არ არის ქართული პრესისთვის: ზუსტად ასეთივე კონსოლიდაციის თხოვნა ისმოდა რეგიონული – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის – კონფლიქტების დასაწყისში. მაშინაც ვამბობდით, რომ ახლა კრიტიკის დრო არ არის, რადგან უფრო ძლიერი და ბარბაროსი მტერი გვყავს მოსაგერიებელი, რომ მთავარი ახლა გარეშე მტრის დამარცხებაა და არა შიდა საქმეები,

და პროპაგანდისტული, ჭორებით სავსე საკითხავი შესთავაზია და დღითი დღე მისი დრამატულობა სულ უფრო მაღალ ხარისხში აპყავდა. გაზეთების პირველი გვერდები რამდენიმე დღის გან- მავლობაში ვიზუალურად არ იცვლებოდა – სისხლი, ცხედრები, დანგრეული სახლები, გადამწვარი ტყეები...

ტელევიზიას, საინფორმაციო პროგრამებს აქვს საშუალება დინამიკაში გაჩვენოს ის, რაც აფეთქდა, დაიწვა თუ განადგურდა, მაგრამ მას არ აქვს ანალიზის გაკეთების ისეთი მოქნილი საშუალება, როგორიც ჰქენასას. ეს არის პრესასა და ტელევიზიას შორის განმასხვავებელი ოვისება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვიყენებთ, იმ მიზეზის გამო, რომ არ გვაქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი და ამიტომაც, ქართული პრესა ჰგავს ქართული ტელევიზიის განელილ და დამახინჯებულ ვარიანტს.

როდესაც რომელიმე საინფორმაციოს „ნიუსში“ დატრილ ქალბატონს ეხედავ და უურნალისტი ამბობს, რომ მის სახლს ბომბი დაეცა, ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია და აღარ არის საჭირო აფეთქების დეტალების დრამატიზება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, მითხრან, რატომ დაეცა ბომბი იმ ქალბატონის სახლს და საერთოდ რატომ ჩამოვარდა ბომბი. მის წერა, რომ რუსეთი აგრესორია, კრემლი კი – აგრინაში და ამიტომაც ყრის ბომბებს, ბოდიში მომითხოვია და, პლებეური ანალიზია და ცუდი გამოსავალი – რამენაირად დაფარო საკუთარი უზნარობა ან სიზარმაჯი.

უნარობაზე გამახსენდა, „ალიას“ დამატება აქვს – „კვირის ქრონიკა“. ანუ ის ანალიტიკურ საკითხავს უნდა წარმოადგენდეს – ბოლოს და ბოლოს პრეტენზია თუ არა, სათაური მაინც აქვს

**କାରତୁଣୀ** ପରେବା କାଶମୂଳୁହୁରାଦ ଅଗ୍ନିରୂପିତାରୁଲିବା, ଏହି ଅଗ୍ନିରୂପିତ ସାଲିଦାନାଦ

ყვითელი, საკირფარებო მოსახლეობი, მასობრივ ცნობილობაზე გათვლილი  
მაკულატურა იკავებს, მიღება – აშკარად თუ შეფარულად სამთავრობო  
ტალეციების გამტკარებელი გამოცხვები.

Նայլողանքեցից ჩափոյրեցա და անալութիւնուր աზրունեցա. զეրც  
մաშն და զერც ახლა զერ զեզდებით, რომ შიგნითაც ձեզրი მტეրո  
ցզպաշ დაսամարცხեցეլո და ის, პირველ რიგში, զպեლ ჩვեნთაგან-  
მა თავის ცნობიეրებასა და აზრունების სტილში უნდა ექცბოს.  
მაშინაც და დღესაც გაჩქმებას სახელმწიფოებრივად აზროვნება  
ერქვა, ხმის ამოღებას – დალატი. ქართულ პრესას არ აქვს უნარი  
დაიცვას ზომიერება – ოპოზიციურად განნվობილი გამოცემები  
ვერ ახერხებენ ჯანსაღი კრიტიკის გატარებას – ანყობენ ისტერი-  
კას და რაც զպელაზე სამწუხაროა, ვერ ხედავენ კონსტრუქციული  
კრიტიკის სიջაնსაღეს და ძალას.

არადა, სწორედ კონსტიტუციულ, ჯანსაღ და ძლიერ პრესას საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და მის კონსოლიდაციაში დიდი და რაც მთავარია, დადგებითი როლი უნდა ეთამაშა. დადგებითში, რა თქმა უნდა, იგულისხმება კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტული – სწორი – პასუხები, ჯანსაღი ანალიზი და ობიექტურობა, რომლებიც სანდო წყაროებზე დაყრდნობით იქნებოდა გაცემული. ეს საზოგადოებას საშუალებას მისცემდა, გამოიტანა დასკვნები და გაუგებრობა, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეისთან ერთად ანადგურებდა საზოგადოების ნერვებს, აღარ იქნებოდა. მაგრამ ამის სანაცვლოდ, პრესამ საზოგადოებას ემოციური

ეგეთი - „კვირის ქრონიკა“ - შემაჯამებელი, ასე ვთქვათ. ჰოდა, ის „კვირის ქრონიკა“ არ დამხვდა ძაძისგზა!?

ამ გაზეთის დანახვაზე წარმოვიდგინე, გაზეთის რედაქტორები, რომლებსაც ძალიან ეძინებათ, იმიტომ, რომ გვიანი დამეა, მაგრამ თავზე ადგანან დასაკაბადონებლად გამზადებულ მასალებს და მას შემდეგ, რაც „ქონთენტზე“ იფიქრეს, ახლა დიზაინი აქვთ მოსაფიქრებელი, გასათვალისწინებელი კი ბევრი რამ არის: ჩვენ ვგლოვობთ, ომის რეჟიმში ვართ, ბევრი დევნილი გვყვას, შეშინებულები ვართ, სტრესში და etc. და დიდი ფიქრის და შემოქმედებითი აზროვნების შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაზეთი ძაქებში უნდა შემოსონ. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გაზეთის პირველი გვერდი მთლიანად გააშავეს და თეთრი ჩარჩოები ჩასვეს, ჩარჩოებში კი სხვადასხვა რიცხვები და „გვერდის“ აბრევიატუარები – „4გვ.“, ან „23გვ.“. შუაში გამოყვანილი ასოებით, სქლად ეწერა „ომის ქრონიკა“ და ოდნავ ქვევით, უფრო წვრილად – „დაწერეთ, კაცო, სინამდვილე დაწერეთ“. და დაინტე „სინამდვილე“ და „ანალიტიკა“.

ვიზუალურმა ეფექტმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რამხელაც – შიგთავსმა. მათ უგემოვნობაზე და მწირ გონიერობის შესაძლებლობებზე ფიქრს დიდასანს არ შევუწუხებივარ

- ისედაც, ყველაფერს ძალიან სწრაფად მოეფინა ნათელი მაშინ, როდესაც გაზრდით გადავშალე. კი ვთქვი, დაიწყო „სიმართლე“ და „ანალიტიკა“-მეთქი.

დაიწყო იმით, რომ უურნალისტს ძალიან გაუკვირდა, რატომ მი-გვატოვა აშშ-მ, ანუ სამხედრო დახმარება რატომ არ აღმოგვიჩინა. ეს უკვე მრავლისტეტყველია – როდესაც დღევანდელ რეალობაში გჯერა, რომ ვინმე ჩვენ დასახმარებლად სამხედრო მოქმედებებში ჩაერთვება, უბრალოდ, უნტერესოა. მომდევნო გვერდზე კი „კვი-რის ქრონიკის“ უურნალისტი დარეჯან მეფარიშვილი ცდილობს, ხელისუფლების, ანუ ნაც-მოძრაობის წევრების დისკრედიტირებას და არკევეს სად იმყოფებინა ისინი იმ წუთისთვის, არის თუ არა მათი რომელიმე ნათესავი ან ახლობელი ოში და კონკრეტულად სად – ნინა ხაზზე თუ ზურგს ამაგრებენ. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს – აშკარაა, უურნალისტი გალიზიანებულია იმით, რომ მისი რესპონდენტები არ ომობენ. ეს არა მეორე ტენდენცია – მეორე პოლუსის ერთ-ერთი ნაწილი, „ალიას“ ნიშა.

ახლა იმ გაზრდებს დავუბრუნდეთ, მაკულატურაა-მეთქი, რომ მოგახსენებდით. „ალიაც“ მათ რიცხვს მიეკუთვნება. ეს გაზრდები ცდილობენ გაატარონ ოპოზიციური განწყობა, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ ხდება რომელიმე კონკრეტული ოპოზიციონერის პროპაგანდისთვის. თითქოს რა უნდა ოპოზიციონერობას? ის, რაც ყველაზე ადვილია – მთავრობის მხილება, რომელსაც სამხილებელი მართლა ბევრი აქვს და კრიტიკა და ყვირილი მის შეცდომებზე, რომელიც ასევე ბევრი აქვს. მაგრამ ეს გაზრდები მაინც ვერ ასრულებენ თვითდასახულ მისიას. რა არის მათი უბე-დურება? არაკევალიფიციურობა! მათი უბედურება არაკევილიფიციურობა და არაპროფესიონალიზმია! გაზრდით, რომელიც გატაცებით მიყვება, როგორ „დააჩიმორეს“ ლადო ვარძელაშვილი გორში შეკრებილმა უურნალისტებმა, როგორ „დაკრუგა“ თვითმფრინავმა ხელახლი დაბომბვისთვის და როგორ „დაზადნა“ რუსულმა მხარემ, რომდენი „ტრუპა“ მოიტანა იმმა და ა.შ. რა ვენა, სულ რომ ისეთი სიმართლე იყოს, ქვას ხეთქავდეს, ამ გაზრდის ვერც ერთ სიტყვას ვერ დავუჯერებ.

უარგონული კასკადის პარალელურად იბეჭდება მასალები იმის შესახებ, თუ როგორ გვატყუებენ ოფიციალური პირები გარდა-ცვლილთა რაოდენობის შესახებ – 150 კი არა, 1500 ადამიანია გარდაცვლილი; რომ 21 კი არა, ორი გამანადგურებელი ჩამოვაგდეთ; რომ მეოთხე ბატალიონი განადგურებულია და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული სიმართლე ყოფილიყო ის, რაც ამ მაკულატურაში იწერებოდა, მაგრამ ყოველი ახალი ნომერი ნინა გამოცემის გამომრიცხავი იყო და თავისითავად დგები ფაქტის ნინაშე, რომ ისინი ტყუიან. ეს ისეთივე ჭორის დონეზე გაგებული ამბებია, როგორიც იმ დამეს იყო, როცა ხმა გავარდა, იგორ გიორგაძე ტანცზე ზის და რუსულ ჯარს თბილისისკენ მოუძღვებაო.

ისე, სიმართლე გითხრათ, იმ პერიოდში ქართულ პრესაში ჭორების კითხვა უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე უურნალისტიკაში ჭიბმოჭრილი „მოაზროვნე ანალიტიკოსების“ კეკლუცური, ვითომ ფართო მსოფლმხედველური და ამბიციური სვეტებისა, სადაც აქცენტი იმაზე იყო გაეკეთებული, თუ რა უნახავთ ამ ნლების განმავლობაში და რა გამოუვლიათ – ცხრა აპრილიდან დაწყებული დღემდე; თუ რამდენ მეგობარ კოლეგას მიმართეს უცხოებში, რომ ხმა აღმაღლონ და ცივილიზებულ სამყაროს გააგებინონ, თუ რა ჭირი შემოგვესია რუსული ჯარის სახით. თითქოს, ქართულ პრესას იმხელა ძალა აქვს, მსოფლიო ტრბუნად გამოყენება შეიძლებოდეს – იმის მაგივრად, მეგობარ კოლეგებთან წერილები დაეგზავნა და გაზრდის ფურცლები უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობით შეეგვის, ქალბატონი ელისო ჩაფინები წერდა და გვიყვებოდა თუ რამდენ უცხოელ უურნალისტს ელაპარაკა ამ

პერიოდში და თურმე როგორი შეშფოთებულები ყოფილან ყველანი. ჩემზე შეშფოთებული არცერთი უცხოელი არ ყოფილა და კიდევ იმ ჯარისკაცებზე მეტად, რომლებიც უურნალისტების დანახვაზე ირონიული ღიმილით კითხულობდნენ, რა, ისევ შეშფოთებულები არიან?

„მთელი კვირის“ („რეზონანსის“ დამატება) 11 აგვისტოს ნომერში ელისო ჩაფინებს სტატიას „ომის სიმართლე“ რუბრიკის კვეშ „მორიგე რეაქტორის ჩანაწერები“. არ ვიცი, საიდან მოდის საკითხისადმი ისეთი მიდგომა, როგორიც არის „ხმ ყველამ ვიცოდით, რომ საომარ მოქმედებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუკი ამერიკასა და რუსეთან რაიმე გარიგება, მოლაპარაკება შედგებოდა.“ და კიდევ ეს: „მთავარია ასევე ის, რომ იმ ადამიანების სისხლს, რომლებიც დავკარგეთ, გამართლება პერიოდებს და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეიღები.“ ეს არის კიდევ ერთი ტენდენცია – ქართული პრესა მთელი ამ კონფლიქტის განმავლობაში თესდა აზრს, რომ იქ, ცხინვალის რეგიონში, „ბიჭები ჩახოცინეს“, „ქართველი ვაჟკაცების სისხლი რუს ტყუილუბრალოდ შეანთხიეს...“ არ ვიცი, იმაზე ამაზრზენი რა უნდა იყოს, როცა გაზრდის კითხულობ და შენს გარდაცვლილ შეიღება ამბობენ, რომ ის და მისი თანამებრძოლები ჩახოცინეს, ან მათი სისხლი ტყუილუბრალოდ დაიღვარა.

არ ვიცი, წაიკითხა თუ არა ნოდარ ლადარიამ ელისო ჩაფინის სტატია „ომის სიმართლე“, ან კითხულობდა თუ არა ამ პათოსით დანერილ სხვა სტატიებს, მაგრამ ფაქტია, რომ პასუხი პრესიდანვე გასცა: „ვერ წარმომედგინა, რომ ქართველების ერთი ნანილი ასეთ მორალურ უმნიფორბა გამოიჩინდა, არ მეგონა, რომ ამდენ თავში არ გაიჭაჭანებდა იმის შეგნება, რომ სამშობლოსათვის სიკვდილი შეიძლება ადამიანის თავისუფალი არჩევანიც იყოს.“ და მიუხედავად წაგებული ომისა, რომელიც მართლა წაგაგეთ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ იქ დალუპული ჯარისკაცები უაზროდ მოკვდნენ და მით უფრო არ შეიძლება ისეთი შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“.

თუმცა, იქ, სადაც წერდნენ, რომ „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა და ყოვლად გაუაზრებლად ავტორები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ჯარს და საზოგადოებასაც კი. საზოგადოებასთან და კონკრეტულად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ის შენიშვნა ჰქონდათ, რომ ვერ წახეს ვერცერთი შემთხვევა, როგორიც მოსახლეობა შეენინადმდეგა რუსის ჯარს და ერთი ტანკი მაინც გაუნადგურა. სამხედროებთან ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები, აი, ხელისუფლებას კი ვერ პატიობდნენ იმ სამ საათს, როცა სააკაშილმა მორატორიუმი გამოაცხადა. პრესის მდაბიონ წარმომადგენლების აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. წარმოგიდგინით, იმ პერიოდში ყველაზე მშეიღილებიან ჩამოგვერდნენ, ამ პერიოდში მასიურ ხასიათს ატარებდნენ სუნდებულების უნდებელი მომართვების აზრი, რომელიც ამაზრზენ აზრი არ არიან და კიდევ ერთხელ არ გავხდეთ დამარცხებული ქვეყნის შეფასებების გაკათება, როგორიცაა „ბიჭები ჩახოცინეს“, ასევე ატარებდნენ სამხედრო რიტორიკას. ეს მიღიტარისტული ტენდენცია პრესაში მასიურ ხასიათს ატარებდა დ



# ქალაქი ომი

ავტორი, ფოტო: სალომე ჯაში

ერთი სიტყვა „ომი“ უსასრულო ასოციაციებს იწევეს. მაშინ ვეფიქრობდი, რომ რაც მოხდა, ამ ერთ სიტყვაში არ ეტეოდა. დღევანდელ დღემდე უკვე ასჯერ გავიხსენე რაც მოხდა და რადაცნაირად ჩვეულებრივი გახდა. შევერვიე, რომ ამ მდგომარეობაში ვცხოვრობ. მიგხვდი, რომ საწყისი წერტილი უკვე შეცვლილია.

გზაზე გავედით. რეპორტაჟის მოსამზადებლად მივდიოდით ბრიტანული ტელეკომპანიისთვის. რადიოს ვუსმენთ ახალი ამბების მოლოდინში. სიმღერა იყო, ქართული, მისამღერით „იბრძოლე, იბრძოლე“ და შეძახილით რაღაც „ჰუ-ჰუ“-ს მსგავსი, რიტმული. ჩემმა ინგლისელმა კოლეგამ, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში უმუშავია, თქვა, რომ ჰეზბოლას გასამნევებელი სიძლიერებიც იდენტური მელოდიისაა. ამ დროს სადაც კი ჩართულ ტელევიზორს ვნახავ, ყველგან საბრძოლო სულისკვეთების, „პატრიოტული“ ფილმები გადის. ასეთი ფილმები პატრიოტულ განწყობას უმაღლებენ მშვიდობიან მოსახლეობას და ამ მშვიდობიანი მოსახლეობის ნაბილი ამ დროს ბალებში იმაღება, მათ კლავენ, წვავენ, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით.

გზაზე ყველაფერი შესამჩნევად მოძრავი იყო. მოძრავი ვიყავით ჩვენც. მოძრაობდა მინდვრები. მოძრაობდა საპირიპისპირო მხარეს მომავალი

მანქანები და მოძრაობდა მსუბუქი სამხედრო მანქანა „ტოიოტა ბიკაპი“, რომელზეც სადღაც თხუთმეტი ჯარისკაცი იყო შექუჩული და შუაში ერთს კონდახზე ჰქონდა თავი ჩამოდებული და ეძინა. თბილისიდან გორში ჩვეულებრივად, მაგრამ გორიდან თბილისისკენ მთელი გზა მანქანების ერთი დიდი კოლონა იყო. ალაგ-ალაგ სამხედროები და სამხედრო მანქანები იდგნენ. ეს გზა, რომელიც თითქმის ზეპირად ვიცი, იმდენად სხვანაირი იყო, რომ მეც სხვანაირი გავხდი. ეს ქაოსი გზაზე 12 აგვისტომდე გაგრძელდა. 12 აგვისტოს კი მოკვდა.

სამშაბათი, 12 აგვისტო. გორისკენ მიმავალი გზა ცარიელია. გზადაგზა ცხვირით თბილისისკენ შემობრუნებული მიტოვებული სამხედრო მანქანები, ტანკები... სადღაც ყანა იწვის. საიდანლაც დიდი კვამლი ამოდის. გორთან აფეთქებული ტანკი გდია. შიგნით პირადობის მოწმობები ვიპოვეთ. გვერდით – დამწვარი მანქანა, სადაც მგზავრები ცოცხლად დაიწენენ. შემდეგ ერთი ბიჭი გავიცანი სოფელ კნოლევიდან, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა, როგორ იწვოდა ეს ტანკი და მანქანა მგზავრებინად. იქვე გაშავებულ მანქანასთან დაჭყლეტილი პომიდვრები ყრია. გორის შესასვლელთან შუა გზაზე გდია მკვდარი ძალი.

გორის სამხედრო პოსპიტლის ეზოში ერთი ექიმი ზის ძელსკამზე,



ქალი, მწვანე ხალათით. ფეხი აქვს ფეხზე გადადებული და მარცხენა ხელით სიგარეტს ეწევა. ეწევა ძალიან ეწერგოულად... თითო დამიქნია, მოდიო. მივედი. მარჯვენა ხელი გაიშვირა ფიჭვის ტოტების გროვაზე:

აქ ჩვენი ექიმი მოკლეს გუშინ დამე.

ფიჭვის ტოტების ქვეშ სისხლის გუბე იდგა.

ეს სცენა პირველი ასოციაციაა, რომელც სიტყვა „ომზე“ მახსენდება. როგორც მომიყენებ, ორშაბათ ღამით ამ ექიმს ვერტმფრენიდან ესროლეს. შემდეგ დილით გორის ქალაქის საავადმყოფოში 31 დაჭრილი მიიყვანეს. მათგან უმრავლესობას სტალინის ქეგლთან, ცენტრში ესროლეს ვერტმფრენიდან. ექიმებმა მითხრეს, იმ ღამეს კიდევ ერთი კაცი მოკვდა, 84 წლის.

გორში ორი საავადმყოფოა: სამხედრო პოსპიტალი და ქალაქის საავადმყოფო. სამხედრო პოსპიტალი ახალი გარემონტებულია. კარგად არის აღჭურვილი. ყველაფერია, რაც საჭიროა. სუფთაა. მორგიც ისეთია, ამერიკულ კინოებში რომ არის. გორის ქალაქის საავადმყოფო კი, როგორ აღვნერო... ერთი ჭუჭყანი სარდაფია. ჯერ კიდევ იმამდე თამაშობდნენ ვიღაცები მობანას. მობანას თამაში პატარა ბიჭების აბავია, ეზოში რომ შტაბებს აშენებენ. მოკლედ, ეს ჭუჭყანი სარდაფი ერთადერთი საშენელი იყო დაჭრილებისთვის, მას შემდეგ, რაც სამხედრო პოსპიტლის ევაკუაცია მოხდა და ქალაქი მხარის გამგებელმაც დატოვა. დაჭრილები და დახოცილები კი, ამ დროიდან ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც მშვიდობინ მოსახლეობას ვეძახით.

სწორედ იმ დილით შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე გამოვიდა ტელევიზიით. ეს იმ ღამის მერე, პანიკა რომ ატყდა,

ტანკები თბილისისკენ მოდიან. ამ დროს ტანკები ჯერ გორშიც არ იყნენ. ეკა ზღულაძემ პრესკონფერენციაზე დაახლოებით ასე თქვა: „მთელი ღამე არ შეუწყვეტია მუშაობა სახელმწიფო აპარატებს, ესე იგი, სახელმწიფო შედგა“. და მაშინ, როდესაც მანქანები თეთრი დროშებით გადიოდნენ გორს და თბილისიდან დასავლეთისკენ მიმავალი სამარშრუტი ტაქსი გორთან ახლოს ჩაცხრილეს, თბილისში კონცერტს მართავდნენ ქართული ესტრადის გარსკელავები, მლეროდა ლელა წურნუმია და საქართველოს გადმოიფენილი დროშებით მანქანები გაბმული სიგნალით დაქროდნენ ქალაქში. საშინელებაა, მაგრამ იმ წუთას იმ თბილისელების მიმართ ზიზღის გრძნობა გამიჩნდა. მომერენა, რომ აზრზე არ იყვნენ რა ხდებოდა მათგან სულ რაღაც 70 კილომეტრის მოშორებით. ეს კონტრასტი თბილიში ნაციონალისტურ განენციასა და გორში ანარქიასა და დათრგუნულ სახეებს შორის უზარმაზარი იყო. და, რაც ყველაზე რთულია, ყველა ეს ადამიანი, იქაც და აქაც, ჩემს ენაზე ლაპარაკობდა. ჩემს ენაზე მიყვებოდნენ როგორ დანაწევრდა სხეულები აფეთქებისას, როგორ დანენგრა ერთ კაცს სახლი და როგორ უნდოდა, რომ თვითონაც მომკედარიყო. ამ დროს სულ ერთი იყო სად გადავყრიდი ნაგავს, თუნდაც ყვავილების ქოთანში და სალათს თუ კოუზით შევჭამდი. პირველად მიხარია, რომ ცუდი მესიერება მაქვს.

თბილისში პარლამენტის წინ დევნილები სხედან და თავშესაფარს ითხოვენ (თუმცა ტელევიზორში არ მოხვედრილან), ხოლო პაპინი და დროშები არ წყდება (ეს ყველამ ვნახეთ ტელევიზორში). გორში კი პატრულის ორი მანქანა დაღის. ისინი ქალაქში და მის გარშემო პატრული-რებენ და წინა ღამის დაჭრილებს და დახოცილებს აგროვებენ. ქალაქის

## რეკორდის

საავადმყოფოში მივდივართ, რომელიც სარდაფს ჰქავს. ეს ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც მუშაობს. ამ ექიმების ცვლა თურმე დამთავრდა, მაგრამ შემდეგი ცვლა აღარ მოსულა. რამდენიმე დღეა გადაბმულად მუშაობენ. და უცემ „ოპერა ვექტრა“ ძალიან დიდი სიჩქარით შემოდის ეზოში. წინა საქართველოში მინა დაცხრილული აქვს. ორნი სხვდან. მძღოლი ყვირილით გადმოდის. დაჭრილია. მისი თანამგზავრი უფრო მძიმედ არის დაჭრილი. გადმოჰყავთ ექიმებს მანქანიდან და საკაცეზე რომ უნდა დაანვინონ, გონებას კარგავს. მძღოლი გაუთავებლად ყვირის. ყვირის, რომ კარალეთიდან მოდიოდნენ (კარალეთი გორიდან ცხინვალისკენ მიმავალ გზაზე, 5 კილომეტრში გორიდან), წინ სამოქალაქო სამარშრუტო ტაქსი გადაუდგა, კარები გააღს და იქიდან ესროლეს. არ იცის, ვინ იყვნენ. არ ახსოვს სამხედრო ფორმა ეცვათ თუ არა. ცოტა ხანში დაჭრილი მოხუცი ქალი მოჰყავთ. და მერე პატრულმა ბაეშვები მოიყვანა. ორი პატარა ბავშვი. ერთი ბიჭია. ერთი წლისაც არ არის. თავი აქვს გახეთქილი. მეორე ოთხი წლის არის, ხმამაღლა ტირის და ხელიდან სათამაშო ცხვარს არ უშვებს. შემდეგ მათი დედა მოჰყავთ. დაჭრილია. 5 ტყვია აქვს მოხვედრილი. სხეულის მარჯვენა მხარე მთლიანად აქვს დაცხრილული. მათ საავადმყოფოსან ძალიან ახლოს ესროლეს. როგორც დედამ მერე მოყვა, ზღვიდან მოდიოდნენ. საჭესთან მისი გერმანელი ქმარი იჯდა. გორის შესასვლელთან გზა აებნათ და როგორც კი შეცდომით გადაუხვიეს, ერთად შეჯგუფებული 20-მდე ადამიანი დაინახეს. ერთს ავტომატი ეჭირა და სროლა დაიწყო. „...ეს ცუდ ამერიკულ კინოს ჰქავდა...“ ბავშვებს გა-

დაეფარა (ტირის) და პატარა სოფო სწრაფად რომ არ გადაესვა მარცხენა მხარეს და არ გადაფარებოდა, აუცილებლად მოხვდებოდა ბაეშვების ტყვია. ამ სროლაში „ქალი დავინახე, ბავშვი ეჭირა ხელში. პირველი რეაქცია მქონდა, რომ ეს ქალი უნდა ჩავისვათ, უნდა წავიყვანოთ. მაგრამ ის ქალი ისე ნელა მოძრაობდა, რომ დარწმუნებული ვარ, იმათან ერთად იყო...“ (უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ წაიკითხოთ დაზარალებული პენინგ ტაბეს ბლოგზე [www.caucasus-pictures.blogspot.com](http://www.caucasus-pictures.blogspot.com))

გვდებით, რომ გორშიც უკვე გაუგებარი შეიარაღებული ადამიანები გამოჩნდნენ. მე მათ სახელს არ ვარქმევ. შეტყობინება შეტყობინებაზე მოდის. გორის ანდა აღებულია. მოკლულია სარელეო ხაზზე პასუხისმგებელი თანამშრომელი. დანარჩენი სამი დაჭრილია. ესე იგი, თუ ანდა აღებულია, გორში გათიშვენ ტელევიზიას, მობილურ ტელეფონებს და ყველა სხვა კომუნიკაციას.

ამ დროს მხოლოდ მოყოლით ვიცით რა ხდებოდა სოფლებში. მე ერთი სოფელი ვნახე მოგვიანებით. გორთან ახლოს სოფელი თორტიზა. რაღაც პარანოია იყო, რადგან ბალებში ღრმად შესვლის მეშინოდა. მეშინოდა, რომ შეიძლება დანაღმული ყოფილიყო. ვიცოდი, რომ არ იქნებოდა, რადგან რუსებს ხმელეთზე იქ არ გაუვლიათ, მაგრამ მაინც, რა იცი რა ხდებას პრინციპით. მე ვერასოდეს განვიცდი იმას, რაც იქაურებმა განიცადეს. ჩემი სიფრთხილე, რომ ვაიმე, იქ შემთხვევით ნაღმი არ იყოს, არაფერია იმ შიშთან შედარებით, რაზეც მერე მომიყნენ. ერთი კაცი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. მოხუცი იყო, გარუ-



ჯული დიდი სახით. თორტიზაც დაპომბეს და ნასხლეტი მის მეუღლეს მოხვდა ზუსტად საკუჭნაოსთან. გაყავისურებული სისხლი ორი კვირის შემდეგაც იქ იყო იმ ვიწრო გასასვლელში. ამ კაცმა და მეზობელმა ქალი ტახტის გადასაფარებელში გაახვიეს და ეზოში დამარხეს. მერე, რომ ვემშვიდობებოდი, ვიდექი და ვუყურებდი ამ კაცს და უცებ ამოიხხა – ვინ თქვა?... არც შვილები, არც შვილიშვილები, არავინ, არავინ არ ყოფილა ცოლზე უფრო ძვირფასი. თუ ცოლი აღარ გყავს, მორჩა ცხოვრება თურმე....

იმ დილას თორტიზაში კიდევ 5 ადამიანი დაიღუპა.

ბავშვობაში საშინელი პატრიოტი ვიყავი. ჩემი ბავშვობა 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების დასაწყისია. ვწერდი ლექსებს სამშობლოს სიყვარულზე და, რაც არ უნდა უხეშად ჟღერდეს, მძულდა რუსები. მერე დაესვი კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია, ქვეყანა თუ მე, საზოგადოება თუ ინდივიდი, სახელმწიფო თუ ადამიანი? ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა იყო, რომელმაც ნაციონალსტური განწყობიდნ გამომიყვანა და ადამიანები დამანახა ცალ-ცალკე და არა კოლექტიურად. ამ კითხვაზე პასუხი დღესაც იგივე მაქვს, რა თქმა უნდა, ზოგიერთი მოდიფიკაციით, რაც დროს ბუნებრივია დ მოაქვს. ჩემი აუგიტორება ბავშვობაში, ვთვლი, რომ ზედმეტი იყო. მით უმეტეს, ზიზღი სხვა ეროვნების მიმართ, სხვა ეთნოსის მიმართ ნამდვილად არასწორი იყო. მე მეშინია, რომ ის, რასაც მე ვგრძნობდი წლების წინ, ქართველებში ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ ამამდეც. მით უმეტეს ახლა....

ომზე კიდევ ერთი ასოციაცია ლადო ვარძელაშვილია. ლადო ვარძელაშვილი პრეზიდენტის რწმუნებულია შიდა ქართლში. გორში სახელმწიფო მისთვის სახლს ქართველ მსროლელთა დივიზიის ქუჩაზე ქირაობს. პრეზიდენტის ნდობა „პატრიოტების“ შექმნით მოიპოვა. „პატრიოტთა ბანაკები“ მისი იდეა იყო და ეს იდეა, რამდენადაც ვიცი, მაშინ გაუწინდა, როდესაც სამხრეთ ოსეთში არეულობა დაიწყო, ადრე, ჯერ კიდევ ოქრუაშვილის მინისტრობისას. მისი კაბინეტი ახლა სტალინის ძეგლის უკანას არის, მთავარ მოედანზე. სანამ ომი დაიწყებოდა, ზუსტად ერთი კვირით ადრე მე და ეს რწმუნებული ერთ მანქანაში აღმოვჩინდით გორში.

საჭესთან იჯდა. გორის ბაზარს ჩავუარეთ.

ამათ აქედან გავყრი და აქ დიდ პარქს გავშენებ. – მერე მეორე მხარეს, ციხის ძირას სახლებისკენ გაიშვირა ხელი – ამათ აქედან გავასახლებ. შარდეზე უკეთესი ქუჩებია.

შემდეგ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ რა გახდა, ამ მუშებმა რით ვერ ისწავლეს წესრიგი, ნაგავში რომ მუშაობენ. გზაზე ორ პატარა შენობას ჩავუარეთ. თქვა, რომ, აი, ეს შენობები მცირე მენარმეებს ააშენებინა და მერე თქვა:

მაგრამ ერთის ფასადი რაღაც არ მომწონს და ეხლა უნდა გადავაკეთებინომ.

ლაპარაკობდა მხოლოდ პირველ პირში და ისიც თქვა ორჯერ, რომ სტალინი ამათ, გორელებს, მოსაგონარი უნდა გაუხადოს.

ომის დროს ერთი-ორჯერ ჩავუარე ამ შენობების იქით ცა-



କୋଡ଼ିଙ୍ଗାରୀ

რიელი მნა იყო. თვითონ თქვა, რომ ეს მინა 40 დოლარად გაყიდა (1 კვ.მ.), თუმცა რეალური ფასი 10 დოლარი იყო. ეს მინებიც ვნახე ომის დროს. არც ისე შორს იყო სატანკო ნაწილის ბაზის გვერდით აფეთქებულ კორპუსებთან, სადაც 20-მდე ადამიანი დაიღუპა. ერთ-ერთი ბომბის ქვეშ ახალგაზრდა კაცი და მისი ფეხმძიმე ცოლი მოყვენენ. მათი მანქანა თვის ბოლომდე იქ იდგა, უფრო სწორად, მათი მანქანის მინასთან გასწორებული ნაწილები.

ექიმებთან სამხედრო პოლიციული იდგა. თქვა, რომ მისი მოვალეობა იყო ბრძოლის დროს ჯარი დაევლო და იარაღი ჩამოერთმია მათვის, ვინც გარეა.

იქვე ქალი და კაცი იდგნენ, ცოლ-ქმარი ალპათ. ეს ქალი გაუჩერე-  
ბლად მოთქვამდა. ეს ვარძელაშვილი რომ დაინახა, მივარდა და ეხვენება:  
მითხარი სად არის. სად არის, მითხარი. სამი დღე, ბიჭო, სამი დღე. სად  
არის, სად არის?!...

საავადმყოფოში იმ დღეს რაღაც დიდი სიჩქარე იყო. ყველა დაჭრილი ევაგურიებულია. დაცარიელებულ სამხედრო ჰოსპიტალში მიმღები განყოფილების უფროსმა, რომელსაც ჩანითლებული თვალები ჰქონდა, შესრულებული ერთი დღის სტატისტიკა მითხვა - 10 აგვისტოს დღლიდან შეადგინ 2 საათამდე 106 გვამი დაიფიქსირდა. ერთი ექიმი ამბობს, რომ ეს იყო ჯოვონებთი, რომელიც თაობებს ეყრდნა.

კიდევ ერთი, რაც ომზე მასხვნდება: ქართული ჯარი ფორმალურად კერძო კიდევ არ იხევდა უკან, ანუ „პოზიციებს ინაცვლებდნენ“ და ერგად-ვისკენ წავედით. მითხრეს, რომ რუსი სამშვიდობოების ბლოკ-საგუშტაგოსა არ უნდა გაუცდე. ვიცი, რომ ჩვენამდე ერგადისკენ ჩემი კოლეგა წა-ვიდა სხვა გადამლებ ჯგუფთან ერთად. გადაღების პირველი დღე და სულ ხაზზე ვართ. მივწერე, მაქეთ მოყდივართ-მეტეთი. პასუხი მომდინარეობს: „არა, გვპომბავენ“. იმ დღებში საშინალად მაინტერესუებდა როგორი სახე მქონდა. მაგრამ მესიჯის წაკითხვისას – განსაკუთრებით. არ ირკება. გავჩერდით, რომ ჯავშანებილებები ჩაგვეცვა და გზა გაგვეგრძელებინა. ამ დროს ერთი ქართველი სამხედრო დაგვადგა თავზე და ზუსტად ვიცი რას გულისხმობდა იქ სასავადმყოფოში სამხედრო პოლიციელი. ძალიან მშვიდად და ამ დროს ძალიან მკაფიოდ მოგეთხოვა, რომ თბილისი და-

ვცრუნებულიყვავით. მანქანა მოგატრიალეთ, ხელში კამერა მეჭირა და ამ ინგლისელი ჟურნალისტის ე.წ. სტენდაფს ვნერდი. როგორი აპსურდია. მერე გავიგე, რომ ბიბისი-ს გადამდებ ჯგუფს, რომელსაც ჩემი მეგობარი ახლდა, თვითმეტრინავდან ბომბი სულ რაღაც ორმიცდათ მეტრში ჩა-მოუგდეს, რუსი სამშენებლობის ბლოკ-საგუშავოსთან ძალიან ახლოს. ეს ალბათ ჩვეულებრივი ამბავია ომში და დარწმუნებული ვარ, რასაც ვწერ და რასაც იმ დღებში ვლაპარაკობდი, საშინლად პათეტიკურად და შეიძლება სულელურად ჟღერს. მაგრამ სულაც არ ვაპირებდი ჩემს ქვეყანაში ასეთ ქაოსში მოხვედრას. ერთი კვირით ადრე სხვაგან ვცხოვრობდით. საღამოს გავიგე, რომ ჩვენი კიდევ ერთი მეგობარი გადაურჩა ბომბებს თანილავიამშენის ტერიტორიაზე.

ამასობაში, გორის ცენტრში, იგივე სტალინის ძეგლის ქვეშ, სადაც  
მასრის რწმუნებულს შევხვდით, სამხედრო ოორმაში ჩატმული ბიჭების  
ბირეა იდგა. ერთს ჯინსების ზევით ამერიკული სამხედრო ოორმის მსგა-  
ვსა ქურთული ეცვა, კიდევ ერთს კი – ჩვეულებრივი ფორმა და არმანის  
დიდი შავი სათვალე. მეორე დღეს, 11 აგვისტოს, იგივე ადგილას ერთია-  
ჟურნალისტი შემხვდა, სამხედრო ექსპერტი, რომელმაც სინანულით აღ-  
ნიშნა, რომ დღეს სიწყნარეა, მოსაწყენიც კი... ეს „მოსაწყენი სიწყნარე“  
იმ ღამემდე გაგრძელდა და მეორე დღისას ქარჩის გადაღმა აფეთქების  
შედეგად სულ ცოტა ხუთი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ჰოლანდიელი  
ჟურნალისტი. ამ დღეს რუსული ტანკები ჯერ არ იყვნენ ქალაქში შესუ-  
ლი და ლალო ვარძელაშვილი უკვე თბილისში იყო.

მერე პატრიოტული შემართვების ფილმებს და გაუგებარ ახალ ამბეჭდს ქვემ მორბენალი სტრიქონი დაემატა: რაღაც კომპანია „აცხადებს ფსიქოლოგიურ აბსოლუტურ კონსულტაციებს“ და იქვეა მითითებული ტელეფონის ნომერი. სიტყვა „აბსოლუტური“ ამ განცხადებაში სხვა ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზე უპირატესობას აძლევს. აბსოლუტური განკურნება ამ შიშისგან, ძალში შვილებებისგან და იმის გაცნობიერების-გან, რაც მოხდა, რომ მერე კიდევ ერთხელ დაუშვათ შეცდომა, კიდევ ერთხელ იყოს ომი, კიდევ ერთხელ, კიდევ უფრო დიდი „პატრიოტებზე“ გავხდეთ, კიდევ ერთხელ კიდევ უფრო მეტად ვერ ავიტანოთ ოსები და აფხაზები და განსაკუთრებით რუსები.

სიჩუმე იყო. აფეთქებულ კორპუსებს შორის სიცარიელი. ჩამონგრეული მიშენების ქვეშ მანქანში აღაგებდნენ ლეიბებს, ტანსაცმელს... იმ ადგილს ყველა ტოვებდა. გორში მაღაზიები დაკეტილი იყო, თუმცა – სავსე. დაკეტილ მაღაზიასთან ცენტრში ქალაქში დარჩენილი ხალხის რიგი იდგა. რიგში – ჩემოდებით დედა-შვილი, რომელსაც გეზი თურქეთისკენ ჰქონდა აღაბული.

იმ კორპუსებთან კიდევ ერთხელ მაშინ მიყვედი, როდესაც იქ დევნილებმა დაიწყეს დაბრუნება. სხვადასხვა პინიდან ყვირილის და ტირილის ხმა გამოიყოფა. დანგრეულ და დამწვარ პინებში მეზობლები მეზობლების დალუპვის ამბავს იგებდნენ.

უფედურების მეორე ადგილი გორში კომბინატის დასახლებაა. აქ დაბომბვისას მოკვედა ბებია თავის შეილიშვილთან და სტუმართან ერთად. ორი კვირის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტი გორის კიდევ ერთხელ მოსახლეობად მიდიოდა, ცენტრალურ ქუჩებს დამტკრული შუშებისგან ასუფთავებდნენ, ქალაქი რომ გარეგნულად თავის სახეს დაბრუნებოდა. ამ დროს, იმ კომბინატის დასახლებაში ჩამონიგრულ პატარა კორპუსთან ეზოში იყო დამარხული დაღუპული ადამიანების ამოუცნობი სხულის ნაწილები და ზემოდან „უძრტი“ ჰქონდა გადაფარებული. მეზობლები სუსს უჩინოდნენ.

დღეს გორში სიმშვიდეა და სტაბილურობა. ხალხიც ბევრია. მის მისადგომებს კარვების ქალაქი ამშვენებს. აფეთქებული ბინები იწმინდება და სწრაფი ტემპებით შენდება „სუნდვიჩები“. ხო, „სუნდვიჩები“, ეს თანამედროვე „ხრუშჩიოვებია“, არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული. ამერიკულია, ამერიკული. ახლა კი გორი კონტრასტების ქალაქი იქნება – „სუნდვიჩები“ და ჩვენი იარღიყვნის სტალინი, რომლის აგვირონიტარიზმის ამბიციები იორვე ქვეყნის მემკვიდრეობად რჩება.

კაცობრის თბილისში ნაციონალისტურ  
განვითარებასა და გორში ანარქიასა და  
დათრგზულ სახეობას მორის უზარმაზარი იყო.  
და, რაც ყველაზე რთულია, ყველა ის აღამიანი,  
იკაც და აკაც, ჩიას ენაზე ლაპარაკობდა. ჩიას  
ენაზე მიზვებოდნონ როგორ დანაწილდა  
სხეულები აფეთქებისას, როგორ დაეცნა ერთ  
კაცს სახლი და როგორ უდეოდა, რომ თვითონაც  
მოაკვლეარიყო.



cafe BELLE DE JOUR

volumenone  
summer  
Mixed and Compiled By TAHО

Cafe "Belle De Jour" CD Compilation Vol.1 "Summer"  
In SALE at cafe:  
Belle De Jour and L'Express



# უპატრონო ქალაქი

ავტორი: სალომე კიკალავალიძე  
ფოტო: ლივან ხარხეულიძე



რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი შხელი ცერტიფილან სიუ-  
ზის უჩვეულებელ კალი, საკუთარი სახლის ნაგერევებთან იღება  
და ახარგლა – „აკამდე სელ მიგონა, რომ რომ არის ის, რაც ხდება  
სხვაგან, რაც მი არასდროს შემძიგა, ვფიქრობლი, რომ რომ მხ-  
ოლოდ ტალავიზორში არსებობს“.

მაშინ, როდესაც ლამის ჩასმულს მეპინა, თვითოვრინავის ხის  
გამოხატვა პარაზიტი ვიზუალურო, ვაჭილობი ამოასნო, სამხ-  
ელროა, სამზადარო თუ საერთოდ ჰაგანიტარული; ჩემს უცხოალ  
ითხოვრის ყოვალდღი ვუგზავნილი რომ აასახვოლ ფოტოებს,  
სხვადასხვა საიტების მისამართებას და პეტიციაზე ხალხოსაც-  
ერ დოკუმენტებს; მთელ დღეებს ცხინვალზე, რეზერვისტებზე,  
სააკამილზე, დავილებზე საუბარში ვატარებდი და ტალავი-  
ზორში, დაგომზილ კალაპებს ვუყარებლი – ჩემინა, მართლა მი-  
გონა, რომ მი, უკვე ვიშოდი, რა არის რომ.

## ბორი

რამდენიმე დღისთვის საჭირო ნივთები პატარა ჩანთაში ჩავყარე და გორში წასასვლელად მოვემზადე. წინასანარ გაგვაფრთხილეს – „თავის გამოჩენას ნუ შეეცდებით! სადაც გეტყვიან რომ არ შეიძლება გადასვლა, იქ ნუ წახვალთ.“ არც ვაპირუბდით. ზედმეტი სიმამაცით ნამდვილად არ გამოვირჩევი. ვიცოდი, რომ გორი უკვე განაღმული იყო და სიარულისას, წევას არ გავიგებდით. ჰოდა ვიფიქრე – წავალ, ვნახავ გორს, შევხვდები დევნილებს და უკან წამოვალ-მეტყი. წასასვლელად ისე ვემზადებოდი, რომ სამხედრო ფერებში გაფორმებული ახალი ბლოკნოტიც კი ვიყიდე! ახლა ვტვდები, ზუსტად ისე მომივიდა, როგორც გურის, 21 წლის რეზერვისტს – „გორამდე, მთელი გზა ვმინარულობდით ბიჭები. პატრონი არ გვყავდა. გზაში ვაჩერებდით ავტობუსს, საჭმელს და სასმელს ვყიდულობდით. ვერთობოდით, იცი, რატომ? იმიტომ, რომ წარმოდგენა არ გვქონდა სად მივდიოდით!“

გორში შესული, უარესი სურათის დანახვას ველოდი. ქალაქის შესასვლელში, იმ რამდენიმე დამწვარი ბინის და კორპუსის გარდა, რომელსაც დღედაბამ უჩვენებდა ტელევიზია, რამდენიმედღიანი დაბომბვისა, გორს თითქმის აღარაფერი ეტყობოდა. ყველა დაზიანებული სახლი კეთდება, ფერად-ფერადად იღებება, რემონტდება; ქალაქში ხალხი ჩვეულ რეზიმში მოძრაობს; 650 ათას ლარიანი შადრევნიდან წყალი ძველებურად, ზანტად იფრქვევა; მანქანები წინ და უკან დაქრიან და სტალინის ძეგლი ისევ ისე, სარივით ჩარჭობილი დგას ცენტრალურ მოედანზე. უბრალოდ, თუ კარგად დააკვირდები, ძეგლის გვერდზე, საშუალო სიდიდის ღრმულს, კასეტური ბომბის ჩამოვარდის ადგილს დაინახავ. მის გარშემო ასფალტი ისე არის დაზიანებული, რომ თუ კარგ ხსიათზე ხარ, ეს უცნაური ღრმული, მანათობელ მზედაც შეიძლება მოგეჩვენოს.

თეატრთან, რადიო თავისუფლების უუნალისტს, გოგა აფციაურს, შეეხვდით. გოგა გორელია და ომის პერიოდში, ყოველ-დღიურად აშუქებდა ქალაქში განვითარებულ მოვლენებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ პირველი, რაც ვეითხეთ – შევძლებდით თუ არა კარალეთში შეპარვას. ვიცოდით, რომ კარალეთის შესასვლელში ჩაფიქრიანი რუსები იდგნენ და სოფლებში არავის უშვებდნენ. ამ ბოლო დროს, მოსახლეობის შეშვება დაუწყიათ, ეგაბა და ეგ. – „არ შეგიშვებენ, მით უმეტეს უურნალისტებს. გუშინ ეუთოს დამკვირვებლები გამოაბრუნეს. ვერ შეხვალთ. გამორიცხული. თუმცა... სხვა სოფლებიდან არის გადასვლის საშუალება, გზა, უბრალოდ, დანაღმულია. მაგრამ, თუ


მაინც გინდათ...“ აქ მე და ფოტოგრაფმა ერთმანეთს გადავხედეთ და კარალეთის თემაზე საუბარი სასწრაფოდ შევწყვიტეთ.

– „შპრეხენ ზი დოიჩ?“ – გამოგვაძესა წელში მოკეცილმა მოხუცამა ქალმა, როდესაც №2 ბაგა-ბაღს ფოტოაბარატით მივუახლოვდით. – „არა, ქართველები არიან, უურნალისტები“, – გასძახა გოგამ. ისევე, როგორც გორის ყველა ბაღის შენობაში, აქაც დევნილები არიან. ამ ორსართულიან სახლში 109 ოჯახი ცხოვრობს. ეზოში შევედით, იქ შეკრებილ ხალხს მივუახლოვდით და ერთი კითხვის დასმა მოვახერხე, რომ უცბად, ძალიან დავიბენი; ალბათ იმიტომ, რომ არასდროს მიმუშავია მსგავს სიტუაციაში. ყველა, ვინც ეზოში იყო, დიდიან-პატარიანად, გარშემო შემოგვეხვია და ერთდროულად დაიწყო თავისი გასაჭირის მოყოლა. ზოგი ზემო ნიერზოდან იყო, ზოგი ერედვიდან, ზოგმა მთელი ოჯახით მოახერხა გორში ჩამოსვლა, ზოგს მოხუცი დედა, ქმარი და კიდევ ვიღაც დარჩა სოფლებში. ზოგი სახლში დარჩენილ ჭურჭელზე მიყვებოდა, ზოგი კი – ეზოებში, ბლების ქვეშ, ცელოფებში გახვეულ და ჩამორხულ მეზობლებზე. უკვე ერთმანეთში მერეოდა ხალხის ხმა... ცოტა ხანს კიდევ გაეჩერდით. კარვების ქალაქში ვაპირებდით წასვლას და – არ დაგვალამდეს-თქმ, გავხედე ლევანს, ჩემს ფოტოგრაფს. უკვე ეზოდან გამოვდიოდით, მამაკაცის ხმა მომესმა, იქვე იდგა, ხალხში. – „რა, თქვენს სახლებზე რომ ლაპარაკობთ, რომ ამბობთ არა უშაბა, აქ კარგად ვართო, რატომ იმასაც არ ამბობთ, რა დღეში ვართ? რომ ვიპარავთ ჯამებს, ვიპარავთ ჭურჭელს... რატომ არ ამბობთ? რატომ?“. პასუხი არავის გაუცია, უბრალოდ, ერთ-ერთმა ქალმა რაღაც შეულრინა და შენობაში შეიყვანა.

## ქარვების ქალაქი

კარვების ქალაქი, ადრე გასართობი პარკი იყო. როგორც შესასვლელში გამოკრულ დაფაზე წერია – გასართობ-კულტურული ცენტრი. ახლა კი, 230 ლურჯი, თეთრი და ყავის-ფერი ბრეზინგის კარვით გაშლილი ქალაქია.

მარტო კარვების ქალაქში, 2000-ზე მეტი დევნილია, თუმცა მათი რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ზოგ კარაგში ერთი ოჯახია, ზოგში რამდენიმე... ზოგს გარედან, ცარცით ანერია „დაკავებულია“, ზოგს – გული ახატია და შიგნით სახელებიც არის ჩანტერილი... შესასვლელში, დიდი ხის ძირში კარვის ქალაქის მცხოვრებლებისთვის მოტონილი ტანსაცმელი ყრია. ვიღაც ტანსაცმლის ამ გროვაში იქექბა, ვიღაც – სკამზეა ჩამომჯდარი, ვიღაც – საჭმლის ასალებად წითელი ჯვრის დიდ კარავთან რიგშია... საიდანღაც ტელევიზორის ხმა გამოდის, სადღაც ჩასუტებული გოგო-პიჭიც დგას... პარკის შუაგულში დიდი შადრევანია, რომელშიც დაბინდებამდე ერთობიან



ბავშვები. მართალია, წყალი მუხლამდეც არ სწოდებათ, თან შიგ თუკი რაიმე შეიძლება ეყაროს და ტივტივებდეს, ყველაფერს იპოვის ადამიანი, მაგრამ მაინც, ზოგი ცურაქს, ზოგი ყვითავეს, ზოგი წყალში დარბის.

– გენაცვალე, 3 დღეა რაც ჩამოვედი და კიდევ არ მაქვს „ლეჟანკა“, იქნება დღეს მაინც იყოს? – მოულოდნელად მკითხა მოხუცამა ქალმა. თან მიაყოლა, თუ როგორ სუფავდა შეშის ქილებში პომიდორს და



კარვების ქალაქი ბორჯი

ბომბების ჩამოვარდნისას, როგორ დაყარა ყველაფერი, გამოიქცა. მერე როგორ მიბრუნდა უკან, სახლში, მაგრამ მალევე ისევე გამოიქცა. – „დავინახე თუ არა, ასე, ჯგროდ გამოქცეული ხალხი გვერდზე სოფლიდან, მეც გამოვარდი, შვილო. ჩემი ქმარი კი დარჩა. ამ კარავში ჩემი სოფლელები, შინდისელები ვაპოვე და მათთან გავჩერდი. არა, შვილო, კვება კარგია, ყველაფერი კარგია, მაგრამ... ისე, რაო, აბა? რა ამბობენ,

**უკაცე ეზოდა გამოვდიოდით, მააკაცის სხა მოხესა,**  
**იქვე ილგა, ხალხში. – „რა, თქვენს სახლებზე რომ**  
**ლაპარაკობთ, რომ ამზობთ არა უშავს, აქ კარგად**  
**ვართო, რატომ იხასას არ ამზობთ, რა დღეში ვართ?**  
**რომ ვიპარავთ ჯამებს, ვიპარავთ ზურზელს... რატომ არ**  
**ამზობთ? რატომ?“**

# ამბობენ, ხაა არ ამოილოთ, მიშაზე ცული არ

თქვათო! მაგრამ იქ რომ ტაშფალური გაიმართა და აპ,  
რუსის ტანკები დაღირდენ, ოსები სალს სახლებში  
უვარდებოდენ, აი, მაშინ უდა ჩამოვარდილიყო მის  
თავზე ერთი ბომბი! საგანგაზო მღვმელის რომ  
გამოასხადეს, მთალი სოფლები სავსე იყო.

როდის გაჰყავთ ჯარებიო?“,— მეითხა და მო-  
მაჩერდა. ვერაფერი უუბასუხე. ცოტა ხანს  
კიდევ მიყურა, მერე შეტრიალდა და „ლეუზ-  
კის“ ძებნა გააგრძელა.

თოთქმის ყველა დევნილი, რამდენჯერმე  
გამოიქცა სოფლებიდნ. პირველად მაშინ,  
როცა დაბომბვები დაიწყო; მერე უკვე მო-  
როდიორების და ნაღმებზე აფეთქებული  
მეზობლების დანახვისას. თითოეული მათ-  
განი მზად არის საათობით გესაუბროს და  
მეათასეჯერ მაინც მოყვეს, რომელი მეზობ-  
ლის დამარხვა მოასწეს ხის ქვეშ და რომლის  
— ვერა; ვინ რაში გაახვიეს: ცელოფანში თუ  
პლედში; ვინ, როდის და რაზე აფეთქდა, თან  
როგორ! თან აყოლებენ, ჩემი გვარი არ დაწე-  
რო, ვიცი, ჩემი სახლი კიდევ დგას, ისიც არ  
გადამიწვანო. გიყვებიან, რომ ბოსტნეულის  
თესლის შესაძლებელი კრედიტები აქვთ აღე-  
ბული, ბანკები კი გადახდას სთხოვენ; ახლა  
კი აღარც ბოსტნეულია და აღარც არავერი.  
— „აგერ, მეზობელი მაინც შევიდა ბოსტნები,  
პომიდვრის მოსარწყავად და ნაღმზე აფეთქ-  
და“ — მითხრა ლიამ, პირველი კარვიდან.

60 წლის კეხველი კაცი ვნახე. თავის კარა-  
ვში, „ლეუზანის“ კუთხეზე იყო ჩამომჯდარი.  
არ ლაპარაკობდა. სახამ შევიდოდი, წინასწარ  
გამაფრთხილეს, ბევრს არ ლაპარაკობს, მხ-  
ოლოდ დღეს ამოლო ხმაო. ბოლო გამოსულა  
სოფლიდან. 2 კვირის მანძილზე ჯერ სარდაფ-  
ში, მერე კი ვენახში იმალებოდა მოხუც დე-  
დასთან ერთად. დედამისი ძალით რუსის ჯარს  
გამოუყავანია, რადგან ქალი არ მოყვებოდა,  
შვილი დასამარხი რომ გამიხდეს, მინა ხომ  
უნდა დავაყარო. — „დედა რომ მიჰყავდათ, მე  
არ წავყევი, მარტო დავრჩი, სახლს მივხედავ-  
მეთქი, ვფიქრობდი. მაინც გადამიწვეს. თან ახ-  
ლოს დამყენეს, რომ კარგად დაენახვებინათ.  
ამის მერე, იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა,  
გზაზე გამოვედი. თუ წითელი ჯვარი მოიგა, ხომ  
მოვა და წამიყვანს, თუ არადა, ვინმემ მაინც  
მომკლასო,“ — მითხრა და სახამ თავის შეკა-  
ვება ჯერ კიდევ შეეძლო, კარვიდან გამოვედი.  
დედამისიც იქვე იჯდა. შვილს უყურებდა და  
დიდი პატარებით ლაპარაკობდა.

პირველად ვიძნეოდი, როცა ადამიანები  
მსხვერპლზე, მოროდიორებზე, შიშისგან და-

მუნჯებულ ბავშვებზე მიყვებოდნენ და უცებ,  
„პატარძალივით მორთულ“ სახლებზე და  
ძვირფას ავეჯზე აგრძელებდნენ საუბარს...  
გავარკვიე, რომ მათთან ფსიქოლოგები  
მუშაობენ. — „ერთი ქალი თვითონ ითხოვდა  
დახმარებას - მითხრეს თბილისში, ერთ-ერთ  
ცენტრში, — ამბობდა, მიშველეთ, ბავშვს  
სულ ვცემ, ვერ ვჩერდებიო.“

## კარალეთი

კამერა კარგად დავმალეთ, უურნალისტის  
აკრედიტაციები მოვიხსენით, მაგრამ მაინც  
ღრმად ჩავიკუჭტო ჯიბებში. რა ვიცოდით,  
რა სიტუაციაში ავღმოჩნდებოდით, იქნებ  
პირიქით, დაგვეხმარებოდა კიდეც?! სოფლის  
„მარშუტებში“ ჩავსხედით, რადგან ასე უფრო  
გვქონდა კარალეთში შეპარვის საშუალება.  
მხნედ ვიყავი, უბრალოდ, მანქანა დაიძრა  
თუ არა, ყურებში საკუთარი გულისცემის  
ხმა გავიგე. საგუშაგოზე არავის გავუჩერები-  
ვართ. არადა, როგორც წესი, ყველას აჩერ-  
ებენ, მანქანებში იხდებიან.... თუ რაღაც არ  
მოეწონათ ჩამოგსვამენ, თორემ ისე, ხალხს  
სოფლებში, საკუთარი სახლ-კარის მოსანახ-  
ულებლად ყოველ დღე უშვებენ. ესენიც ადი-  
ან და საღამოს ისევ კარვებში ბრუნდებიან.  
საგუშაგოს გვერდზე რამდენიმე სამხედრო  
კარავია გაშლილი. გარშემო კი ზუსტად  
ისეთი ეკლიანი მათულება გაჭმული,  
ფილმებში, ციხეების თავზე რომ მინახავს.  
მართალია, გორის ზემოთ, ცხინვალამდე გან-  
ლაგებულ სოფლებსა თუ უკვე ნასოფლარებ-  
ში მოროდიორები აღარ არიან, მაგრამ იქ  
დამით დარჩენა, მაინც არ არის უსაფრთხო.  
ცხინვალს ზემოთ, დიდი და პატარა ლიახვის  
სოფლებზე აღარც ვლაპარაკობ. ამბობდნ, იქ  
ზოგი სოფლელი, საერთოდ აღარ არსებობს.



კაბებიც. ერთადერთი, სამზარეულო გადარჩა,  
კედელზე მიმდნარი სარეცხი მანქანით და შა-  
ვად გამურული კედლებით. პოდა, იმ პატარა  
ოთახში ცხოვრობს, ქმართან ერთად. კრამი-  
ტზე, დამზარ ჭურჭელზე და შუშის ნატეხ-  
ებზე ნელ-ნელა გამოვიარეთ და გადარჩენილ  
სამზარეულოში დაესხედით. სულ ერთსა და  
იმავეს მიმეორებდა: რა უნდა ქნას, სად უნდა  
იცხოვროს, რა უნდა აჭამოს შვილიშვილს, ვინ  
აუშენებს გადამწვარ სახლს, ვინ დაუბრუნებს



კასალეთი

იმ ერთადერთ ძროხას, რომელიც სახლთან ერთად დახვდა დამწვარი, რითი გაისტუმროს კრედიტი... მიყენებოდა, თუ როგორ მოდის მასთან ყოველ დღე, ტირილ-ტირილით ოსი თანამშრომელი ქალი და პპირდება, დედაჩემი ერთ თბილ ლოგინს გაგიკეთებს და იმასაც ამოგიტანო. – „ჯობდა, რაც იმათი იყო, ისევ იმათ ჰქონდათ, ახლა რა? მთელი ხეობა არ დავკარგეთ?! რა მოვიგეთ! აქ არც არავინ ამოდის და არც არავინ გვეხმარება, გაიძახ-

იან, რუსები არ გვიშვებენ! მათ დანახვაზე უკვე მაკანკალებს! ოსები და ჩეჩენები ყველა სოფელში დაბოლიშენ და კითხულობდნენ, აბა, ვის ოჯახში არიან სამხედროებიო. ჩემი შვილი გამომძიებელია, ჰოდა, მოვიდნენ და ყველაფერი გადამინვეს. მითითებებს ალბათ ისევ სოფლელები თუ აძლევდნენ, აბა, სხვა ვინ?“. ბოლოს მითხრა, მეზიზლება ეს სოფელი, სულ გადაეცვალი აქ რაც დარჩა და სადმე წავიდოდი.

კარალეთში, არც ერთ სახლს არ მოხვე-დრია ბომბი, ყველა ოსების, კაზაკების და ჩეჩენების გადამწვარია. სამხედროთა ოჯახებს და ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს კითხულობდნენ, სად არიან, სულ მოხუცები რატომ ხართო. ეს მაშინ, თორებმ დღეს სოფლებში აღარც მოროდიორებია და არც რუსის ჯარი აწუხებს მოსახლეობას. გამოკეტილები არიან, უფულოდ და საჭმლის გარეშე. ზამთრისთვის მომზადებული სანოვაგე აღარ არის, წაილეს.

# კითხვაზე, თუ რატომ შესვლა ოკუპირებულ ქალაქში

რუს გენერლებს სასულიერო პირი და არა მხარის

გუბერნატორი, მეუფებ სოფია დაბევულად მიკასუსა.

არ მითხოდა ის, რაც ისელას სწობილი იყო – იმ დროს,

გუბერნატორს ქალაქი უკვე დატოვებული ჰქონდა.



ვენახებში სიარულს ერიდებიან, რომ უცხად, რამეს არ დაადგან ფეხი. ზოგს თან ჰყავს ბავშვი, ზოგს – გახიზული, სადმე ნათესავთან. არავის უთქამის, დატოვეთ სოფლები, წამოდითო. ქართულმა ჯარმა რომ ჩაირბინა, ბომბების ცენტრა აღარ შეწყდადა და რუსის ჯარს ისები რომ მოყვნენ, მარტო მაშინ მიხვდნენ, უნდა გამოქცეულიყვნენ.

ბევრი თბილისში ჩამოვიდა, სკოლებში მოხვდნენ და ფიცერებზე დაიძინეს. 4 დღეში ისევ უკან დაბრუნდნენ.

– „ნამოდი, გურამას სახლი ვაჩვენოთ. ხანდახან ჩამოდის ხოლმე ის საწყალი, დახედავს დამწერა სახლს და მიდის. დაიცა, ჯერ მე გავალ გზაზე, აპარატი დამალეთ. არ არიან, წამოდით.“ გზადაგზა ერთმანეთს ეძახდნენ უურნალისტები ჩამოვიდნენ, გამოდითო. ცოტა ხანში, ხალხმრავალ დელეგაციას დავემსგავსეთ. ას, ისეთს, სოფლის ორიოზოლრო გზებზე რომ დადიან, განადგურებულ შენობებს ათვალიერებენ და შეწუხებული მოსახლეობის მოსმენისას თავს აქეთ-იქით აქანავებენ. რამდენიმე ეზოს ჭიშკარზე, ზედ დაკიდული თეთრი ნაჭერი დაგინახე. ზოგი იმხელა იყო, მთელი ზენარი გამოუფენიათ-თქო, – გავიფიქრე. მოკლედ ამიხსნენ, – „გვეშინია და რა ვქნათ? თეთრი ნაჭერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, რუსებს ვეკუთვნით“. ვიღაც რუსს მაიორს ისიც კი უთქვამს კარალეთელებისათვის, სტალინის ქალაქი რომ ხართ, მარტო მაგიტომ უნდა გიხარიდეთ, რომ სულ არ გადაგბუგეთო.

ვიღაცის ეზოში ვართ. ასე მითხრეს, ეს ჰამლეტას სახლი იყოო. – „სად არის ჩვენი მთავრობა! რატომ არ გვეხმარება! ერთი არყის ჭიქა მარილი, შაქარი, 4 ბრიკეტი ბრინჯი და 5 კგ შაქარი დაგვირიგეს, ეს იყო და ეს, – ხმაურით შემოვარდა ვიდაცა, – თბილისში ვინც არის, იმათ დახმარება არ უნდათ! აქ მოგვხედონ, აქ! ვინც თავის თავზე გადაიტანა ყველაფერი. მშივრები ვართ. ფულით მაინც დაგვეხმარონ, რომ გორში ჩავიდეთ და რამე ვიყიდოთ. თუ არ მოგვხედავს, რათ გვინდა სააკაშვილი?!

– ამბობენ, ხმა არ ამოიღოთ, მიშაზე ცუდი არ თქვათო! მაგრამ იქ რომ ტაშფანდური გაიმ-

ართა და აქ, რუსის ტანკები დადიოდნენ, ოსები ხალხს სახლებში უვარდებოდნენ, აი, მაშინ უნდა ჩამოვარდნილიყო მის თავზე ერთი ბომბები! საგანგებო მდგომარეობა რომ გამოაცხადეს, მოელი სოფლები სავსე იყო. ავტობუსები მაინც შემოეყანათ, 20 კმ ფეხით ვარბენინეთ ბავშვები. ახლაც ისეთი შეშინებულები არიან, თვითმფრინავის ხმას რომ გაიგებენ, გიუებივით იწყებენ წინ და უკან სირბილს. ვამე, ბაბო, თვითმფრინავი მოდის და სად დავიმალოთ.“

ვიღაცამ ისიც კი მოგვაძახა, აბა, იმასაც თუ დაწერთ, ერთი კარალეთელი ჯარისკაცი დაკარგულია, არ ვიცით, ცოტხალია თუ მკვდარი. მთავრობამ კი, მის ცოლ-შვილს ჯარისკაცის ხელფასი არ მისცა, არ ვიცით სად არის და ფულს ვერ მოგცემთო.

60-70 წლის ქალი მომიახლოვდა და ჩუმად, ძალიან ჩუმად, თითქმის ყურში ჩამჩრენჩულა – „გარეთ გამოგვიყვანეს ოსებმა. ქართველებმა ხალხი მოგვიყლეს და თქვენ ნახეთ რას გიზამთო. დაგვაყენეს, იარაღ მოგვიშვირეს. ვეხვენებოდით, შეილებო, ჩვენ რა დავაშავთ, ისებიც გვიყვარს, რუსებიც, მეგობრები ვართ, თქვენ გენაცვალეთ-თქო, რაღა აღარ ვუთხარით, სულ ტებილად ველაპარაკებოდით. თავი გაგვანებს და გურამას სახლს მიადგნენ. ის საწყალი კი სიმინდებში შევარდა, თან იგინებოდა, რაც გინდათ ის უქენით სახლს, მე ხმო მაინც ველარ დავინახავო.“

ბევრი ვიარეთ. პერიოდულად გზას ვუყურებდით, რომ სამხედროების გამოჩენისას, მზეზე ალაპლაპებული ფოტოა-პარატის და ხმის ჩამნერის ჩანთაში ჩაყრა მოგვესწრო. გვეშინოდა, რაც მოვასწარით და გადავიღეთ, ისიც არ წაერთმია ვინმეს. გზამდე გამოგვაცილეს. – „ნათი, ნადი, ნახე, რაიმ ხილი მწიფე თუ არის, ხალხს გავატანოთ“. დიდრონი ყურძნები გამოგვიტანეს. ავტობუსში ჩაგვსვეს. არასდროს მეგონა, რომ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს ვერ გამოვნახავდი. რაღაც სისულელები ვიბოდიალე, მშვიდობაზე, ერთობაზე...

მეორე დღეს, კარალეთის მავთულებიან საგუშაგოზე პოლონელი უურნალისტები დაკავეს. მესამე დღეს – 27 წლის პატრულის თანამშრომელი მოკლეს.

## მეუფების ანდრია

კარალეთის შემდეგ, პირდაპირ მასთან მივედი. დაღლილი იყო. ცოტა ხანს ვისაუბრეთ: გორზე, სოფლებში ჩამჩრილ მოსახლებაზე, ომზე... მეუფები მეორედ ნახა ომი. პირველად მაშინ, როდესაც სოხუმი დატოვა და უღელტებილი, ათასობით ადამიანთან ერთად, ფეხით გამოიარა. თავის თავზე არაფერი მოყვილია. ანდა რა უნდა ეთქვა? თვითონ ხომ არ მომიყვებოდა იმას, თუ როგორ პა-



ტრონობდა უპატრონოდ დარჩენილ ქალაქს, ხალხს, რეზერვისტებს. ოკუპაციისას, როდე-საც ქალაქი პრაქტიკულად პარალიზებული იყო, მარტო მის რეზიდენციაში ცხვებოდა პური, მოსახლეობისთვის მზადდებოდა საჭმელი, ბომბების წულის ქვეშ, წირვას უტარებდა ეკლესიაში მისულ მრევლს და პოსპიტალში, დაჭრილი ხალხის საზიარებლად დადიოდა. რაც მთავარია, მეუფეზე ამბობენ, მან გადაარჩინა გორიო. ქალაქში, რუსეთის

ჯარების შემოსვლის შემდეგ, რუს გენერ-ლებს მეუფე ანდრია შეხვდა, მოსახლეობის ხელშეუხებლობის პირობა ჩამოართვა და უსაფრთხოების გარანტად რუსის ოფიცრის თანხლება მოსთხოვა, ნიქოზამდე რომ გაპყოლოდა – სოფლებში ჩარჩენილ ხალხისთვის დახმარება უნდა აეტანა და მეუფე ესაია მოენახულებონა. მეუფის დახმარებით გარდაცვლილი ჯარისკაცების სოფლებიდან გამოყვანა დაიწყო. პირველ დღეს, შინდისიდან 6

გვამი გამოიტანეს, მეორე დღეს – უკვე 23... თვითონაც სულ იქ იყო. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ შეხვდა ოკუპირებულ ქალაქში რუს გენერლებს სასულიერო პირი და არა მხარის გუბერნატორი, მეუფე ცოტა დაბნეულად მიპასუხა. არ მითხრა ის, რაც ისედაც ცნობილი იყო – იმ დროს, გუბერნატორს ქალაქი უკვე დატოვებული ჰქონდა.

&gt;&gt;&gt; გაგრძელება გვ. 126





## ომი ტყები

### სხელი ომის ქრონილოგია

**7 აგვისტოს** შემდეგ ფოთის საზღვაო სამხედრო ძალების ბაზა და სანაპირო დაცვა დაბომბეს. შედეგად ზღვაში 50 ტონა ნავთობპროდუქტი ჩაიღვარა (თითქოს ფოთის, სუფსის, ბათუმის და ყულევის ნავთობტერმინალების დღიური დანაკარგი არ გვეყოფოდა თავში საცემად). წინასწარი მონაცემებით ზარალმა 3 მლნ ლარს გადააჭარბდა. 7 აგვისტოდან მოყოლებული თითქმის სექტემბრის შუა რიცხვებამდე რუსი აგრესორები მიზანმიმართულად ანადგურებდნენ კოლხეთის ეროვნული პარკის უნიკალურ ფლორას და ფაუნას. როგორც ჩანს, ჩაძირული ქართული სამხედრო კატარლების მერე, რუსებმა იმ დელფინების, ე.წ. საბავშვო ბალების ტერიტორიების განადგურებაც გადაწყვიტეს, რომლებსაც აფხაზეთის აკვატორიაში შემოსული რუსული სამხედრო გემების აფეთქება შეუძლიათ. დაინალმა ტერიტორიები ხმელეთზეც. რუსულმა აგრესიამ საფრთხე კოლხეთის ამავე ტერიტორიაზე სეზონურ, გადამფრენ ფრინველებსაც შეუქმნა.

**12 აგვისტო.** ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აკეთებს განცხადებას, რომ რუსებმა ყულევის ტერმინალის (ტერმინალის აქციონერი აზერბაიჯანული კომპანია „სოკარია“) თანამშრომლებს ტერიტორიის დატოვება ურჩიეს. მიზეზად ტერმინალის მიმდებარე ტყის დაბომბვა დაასახელეს, სადაც აგრესორებს გადააღმული ქართული შენაერთები მოელინდათ.

**15 აგვისტოს,** რუსულმა ვერტმფრენებმა გადაიფრინეს. ის იყო, სოფელ წალვერის შეშინებულმა მოსახლეობამ გაიფიქრა, დაგვბომბესო, რომ შეამჩნიეს ვერტმფრენიდან გამოსროლილი წითელი ფერის განათებული კვამლი. გავიდა კიდევ ხანი და ადგილზე, სადაც კვამლი ჩაეშვა, ხანძარი გაჩნდა. ერთი, ორი, სამი... ერთდროულად რამდენიმე ადგილას ხანძარმა იფეთქა... ცეცხლი დაბა წალვერის მიმდებარე ტერიტორიიდან ბორჯომის მიმართულებით გუჯარეთის ნელის მარჯვენა სანაპიროზე გაერცელდა და ტყით დაფარული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ამავე დღეს, მთვრალმა რუსმა სამხედროებმა გორის შესასვლელში წინვარს ცეცხლი წაუკიდეს. განადგურებულია ქარსაცავი სისტემა.

ავტორი: თამარ ჯიშეკარიანი  
ფოტო: დავით ესესი, თემურ სუხიშვილი

## რეპორტაჟი

**16 აგვისტო.** საომარი მოქმედება, რთული რელიეფი და კიდევ ათასი სხვა გარემოება ცეცხლის ჩაქრობას უკიდურესად ართულებდა. ერთადერთი ხსნა მაშველი ვერტმფრენები იყვნენ, მაგრამ რუსები თურქულ და უკრაინულ ვერტმფრენებს საქართველოს სივრცეში შემოფრენის წებას არ აძლევენ.

**17 აგვისტო.** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკში გაჩენილმა ხანდარმა ტყის მასივი 200 ჰექტარზე გაანადგურა. მაშველები ცდილობენ ხანძრის ლოკალიზებას, ჩართულია ყველა ოფიციალური სამსახური, მოხალისები. მიუხედავად ამისა, ჩნდება ახალ-ახალი კერები. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული ჭურვები შესაძლოა უფრო გვიან ამოქმედდეს, ვიდრე ამას ელიან... ვრცელდება ინფორმაცია, რომ ატენის ხეობაშიც რამდენიმე ხანძრის კერაა დაფიქსირებული. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს. საერთაშორისო ორგანიზაციებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ გარემოსდამცველი არასამთავრობობებიც მიმართავენ.

**18 აგვისტო.** BP-ს ფეხოსანნა პატრულმა, ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევთან შენიშნა საფრენი აპარატი, საიდანაც აალებადი ჭურვები ჩამოყარეს. გაჩნდა ხანძრის ახალი კერა. შესაბამისმა სამსახურებმა მიიღეს შეტყობინება, რომ იწვის ბორჯომისა და ხარაგაულის გამყოფი ლომის მთა... ინფორმაციას ეროვნული პარკის თანამშრომლები დიდხანს აზუსტებდნენ, თუმცა ადგილზე მიახლოება გზის მიუვალობის გამო ვერ მოახერხეს... ინვის ნაღვერის ტყეც... თურქული ვერტმფრენი, რომელსაც რუსებმა სამაშველო საქმიანობის „პატივი დასდექ“, ძლიერი ქარის გამო ცეცხლის ჩაქრობას ვერ ახერხებს.

**19 აგვისტო.** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაჩენილ ხანდართან დაკაშორებით PAN Park Foundation-მა ოფიციალური განცხადება გამოქვეყნა და რუსეთის გარემოს დაცვის მინისტრს ოფიციალური წერილიც გაუგზავნა, რომელშიც ადამიანსა და გარემოზე ზიანის მიყენების საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა მოსთხოვა. ქართულ მხარეს კი ზიანის აღდგენაში დახმარებას შეპირდა. ამასობაში, ხანძრის ახალი კერები ახალ რეგიონში ჩნდება. ატენის ხეიბაში სოფელ ბიისის მაცხოვრულები ხედავდნენ, როგორ ჩამოყარეს მანათობელი ჭურვები რუსულმა ვერტმფრენებმა და ყველან როგორ აალდა წინვი ატენის ხეობაში. ხანძარი ამჯერადაც მიუდგომელ ალაგს გაჩნდა. მაშველებს კერებთან მიახლოება გაუჭირდათ.

**20 აგვისტო.** ეროვნულ პარკში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საგანგე-

ბო განცხადება გაავრცელა მსოფლიო ბანკმა. საქართველოს დიდი ხნის საერთაშორისო პარტნიორი, რომელიც სამხრეთ კავკასიში გარემოსა და ტყის რესურსების მართვის გაუმჯობესებას უჭერს მხარს, იმედოვნებს, რომ ცეცხლის ლოკალიზება მაღლ მოხდება.

პირველ ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი WWF, რომელმაც თხოვნით მიმართა ყველა ორგანიზაციას დაეხმარონ მაშველებს საქართველოში ტყები გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში.

**21 აგვისტო.** ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხანძრის ძირითადი კერების ლოკალიზება მოხერხდა, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ერთ დღეში შესაძლებელია ცეცხლის სრული ლიკვიდაცია. ამ დროისთვის დამწვარია 250 ჰექტარი ფართობი. 50 ჰექტარი ტყის მასივი მასივი განადგურდა ატენის ხეობაში.

**22 აგვისტო.** ატენის ხეობა კვლავ იწვის. ცეცხლსა დაგილობრივი მეხანძრები და გორის რეგიონული სატყეო სამმართველოს თანამშრომლები ებრძვიან. ოფიციოზის განცხადებით, დღეიდან ხანძრის ჩაქრობაში უკრაინული სახანძრო ტექნიკაც ჩაებმება.

**23 აგვისტო.** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ნაკრძალის 500 ჰექტარია განადგურებული. ხანძარს 8 დღეა ებრძვიან.

**25 აგვისტო.** საქართველოს გარემოს დაცვის კომისია რუსი კოლეგების შავი ზღვის დაბინძურების კომისიისგან გარიცხვას მოითხოვს. ამჯერად რუსებმა ზღვში კატარლები ჩაძირეს და შედეგად ნაგთობი ჩაიღვარა. ეს შავი ზღვის დაცვის კონვენციის მიმართ, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ქართველების მიერ გაგზავნილი მეორე მიმართვა. პირველად ჩვენმა გარემოს დამცველებმა, სოჭის ლომბპიური თამაშებისთვის აფხაზეთის სანაპიროებიდან დიდი რაოდენობით გატანილი ინერტული მასალების გამო გამოთქვეს წუხილი. აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლოა აფხაზეთის სანაპირო ზოლი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენოს.


**29 აგვისტო.** გორი-სკრას სარენიგზო გადასარბენზე აფეთქდა ნავთობით დატვირთული 3 ვაგონი. შედეგად 750 ტონამდე ნავთობი დაიღვარა. სოფელი სენაკი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დადგა.

**1 სექტემბერი.** გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა ფოთის პორტში წყლის სინჯების შემოწმება დაიწყეს. ეკოციდის ზონაში ამ დღეს პირველად განვიდა.

**2 სექტემბერი.** გარემოს დაცვის სამინისტრო გამოთქვამს შიშს, რომ მოსპონ ნიადაგის რეგენერაციისთვის აუცილებელი მიკროორგანიზები და ბაქტერიები, შედეგად დაირღვა ბიოგეოცენოზი. შეიცვალა ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიურ-ბიოლოგიური თვისებები, რაც თხიერი ზედაპირული ჩამო-

ნადენის გაძლიერებას და ნიადაგის გადარეცხვა-დაბრამგას გამოიწვევს.

**5 სექტემბერი.** ხანძრის შედეგად ბუნებაზე მიყენებული ზიანის შემსწავლელმა კომისიამ, რომელშიც 40 ადამიანი (ზოოლოგი, მეტყევე, ბოტანიკოსი, ბიოქიმიკოსი და ა.შ.) შევიდა, ბორჯომის ხეობა დაათვალიერა. ხეობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ცეცხლის კერები. კვლავ არის ცეცხლის კერები ატენის ხეობაშიც. პირველად დასკვნებს გარემოზე



მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით კომისია ერთ თვეში შეიმუშავებს.

**8 სექტემბერი.** დაბინძურებული ტერიტორიის გასუფთავება დაიწყეს სოფელ სკრასთანაც. ქართველებთან ერთად, შექმნილ ვითარებას ადგილზე უცხოელი ექსპერტებიც სწავლობენ. „ბიპის“ კონტრაქტორი კომპანიის სპეციალისტები ქართველ გარემოს დამცველებს გაწმენდით სამუშაოებში დახმარებას დაპირდნენ.

**8 სექტემბერი.** რუსული აგრესიის შედეგად გაჩენილი ხანძარი 25 დღიანი ბატალიების შემდეგ, როგორც იქნა, ჩაქრა. ცეცხლის კერები ლიკვიდირებულია ატენის ხეობაშიც.

#### მოგზაურობა ატენის ხეობაში...

დიდხანს ვფიქრობდი, საქართველოს რომელ რეგიონში გავყოლოდი „რუსულ კვალს“, ნალვერში, ეროვნულ პარკში, სკრაში თუ ფოთში. ბოლოს ატენის ხეობა გადავწყიტე,

სადაც საერთო ჯამში 100 ჰექტარი წინვოვანი ტყე დაინვა და სადაც, ადგილობრივების თქმით, რუსულმა ვერტმფრენებმა 12 აგვისტოს, ნალვერის ტყეების აალებამდე 3 დღით ადრე გაინავარდეს და ატენის ხეობის მიმდებარე მთებზე დიდი ტომრები ჩამოყარეს. ტომრები არ აფეთქებულა, მაგრამ 13 აგვისტოს, იმ ადგილებში, სადაც სავარაუდოდ ტომრები დაეცა, ჯერ თეთრი ფერის კვამლი, შემდეგ კი ცეცხლის ენებიც გამოჩნდაო.



## რეპორტაჟი

გორისკენ მიმავალ გზას დილით ადრე და-ვადექი. ომის შემდეგ, აქ პირველად მიწევს გა-ვლა და ვცდილობ გზის ორივე მხარეს, ყოველ გოჯა დავაკვირდე... იგორეთამდე თითქოს, ყვე-ლაფერი ძეველბურადა, მხოლოდ ახლადდა-გებულ გზაზე მიმავალი ჩვენი მანქანა რაღაც გაურკვეველ ხმეს გამოსცემს, თითქოს ბზუის. როინ, ჩვენი მძღოლი, ცდილობს აგვისნას, რომ ასეთ ხმას ასფალტი მაშინ გამოსცემს, თუ იქ ტანკებს აქვთ გავლილი. გადის კიდევ რამდენიმე წუთი და სოფელ შავშების ტრა-ფარეტებს შორის ოთხ თუ ხუთი რიგად მდგარი გადამწვარი ნაძვის კოლონა გულს გიკლავს და უფრო საშინელი სურათის სანახავად გამზა-დებს... გადამწვარია გორის გადასახვევისკენ მიმავალი მარცხენა ფერდი. ის კი არა და, თუ ქარმა დაუბერა, მანქანში დამწვრის სუნიც შემოაქვს... შენ უკვე ნაომარ ქალაქში ხარ, სადაც სულ რაღაც დღეების წინ დაბომბილი და დანგრეული კვარტლიდან მხოლოდ ერთი თუ მიგანიშნებს, რომ ის დაბომბეს, სახლე-ბის დიდი ნაწილის ფასადები კი უკვე საზემო ფერებშია შელებილი... სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რადგან გორისკენ მიმავალს, 90-იან წლებში გადამწვარი სამეგრელო მედგა თვალწინ, რომელიც, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ქართველების სამარცხინო ლაქად.

გორის ცენტრში, სადაც ამაყად დგას იო-სებ ბესარიონოვიჩი, ჯერ კიდევ უამრავი სა-ხანძრო და წითელი ჯვრის მანქანაა მობილი-ზებული. სწორედ ამ მანქანების გვერდით, გორელები სათუთად უფრთხილებიან კა-სეტური ბომბის ნაკვალევს, რომელიც, რო-გორც ჩანს, თუ არ ამოაგსეს, კომპლექსში სტალინის ძეგლთან საერთო-რუსულ ექსპო-ზიციას შეერავს. გორის ცენტრშივე შევხვდი ატენის ხეობაში წლების წინ დამეგობრებულ გორელებს და ჩვენს ახალ მეგზურებს, ად-გილობრივი სატყეო დეპარტამენტის წარ-მომადგენლებს. „ესენი ჩვენები ყოფილან“, აღფრთივებანება ვერ დამალეს მეგზურებმა და გადამწვარი ტყისკენ, სადღაც დაკიდულ გზაზე მიმავალებს გამოგონიტყდნენ: „ამ დღეებში იმდენი უურნალისტი ვნახეთ და, სიმართლე გითხრათ, მათი გაცილება-გამო-ცილებით დავილალეთო. თანაც კაცი რომ „ჩემი დედას“ იტყვის, და ჯიბეში ხელჩადე-ბული ფერფლზე აივლ-ჩამოივლის, იმას რა ბუნებაზე უნდა შესტკიოდეს გული, მისი სა-ქციელი ხომ დადგმული სპექტაკლიაო...“

ასეა თუ ისე, ჩვენ მეგზურებმა ბაკურმა და ანზორმა შინაურებად მიგვიღეს. „ოპე-ლი“ სტალინს დაუტოვეთ სადარაჯოდ და ორხიდიანი „კოლხოზნიკით“ ატენის ხეობის გზას დავადექით. ხეობაში, ტრადიციულად, ზამთარში დავდივარ, სადაც გადათეთრე-ბულ სოფელ ბიისთან ჩანჩქერი იყინება და თავგადასავლის თითქმის ყველა მოყვარული

იყრის ხოლმე თავს. ახლა, აქ ჯერ ყველაფე-რი მწვანეა. გარემოს მხოლოდ ალაგ-ალაგ შეპარვია სინითლე. აქ ჯერ ადრეულ შე-მოგომაზეც კი ზედმეტია ლაპარაკი.

ის იყო სოფელ ატენს გავცდით, რომ ან-ზორი ალაპარაკდა: „სიონში ვიყავი, ომი რომ დაიწყო. 12 რიცხვში მოგახერხე დაბრუნება და ხეობისკენ გამოვეშურე. აქ ჩემები იყვნენ. ამ გზაზე, ხეობაში ადგილს ვერ ნახავდი თა-ვისუფალს, სულ კარვები იყო გაშლილი და

გორელები თავს აფარებდნენ. ამ სოფელზე რომ გამოვიარე, ხალხი შემომხვდა და მი-თხრა, როგორ დაინახეს რუსული ვერტმფრე-ნები, რომელებმაც დიდი „პარკები“ ჩამოყარეს. მერე იქ ცეცხლი გაჩნდა... როგორც ჩანს, ტომრებში რაღაც ფხვნილი იყო, შესაძლოა თეთრი ფოსფორი, რომელიც მხცუნვარე მზეზე ღვივდებოდა. სამხედროებს ექებდნენ. ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ჯარმა ტყებს შეაფარა თავი და სადაც მოახერხეს, ყველგან



ეს ტომრები ჩამოაგდეს. ზოგან ცეცხლმოკიდებული ჭურვებიც არ დაინანეს...“

ამასობაში „კოლხოზნიკამა“ ბიისის სკენ მი-  
მავალი გზიდან გადაუხვია და დაგუბებული  
მდინარის ფონზე გავიდა. მდინარეს ტანა  
ჟევია. ეს სწორედ ის მდინარეა, რომლიდა-  
ნაც ვერტმფრენი დახსლოებით 2,5 ტონიან  
ნცლის რეზერვუარს აგსებდა და ატენის ხე-  
ობის მთებზე სანძრის ჩაქრობას ცდილობდა.  
მაღლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ უფრო  
ხელს გვიმლიდა, ვიდრე გვეხმარებოდაო, სე-  
ვდანარევი დამილით გვითხრეს მეზოურებმა  
და მერე დაამატეს, „ხეობის იმ ნაწილში, სა-  
დაც სანძარი გაჩნდა, წინვოვანი ტყეა. ხეე-  
ბს ფესვები მინისტერმოთ აქვს და ზედ და-  
ახლოებით 10-20 სანტიმეტრზე ნეშმოპალა  
აყრია. რუსული ვერტმფრენების ჩამოყრილი  
ტომრები, როგორც ჩანს, გასცდა, შიგთავსი  
კი ამ ნეშმოპალაში გაღვივდა და ამიტომ ცე-  
ცხლი ძირითადად მიწას ეკიდა...“ ქართული  
სამაშველო ვერტმფრენიდან დასხმული ნცა-  
ლი ხეებს მხოლოდ კენეროუებში ასველებდა  
და დაბურული ტყის ძირში, ფესვებამდე და  
მიწამდე არ ალწევდა...

ჩვენ სულ უფრო ზევით მივიწევთ, ადგი-  
ლებში, როცა „კოლხოზნიკი“ თითქმის 80  
გრადუსიანი დახრილობის, ნაშალმოყრილ  
კლდეზე ადის, ვამჩნევ, რომ ჩემი თბილისე-  
ლი მეგზურები ცოტა ჩაფიქრებულები არიან,  
ღირდა აქ ნამოსვლა თუ არაო... თუმცა თავს  
ვიხალისებთ და გასართობ ისტორიებს ვკვე-  
ბით. გზადაგზა ნასოფლარებს ვხვდებით,  
მეგზურები გვიხსნიან, რომ აქ, 90-იან წლე-  
ბამდე ისები ცხოვრობდნენ... ალაგ-ალაგ  
დაუანგებული ელექტროჯისურებიც გვხვდე-  
ბა, აქ დენიც ჰქონიათ, გავიფიქრე და გული  
დამწყდა, რომ სადღაც, ვიღაცას დღეს ისევე  
ენატრება ამ ადგილში დაბრუნება, როგორც  
მთელს საქართველოში მიმოფანტული კარ-  
ვების ქალაქებში მყოფ, დიდი და პატარა  
ლიახვის ხეობის მაცხოვრებლებსა... ატენის  
ხეობის ნასახლარებში დღეს მთიბავები აფა-  
რებენ თავს, რომლებიც იჯარით აღებულ  
ფერდებს თიბავენ და ამით თავს იჩჩნენ.

ნასოფლარს ისევ ტყე ცვლის. რაც ზევით  
ადიხარ, შემოდგომა უფრო იგრძნობა. ზოგან  
ატალახებული გუბენის გადალახვა გვიწე-  
ვს. ორთვიანი გვალვის შემდეგ, აქ პირვე-  
ლად ორი დღის წინ განვიმდა. დაახლოებით  
სამი კვირის მანძილზე ჯერ ადგილობრივი  
მცხოვრებლები (გორის რაიონი მაქვს მცხ-  
ველობაში) და შემდეგ მაშველებიც, მდინარე  
ტანადან თითქმის საათანახევრიანი სავალის  
აღმართს დღეში რამდინჯერმე ადიოდნენ და  
მხრიოლავ კვამლში, ზურგზე ცეცხლმქრობ-  
მოკიდებულები ტყის ჩაქრობას ცდილობდ-  
ნენ. სადაც წყალი ვერაფერს ხდებოდა, იქ  
მაშველები კუსტარულად ლარს თხრიდნენ

და ცეცხლის ხალიჩას ბოლოებს „უკვეცა-  
ვდნენ“ ზოგან, დასახლებულ ადგილებთან  
ახლოს ასეთი ღარების განმა კილომეტრსაც  
კი მიაღწია. ზოგიც ცეცხლისგან დასაცავად  
მოიჭრა ტყის ნაწილიც და ცეცხლის შესაკა-  
ვებლად დამცავი ღობე გაკეთდა.

ამ ტყებში დათვიც არის, მგლიც, ტურაც, მელაც, შველიც, კურდლელიც... მაგრამ ამ ცეცხლში, ვერტმფორენების გუგუნში, კვამლ-ში, ხალხის ყაყანში, ალბათ, ისე შეეძინდათ, რომ შემაღლულები არიან სადღაც და კარგა ხანი ვერც გამოვლენო, გვიყევებიან მეგზუ-რები და ახლა იმ ოსა ეროვნების მწყემსებზე მიგვითითებენ, რომლებიც ატენის ხეობაში თვეობით ამორეკილ საქონელს მწყემსავენ და რუსულ ვერტმფორენების ქმედებას შემი-ნებულები შესცემროვნენ.

მწყემსებისგან სულ რაღაც 100 მეტრში  
უკვე დამწვარი ტყის პირველი კერაა. ჩეენ  
ზღვის დონიდან 1250 – 1300 მეტრზე ვართ.  
თუ ტყეს აუყვები, ბორჯომის ხეობაში გადა-  
ხვალ, მოპირდაპირე მხარეს კი თრიალეთის  
ქედი ჩანს და იმის იქით წალკა. მანქანიდან  
გადმოსულებს საზარელი სურათი გვხვდება.  
დამწვარი მიწა, ნახევრად რუხი, ნახევრად  
ყვითელი და ნახევრად მწვანედ გაფერადებუ-  
ლი ახლადამოყრილი ნაძვები... იქამდე, სადაც  
თვალი გაწვდა, ყველაფერი გადამწვარია.  
ქართული ხალისიანი ტყე, რუსული ხალხუ-  
რი ზღაპრის საშინელ გარემოს წააგვდა,  
სადაც „ზმეი გარინჩის“ სასეირნო ბილი-  
კს თუ შეუყვებოდი, „ბაბა-იაგას“ ქოხამდეც

Այսուլողեղաց միեցովովով. այսինքն մինձ, մինիօնան տուրքիմուս շրոտովան մեղքրնաեցրամբ դամբարան են մուրան ծովուն. Շեմգեց, ալաց-ալաց և սոմբանց, ռոմելուց օմեց զամլցաւ, ռոմ գաճարհիա, մացրամ տայ ջապարութեան շեմինցեց, ռոմ ամ սոմբանցի սպաց սոյցութաւա շեպա-րյուլո. մարաժմնանց մուրնարչեց յս եթոնի գորշելո նոնանու. ալաց-ալաց եցիծ ցուցելու յլցուս և սուսրացուտ մոյցեցովա, սպածագ սպացուցայրու մուս տանելցեցուտ ածրուալցեցովա և յենցերոնի յըրեցովա... մինձ կո ոնցովա. ցարժմու ուսետո կապմու օդցա, ռոմ նորնի ցարժմի սուստէվա ցացիկուրցեցովա. դղեց, սյոնտէվա կո մուսկունցա, մացրամ տայ բարոնի սաատից մեցիսան դապոց, այսուլողեղաց կու կոնուս սյոնու ցայլունութեան.

დაღმართს ჩაეუყევი. მაშელების მიერ  
გათხრილი დარის გაყოლებაზე უკრაინული  
ნარმომავლობის უხმარი რესპირატორები  
და მინერალური წყლის ცარიელი ბოთლე-  
ბია მიმოყრილი. შევეცადე შემეგროვებინა,  
მაგრამ მივხვდი, რომ მარტო ვერ მოვერეო-  
დი და დროც ცოტა იყო. ეს მისია გადავდე,  
თან იმედი მაქვს, რომ გარემოს მოყვარულ  
თანამოაზრებსაც ვიპოვი, თუგინდ ეს გა-  
დამნგვარი ტყე იყოს. ახლა მას უფრო მეტი

მოვლა და დაცვა სჭირდება. აღმართს მიუკუნები. მზის სხივები, ერთ დროს დაბურული ტყის ყველაზე ბენელ კუნტულებშიც კი უპრობლემოდ აღწევენ. გადანახშირებულ ალაგს სიმწვანე შევისწრე და მივუახლოვდი. დავიხარე და დაცვაკვირდი. თან, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ეს „ლიგუშეა“ (როგორც ამიხსნეს, კასეტური ბომბის ნაწილია, რომელსაც რუსები ავადნეთის ომის დროს და შემდეგ ნარმატებით და მიზანდასახულად იყენებდნენ). ჩვენთან მისი ნაირსახეობა პატარა მოცულობის ე.წ. „ლენტიანი“ ნაღმები დატოვეს. თუმცა მეტყევები მამშვიდებენ, რომ ამ ტყეს განაღმვა არ ჭირდება. აი სხვა-გან, სადაც სანდრები იყო, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი საჩუქრებიც დატოვეს) არ არის, რომლის შესახებაც ბევრმა გამაფრთხობის.... ეს ნაწვიმარზე ახლადამოსული ბალახი იყო. იმედი მომეცა, ტყე გადარჩება.

„რამდენიმე დღის წინ აյ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. უკითხარით, რომ ახლა ამ ადგილებს გაწმენდა და სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა. თორეგ ტყის ქვევით კლდეებია, გარშემო სოფლები. თუ დროზე არ მოხდა ტყის რეაბილიტაცია, მაშინ ლგარცოფი მოვარდება და სოფლის მოსახლეებს დააზარალებს. ეს ტყე იჭერს ხოლმე წყალს, თორეგმ, ყოფილა უწყინარ ტანას მოსახლეობის ბოსლებიდან დამხრჩალი საქონელიც კი ჩამოუტანია... შეგვიძლია გავანალიზებთ და შესაბამის სახსრებს გამოყოფოთ“, გვიხსნიან მეგზურები.

სიჩუმეში ქარმა ხერხის ხმა მოიტანა. ცოტა-  
არ იყოს გაოცებულმა მეტყევებს გავხედე  
და თბილისში ყურმოკრული ერთი ამბავიც  
მოუყევი, ვითომ ადგილობრივები სპეცია-  
ლურად უკიდებენ ტყეს ცეცხლს, რომ მერე  
სარგებელი ნახონო. მეტყევემ, ცოტა არ იყოს  
ნაწყენმა, გადმომხედა და ალპათ გაიფერა  
„ჩვენიანი“ რომ არ იყოს, აუცილებლად აქ და-  
ვტოვებდი. მერე ხელი ბორცვს იქით გაიშ-  
ვირა და კატეგორიულად მითხრა: „აი იქით,  
ნეაროა. სანამ მეხანძრები ამოვიდოდნენ,  
ადგილობრივი ტყის მცველები და მოსახლეე-  
ბი ჯაჭვში ვიდექით და ცეცხლის ჩასაქრობად  
წყალი ისე ამოგვექონდათ. აქ, თითოეული ხე  
დათვლილი და შვილივით მოვლილა. ბუნე-  
ბრივია, ტყეს ჭრიან. მოსახლეობა ამ ტყით  
ცხოვრობს, მაგრამ ის დანომრილია და უნე-  
ბართვით ტოტსაც გარავინ მოზიარეს“.

უკან ვემცებით. მეტყოვები შენობის ნანგრევებზე მიმართონებერ. ეს, წმინდა გიორგის სახელზე აშენებული კაცების სალოცავია. თუ ვინმეს ცოლი ვერ მოყავდა, აյ ამოცყავდათ და საკლას წირავდნენ. მერე მის ქორწილში ქიიჯობდნენ, კვებიან მიგზურები.

# ზურგი

ავტორი, ფოტო: თამარ სუსიშვილი

„არმია, თუ მას არა აქვს მტკიცე ზურგი... განწირულია დასამარცხებლად“

(პარტ. ისტ.)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, 1955 წ.

„შემოვიდნენ რუსები, ატყდა დაგიდარაბა...“

უცებ გადავწყვიტე, ზურგში გაურკვეველ ყოფნას გერმანელ უურნალისტებს (უფრო სწორად, უურნალისტსა და ფოტოგრაფს) თარჯიმნად გავყოლოდი ფოთში. კახეთში გახიზვნასა და ნითელი ხიდით გაქცევას მგონი ეს ჯობდა. ცენტრალური გზა რუსების მიერაა გადაკეტილი. მივდივართ შემოვლითი გზით.

— რომელი გოდა ხარ? — მეეთხება მძღოლი, ისე რომ თავსაც კი არ აპრუნებს ჩემკენ.

— სულ არ გეტყობა, — მამშვიდებს.

გულში ცოტას ვპრაზობ.

— ჰო, ვიცი.

ასეთ მოკლე პასუხს არ ელოდა. ალბათ ეგონა, მადლობას გადავუხდიდი კომპლიმენტისთვის. გაჩუმდა. ალარ იცის, რა მეითხოს. არა უშავს. საკითხავი და გასაკითხავი ისე-დაც იმდენია...

„გორსა და მის მიდამოებში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. ქალაქის შემოგარენს კვლავ რუსი ოკუპანტები აკონტროლებენ...“ რუსეთის ჯარი აკინტროლებს სენაკის ბაზასაც. რუს სამხედროებს პოზიციები უკავიათ ზუგდიდში და სოფელ თეკლათთან... გუშინ რუსი ჯარისკაცები ოთხი „ბეტერით“ ფოთის პორტის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და მის პერიმეტრზე კონტროლი დააწესეს... მათ დაატყვევეს პორტში მყოფი ქართველი სამხედრო მოსა-

მსახურეები და სენაკის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს...“ მერე რაღაც შრიალია. სისხირეები ირევა და კარგად აღარ მესმის, რას აცხადებენ რადიოში...

დღეს 20 აგვისტოა. თბილისს უკვე გავცდით. ჩვენი შავი ჯიპი საშინალად დანგრეულ გზაზე მიჯაყვაყებს.

— თუ იცი, სულ ასეთი გზაა? — მეკითხება კრისტოფი.

— ამ გზაზე მეც პირველად ვარ. მაგრამ მგონი უკეთესობის იმედი არ უნდა გვქონდეს. ასე ამბობენ და, — მივხვდი, რომ ვერაფერი დამშვიდება გამომივიდა და უხერხულობისგან მხრები ავიჩერჩე.

— არა უშავს, გავუძლებთ, — გაეცინა კრისტოფი.

— აბა რა, გადავიტანთ, — მხარი ავუბი მეც. კრისტოფი უურნალისტია. ფოტოგრაფს ჰელმუტი ჰქონია, მძღოლის გვერდით ზის და თვლემს.

მძღოლი ამუხრუჭებს და მანქანა მთელი ძალით ჩაარტყამს თხრილში. მაგრად დავინჯდერით.

— რა საშინელი გზაა, — შეუკურთხებს ვანო. ჰელმუტი გაფხიზლდება და მოჭუტული თვალებით იყურება ფანჯარაში.

— სხვათა შორის, არაა ცუდი ტიპი. ჩვეულებრივ ხალისანი ბიჭია, კარგი მოსაუბრე. უბრალოდ, გუშინ ცოტა ზედმეტი მოუვიდა დალევა, — კრისტოფი თვალით ჰელმუტისკენ მანიშნებს.



— აბა, კიდევ კარგად ყოფილა, — ვეუბნები.

— ჰო, მართალი ხარ, — იცინის კრისტოფი.

ჰელმუტი უკვე თვლემს და ჩვენი აღარ ეყურება.

ვანო ცალი ხელით საჭეს მართავს, ცალი ხელით მობილური უჭირავს. ოდნავ ხრინწიანი ხმითა და დაძაბული ტონით ელაპარაკება ვიღაცას:

— ბიჭი, ახლა ფოთში მივდივართ წალკის გზით. თუ იცი, სულ ასეთი დანგრეულია ეს გზა? აი, ეს გერმანელი უურნალისტები მიმყავს, რა... ვეუბნები საშიშია-მეთქი და —



არაო, მაინც უნდა წავიდეთო რა, ამათ რა ენაღვლებათ და ამ მანქანას რამე რომ მოუ-ვიდეს, ხო გესმის, არა?

გზაზე საპატრულო პოლიცია დგას. ვანო მანქანას აჩერებს და რწევა-რწევით გად-მოდის დაყენებული პოზით. ვითომ არა-ფერიო, მაგრამ ცოტა დამფრთხალი უნდა იყოს.

— გამარჯობათ. საშიში ხომ არ არის ამ გზაზე სიარული? ამბობენ, გატაცებებიაო, ყაჩალობებით. უცხოელები მიმყავს რა, უურნალისტები, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის ვანოს ხმა.

— რა უნდა, რატომ გავჩერდით? — მეკი-თხება კრისტოფი.

— გზას ეკითხება, — ვპასუხობ, ხომ არ ვე-ტყვი, თავის შიშებს ამონმებს-მეთქი.

გზას ვაგრძელებთ. ოციოდე მეტრში ისევ საპატრულო პოსტია. ისევ შეანელა სვლა, ისევ მესმის იგივე ტექსტი. ცოტა ხანში კიდევ ახალი გაჩერება და კრისტოფის გა-ლიზიანებული ტონი: ჯანდაბა, ახლა რაღა უნდა? მერე მოდის ვანო და ანგარიშს გვა-ბარებს:

— მითხრეს საშიში არ არიო, ახლა ყველა

ამ გზით დადისო. ყოველი შემთხვევისთვის პატრული ჩააყენეს ყველგან, გზას აკონ-ტროლებენო.

მაინც რაღაც აწუხებს და არაბუნებრივად დაძაბულია. ისევ გაჩერება. კრისტოფი იჯა-გრება.

— ფეხებზე მკიდია, ფეხებზე მკიდია საშიში არის თუ არა, — უკვე იღრინება უურნალისტი.

სიმშეიდით გამორჩეულ ფოტოგრაფსაც კი შეეტყო ბრაზი.

— რა თქვა? — დაძაბული ტონით მეკითხე-ბა ვანო.

## წერილი ფოთილან

— არაფერი, ნუდარ გააჩერებს და პირდაპირ წავიდეს...

— იცი რა, ეს ჩვენი მძღოლი რაღაც დაუცველად გრძნობს თავს. მაგრამ ცოტა უნდა მივაწვეთ. ასე ყოველი ფეხის ნაპიჯზე თუ გააჩერა, ფოთამდე ვეღარასოდეს ჩაგანწევთ, — ამბობს კრისტოფი.

— უთხარო რა, რომ ამ გზაზე ბევრი ყაჩალობა იყო, წართმევებია და საშიშია. რო დააყაჩალონ და კამერა წაართვან? — უთხარი, გადაუთარგმნე, — ნუწუნებს და მოსალოდნელი საფრთხით ცდილობს დააშინოს ურნალისტები.

— კარგი რა, რა ყაჩალობები. ყველა ამ გზაზე არ დადის? საიდან მოიტანე? — მაინტერესებს, რას იტყვის.

— ძმაცი სულ ამ გზაზე დადის და იმან მითხრა. პირველ დღებში სულ წართმევები ყოფილა, — აღელვებული ტონი აქვს და საჭირო თითქებს ათამაშებს.

— მე მაგის მსგავსი არაფერი გამიგია, — თავს ვაჭინევ, — განა თვითონ არ იციან, რომ საშიშია? ომია ბოლოსდაბოლოს.

ტყუილად მაბოლებ, ვანო, — ვფიქრობ ჩემთვის, — რაც გინდა, ის თქვი, შენი სისულელების თარგმნას არ ვაპირებ, ამათ რომ უყურებ, მშვენივრად იციან თავიანთი საქმე, ცხელ წერტილებში მუშაობის მეტი რა უკეთებიათ, აი, შენი საქმე რა არის, ამას კი ვერ ვხვდები...

თბილისიდან რომ დავიძარით, კრისტოფი რაღაც საინტერესო მწვავესიუჟეტიან ამბავს მიამბობდა ავღანეთში ურნალისტური მივლინების შესახებ. ვეღარ ვიხსენებ, რა ამბავი იყო. ოდესმე ალბათ გამახსენდება. მზის სათვალეს ვიკეთებ და ვანოს აღარ ვუსმენ. ის კი აგრძელებს:

— ამათ რა ენაღვლებათ. ჩვენ რომ რამე მოგვივიდეს, ესენი კი არ აგებენ პასუხს. ამ მანქანას რომ რამე დაემართოს, ჩემი კი არაა, წათხოვარი მაქეს, — აქეთ ადებს ვალს გერმანელებს, თითქოს იმათი ომი იყოს და არა ჩვენი.

— რა უნდა? რას გეუპნება? — საუბარში ერთვება კრისტოფი.

— არაფერს. მართალი ხარ. ცოტა შეშინებულია, — დავუდასტურე.

მიშას კარგად იცნობენ ნავთლულის ბაზარ-შიც, სადაც დღეგამოშვებით ბოსტნეულით იტვირთება მისი და მისი მეგობრების მანქანა, ანდაც – ვიღაცისაგან ნახოვები პიყაპი. მიშას გერმანული პედანტიპით აქვს საქმე აწყობილი, აკეთებს იმას, რაც პრინციპში მისი საქმე არ არის, რასაც ჩვენი შემდგრანი სახელმწიფოს მთავრობა უნდა აკეთებდეს, მაგრამ ვერ ან არ აკეთებს საკმარისად ეფექტურად. ხანდახან მას მე და ლუკა ბაქრაძეც ვეხმარებით (ლუკა საგანგებოდ ლტოლვილთა დასახმარებლად ჩამოვიდა გერმანიდან და გული გამიხარა) და მიშა ისე გვიხდის ხოლმე მაღლობას, რომ ძალიან მერიდება.

რატომ ვყვები ამ ყველაფერს? იმიტომ, რომ

ჩევნ კი ასეთ პასუხისმგბლობას არ ვერძნობთ (პირველ მრავლობითში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ, პირველ რიგში, საკუთართავზე ვწრაზობ) არც მსოფლიოს და არც საკუთარი ქვეყნის წინაშე. ჩვენთან თითქმის არავის სტკენია არათუ ერაყში დახოცილი ათიათსობით მშეიღობიანი მოსახლე, არამედ მთლად ყურის ძირში მომხდარი ჩეჩენი ხალხის გენოციდი, ხოლო როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ რამდენიმე ჩეჩენი მეომარი ჩუმად გადასცა რუსეთს, არავის აგვიტებია ხმაური. ალბათ იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიალისტური სახე ჯერ კარგად არ გვქონდა დანახული. იმისთვის, რომ ეს სახე დაგვენახა, თურმე ჩვენი მოქალაქეების დაღუპვა და ჩვენთვის ნაცნობ გეოგრაფიულ წერტილებმდე – გორამდე და იგოეთამდე – მტრის მოსვლა იყო საჭირო.

მაშინ კი ისევ დასავლეთს მივმართოთ დასახ-  
ხმარებლად და დასავლელმა პოლიტიკოსებმა  
მართლა გააჩერეს რუსეთი, მართლა აგვარი-  
დეს კიდევ უფრო დიდი უბედურება, სარკო-  
ზიმ ბევრი იფრინა აქეთ-იქით, ბერლუსკონიმ  
პუტინს ურეკა, მაცეკინმა თქვა, დღეს ჩვენ  
ყველანი ქართველები ვართო, შავ ზღვაში კი  
ამერიკული ფლაგმანი შემოვიდა და ჩვენც  
გავიხარეთ, რომ რუსეთის ნამდვილი სახე  
გამოჩნდა თურმე. ოლონდ მე რატომლაც არ  
მჟერა, რომ მას მერე, რაც რუსეთის ხელი-  
სუფლებამ „ნორდ-ოსტის“ ამბების დროს შვი-  
დასამდე საკუთარი მოქალაქე გაზით გაგუდა,  
პუტინის სახეს კიდევ რამე ნილბის ჩამოგლე-  
ჯა სჭირდებოდა... ასეც რომ იყოს, გაღებული  
მსხვერპლის და დაღვრილი სისხლის გასამარ-  
თლებლად ეს არგუმენტი ცოტა სამარცხვი-  
ნოდ მეჩვენება.

მაგრამ, მოდი, ისევ მიშას და ოროლვილებს დაუუბრუნდები... უდალ გერმანელს მათი ნათქვამიდან მხოლოდ გულითადად ნათქვამი

მადლობა და კიდევ რამდენიმე სიტყვა ესმის,  
მე კი მესმის რაღაც-რაღაცები და რაღაც-  
რაღაცებს შევსწრებივარ ამ დღეების მან-  
ძილზე, ამაზე მინდა ცოტა მოვყე...

მე შევესნარი იმას, თუ როგორ დაურეკა  
ოსმა მეზობელმა ერთ-ერთ დევნილს და  
უთხრა: შენი დედ-მამა დახოცილები ყრიან  
ეზოში, მე მარტოკა ვერ ვმარხავ და სხვა ოსე-  
ბს კი მოხმარება ემინიათო; მე ვნახე კაცი,  
რომელიც საჯეთარ სოფელში იყო შეპარული,  
რომ სახლიდან რალაც-რალაცები და პირველ  
რიგში, ფოტო-ალბომი წამოეღო, მაგრამ ვერ  
შეძლო და ბერგზე გადარჩა, თუმცა ამას სრუ-  
ლიად აუღელვებლად ყვებოდა, მე შევესნარი  
იმას, როგორ გააგდო ერთ-ერთ საბავშვო  
ბალში დასახლებული ლტოლვილების ლიდერ-  
მა ქალმა – ყოჩაღმა იზამ საკრებულოდან მო-  
ვლენილი ქალბატონი: როგორ გამომწვევად  
გაცვია, ჩვენ კაცებს კიდევ ეგ უნდათო? მე  
გავიცანი თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ლაშა,  
რომელიც ვარიანში თურმე კრივზე დადიოდა  
და, არ ვიცი, იმმა დააკაცა და ასეთი გახა-  
და, თუ ყოველთვის ეგეთი მაგარი და ყოჩაღმა  
იყო, ეს ბიჭი იმიტომ დამაბახსოვრდა, რომ  
მაგრად უხაროდა ჩვენი მისვლა, პროდუქტზე  
მეტად ყურადღება უხაროდა, დიდი კაცივით  
ამბობდა: ეს რა დაგვემართა, კაცო? ორსარ-  
თულიანი სახლი ოხრად დამრჩა, – და მერე  
აუცილებლად მკითხავდა, – რას ფიქრობ, შე-  
ვალთ ნატოში? მე კიდევ არაფერს ვპასუხო-  
ბდი. უსმინე ქალებს, რომლებიც სოფელში  
ბაგაში დაბმულ საქონელს და დაბინავებულ  
მოსავალს მისტიროდნენ. მე ვნახე დევნილე-  
ბის ჯგუფი, რომლებიც ნაბალადევში ქიმიურ  
კომბინაციი ათასგვარ შეამებმი ცხოვრობდა.  
არ მინახავს, რადგან მხნეობა არ მეყო, მაგრამ  
გავიგე სამი წლის ბავშვის შესახებ, რომელიც  
დღისით დამუჯჯებული იყო, ხოლო მთელ  
ლამებს კივილში ატარებდა, ვნახე ორგზის  
დევნილი ქალი, ჯერ აფხაზეთიდან და მერე  
ქართლიდან, რომელსაც გულის მანკიანი სამი  
თვის ჩივილი ეჭირა ხელში, ვნახე პროდუქტის-  
თვის ჩხუბიც და ვნახე დიღმის სკოლის ყოჩა-  
ღი დირექტორიც, რომელსაც პროდუქტის გა-  
ნანილების საქმე ხუთიანზე ჰქონდა აწყობილი  
და მის სკოლაში დევნილთა შესახლების ათი  
დღის თავზე, უკვე რამდენიმე ბავშვის ნათლია  
გამხდარიყო... რატომ ვყვები ამ ყველაფერს,  
და ალბათ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გავი-  
ხსენოთ, რომ სტატისტიკის და ტელევიზიით  
მოწოდებული ახალი ამბების უკან რეალური  
ადამიანები დგანან, რომელთაც ლტოლვილო-  
ბის მძიმე ბედი ერგოთ, რომელთაც ღირსეუ-  
ლი ყურადღება ესაქიროებათ, რომლებიც არ  
უნდა მივივინყოთ „მაპის“ და ნატოს ნევრო-  
ბის ახალი პერსპექტივებით აუგიტირებულებმა.  
მათ ბედს კი ვერავიზ შეამსუბუქებს მთავრო-  
ბის გარდა, რადგან ყველა რესურსი ამონურ-

ვადია, მათ შორის ბიზნესმენებისა, რომლებმაც მართლა ბევრი გაიღეს, მეზობლებისა, ჩვენი მოქალაქეებისა, რომლებმაც ბევრს გაუმართეს ხელი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა, თუნდაც „ფონდი ლია საზოგადოება – საქართველოსი“, რომლის თანამშრომლებმაც ჩემ თვალინ ძალიან ეფექტურად იმუშავეს რამდენიმე კვირის მანძილზე და თუნდაც მიშას მსგავსი კეთილი წების ადამიანებისა. ხოლო დევნილთა უმტესობა დღეს საშინელ პირობებში აგრძელებს ცხოვრებას, მათვის განეული დახმარება საკუთრისა არ არის და ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს.

### შოუ გრძელდება

„ცხელი შოკოლადის“ წინადადებას სტატიის დაწერის შესახებ თავიდან დიდი ენთუზიაზმით შევხდი, მერე გადამიარა და სულაც ავიღე ხელი. მაშინ ერთმა მეგობარმა მირჩია, დამეწერა იმაზე, რამაც ყველაზე მეტად გამალიზიანა ან გამაპრაზა. ეს რალაც ბოლოსთვის შემოვინახე და ამ რალაცას რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2-ის“ ეთერით გასული გადა-

ცემა „პროფილი“ ჰქვია. წამყვანი გოგონას სახელი და გვარი არ მასხოვს, თუმცა მას და მის გულშიჩამნვდომ ხმას „იმედის“ საკვირაო გადაცემიდან ვიცნობ.

გადაცემა „პროფილში“ ისევ გვაჩვენეს უბედური გორელი ქალი, რომელიც 20 კილო ჯართის ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს და რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით მას მერე გაათავისუფლეს, რაც გორის დაბომბვას მისი სამი შვილიდან ერთ-ერთი შეენირა. როდესაც ამ ოჯახის შესახებ სიუჟეტი პირველად ვნახე, მეგონა, რომ „რუსთავი 2-ის“ რომელილაც უურნალისტმა გმირობა ჩაიდინა და ისეთი რამ გამოამზეურა, რაც არ უნდა გვეჩახა. „უსამართლობაა ქვეყნის ალაპი და ძალმომრეობა მისი მოციქული!“ („მამლუქი“ და სხვა საომარისტაზე მოსაყვანი ფილმები იმდენჯერ გვაჩვენა, „რუსთავი 2-მა“ ცეცხლის შენიჭეტამდეც და მას მერეც, რომ ზეპირად ვისწავლე). ოცი კილო ჯართი და სანახვროდ მოხდილი სასჯელი წეტავ, სულ რამდენი ჰქონდა მისჯილი სამი შვილის დედას ამ უმძიმესი კრიმინალისთვის? ამაზე უურნალისტები დუმან და

ნელ-ნელა ვიგებთ, რომ ეს სამთავრობო პიარის ნაწილია, რომ, აი, როგორი გულმოწყალე ხელისუფლება გვყავს. ოღონდ, არ ვიცი, ამას რა ჰქვია, შუა საუკუნეების ფეოდალის წყალობა თუ „რიგითი რაიანის გადაწინის“ ცუდი რიმეეკი. ეგ კიდევ არაფერი...

გადაცემა „პროფილის“ პირდაპირ ეთერში წამყვანი გოგონა უბედურ დედას აუზყებს, რომ მისი მეორე შვილი, რომელიც დაკარგული ეგონა, ნაპოვნია და აქ არის, ამ სტუდიაში, შემოჰყავთ ბავშვი, ტირის. წამყვანი გოგონა ამშვიდებს, ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება, – ეუბნება. ოღონდ, ეგეთი კეთილი ხმის პატრონს, როგორ გაუძლო გულმა და მანამდე როგორ არ შეახვედრა დედა-შვილი, არ ვიცი და მაგაზე ფიქრიც არ მინდა. მერე TBC-ბანკის წარმომადგენელი შემოიყანეს და ის გაუბედურებულ, ჭერდაკარგულ ოჯახს, ახალი ბინის აშენებას დაპირდა. TBC-ბანკი გაახაროს ღმერთმა, მათ მართლა არაფერს ვერჩი, მით უმტეს, ბანკის წარმომადგენელიც ნორმალური კაცი ჩანდა და საკმაოდ დაზაფრულად გამოიყურებოდა.

ეგეც არაფერი... გადაცემის ბოლო ბლოკში წამყვანს სტუდიაში რომეო და ჯულიეტა შემოჰყავს, თუ კარგი და ქართველი გოგონა. ოღონდ ამბო ამბავი „ჰეფი ენდიი“ დასრულდა – მტრობის, შუღლის და ომის მიუხედავად, მაინც იქორწინეს. არ მასხოვს, ამათაც აჩუქეს ან დაპირდნენ რამეს თუ არა, შეიძლება, ბოლომდე აღარ მიყურებია და გადავრთე, მაგრამ წამყვან გოგონას კი ერთი რამ მინდა გავახსენო, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ყველაზე მეტი შერეული ქორწინება იყო, ვიდრე ქართველებსა და რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, თუნდაც ის, რომ ოსები, სხვა ეროვნებითან შედარებით, ყველაზე მეტად იყვნენ ინტეგრირებული, ყველაზე კარგად ფლობდნენ ქართულს, ყველაზე ახლოს იყვნენ ჩვენთან კულტურულად, მაგრამ როდესაც უცაბედად დაინგრა საბჭოთა იმპერია და უთვალავმა დაბნეულმა ადამიანმა ჩვენთანაც და მათთანაც თავშესაფარი უმნიფარ წაციონალიზმი და უზარმაზარ მიტინგებში ნახა, მაშინ იმ ათასობით რომეომ და ჯულიეტამაც ვერ უშველეს საქმეს. ვერც ეს წყვილი, რომელსაც გულით ვუსურვებ ბედნიერებას, უშველის რამეს. მით უმტეს, რომ ის რამდენიმე-დღიანი ომი, რომლის საშინელ შედეგებსაც ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ და რომელზეც ალბათ კიდევ ბევრი ითქმება და დაწერება, უკვე ნამდვილად აღარ იყო ჩვეულებრივი ეთნოკონფლიქტი, თუმცა კვლავ კატასტროფულად საზიანო იყო როგორც ქართველების, ასევე ოსებისთვის.

მსოფლიოს თვალში საკართველომ, მარი, მართლა ბევრი მოიგო, მას მერე, რაც მოიდან პანაზი წარმოადგინება და საშაულება გადავარებას რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2-ის“ ეთერით გასული გადა-



# ლეისანები, რომელის გალა ჩვენთანეა

ავტორი: გიორგი მაისურაძე



## ოსცლიანი მთლიანობა

მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელიც ოცი წლის წინ – 1988 წლის პირველ სექტემბერს სტუდენტი გახდა. ჩვენი ორდინარული სტუდენტობა მხოლოდ სამი კვირა გაგრძელდა: 21 სექტემბერს კი თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში პირველი დღიდი მიტინგი ჩატარდა და აქედან მოყოლებული, ჩემი სტუდენტობის ხუთივე წელი პერმანენტული მიტინგების პირობებში მიმდინარეობდა, ისე, რომ სტუდენტობა ჩემ მეხსიერებაში მიტინგებთან და მანიფესტაციებთანა გაიგივებული. თუმცა ჩემი თაობის რაմები ნიშნით კლასიფიკაციას შევეცდები, შემიძლია ვთქვა, რომ მიტინგების თაობას მივეკუთვნები. ჩვენ მიტინგებზე დავიბადეთ და გავფორმდით როგორც თაობა, როგორც „პოლიტიკური ცოლების“ გარკვეული ჯიში თუ სახეობა, რომლის არტიკულაციის, საკუთარი აზრისა თუ პოლიტიკური ნებისა და ვნებების გამოხატვის ფორმა მიტინგია. მალე ამ „ავადმყოფობის“ სიმპტომები მთელ საქართველოს მოედონ და თვითგამორკვევის პროცესში მყოფი ხალხის ეროვნული იდენტობის მთავარ ნიშანად იქცა. ქართველი ერის ფორმირება და მისი ცნობიერების ჩამოყალიბება მიტინგებზე დაიწყო. აქ წარმოიშვა და დამკიდრდა თანამედროვე ქართველი პოლიტიკური რიტორიკა და მეტაფორიკა, ეროვნული ცნობიერების მთელი სიმბოლური სამყარო მტრის და მოყვასის, მოლალატისა და ეროვნული გმირის ხატებით და ამ ხატების შექმნის კრიტერიუმებით. შეიძლება ითქვას, რომ „წარმოსახვითი ერთობა“, რომელსაც თანამედროვე ქართველი ერი ეწოდება, მიტინგზე გაფორმდა და დაკანონდა.

ახლა, დღევანდელი პერსპექტივიდან და პოლიტიკური რეალობიდან რომ ვუყურებ, ის დღე – 1988 წლის 21 სექტემბერი საქართველოს

უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი ყოფილა: ამ დღეს საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც ტოტალური მიტინგის ხანა შეიძლება ეწოდოს და რომელშიც საქართველო კვლავაც იმყოფება და, ამდენად, ამ ეპოქას ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს. მიმდინარე წლის 12 აგვისტოს და 1 სექტემბრის გრანდიოზული მიტინგების უურებისას უკანასკნელი ოკულეულის მონოლიტური მთლიანობა ვიგრძენი: ისეთი განცდა მქონდა, რომ თითქოს საქართველოში დრო გამარტივდა და დღესაც 1988 წლის სექტემბერია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიტინგების თაობა დღეს ტრიპუნაზეა და აქედან დირიჟორობს საქართველოს 20 წლის წინ დაწყებულ და ველარდა-მთავრებულ მიტინგს – ამ დღესასწაულს, რომელიც მუდამ ჩვენთანაა მიტინგების ხანის საქართველოში.

## მიტინგური აზროვნების სტრუქტურა

მიტინგური აზროვნება ორი ძირითადი აფექტით – „-ჯოს!“ და „ძირს!“ შეძახილებით გამოიხატება. ამ შეძახილებს ერთგვარი ლიტურგიული ფუნქცია აქვს, რომელთა მეშვეობითაც მთელი მიტინგური საზროვნო მოდელის შეჯამება და მისი მრნამსად გარდაქმნა ხორციელდება. საზროვნო მოდელი კი ამ ორ ურთიერთსანინალიდებები წერტილზე დგას: პირველი, ანუ „-ჯოს“ აფექტით გამოთქმული, მომიტინგეთა ერთობისა და კოლექტიური იდენტურობის მთავარი ფაქტორია, რომლის გამარჯვების სურვილიც შეურბილ საზოგადოებას აერთიანებს და რაზმაც იმის ნინააღმდეგ, რაც ამ ერთობისათვის უცხო და მტრულია და რომლისგანაც საფრთხე მომდინარეობს. მარტივად რომ ვთქვათ, პირველი „ჩვენიანია“, მეორე კი უცხო და მტრული, რომელიც „ჩვენის“, „კეთილის“, „მართლის“ წინსვლას და კეთილდღეობას აფერხებს და

ხელს უშლის. ამიტომაც იმისათვის, რომ, მაგალითად, „საქართველოს გაუმარჯვოს!“, საჭიროა მტკრი – „ძირს!“, მისი დამარცხება. ამასთანავე საჭიროა მტკრის სახელდება, მისი სიმბოლური გავიზუალურება. „კრემლი“ მტკრის ასეთი განხილვადების სიმბოლოა. ეს მთავარი ნეგატიური სიმბოლო კიდევ უფრო მეტ გამოითოლოგიურობას საჭიროებს, რომელიც ბოროტების უნივერსალურ სიმბოლოებს გადაებმება. ასეთი ბეჭედებია, მაგალითად, „კრემლის ტოტალიტარული ურჩხული“, ან გველშაპი, რომელსაც ერთი მოჭრილი თავის ადგილას ორი ახალი თავი ამოსდის. ამ ტიპის ხატების შემოტანა მომიტინგეთა წწმენას აძლიერებს, რომ ჭეშმარიტება მათ მხარესაა და მთელ რიგ ხატოვან ასოციაციებს იწვევს, როგორიცაა წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის განადგურება, რომელიც „ძირს!“ შეძახილით მიტინგზე სიმბოლურად ხორციელდება და ამგვარად მომიტინგები დიდი მისტერიის თანამონანილენი ხდებიან. ამ რიტუალურ ქმედებას კი ყოველთვის ურყევი და უეჭველი რწმენა ამაგრებს, რომ „ჩვენთან არს ღმერთი!“, რაც საკუთარი სიმართლის, ჭეშმარიტების ერთადერთი „საბუთია“.

1991 წელს ერთ მიტინგზე, რომელიც ამჯერად უკვე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზეად გამსახურდისა წინააღმდევ იყო მიმართული, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა თავისი სიტყვა „ჩვენთან არს ღმერთით“ დაასრულა, შემდეგ შეყოვნდა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ თავისი ბოლო ნათეავამის ლოგიკური არგუმენტიც მოიტანა: „აბა, ღმერთი ზეად გამსახურდისათან ხომ არ იქნება?!“ ეს გამონათქვამი, ჩემი აზრით, მიტინგზე ლოგიკის ყველაზე ცხადი მაგალითია, რომელსაც საკმაოდ პრაქტიკული დაწინულებაც აქვს: ღმერთი, რომელიც ჩვენ მხარესაა, არა მხოლოდ ჩვენს სიმართლეს განასახიერებს, არამედ ის იმათ დამარცხებაშიც გვეხმარება, რომლებიც ჩვენს მხარეს არ არიან. „ღმერთმა გაანადგუროს ჩვენი მტკრები!“ – ხშირად შეულოცავდა ხოლმე ამ ფრაზით ზეად გამსახურდია, რასაც მომიტინგეთა ეფიზონიული ოვაციები მოჰყვებოდა. ღმერთის თანამონანილეობა სიკეთის, ანუ „ჩვენი“ გამარჯვების კიდევ ერთი გარანტია.

ლიდერის თუ პრეზიდენტის გამოჩენა და მისი სიტყვა მიტინგური ლიტურგიის კულმინაციაა, რომელსაც ხალხი მოუთმენლად ეღის საბოლოო ჭეშმარიტების გამოსაცხადებლად, რაც მიტინგური აზროვნების ერთ აუცილებელ ასპექტს გვიჩვენებს: საჭიროა არსებობდეს ვონმე, უმაღლესი ავტორიტეტის მქონე ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტებას თავისი სიტყვით ლეგიტიმურს გახდის.

ეს მარტივი სააზოვნო სტრუქტურა ბოლო 20 წელია ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას განსაზღვრავს და მთელი რიგი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების წარმმართველობა. თავად ამ ტიპის აზროვნება წარმოშობის პერმანენტული ზეიმისა თუ მასკარადის მდგომარეობას, რომელში მყოფი საზოგადოება უძლეურიც კია, დანახოს ის რეალობა, რომელიც ამ დღესასწაულის გარეთა. იგი სულ უფრო ღრმად ეფლობა მიტინგზე შექმნილ ირეალურ, გამოგონილ სამყაროში და სულ უფრო ადგილად სამართავი და მანიპულირებადი ხდება. თუ ვიდახი „ჯოს“, ვაფრიალებ დროშას, მკერდზემუშტემიბჯვენილი ვმდერი საქართველოს პარტიას, ეს უკვე იმის თვითკმარ ილუზიას მანიქებს, რომ თანამონანილე და თანაავტორი ვარ რაღაც დიდი საქმის, რომელიც მიტინგის ვირტუალურ სამყაროში ხორციელდება.

## „ჩვენ“

სხვადასხვა ეპოქაში ადამიანთა კოლექტიური იდენტობა და ერთობა განსხვავებულ ფორმებს ეფუძნება. ყველაზე არქაული და მარტივი ფორმა სისხლით ნათეაობაა, რომელიც საერთო წინაპრების ნიშნით რამდენიმე საგვარეულოს ერთ ტომად აერთანებს. ანტიკურ სამყაროში მოქალაქეების პრინციპი ჩრდება, შუა საუკუნეებში მონარქისადმი ლოიალურობა; საფრანგეთის რევოლუციის კი სამშობლოს და მისი „შვილებისგან“ შემდგარი ნაციის, ანუ ერის ცნებები შემოაქვს, რაც ნაციონალური სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის გაჩენის საფუ-

ხელი ხდება. ნაციონალიზმი „სისხლისა და მიწის“ ერთობის პრინციპს ეფუძნება, ანუ სამშობლო – ესა ერთი მონათესავე ხალხის ტერიტორია, მისი საკუთრება. ეს უფლება მას მემკვიდრეობითა აქეს საკუთარი წინაპრებისგან მიღებული. ამდენად, სამშობლო ისტორიული სამშობლოცა, რომელზეც შეიძლება ამჟამად სხვა წარმომავლობის, არამონათესავე ხალხი ცხოვრობდეს, მაგრამ საკუთარი თავის ისტორიულ მთლიანობაში განცდა ნაციონალისტს სამშობლოსაც „ისტორიულ საზღვრებში“ წარმოადგენნობს.

თუმცა კი ასეთი ისტორიზმი სულაც არ გულისხმობს ისტორიის ცოდნას ან გაგებას. ნაციონალიზმის აუცილებელი პირობაა გარკვეული ეროვნული მითოლოგიის შეთხვა, წარსულის მაგიურ ფიგურებად გაცოცხლება, რომლის მიზანიც ხალხში ეროვნული სიმაბის და ამ ნიშნით საკუთარი გამოჩეულობისა თუ განსაკუთრებულობის გრძნობის გაჩენაა. ასეთი გრძნობა კი ადვილად გადაიზრდება სხვების მიმართ საკუთარი აღმატებულობის მტკიცებაში. ამგვარმა დანამიკამ კაცობრიობა I და II მსოფლიო ომებამდე მიიყვანა და დასაცლეთის სახელმწიფოებს უარი ათევებინა ეთნოცენტრულ პრინციპზე დამყარებულ ნაციონალიზმზე, რამაც შესაძლებელი გახდა ის, რომ, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი ემიგრანტის შვილი იყოს და უნგრულ გვარს ატარებდეს, მაგრამ არცერთ ფრანგს არ ექვებოდეს მისი ფრანგობა.

ქართველი ერის ახალ ნაციად ჩამოყალიბება XIX საუკუნეში დაიწყო, საბჭოთა პერიოდში თეორიულად გაფორმდა და მიტინგების ეპოქაში კი ასპარეზზე გამოივიდა. მისი ეროვნული იდენტობა XIX საუკუნის ნაციონალიზმისა და ერის სტალინური განსაზღვრების („ერი – ესაა ისტორიული და ჩამოყალიბებული ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფინანსობრიული წყობის მყარი ერთობა“) წაზარებული აღმოცენდა, რომლის მიტინგურ აზროვნებაში გადატანამ ერთგვარი ვირტუალური რეალობა შექმნა, სადაც პოლიტიკური აზროვნების წარმმართველი მითოლოგიური და ლიტერატურული პერსონაჟების აღმოჩნდენ. მომავალი საქართველოს პროექტი, რომელიც 20 წლის წინ თბილისის მიტინგებზე გამოჩნდა, იყო საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურისა და პუმანიტარული კულტურის მიერ შეთხული ე.წ. კონტრაპრეზენტული მითი, გამითოლოგიურებული წარსული შექმნილი იდეალური საქართველო, უძველესი კულტურის, ნიმინდა გიორგივით ურჩხულებთან მებრძოლი, ლეთის შემობლის წილებვედრი, ნიკოფისიდან დარუბანდამდე გადატანილი, მუდამ მართალი და სიკეთისათვის მებრძოლი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს ყველაფერი განზოგადდა და გაფორმდა ქართულ მესამართში, რომელსაც ეროვნულმა მოძრაობამ და მიტინგებით შეუდაგა მის განხორციელებას.

პირველ რიგში, საჭირო იყო ეროვნული იდენტურობის მებრძოლებული მოძრაობამ ეთნოცენტრიზმი აირჩია (ალტერნატიული მოდელების არ ცოდნის და ვერ მოფიქრების გამ), რომელშიც ეროვნულობა არა სახელმწიფოებრივ ხარისხში, არამედ სისხლით მონათესავთა ეთნიკურ ერთობად გაიაზრება. ამიტომ, ქართველი საქართველოს ყველა მკვიდრი კი არა, არამედ მხოლოდ ეთნიკურად ქართველია, რაც უკვე საქართველოს მოსახლეობის 30%-ზე უარის თქმას, მათგან გამიჯვნას, მათ უცხოებად, საეჭვო და მტრულ ელემენტებად გამოცხადებან ნიშავდა. გარეშე მტრის, რუსეთის გვერდით შეიდაგა მებრძოლი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს ყველაფერი განზოგადდა და გაფორმდა ქართულ მესამართში, რომელსაც ეროვნულმა მოძრაობამ პოლიტიკური დოქტრინის სახე მისცა და მიტინგებით შეუდაგა მის განხორციელებას.

## მთრის სამი ხატი და ჩვენიათა ერთობა

პერმანენტული მიტინგების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია საქართველოს შედა თუ გარე მტრების მხილება და დაგმობა იყო. მიტინგების თან ახლდა მთელი სერია პუბლიკურად ლოგიკურად აღმოჩნდა.

მწერლები, ისტორიკოსები თუ ფილოლოგები ერთმანეთს ეჯაბრებოდნენ საქართველოს ნინააღმდევ ახალ-ახალი შეთქმულებების მხილებაში, დაწყებული იქიდან, რომ რომელიდაც ჰოლივუდურ ბოევიში ერთ-ერთი კრიმინალის გვარი რუსთაველია, რაც ქართველი ერის შეურაცხყოფად უნდა გავიგოთ, და დამთავრებული პანისლამური შეთქმულებებით ქართველი ერის ნინააღმდევ. მაღლ საქართველოს მცრავის სიაში აღმოჩნდა: „ქემალისტური თურქეთი“, „თურქი მესხები“, „აზსუა სეპარატისტები“, „ოსა ექსტრემისტები“, მასონები, იუზუიტები და ა.შ. თუკი ვეცდებით საქართველოს მტერთა კლასიფიკაციას, რომელიც მიტინგების ეპოქის საქართველოში გაჩნდა, სამი ძრითადი ხატის გამოყოფა შეიძლებოდა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ერთ მთლიანობას ქმნის, ანუ სამივე ერთი დიდი და საერთო მცრავის ჰიპოსტაზია.

კულტურული დიდი მტრის ხატი მიტინგების ეპოქის საქართველოში არის კრემლი, აბსოლუტური ბოროტების სიმბოლო, გველებაში, რომელსაც წმინდა გიორგი-საქართველო ეჭიდება. ეს გაიგვება საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვალდ გამსახურდის მიტინგურ რიტორიკაში სიკეთისა და ბოროტების ექსატოლოგიური ბრძოლის კონტექსტშია წარმოდგენილი (საილუსტრაციიდ შეგვიძლია გავიხსენოთ გამსახურდისა ლექსი „წმინდა გიორგის“ ციკლიდან „ეპისტოლი წირვა“: „შემუსარე უწმინდეურ დრაკონთა ორგაი, /იხსენი სამკვიდრო შენი გეორგია!“). მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას მთლიანად საქართველოს ანგილიშ-პერიულ აფექტად გარდასახავს: „წმინდა გიორგი-საქართველო ეპრძების და ამარცებს იმპერატორ დიოკლეტიანეს. ამის შედეგი კი ისაა, რომ ქართველი პოლიტიკოსი საკუთარ თავს ურჩისულთან მებრძოლად წარმოიდგენს და მიტინგური ქმედებით მას ამარცებს. როგორც გამსახურდია ირჩმუნებოდა, რომ საბჭოთა კაშირი მისმა მიტინგებმა დაანგრია, ასევე სააკაშვილის მიტინგური ლოგიკით, „მტრის ჯინაზე“ ომი მოვიგეთ, „მთელმა მსოფლიომ გაგვიცრო“ და ეს გამარჯვება იმპერიული რუსეთის განადგურების სანინდრი იქნება, რაც აუკილებლად საქართველოს გაბრწყინებამდე მიგვიყვანს. „საქართველოს გაბრწყინების“ – ამ ყოველგვარი აზრისაგან დაცლილი მაგიური გამონათქვამის – აღსრულების პირობა მის მთავარ მტერზე – რუსეთის იმპერიაზე გამარჯვებაა. საქართველო არის იმპერიულ ურჩისულთან მებრძოლი წმინდა გიორგი, რაც მისი ეროვნული თვითმყოფადობის არქეტიპად და იდეალისად იქცა. აქედან გამომდინარე, იგი პერმანენტულ საგანგებო თუ საომარ მდგომარეობაში იმყოფება და იძულებულია, თავი დიაცესა შიდა თუ გარეშე მტრებისაგან. საგანგებო მდგომარეობის ცნობიერება კი ხელისუფლების ადეკვატურ ფორმებს წარმოშობს, სადაც პრიორიტეტული სამშობლოს ხსნა, საქართველოს გაბრწყინებაა და არა ისეთი მეორეხარისხოვანი პიობლემები, როგორებიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლინობა, რომელთა დროც ახლა არ არის, რადგანაც ეს „ახლა“, მთელი ანტყო, საგანგებო მდგომარეობასთანაა გაიგივებული. გარდა ამისა, ხელისუფლება იძულებულიც კია მმართველობა მტრების ძებნის პარანოიაზე ააგოს, რათა პერმანენტული საომარი ვითარების ლოგიკიდან არ ამოვარდეს, რაც უკვე ეროვნული იდენტობის მთავარი სიმბოლოს – იმპერიულ ურჩისულთან ბრძოლის სიუსეებშია ჩადებული. ამით კი მტრის გამოაშეარავება უნდა მოხდეს, რომელიც არა მხოლოდ შორეულ კრემლშია, არამედ საქართველო უცყვრია თავისი „მებუთე კოლონებისა“ და „აგენტების“ მეცვეობით. ამდენად, მათთან ბრძოლა კრემლთან ბრძოლას ნიშნავს.

ასევე მიტინგებით და მიტინგური აზროვნებით გაღვივდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. დღეს შეიძლება ბევრს უკვე აღარც კი ახ-სოვდეს, რომ 1989 წლის აპრილის მიტინგები, რომელიც 9 აპრილის დარბევით დასრულდა, თავდაპირველად „აფსუა სეპარატისტების“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მიტინგური აზროვნების ლოგიკამ სა-შუალება არ მისცა ქართულ საზოგადოებას საერთო ენა გამოინახა აფხაზებთან და ოსებთან, რამდენადც ამ ლოგიკით ისინი უკვე გა-მიჯნული და გაუცხოებული იყვნენ ეთნიკურად ქართველებისაგან და არა როგორც საკუთარი ინტერესებისა და პრობლემების მქონე თუნდაც ეთნიკურ სუბიექტებად, არამედ კრემლის მეზუთე კოლონად და საქართველოს მტრებად აღიქმებოდნენ. ტენდენცია, რომლის უშუ-ალო ავტორიც ზეიად გამსახურდია იყო, აფხაზეთს, ისევე, როგორც ყოფილ სამხრეთ ისეთის ავტონომიურ ილქს, ეთნიკურად ქართულ ტერიტორიებად განიხილავდა, რომელზედაც სტუმრად აფხაზები და ოსებიც იმყოფებიან და „თუ მათ საკუთარი სახელმწიფოების შექმნა სურთ, საამისოდ ტერიტორია ჩრდილო კავკასიაში უნდა მოქმედნონ“.

მიტინგური აზროვნება არა მხოლოდ ეთნიკურად არაქართველს აუცხოებს საქართველოსგან, არამედ ქართველსაც, რომელსაც განსხვავებული, კრიტიკული, არამიტინგური აზრი და პოზიცია შეიძლება აღმოჩნდეს. მიტინგური აზროვნება ვერ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ვინმე, თანაც ეთნიკურად ქართველი, არ იზიარებდეს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, ან მისთვის მიუღებელი იყოს ის, რაც უმეტესობას უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია. ასეთი პიროვნება ვერ იქნება „ქართველი“: ის ან შემოპარული უცხოა ან მტრის (კრემლის, სუკის, ქემალისტური თურქეთის) აგენტი, რამდენადაც „ქართველობა“ უკვე იდეოლოგიური პოზიციაა, რომელზედაც მიზინგურ აზროვნებას მონოპოლია აქვს დამყარებული. ასე ჩნდება მტრის მესამე ხატი – აგენტი. ეს ცნება განსხვავებული აზრის გამორიცხვას ნიშნავს. აგენტი ჩვენიანთა ერთსულოვან ერთობაში შემოგზავნილია და სხვის, მტრის აზრებს იმეორებს, მის დავალებებს ასრულებს. ასეთი ლოგიკა კი პერმანენტულ საგანგებო მდგომარეობას, მუდმივი განგაშის კოლექტიურ პარანოიას წარმოშობს, რაც უკვე შიდა თუ გარე კონფლიქტებისა და შეიარაღებული დაპრისპირებების წინაპირობაა.

## მიზინილან მიზინებამდე

ზევიად გამსახურდია ხელისუფლებაში მიტინგებით მოვიდა და მიტინგებიდან ამოზრდილი სამოქალაქო ომით დაემხო. მან სახელმწიფოს მიტინგებით მართვის უზიკალური პრეცედენტი შექმნა, რომლის შედეგიც პოლიტიკური რეალიზმის სრული დაკარგვა, ეთნიკური კონფლიქტები და აგრესიული ნაციონალიზმი იყო.

მმართველობის ეს ფორმა ერთგვარ კრიზისში მოექცა ედუარდ შევარდაძის პრეზიდენტობის დროს, როდესაც მიტინგები ძველმა საბჭოურმა იუბილებმა და პარტიულმა ყრილობებმა შეცვალა. მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორი ღირშესანიშნავი მიტინგი ჩატარდა: პირველს (1993 წლის 14 სექტემბერს) საკუთარი ნებით გადამდგარი შევარდაძის თანამდებობაზე დაპრუნება მოჰყვა, მეორეს კი 2003 წლის ნოემბერში მისი თანამდებობიდან იძულებით გადაყენება. შევარდაძემ, როგორც პრემიტინგული ხანის პოლიტიკოსმა, „უარი თქვა მმართველობის მიტინგურ სტილზე“, რომელიც მისთვის სრულიად ბუნებრივად უცხო იყო, მაგრამ მიტინგური აზროვნების რესაკრალიზაცია სცადა, რაც სახელმწიფოში ეკლესის როლის გაზრდით და ამგვარად იდეოლოგიური ვაკუუმის შექცებით გამოიხატა. სწორედ მისი პრეზი-

მოანდომა. მიტინგი „ჰაი-ტექ“ სანახაობად გადაიქცა, რომლის ინსცენირებისათვის გამსახურდიას და შევარდნაძეს არც ფანტაზია და ენთუზიაზმი და არც ფინანსური საშუალებები არ ეყოფოდათ. წმინდა გიორგი, პრომეთე, „მზია და ზეზია“, პატრიოტთა ბანაკები, „ქართველების უძველესი ევროპელობა“ – ახალი მიტინგური იდეოლოგიის ძირითადი პისტულატებია. ამასთანავე, სააკაშვილმა მიტინგებზე სრული მონოპოლია გამოაცხადა. ხელისუფლება, რომელიც საკუთარ თავს ერთ გრანდიოზულ მიტინგთან აიგივებს, მას რევოლუციად რაცხავს და შემდგომ რევოლუცია მთავრობას აყალიბებს, რაღა თქმა უნდა, ვერ შეეგუება სხვის მიტინგს, რაც მისთვის მიტინგებზე სავტორო უფლების წართმევას და კონტრრევოლუციას ნიშნავს. აქედან გამომდინარე სრულიად ლოგიკურია 2007 წლის 7 ნოემბრის ოპოზიციური მიტინგის დარბევა.

სააკაშვილის ხელისუფლება გამსახურდიასგან განსხვავებით ეთნოცენტრიზმს ემიჯნება, მაგრამ ანტიიმპერიული აფექტის ერთგული რჩება და კიდევ უფრო მეტად აიგივებს თავს საკუთარი ეროვნული იდენტობის არქეტიპულ სიბილო – მეომარ წმინდანთან, რომელიც იმპერატორს მახვილით ამარცებს. ასეთი თვითიდენტიფიკაციის პო-

## მიზინები აზროვნების ასახვისთვის, მისი ხელასალი დაბალება საქართველოს

გესამი პრეზიდენტს უკავშირდება, რომელიც ხელისუფლების სათავეში მიზინებით მოვიდა. თავად

„ვარდების რევოლუციის“, რომელს ამ ხელისუფლების გესამის პეტის რანგში აყვანა და საირო

ეროვნულ დღესასწაულად გამოსახულება, მიზინები აზროვნების ახალ ტრიუფს მოასწორება.

დენტობის დროს დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის გასახელმწიფოებრიბა, რომელმაც იდეოლოგიური სამსახურის ფუნქცია შეიძინა და ფაქტორუად სეკულარულ დანესტებულებად იქცა. ნაციონალისტური მითოლოგიის თხზვა, მისგან მომავალი საქართველოს პროექტის შექმნა, სწორედ ეკლესის პრეროგატივა გახდა, რომელმაც XXI საუკუნეში საქართველო შუა საუკუნეების ცნობიერებაში გადაიყვანა.

მიტინგური აზროვნების რენესანსი, მისი ხელახალი დაბადება საქართველოს მესამე პრეზიდენტს უკავშირდება, რომელიც ხელისუფლების სათავეში მიტინგებით მოვიდა. თავად „ვარდების რევოლუციის“, როგორც ამ ხელისუფლების შესაქმის აქტის რანგში აყვანა და საერთო ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება და საკუთარი მიტინგების საკულტო ობიექტად („ვარდების რევოლუციის“ მოედანი) ქცევა, მიტინგური აზროვნების ახალ ტრიუმფს მოასწავებდა. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო ზვიად გამსახურდისა რეაბილიტაცია და გმირისა და მონამის შარავანდედით მისი შემოსვა. თუკი გამსახურდის მიტინგურობა საკმაოდ პრიმიტიულ ფორმებს (კარვები, „მდედროონი“, რუსეთისათვის „ეკონომიკური ბლოკადის“ მოწყობა სამტრედაში რეინიგზის გადაეტვით) არ გაცდნია, სააკაშვილმა მთელი შემოქმედებითი ენერგია სრულიად წარმატებულად მიტინგური ინსცენირების და ახალი ქართული ეროვნული მითოლოგიის შექმნას და მის სრულიად ახალ, „მოდერნიზირებულ“ რანგში აყვანას

ლიტიკური გამოვლინებაა სააკაშვილის სამხედრო-პატრიოტული იდეოლოგია, რომელიც ყველა საშუალებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ორ საარჩევნო პერიოდში გულისხმობს, რაც უკვე სამხედრო კონფრონტაციას რუსეთთან გარდაუვალს ხდიდა. რეალობის გრძელისა დაკარგვისა და არაადეკატურობის ხარისხმა კი თავის ზენიტს 2008 წლის 12 აგვისტოს და 1 სექტემბრის მიტინგებზე მიაღწია, როდესაც დაბომბილი და ნაწილობრივ იკუპირებული საქართველო დიდგორობას და მტერზე გამარჯვებას ზეიმობდა. 1 სექტემბერს წარმოთქმული სააკაშვილის სიტყვა კი ერთგვარი ნაზავი იყო XIX საუკუნის ნაციონალიზმისა და შუა საუკუნეების მესიანიზმის. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში „რუსული იმპერიალიზმი დასამარდება“ და „მთელი მსოფლიოს თავისუფლების ბედი აქ წყდება, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის წინამდლობრით“, ხოლო ჩვენ ვართ „ოქროს სამისის, არგონავტების ქვეყანა, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა“, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს. როდესაც სააკაშვილის ამ სიტყვებს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის ოვაციები და „მიშა“, „მიშა“-ს და „ვეოსა!“ შეძახილები მოჰყვა, მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გამოტანალა შეძლებოდა – საქართველო საკუთარ შეთხზულ მითოსურ სამყაროში მდენად ღრმადა ინტეგრირებული, რომ მისთვის სხვა რეალობა წარმოუდგენელიცა და მთელი ქვეყანა ამ ზღაპრის სიუჟეტის ლოგიკას ემორჩილება, ამ დღესასწაულს, რომელიც უკვე 20 წელია ჩვენთანაა და რომელსაც დასასრული არ უჩანს.

## „ომი – თუ ეს არის პასუხი, გაშინ კითხვა“

სულილურალაა დასხული“. ჩვენ ვეხალოთ დაგვესვა  
არა-სულილური კითხვები და მიზვალო პასუხი ამ  
კითხვებზე. ყველა კითხვას სხვალასხვა აღრისატი  
ჰყავს, მათ შორის ალან პარასტავი და ლიანა  
კვარჩხლია, არასამთავრობო ორგანიზაციის  
ნარმომალგანლებრი სამხრეთ რეათიფან და  
აფხაზეთილან. მათი მოსაზრებები, რაც არ უდება  
მტკიცებული იყოს ისინი, დღეს განსაკუთრებით  
მიღმერდოვნელ მიზარდია. ამ პროექტში ბევრი  
სხვა მტკიცებული და უძრთილი როგორი მომრიცხვა  
თვალსაზრისია, მაგრამ მხოლოდ მათი მოსხენის  
შემთხვევაში გაიძლება რეალობის აღეპვატური  
იცხოვარებასია. მაშ ასე, 10 კითხვა, 10 პასუხი.

# 10 კითხვა

ავტორი: ნინო გეგიშვილი, ნინო ლომაძე, ნინო ჯაფიაშვილი, შორის შავირლაშვილი

# ომი ჩვენი არჩევანი არ იყო

ჰქონდეთ თუ არა გათვლილი

ჩვენს ხელისუფლებას

ყველა შესაძლო სცენარი?

ნარმოებების თუ არა,

რომ რუსეთის აზრისია ასეთ

მასშტაბებს მიიღებდა?



გიგა ბოკერია

საგარეო საქმეთა  
მინისტრის მოადგილე

**დავინწყებ იმით,** რომ კითხვა არასწორადაა დასმუ-

ლი. ჩვენ არ გავითვლია რუსეთის რეაქცია, იმიტომ, რომ ეს არ ყოფილა ჩვენი სცენარი, ეს ჩვენ გვქონდა რეაქცია მათ თავდასხმაზე. რუსული რეგულარული არმია საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის 20 საათით უფრო ადრე შემოიჭრა, ვიდრე ქართული შეიარაღებული ნაწილები აქტიურ საომარ მოქმედებებში ჩაერთვებოდნენ. მეტსაც ვიტყოდი, საქართველოს ამის გარეშეც სრული უფლება პქნდა, საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე, იმ თავდასხმების ფონზე, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფ სოფლებზე (არასწორია „ქართული სოფლები“ რადგან ამ სოფლებში მხოლოდ ეთნიკური ქართველები არ ცხოვრობდნენ), გამოეყენებინა სამხედრო ძალა და შეეკავებინა ეს თავდასხმები. ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება წარუმატებლად ცდილობდა როგორც სეპარატისტული დე ფაქტო ხელისუფლების, ისე რუსი დიპლომატების თუ ე.წ. სამშეიდობოების ხელმძღვანელობის, ასევე ჩვენი საერთაშორისო მეგობრების მეშვეობით ამ აგრესის შეჩერებას. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება საერთოდ არ გამოიყოფა კონტაქტზე, ხოლო სამშეიდობოების ხელისუფლება საერთოდ არ გამოიყოფა კულახმეტოვი და პოპვი, გვიცხადებდნენ, რომ მათ აღარა აქვთ კონტროლი სეპარატისტების ხელმძღვანელობაზე, ვერ უკავშირდებიან კოკითს და ა. შ. რუსები იმავეს ეუბნებოდნენ ჩვენს საერთოშორისო მეგობრებს – ჩვენ უკვე აღარაფერი შევგიძლიაო. თავდასხმები გრძელდებოდა და 7 აგვისტოს, დილით, უკვე პირველი სამოქალაქო მსხვერპლი იყო. ყველაზე უფრო მძიმე თავდასხმა ავნევზე მოხდა, სადაც ქართველი სამშეიდობოები დაიღუპნენ. ჩვენ მტკიცებულებები გვაქვს და ვიცით, ვინ დგას ამის უკან.

ამ ფონზე ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებას პქნდა სრული უფლება, გაეკეთებინა ყველაფერი, რაც შეეძლო, რათა საკუთარი მოქალაქეები და ის ტერიტორია დაეცვა, რომელიც იმ მომენტში მისი კონტროლის

## კიონება

მასშტაბებს  
მიიღებდა?  
ჰქონდეთ თუ არა  
გათვლილი ჩვენი.

ქვეშ იყო. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისთვის გადამწყვეტი და საკვანძო მომენტი, ამ ყველაფერთან ერთად, ის უტყუარი მონაცემები გახლდათ, რომ რუსული რეგულარული არმია როკის გვირაბით, უკვე შემოჭრილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე საქმაოდ დიდი რაოდენობით და შემოსვლას კვლავ განაგრძობდა. შემდეგი დიდი ნაწილები შეიძიდან რვაში ღამით შემოვიდნენ. ჩვენი მხრიდან ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ, არათუ გაგრძელდა სროლები, არამედ, თამარაშენზე და ეკვზე ყველაზე მასირებული შეტევების განხორციელება დაიწყო. ასეთ დროს ქართულ ხელისუფლებას რაღაც უნდა ელონა, რომ საკუთარი ტერიტორია და მოსახლეობა დაეცვა.

კითხვაზე, ამ ვითარებაში რა არჩევანი ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ნებისმიერ დემოკრატიულ ხელისუფლებას, პასუხი მე არ მაქვს, თუ ვინმემ იცის, საინტერესო მოსასმენი იქნებოდა. უნდა გვასხოვდეს მთელი კონტექსტი, და გავიხსენოთ ისიც, წლების განვალობაში როგორ ცდილობდა საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაციას. ეს ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, რადგან ვთვლიდით, რომ რეალური სამშვიდობო პროცესის წარმართვა იმ პირობებში, როდესაც ძალა, რომელიც უსაფრთხოებას აკონტროლებს, არ არის ამაში დაინტერესებული, შეუძლებელია. ამაში ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმაც დაგვარწმუნა. უფრო მეტიც, უკანასკნელ პერიოდში ორივე მცდელობა – ჯერ ევროკავშირის, შემდეგ კი ეუთოს პრეზიდენტის, ბატონი სტუბის ინიციატივა შესვედრის თაობაზე სეპარატისტების მიერ დაიბლოკა. მანამდე რუსებმა, ასევე აფხაზი სეპარატისტების ხელით, ჩამალეს შეხვედრა შტაინმაიერის

გეგმასთან დაკავშირდებით. აგვისტოში პრეზიდენტმა მედვედევმა სააკაშილ-მედვედევის შეხვედრა ჩამალა. დამატებითი მილიტარიზაციით, რომელიც მანამდეც მიმდინარეობდა, განსაკუთრებით ჯავის რაიონში, რუსები დასავლეთის რეაქციას ცდიდნენ. აუცილებლად უნდა აიღინიშნოს ცნობილი გადმოფრენა, ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა რუსებმა ჩვენი საპატიო სივრცე დაარღვიეს, მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველად აღიარა – ჩვენ ვიყავთო. როცა ამას არ მოჰყავა ადევატური რეაქცია დასავლეთიდან, რუსეთმა თავისუფლად დაიწყო მოქმედება. ასე რომ, რუსეთის ინტერვენცია ნამდვილად არ ყოფილა რეაქცია ჩვენს ქმედებებზე, პირიქით, ეს იყო პასუხი რუსეთის აგრძესაზე.

თუ დავაზუსტებთ ამ კითხვას, ველოდით თუ არა, რომ რუსეთის აგრესია ასეთ მასშტაბებს მიიღებდა, გეტიკით, რომ ასეთი რამ ნამდვილად ძნელი წამოსადგენი იყო. ასეთ პოლიტიკაზე წასვლის განვირება არა მხოლოდ დაზვერების, არამედ, პოლიტიკური ანალიზის საქმეა, და ამაში ყველა ჩვენი მოკავშირე შეცდა. სამწუხაროდ, ეს არ ცვლიდა ჩვენი არჩევანის შეზღუდულობას იმ კრიტიკულ ვითარებაში.

რაც შეეხება საერთოშორისო რეაქციას, ვთვლი, ამან ცოტა დააგვიანა, მაგრამ ეს „ცოტა“ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში საკმაოდ ბევრს ნიშნავდა. ჩვენმა საუკეთესო მეგობრებმა, მათ მოკავშირეობაში ეჭვი არავის ეპარება, საფრთხეები სათანადოდ ვერ შეაფასეს. უკვე სრული ლუსტრაცია მოხდა იმისა, რა ტიპის და რა ინტენსივობის საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე რუსული პოლიტიკა მთელი მსოფლიო-სათვის და, განსაკუთრებით, მისი უშუალო მეზობლებისათვის. ის, რომ ლუსტრაცია სწორედ ახლა მოხდა, არ ნიშნავს, რომ მანამდე არ იყენებ ექსპერტები, პოლიტიკოსები ან, თუნდაც, ქვეყნების ლიდერები, ვინც ამას არ ხედავდა. თუმცა, შეფასების საერთო კრიტიკული მასა დღეს ამ მიმართულებით რადიკალურად შეიცვალა. ერთი შეცდომა ნამდვილად იყო ამის ვერდანახვა იქმდე, სანამ ეს არ მოხდა.

ჩვენი „მეგობრული კრიტიკა“ მდგომარეობს იმაში, რომ, რა თქმა უნდა, იყო პროვოკაციები და თავდასხმები, მაგრამ მაინც სჯობდა, სამხედრო ძალისათვის არ მიგვემართა. ახალი დამატებითი მტკიცებულებების ფონზე, ჩვენს მეგობრებს კიდევ უფრო ურთულდებათ პასუხი კითხვაზე – რა არჩევანი ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას? ადვილია იმის თქმა, რომ ეს ნაბიჯი არ იყო „ბრძული“, მაგრამ საღა პასუხი კითხვაზე, რა ნაბიჯი უნდა ყოფილიყო გადაგდებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, მე არ მომისმენია.

**ჩვენ არ გაგვითვლია რუსეთის რეაქცია, იმიტომ,**  
**რომ ეს არ ყოფილა ჩვენი სევანარი, ეს ჩვენ გვერდეა**  
**რეაქცია მათ თავდასხმაზე. რუსელი რეგულარული**  
**არმია საქართველოს ტერიტორიიზე თითქმის 20**  
**საათით უფრო ადრე გამოიშრა, ვიდრე ეკართული**  
**შიგარალაზელი დაილებას ეპისურ სამარ**  
**მოქადაგებაში ჩაითვალითავ.**

# კითხვა II

## ჩვენი არჩევანი არ ყოფილა მშვიდობა



**კათა ზაქარებიშვილი**

რესპუბლიკური პარტია

### ბოლო ოთხი წლის

**განვითარებაში,  
არსებობდა თუ არა  
ლიალორმატიური  
პოლიტიკის  
თავიდან ასაცილებლად?**

**მოკლედ შევეხოთ** შევარდნაძის პერიოდს, რადგან სწორედ შევარდნაძემ დაგვიტოვა მეტყვიდრეობად ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. დღევანდელი გადმოსახედიდან რომ შევაფასოთ, თამამად შეიძლება ითქვას, 1992 წელს ცხინვალის რეგიონში შეწყვეტილი საომარი მოქმედება, რომელიც 2003 წლისთვის დაგომისის ხელშეკრულებით დასრულდა, დაღებითი დანამიკით ხასიათდებოდა. ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები (და ასეთია მთიანი ყარაბახის კონფლიქტი - სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, კოსოვოს კონფლიქტი - სერბებსა და ალბანელებს შორის, ჩრდილოეთ კეიპირისის კონფლიქტი - ბერძნებსა და თურქებს შორის, აფხაზეთის კონფლიქტი) ძნელად გვარდება. ამ ტიპის შერიგება ხალხთა შორის დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში სხვაგან არსად მომხდარა. ამ ათი წლის განმავლობაში ქართველები და ოსები ყოფით დონეზე შერგდნენ - იყო ვაჭრობა, სოფლებს შორის მიმოსვლა, განახლდა შერეული ქორწინებები, აღდგა გზები, გაიხსნა ბაზრობები. არსებულ ურთიერთობებს და დინამიკას აქლდა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ეს ყველაფერი ოსების ქართველების მიმართ ბუნებრივი ლტოლვის გამო მოხდა. ოსები ქართულ ქართველებით კარგად ფლობდნენ, რუსულს კი ისევე, როგორც წვენ. ბევრ მათგანს ქართული გვარიც კი აქვთ. ჩემი აზრით, სწორედ ამ კულტურულმა ფენომენმა განაპირობა ის, რომ ოსები გვაპატივს ბევრი რამ. უნდა ვალიაროთ, ჩვენ არ მოვიქეცით კარგად 1990-1992 წლებში. ისინი ითხოვდნენ და ელოდნენ, რომ ვალიარებდით შეცდომებს, თუმცა, რაც დრო გადოოდა, ამის იმედიც უქრებოდათ..

2004 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილმა იოლად გადააგდო აპაშიძის ხელისუფლება, მანამდე კი შევარდნაძე - ჩათვალა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტიც იოლი მოსაგვარებელი იყო. აპაშიძის და შევარდნაძის უკან ხალხი არ იდგა, კოკიოთის უკან კი ოსები დადგნენ, რომლებსაც კოკიოთი არ მოსწონდათ, მაგრამ კარგად ახსოვდათ, რაც ქართველებმა 90-იან წლებში ჩაიდინეს. ამიტომ, 2004 წლის ზაფხულში, სააკაშვილისა და ოქრუაშვილის მიერ არასწორად დაგეგმილ ჰუმანიტარულ შტურმს სისხლისღრა მოჰყვა. მაშინ, ზურაბ უვანიას ფაქტორის გათვალისწინებით, ქართულ ხელისუფლებას ეყო ჭკუა, რომ საომარი მოქმედებები გაეჩერებინა და გადასულიყო შეთავაზებებზე. მთელი 2005 წელი შეთავაზებების წელი იყო, დაწესებული სააკაშვილის სტრასბურგში ევროპის საბჭოს სხდომაზე გამოსცვლით და დამთავრებული ცნობილი ლუბლიანის დოკუმენტით. დადებითი დინამიკის კულტინაცია მოდის 2005 წლის 12 დეკემბერზე, როდესაც კოკიოთმა წერილი გამოიუგზავნა სააკაშვილის, სადაც ჩვენი წინადადებები იყო გადამლერებული. მაშინ პრემიერ-მინისტრი წინადადები გაკვირვებული ამბობდა, ეს ხომ ჩვენი წინადადებებიათ. მან ისიც თქვა - ამ წინადადებებზე თანახმა ვართ და მზად ვართ კოკიოთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ვითანამშრომლოთთ. ამ პროცესის პარალელურად გამოდის მერაბიშვილი დიდი „ზერით“, სადაც კოკიოთის კრიმინალური კაგშირების სქემები იყო წარმოდგენილი და ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი კრიმინალია კოკიოთი და როგორ არ შეიძლება მასთან საქმის დაჭერა. ეს აშკარად სამშვიდობო პროცესების საწინააღმდეგო გაეტდა. იმ დროისათვის, ქართულ ხელისუფლებაში იყო სხვადასხვა ბანაკები.

ასეთივე სურათი იყო აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაშიც. ამ მიმართულებით მუშაობდა ირაკლი აღასანია, რომელმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწია აფხაზურ მხარესთან მიღლაპარაკებებში, და, ამავე დროს, იყო მეორე ფრთა, რომელმაც კოდორის მოვლენები მოაწყო. იმის თქმა, რომ ოსები არაფერზე არ თანხმდებოდნენ, შეთხული ზღაპარია, პირიქით, თავად მოდიოდნენ შემოთავაზებებით. 2005 წლის დეკემბერში, სწორედ მაშინ, როცა კოკიოთმა ზემოთ ნახსენები წერილი გამოგვიგზავნა, სააკაშვილმა თქვა, რომ აპირებს შეხვდეს ბაზაფშს და ხელი მოაწეროს შეთანხმებას საომარი მოქმედების განუაღლებლობის შესახებ, რომლის ძირითადი ტექსტი ქართულმა მხარემ მომზადა. ამას მოჰყვა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელმაც კოკიოთის წინადადებები განიხილა. ეს ხდება 2005 წლის ბოლომდე, და უცეს, 2006 წლის დასა-

წყისში, ქართული ხელისუფლება აცხადებს, რომ არა აქვს არანაირი სურვილი იღვაპარაკოს აფხაზებთან და ოსებთან. ამ დროს შეიცვალა ხელისუფლების პოლიტიკა. რაღაც მოხდა. ჩემი აზრით, მოხდა ის, რომ ხელისუფლება გაიმუარა მერაპიშვილმა. 2006 წლის დასაწყისში კიდევ მიღიოდა რაღაც მოღაპარაებები, შემდეგ იყო კოდორის მოვლენები. ცხინვალის მიმრთულებით შეიქმნა სანაკოევის პროექტი. ამ პროექტისთვის სიმძაფრუ რომ შეეძინათ, სახაკოევი დასვეს არა თბილისში, ან, თუნდაც, გორში, ანდა შიდა ქართლის რომელიმე არათვალშისაც ქართულ სოფელში, არამედ პირდაპირ ცხინვალისა და ჯავას გზაზე – სოფელ ქურთაში. ამით გადაიკეტა პირდაპირ გზა, რომლითაც 1992 წლიდან მოყვლებული სარგებლობდნენ ქართველები და ოსები. ასე საერთოდ ქრება ყოველგვარი ურთიერთობები. ამ დროისათვის აზრი ეკარგება შერეული საკონტროლო კომისიების სხდომების გამართვასაც. მას შემდეგ, რაც გოგა ხაინდრავა შეცვალა მერაბ ანთაძით, ეს შეხვედრები პრაქტიკულად შეწყდა. ჩენ, საკუთარი სურვილით, გამოვედით იმ წინადაღების ფორმატიდან, რომელიც თვითონვე შევქმნით.

2004 წლის ზაფხულის ესკალაციის დროს მოხდა ქართველებისთვის სამარცხინო ფაქტი, როცა ოსებმა დაარიქეს ახალგაზრდა ქართველი პოლიციელები. ამ სპექტაკლში სულ რამდენიმე ისა მონაწლეობდა და 2008 წლის 3 ივნისს ამ ოსთაგან უკანასწერელი – ბიბილოვი, სოფელ დმტნისის პოლიციის უფროსი, ნაღმზე აფეთქდა საკუთარ ეზოში. დანარჩენები მანამდე მოკლეს, თანაც, ყველა ტერაქტის საშუალებით. 2004 წლამდე, 1992 წლის ხელშეკრულების შესაბამისად, ქართულ მხარეს ეკავა ყველა სტრატეგიული სიმაღლე ცხინვალის გარშემო, მათ შორის, სარაბუკის მთაც. 2004 წლის ზაფხულის ნარემატებელი სამხედრო ოპერაციის შემდეგ, ეს სიმაღლეები ჩამოგვერთვა და მას არც ისები და არც ქართველები აღარ აკონტროლებდნენ. ბიბილოვის სიკედლიდან არ საათში, წვერიახოს შემოვლით გზაზე, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებდა და მხოლოდ ქართულ სოფელზე გადიოდა, ნაღმზე ფეთქება სახაკოევის მანქანა. ამ აფეთქების შედეგად არავინ დალუპულა. ქართულმა მხარემ მამინვე განაცხადა – ეს ისებმა გააკეთეს. თუმცა, ტერაქტის ადგილას არ მიუშევს არც სამშვიდობოები და არც ეუთოს ნარმომადგენლი. იქვე თექა ისიც, რომ სწორედ სარაბუკის მხრიდან გადმოვიდნენ ისები და ამიტომ, ეს მთა ქართველებმა უნდა გავაკონტროლოთ. 3 ივნისის შემდეგ დაიწყო ბრძოლები სარაბუკის მთის დასაკუპლად. ხან ქართველები იყვანებდნენ, ხან ისები. ივლისში ძირითადად ქართველები ფლობდნენ სარაბუკის სტრატეგიულ სიმაღლეს. 1 აგვისტოს ჩენი პოლიციელების მიმართ ხორციელდება ტერაქტი, სადაც ასევე არავინ იღუპება. ისევ არ მიუშევს ტერაქტის ადგილს ეუთო და სამშვიდობოები. ასეთ დროს არ შეიძლება, არ გაგასხენდეს ის, თუ რა მოხდა 21 მაისს ცხინვალიდან შორს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში. მაშინ აფეთქდა ორი ავტობუსი, რაც დაბრალდა აფხაზებს, თუმცა შემდეგ დამტკიცდა, რომ ეს აფეთქებები ქართული მხარის მიერ ყოფილა მოწყობილი. ძნელია, ამ ფაქტის შემდეგ ქართულ მხარეს სიტყვაზე ენდო. როდესაც საკუშვილი გამოიგდა 7 აგვისტოს საღამის, მან მხოლოდ 3

ივლისისა და 1 აგვისტოს ტერაქტები ახსენა. გარდა ამ ორი ტერაქტისა, მას არ გახსენებია სხვა არაფერი, მაგალითად, ბრძოლები სარაბუკის მთის დასაკუპლად. ამან კიდევ უფრო გამიყარა ჩემი თვალსაზრისი, რომ შეიძლება ეს ტერაქტები ჩვენივე მოწყობილი იყოს, მით უმეტეს, რომ ამ ტერაქტების დროს არავინ დალუპულა, მხოლოდ დაიჭრენ, ისევე, როგორც ხურჩაში ინსცენირების დროს დაიჭრა ერთი გალელი ქალბაზონი. შეიძლება, ქართველებს სურდათ გაეთამაშებინათ სცენა, რომ ისებმა შური იძიეს ბიბილოვის მეცნიერებისათვის. ქართულ მხარეს არ წარმოუდგენა არანარი მტკიცებულება და ახლა გადაჭირით რამეს მტკიცება ძნელია.

ამ წერტილიდნ იწყება სწორე 7 აგვისტოს კატასტროფა. ქართულ მხარეს სურდა მოტყუებით დაეკავებინა 2004 წელს დაკარგული სიმაღლეები, მათ შორის, სარაბუკის მთა. როდესაც იმარჯვებ, პრობლემა არ არის, როგორც ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებრ,

მაგრამ რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ. სარაბუკის მთის გარშემო ბრძოლების დროს რუსებმა დაანწეული მოსახლეობის პიარ-კამპანიით გაყვანა ცხინვალიდან და ოსერი სოფლებით გადასახლდებოდნენ, საკითხავია, ჩენ რატოლი არ დავინუება? რუსებმა კარგად „გვაჭამეს“, როგორც ჩანს, ვიდაცა დააჯერეს, რომ იოლად ჩაბარების გადასახლდებოდნენ, ამ ფონზე 7 აგვისტოს ტერაქტის დროს ეს მიმდევ რატოლი არ გამოიცხავდა, რუსები თითქოს გვაგულია ნებდნენ. ეს აისტერგის ზედა ნანილი იყო. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველები დარწმუნებულები იყვნენ, ცხინვალის აილბდნენ. შექმნეს რაღაც მითი და შემდეგ თავადვე ინტენსეს ეს მითი. რაზე სუბრობდენ კულაბეტოვი და იაკობაშვილი შეხვედრუსზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ საკამევილი 7 აგვისტოს საღამის, ჩემი აზრით, გულნრეფელად ლაპარაკობდა ცეცხლის შეწყვეტაზე. დაახლოებით დამის 10 საათზე ქართული სოფლების მასიურებლად დაბომბება დანწყო. ვფიქრობ, რომ ისებმა მოინდომეს იმ გზის გათავისუფლება, რომელიც სააკამევილმა სანაკოევს პროექტით ჩაუკეთა, რის გამოც მათ შემოვლითი გზით უზღდებოდათ მოძრაობა. სააკამევილმა სანაკოევს სახით ხაფანგი დაუგო ისებს, შემდეგ კი თვითონ გაეხა ამ ხაფანგში. 7 აგვისტოს დამით, სააკამევილი დადგა დილემის წინაშე, – დილით გაიღიებდა საქართველო და ქართული სოფლები დაკარგული აღმოჩნდებოდა. და რა უნდა ექნა? გასცა ბრძნება დაეწყოთ სამარი მოქმედებები.

დილის 9 საათზე „რუსთავი 2“ გადმოსცემს, რომ აღებულია 12 ოსური სოფელი და ნახევარი ცხინვალი, ერთ ღამეში ასეთი საბრძოლო წარმატება წარმოუდენელია. როგორც თავის დროზე შეგვიტყუეს აფხაზეთში, ისევე შეგვიტყუეს ცხინვალში. ვინც სააკამევილს უთხრა, ცხინვალი ავილოთ, ის ნამდვილად მიბმულია რუსეთზე. ის ლეგნდა, რომ როკის გვირაბიდან უკვე რუსული არმა შემოდიოდა, შემდეგ შეითხმა და ამას თუნდაც ისიც მტკიცებს, რომ 7 აგვისტოს, საღამის 10 საათზე, „რუსთავი 2-ზე“ გამოდის მეთუ ბრაზია, რომელმაც უკვე ყველაფერი იცის. ის ამბობს, რომ ოსურმა მხარემ გაუსწინა ცეცხლი ქართველებს, და არაფერს ამბობს როკის გვირაბზე. რომ ყოფილიყო, არ იტყოდა? იქვე სანაკოევის ჩართვა ხდება. არც სანაკოევს უხსენებია რუსი სამხედროებით სავსე როკის გვირაბი. არც გენერალმა ყურაბელმა არ თქვა არაფერი როკის გვირაბზე, ისე გამოაცხადა კონსტიტუციური წესრიგის აღდენის სამხედრო ბერების დანწყობის შესახებ. რუსების შემოსვლა როკის გვირაბის შემოდიოდან ხდებოდა მთელი ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში. რუსები შემოდიოდნენ როგორც 7-ში, ისე 6-ში, და უფრო ადრეც. მე პრესით ამის შესახებ უკვე 31 ივლისს განვაცხადე, რომ ცხინვალში რუსები არიან. ჩენ ვერაგულად შეგვიტყუეს ცხინვალში. რეალურად, ცხინვალში შესვლამდე არსებობდა ამის თავიდან აცილების შესახებ. რუსების შესახებ უკვე 7-ში, ისე გამოაცხადა კონსტიტუციური წესრიგის აღდენის სამხედრო ბერების დანწყობის შესახებ. რუსების შემოსვლა როკის გვირაბის შემოდიოდნენ როგორც 7-ში, ისე 6-ში, და უფრო ადრეც. მე პრესით ამის შესახებ უკვე 31 ივლისს განვაცხადე, რომ ცხინვალში რუსები არიან. ჩენ ვერაგულად შეგვიტყუეს ცხინვალში. რეალურად, ცხინვალში შესვლამდე არსებობდა ამის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც ჩენ არ გამოვიყენეთ.

## რუსების შემოსვლა როის გვირაბიდან ცეცხლა მოასი

### ივლისის და აგვისტოს განვაცხადე. რუსები შემოსირდენ

#### როგორს 7-ში, ისე 6-ში, და უფრო აღრეს. მე პრესით ამის

#### შესახებ უკვე 31 ივლისს განვაცხადე, რომ ცხინვალში რუსები არიან. ჩენ ვერაგუ-

#### არიან. ჩენ ვერაგულად განვაცხადე. რუსები არიან. ჩენ ვერაგუ-

#### ცეცხლალში განვაცხადე არარალდა ამ როის თავიდან

#### აცილების განვაცხადე. რომელიც ჩენ არ გამოვიყენეთ.



გიორგი მარგვალაშვილი  
ფილოსოფოსი

# კიბევა III

## გეოპოლიტიკური ილუზიები

შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს  
რესენტაციური კონსტიტუციული ურთიერთობები  
ჰქონდა და კონფლიქტის სამხედრო  
კონფრონტაციაში არ ბაჟაზრილიყო?

### ქართულ-რუსული

ურთიერთობების განხილვა აუცილებლად უნდა დაიწინოთ იმით, რომ ორივე ქვეყანა გარდამავალ, პოსტსაბჭოთა პერიოდშია და ორივე თავის ახალ როლს ექვებს. რუსეთი, ისევე, როგორც საქართველო, ამ გარდამავალ პერიოდში სტრესიდან უნდა გათავისუფლებულიყო და მერე, როგორც თავისი მოსახლეობისათვის, ისე მსოფლიოსთვის უნდა ეწვენებონა, რას ნარმოადგენს და რად უნდა, რომ იქნეს მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში. ახალი როლის ძიება პუტინის გაძლიერებასთან ერთად ხდება. პუტინმა ქვეყანა ეკონომიკურად წელში გამართა, ადმინისტრაციული სისტემა დაალაგა, თავისი კონტროლირებად მასმედიით და კონტროლირებად პოლიტიკით. სამწუხაროდ, ჩვენთვის, მთელი ცივილიზაციული მსოფლიოსთვის და თავად რუსეთისთვის, რუსეთმა გადაწყვიტა, რომ უახლოესი მეზობლების, დასტაციების მარეგულირებელი, მაკონტროლებელი ძალა უნდა იყოს არა ისე, როგორც ეს თავის დროზე ჩუბაისს ნარმოედგინა, ეკონომიკური რეგულირების უფრო თანამედროვე ხერხებით. დღვეანდელ რუსეთს იარაღით, თვითმფრინავებით და ტანკებით ძალის დემონსტრირება სურს. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან ესა რუსეთის პრეზენტაცია „ნარმატება“ მეტნაკლებად ფეხში დადგომის შემდეგ. თუ ეს „ნარმატება“ ძალიან ძირიად არ დაუსვა დასავლეთმა, ეს იქნება ის ახალი როლი, რომელშიც რუსეთი შევა.

— არ ვიცი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ამ ოთხ თვეში ყველაფერი დაწყნარდება და საქართველოს თემაც არ იქნება აქტუალური. პუტინმა მოითხოვა ჩემი მოხსნა ეთერიდან იმისათვის, რომ საქართველოს თემის სსენებაც არ იყოს, მიიღო ახალ წლამდე. — ამბობს ნოვოდვორსკაია.

ამგვარად, ლიბერალების რადიკალური და, ნოვოდვორსკაიას შემთხვევაში, მარგანალური წრეებისთვის რუსეთის დამოუკიდებელი მედია დროებით დაიხურა. თუმცა, საეჭვოა, რომ კრემლი მხოლოდ ამ სანქციებით დაკმაყოფილდეს. ახლახან გავრცელდა რუსი ექსტრემისტების მიმართვა, რომლებიც ხელისუფლებას „ეხოს“ დახურვას და ამ რადიოსადგურში მომუშავე უურნალისტების გასამართლებას მოსთხოვენ. ამდენად, საფრთხის ქვეშ, შესაძლოა, არარადიკალი ლიბერალებიც აღმოჩნდნენ.

## არარადიკალები ლიბერალები

საქართველოს თემისა და ზოგადად რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის შეფასებების კუთხით არაერთგვაროვანია ე.ნ. არარადიკალური ლიბერალური საზოგადოება. აგვისტოს ომის კონტექსტში, მას ორ კატეგორიად დავყოფილი. პირველი — ადამიანები, ვინც მხოლოდ სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე საუბრობენ და მეორე, ისინი, ვინც ცხინვალის მოვლენებზე სრულ და ობიექტურ ინფორმაციას მოითხოვენ. მე ორივე პოზიციის მქონე უურნალისტებს ვესაუბრეორივე „ეხოს“ თანამშრომელია: სვეტლანა სორიკინა და მატვეი განაპოლსკი. სვეტლანა პოზიცია კატეგორიულია. კონფლიქტის დაწყებაში ის სააკაშვილს ადანაშაულებს.


### სვეტლანა სორიკინა:

— ვფიქრობ, რომ ბატონი სააკაშვილი ძალიან ეცადა შეექმნა ისეთი სიტუაცია, საიდანაც გამოსავალი აღარ არის. ამ კონკრეტულ ომში გამარჯვებული არ არსებობს და ის, რომ სააკაშვილმა დაწყო ეს პროცესი, ეს მისი უპატივებელი შეცდომაა ქართველი ხალხის წინაშე.

ე.ხ. — რითი გაამართლებდით რუსი სამხედროების შემოსვლას ზუგდიდში, სენაკში,



„ჩვენი უდა ემინლეთ“, „ჩვენ საუკათასონი ვართ“, „ბატონი ყოველთვის მართალია, ის-არნივია“. აი, სონრაც ასეთ პრიმიტიულ ნარმოლგებას ჩვენი ოფიციალური პროკაგალეა ისე ეფილება, რომორც კარაჟი ჩუსულ „პლილებს“ – მარტივად და ნაზალ“ და შემ 70 პროცენტიანი „ოდობრიამსიც“ გარანტირებული გაქვს.



ფოთში... პირდაპირ ოკუპაციას. რატომ არ აპროტესტებდით თბილისის დაბომბვას?

– მოიცავეთ და რა, ეს თბილისის დაბომბვა იყო?

– ნამდვილად იყო!

– ნუ აზვიადებთ. არავის დაუბომბავს თბილისი. არ დაუბომბავს. რატომ საუბრობთ ასე!

– თუ თქვენ რუსთაველის გამზირს გულისხმობთ, მართალია, ის არ დაუბომბავთ. მაგრამ კოჯორი, ვაზიანის აეროდრომი ნამდვილად დაიბომბა. ამას გარდა ფოთი...

– არა, არა. ერთი წუთით, რა შუაშია ფოთი. თქვენ თქვით, როცა ბომბავდნენ თბილისის, ხოდა, არ დაუბომბავთ თბილისი.

– სვეტლანა, აგარაჟი გვაქვს შინდისში (თბილისის შინდისში), ღამით საკუთარი თვალით ვუყურებდი როგორ გადმოიყრინა თვითმფრინავმა და როგორ დაბომბა კოჯორი. ნუ ვიკამათებთ.

რა თქმა უნდა, სოროკინა ამბობს, რომ სულაც არ გაუხარდა ის, რაც მოხდა. მისი აზრით, ადეკვატური იყო ევროსამიტის გადაწყვეტილება, რომელმაც, მართალია, არ გაამართლა რუსეთი, მაგრამ არც მკაცრი სანქციები დაუწესა. სვეტლანას განწყობას არ იზიარებს მატვეი განაპოლსკი, რომელსაც ლრმად სხამს, რომ ევროსამიტის გადაწყვეტილება რუსეთსა და მის საზოგადოებას ნამდვილად არ უნდა ამშვიდებდეს. ცნობილი რუსი უურნალისტი ფიქრობს, რომ ევროპამ მოქმედების საკუთარი, განსაკუთრებული გზა აირჩია.

**მატვეი განაპოლსკი:** „არანაირი ხისტი განცხადებები და მკაცრი სანქციები არ ყოფილა. და, ერთი შეხედვით, შეიძლება დაეთანხმო დიმიტრი როგოზინის ფრაზას, რომ „მთამ შვა თაგვი“, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ჩემთვის, როგორც რუსეთის მოქალაქეოსათვის, ძალიან მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელი რამ მოხდა: დასავლეთი მიხვდა, რომ რუსეთი მზად არის ითამაშოს თავისი წესებით და შემდეგ ეს წესები ყველასათვის საგალდებულოდ გამოაცხადოს. რუსეთი მიიჩნევს, რომ მოვიდა დრო, როდესაც ის განსაზღვრავს წესებს. ვფიქრობ, დასავლეთი ამას მიხვდა და დასავლეთი ამან შემჭოთა. და ის მოჩვენებითი სირბილე, რომლითაც ევროპელები რუსეთს მოექცნენ, ამ უკანასკნელს არ უნდა აწყნარებდეს. ევროპა მიხვდა, რომ რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყნაა, რომ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია მოხდეს 21-ე საუკუნეში, 2008 წელს. ხაზს ვუსვამ – ევროპა მიხვდა ამას, თორემ შეერთებულ შტატებს არც არასადროს უფიქრია სხვაგვარად“.

## ისტორია

საინტერესო პოლიტიკური ანალიზის გარდა, მატევესიგან ჩემს მთავარ კითხვაზე მინდა პასუხის მიღება. რუსული ინტელიგენცია, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში მოსკოვის ქუჩებში საქართველოს მხარდასაჭრი აქციით გამოვიდა, („Эхо Москвы“-ს მიერ ორგანიზებული აქცია „Я Грузин“), ამ დღეებში დუმდა. საქართველოს ხელისუფლებას რუსი ლიბერალები მაშინაც აკრიტიკებდნენ, თუმცა ამას ხელი არ შეუძლია მათვის, გაეპროტესტებინათ ქართველების დამამცირებელი და ანტიუმანური დეპორტაცია და დევნა. აგვისტოს დღეებში რუსული ინტელიგენცია სხვაგვარად მოიქცა, რატომ? განაპოლსკი ამბობს, რომ ამ ინერტულობისთვის ის რუსულ ინტელიგენციას ვერ გააპრიტიკებს. ის განმარტავს, რომ ამ ადამიანებს სრული და ობიექტური ინფორმაცია სჭირდებათ.

**მატვეი განაპოლსკი:** „იმ ხალხს საქართველოში, რომელსაც დღეს რუსი ლიბერალების დუმილის მიზეზი აინტერესებს, ვეტყოდი, რომ მრავალათასიანი საპროტესტო ჯაჭვის პარალელურად (რომელსაც მე მართლა გულწრფელად მივესალმები), სწორედ თქვენ უნდა გახდეთ კატალიზატორი, შესაძლოა, არასასურველი გამოიძიებისა იმის შესახებ, თუ რა მოხდა ცხინვალში. მესმის, რომ ეს ჩემი შეკითხვები შეიძლება ვინებს არ მოეწონოს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსი მშვიდობისმყოფები (თუნდაც ფორმალურად მშვიდობისმყოფები) ვიღლაცამ ნამდვილად პირდაპირი დამიზნებით დაცხრილა და ცხინვალს ნამდვილად ვიღაცა უშენდა ბომბდამშენებს. აი, სწორედ ეს, რეალური დაზარალებულები, ვიმეორებ, რეალური დაზარალებულები, ხელს უშლიან რუსულ ინტელიგენციას გამოვიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს ამ ომში რუსეთის მთავრობის პოლიტიკა.“

რატომდაც მგონია, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ობიექტური ინფორმაციის პირდებშიც კი, რუსული ინტელიგენცია ქუჩაში მაინც ვერ გამოვიდოდა. ამ კონკრეტული ომის ფონზე, როდესაც მსოფლიომ უცრად აღმოჩინა, რომ რუსეთი რეაციანტი და დამაშავეა, კრემლს საკუთარი ხალხის ასპროცენტიანი მხარდაჭრა დასჭირდა (ოფიციალური მონაცემებით, დღეს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას ამ ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს). და თუკი პარალელს საქართველოსთან გავაღებთ, იმასაც შევნიშნავთ, რომ კონკრეტულ და ობიექტურ კითხვებს ხელისუფლების მისამართით, რუსული საზოგადოებისაგან განსხვავებით, საქართველოში უფრო მეტად და უფრო თა-

მამად სვამენ. ამ კითხვებს სვამს ოპოზიცია (ან მისი ნაწილი), მედია (ან მისი ნაწილი), არასამთავრობო სექტორი (ან მისი ნაწილი), ან ბოლოს და ბოლოს გამყიდველი მაღაზიაში, პურს რომ გყიდით. გესმით? საზოგადოებაა აქ სხვაგვარი. ერთიანობის ჯაჭვები ბევრი იპოზიციონერი ან ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი შემხვდა და ამ აქციაში მონაწილეობას მათვის ზემოხსნებული კითხვების დასმისთვის ხელი არ შეუძლია.

და ისევ რუსულ საზოგადოებასა და მის ლიბერალურ ნაწილს რომ მივუბრუნდეთ, გეტყვით, რომ სწორედ აგვისტოს მოვლენები იყო იმ დიდი ილუზის დასასრული, რომელსაც მეორე რუსეთი ერქვა და რაზეც თავად მატვეი განაპოლსკი სულ ორიოდე თვის წინ თბილისში თავად საუბრობდა.

### განაპოლსკი: გადასვლა რომში

ამ ზაფხულს, ომამდე, თბილისში მატვეი განაპოლსკიმ და მისმა მეუღლეებმ თამუნა შენგელიამ ჯვარი დაიწერეს. სწორედ იმ დღეებში გავიგე, რომ მატვეი და თამუნა მოსკოვიდნ საცხოვრებლად რომში აპირებდნენ გადასვლას. რომი კარგია, ევროპაში თუ მოვხვდები, მათ უფრო სშირად მოვინახულებ, თუმცა, გადასვლის მოტივაცია ჩემთვის მაინც ოდნავ გაუგებარი იყო. ვფიქრობდი ბევრს და ბოლოს, კვითხე: კრემლის ცენტრის მიუხედავად, იქ, მოსკოვში, თავისუფალი ნების ადამიანებს მაინც გაქვთ სამოღვაწეო ასპარეზი: RTVI, საინტერესო და დამოუკიდებელი ინტერნეტ-გამოცემები, ბეჭდური მედიის ნაწილი და „Эхо Москвы“. მატვეიმ ძალიან მოკლედ მიპასუხა, აზრი არა აქვს, რამდენიც არ უნდა ისაუბრო, საბოლოო ჯამში ხვდები, რომ შენს მოსაზრებებს საზოგადოების ერთი პროცენტიც არ იზიარებს. ამ ერთი პროცენტის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ანუ განაპოლსკი-შენგელიების ოჯახი უკვე რომშია. გამგზავრებადე თამუნა შენგელიას წერილი მიწვერე.

მოსკოვში დიდი ხანია ცხვოვობს, რუსეთის მედიაშიც მუშაობდა. ვფიქრობ, მთავარს, თუ რა ხდება დღეს რუსეთის ლიბერალურ წრეებში, სწორედ მისგან გავიგებ.

**ე.ხ.:** ევროსამიტი შედგა და აქური საზოგადოება ცოტათი იმედგაცრუებულია. უფრო მკაცრ სანქციებს ველოდით რუსეთის მიმართ. ამისდა მიუხედავად, ფაქტია, რომ ეს ქვეყანა თვითიზოლაციისკენ მიდის. როგორ ფიქრობ, ვინმე თუ წუხს ამის თაობაზე რუსეთში?

### თამუნა შენგელია:

რუსულ საზოგადოებას თვითიზოლაცია არ ემუქრება, რადგანაც, ჩემი აზრით, ის

არასოდეს გამოსულა ამ იზოლაციიდან. ის, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეთა უმცირესი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი გახდა დასვენება სენტრობეში და „შოპინგი“ მილანში, არ მაძლევს საბაბს ვიფიქრო, რომ ეს საზოგადოება დასავლური სამყაროს ნაწილია, კულტურული და მენტალური თვალსაზრისით.

ბევრჯერ გვისაუბრია რუსულ ხასიათზე, ხშირად მითქვამს, რომ რუსეთის ხელისუფლება სრულიად ადეკვატურია რუსული საზოგადოებისა. ახლახან გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მწერლის, ბორის სტრუგაცის, ინტერვიუ, საიდანაც ერთ ციტატას მოვიშველიებ, მას ჩემზე მეტი ავტორიტეტი აქვს და იქნებ დაუჯერო:

„მასმედია არ ქმნის მსოფლმხედველობას, ის ამყარებს და აძლიერებს უკვე ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას.

>> გაგრძელება გვ. 133



საბოთა კავშირი  
არ მოჰველა  
ის ცოცხლობას მის  
ეათარებლები  
„სოცოკებში“  
ან, გნეპავთ,  
„ოდობრისაშვილისში“.



## ყველაზე ლოკალური საერთაშორისო, ყველაზე საერთაშორისო ლოკალური.

საერთაშორისო სარეკლამო სააგენტოების უმეტესობა არ ქმნის რეგიონალურ ოფისებს და უპირატესობას ლოკალურ სააგენტოებთან დროდადრო თანამშრომლობას ანიჭებს.

მაგრამ ეს **Ogilvy**-ს მოდელი არ არის.

ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი მიდგომა ჩვენი დამკვეთების ინტერესებს არ გამოხატავს.

**Ogilvy**-ს მსოფლიოს 159 ქვეყანაში 497 ოფისი აქვს. არც ერთ სხვა გლობალურ ჯგუფს არ აქვს მსგავსი მასშტაბის ქსელი. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მენეჯმენტი, ანგარიშების და კრეატივის დირექტორები, ნამდვილად იცნობენ ერთმანეთს, რეგულარულად ხვდებიან და უზიარებენ გამოცდილებას და რესურსს.

**Ogilvy**-ს საქართველოს ოფისი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს მიეკუთვნება. ამრეგიონში **Ogilvy** ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშეა, დსთ-ს მასშტაბით კი პირველი.

თქვენი ბიზნესი ამ ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ რეგიონშია, სადაც უამრავი შესაძლებლობა არსებობს. თუმცა, ბრენდის შექმნის შანსი მხოლოდ ერთხელ გეძლევათ.

ჩვენ გთავაზობთ მთელი რეგიონის, მთელი მსოფლიოს გამოცდილებას და ექსპერტიზას თქვენი ბრენდის შექმნის, განვითარებისა და მართვის პროცესში.

**ADstation/Ogilvy**



## „ეხო მასკვი“ რადიო-სინემატიკური თავისუფლების შენარჩუნების იბრძვის

ავტორი: ლევილ რეზნიკი

22 სექტემბერი, 2008

თარგმანი: თამარ ბაბუაძე

საბჭოურ მიწაზე კრემლის ხმა ყველგან ისმოდა. მის ყოვლისმომცველ რეალობას რადიო ავრცელებდა და ის გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ორუელის დისტოპია. ლენინი და ტროცკი რევოლუციას ძირითადად ბეჭდური საშუალებებით აჩაღდდნენ – წერდნენ მონოდებებით სავსე პუბლიკაციებს „ისკრასა“ და „პრავდაში“, სანქტ-პეტერბურგის ქუჩებში ავრცელებდნენ ბობინერი ემიციებით სავსე პროკლამაციებს, რომელიც შემდეგ ამერიკელმა უურნალისტმა ჯონ რიდმა გადაბეჭდა თავის წიგნში ოქტომბრის რევოლუციის შესახებ – „ათი დღე, რომელმაც მსოფლიო შეაზანზარა“.

რევოლუციონერი ლიდერებისგან განსხვავებით სტალინის რეჟიმის დროს ინკულტურაციისა და აზრის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი სამაუწყებლო ტექნოლოგია გახდა. სახელად მას „რადიო-ტოჩქა“ დაერქვა, სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, „რადიო-წერტილი“. ეს იყო პრიმიტიული მიმღები, რომელსაც არავითარი ლილაკი არ ჰქონდა და შესაბამისად, არც ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობას იძლეოდა. ეს იაფიასიანი, ხის ჩარჩოში ჩასმული მიმღები ბინებსა და დერეფენციი იყო დამონტაჟებული. მისი ხმა ისმოდა ქარხნებსა და რკინიგზის სადგურებში, ავტობუსის პარკებსა და სამხედრო პარაკებში; რადიოს უსმერდნენ საავადმყოფებსა და მოხუცთა თავშესაფრებშიც. მას აჭედებდნენ საკოლმეურნენ მინდვრებში აღმართულ ბობებზე და უსმერდნენ ყველა პლატფორმაზე ბალტიის სანაპიროებიდან ოხოტის ზღვამდე.

რადიო მაუწყებლობას დილის 6 საათზე იწყებდა.

ჯერ ეთერში საბჭოთა კავშირის პიმის უშვებდნენ, შემდეგ კი იწყებოდა „გოვორინტ მასკვა...“

თუ რომელიმე „კომუნალებში“ ვინმე რადიოს გამორთავდა, მას მაშინვე საეჭვო პერსონის იარლიყს მიაკრავდნენ, მის ქმედებას გამოწვევად ჩათვლიდნენ და დაასკვიდნენ, რომ ეს ტიპი პოტენციური „ხალხის მტერი“ იყო. რადიო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებებს ავრცელებდა, აცხადებდა ხუთწლედის გეგმის დეტალებს, ახმოვანებდა საბჭოთა არმიის ბოლოდროონდელ გამარჯვებებსა და კაპიტალისტური დასავლეთის დალატის ფაქტებს. ახალი ამბების გარდა, „რადიო-ტოჩქა“ ხან კლასიკური მუსიკის კონცერტებს გადასცემდა, ხანაც მსახიობი კლასიკური რუსული ლიტერატურის ნიმუშებს კითხულობდა. ეთერი ხშირად ეთმობოდა კოლმეურნებებისა და ჯარისკაცების დედების ე.წ. „რადიო-შეხედრებსაც“. საბჭოთა ხალხს იშვიათად ეძლეოდა საშუალება პირდაპირ მოესმინა სტალინის ხმა, მისი ბორბიკითა და ტლანქი ქართული აქცენტით წარმოთქმული სიტყვები, მაგრამ რადიოს საშუალებით თითოეული საბჭოთა მოქალაქე ითავისებდა მის განცხადებებს, კულტურისა და მსოფლიოს მისეულ ხედვას და დაპატრონების საფრთხის შემცველ ფარულ სურვილს. დღევანდელი გადასახედიდან ოდნავ როტლია, წარმოიდგინო, თუ რაოდენ ყოვლისმომცველი და ყველგან შეღწევადი იყო სტალინისეული ინსტრუმენტი და რაოდენ პერვერსიული წარმოსახვა იყო საჭირო ამ ყველაფრის მისაღებად. მიუხედავად ამისა, „რადიო-ტოჩქა“ ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებდა, ისევე ხელშესახებად და გამართულად, როგორც

წყალგაყვანილობის სისტემა და ელექტროენერგია, თუმცა კი ორივეზე ორჯერ უფრო სანდო იყო. „რადიო-ტოჩქა“ პროპაგანდის ისეთი წარმატებული იარაღი გახლდათ, რომ როცა 1942 წელს პიტლერი ოკუპირებულ უკრაინაში ჩავიდა, აღფრთოვანება ვერ დამალა სტალინის მეთოდოლოგიის მიმართ და დაიწუნებუნა, რომ გერმანელი ხალხი ჯერაც „ბი ბი სი“-ს პროგრამებს იღებდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ (1953 წელი), ხრუშჩინის ლიბერალიზაციაზე მიმართული პოლიტიკის დაწყებით, საბჭოთა რადიომაც ფრთხი გაშალა და გაჩნდა „რადიო მაიაკი“ და „რადიო იუნისტი“. „მაიაკისა“ და „იუნისტის“ პროგრამებს „რადიო-ტოჩქაზე“ ნაკლებად მყაცრი ტონი ჰქონდა და შესაბამისად, საეთერო ბადესაც უფრო ხშირად ავსებდა პოსულარული მუსიკა. მიუხედავად ამისა, კრემლის ხაზის გამტარებელი იდეოლოგია მაინც სახეზე იყო. შემდეგი 30 წლის განმავლობაში, საბჭოთა მმართველები გულმოდგინებ ცდილობდნენ „ბი ბი სი“-ს, „დოიჩე ველეს“, „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ რუსულენოვანი მაუწყებლობის დახმობას. მეტიც, იმ პერიოდში რადიო-სიხშირების დახმობის პრაქტიკა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის წარმოებულ დაუსრულებელ ბრძოლას ჰგავდა. ბრძოლა განსაკუთრებით 60-70-იან წლებში გაატირუდა, როცა ინტელექტუალებმა პირველი ანტი-საბჭოური ქმედება ჩაიდინეს – ნორმალური რადიომიმღები შეიძინეს – ეს იყო ან საბჭოურ ლატვიაში დამზადებული „სპილოა“ ან უკეთეს შემთხვევაში გერმანიაში გამოშვებული „გრუნდიგი“ – და „შორეული ხმების“ მოსმენა დაიწყეს. რას არ აკეთებდნენ ადამიანები, გარესამყა-

როს შესახებ მცირედი აუდიო-ვერსია მაინც რომ მოქმინათ. სიგნალის უკეთ მისაღებად აყირავებდნენ რადიომიმღებებს, ანტენას ფანჯრებში ჩრიდნენ და კიდევ უკეთესი – რადიოს მოსასმენად დიდი ქალაქების გარშემო გაშენებულ აგარაკებზე მიდიოდნენ – იქ რადიოსიგნალების ჩახშობა უფრო ჭირდა. თუ საბჭოთა მსმენელს გაუმართლებდა, შეიძლებოდა, „დოიჩე ველეზე“ ახალი ამბებისთვის მიესწრო, ანდა „ბი ბი სი“-ზე „ბი-თლზის“ სიმღერას გადაწყდომოდა, „ამერიკის ხმაზე“ კი, – უილის კონკვერის ცნობილ ჯაზ-გადაცემას.

„ხანდახან ვატიკანის რადიოსაც კი ვუსმენდით, რომელიც მშვენივრად გვაგებინებდა, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში. ეს იმდენად მოგვწონდა, რომ არავინ დაექებდა, გმირშებას დიქტორი ასე რომ ამთავრებდა: „ლმერთმა დაგლოცოთ“, – იხსენებს ისტორიკოსი სერგეი ივანივი.

როცა 1968 წელს საბჭოთა არმია ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრა, საბჭოთა დამსვენებლები ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენების შესახებ ბალტის ზღვის პლაჟებზე უსმენდნენ. იმ დროს სერგეი ივანივის მეუღლე, პოლიტიკური ანალიტიკოსი მაშა ლიპმანი ლიტვაში იყო და ახლა იხსენებს: „იმ ზაფხულს პლაჟის მთელ გაყოლებაზე, ყველგან ანტენა იყო ამორჩილი. ჩვენს წრებში კი, თუ იტყოდი, რომ ეს და ეს ამბავი რადიოთი მოისმინე, უკვე გასაგები იყო, რომ რუსულენოვან „ამერიკის ხმის“, „ბი ბი სი“-ს ანდა „დოიჩე ველეს“ გამოშვებებს გულისხმობდი“. ამავე წრეში ტრიალებდა ერთი პოპულარული ფრაზა: „იესტ ობიჩაი ნა რუსი – ნოჩიუ სლიშატ ბიბისი“. 1963 წელს ცეკას პრეზიდიუმის შეხვედრაზე ხრუშჩოვმა ითხოვა: „მოდით... მოვაგვაროთ ეს საკითხი. იქნებ გამოვუშვათ ისეთი რადიომიმღები, რომელიც მხოლოდ ჩვენს სადგურებს დაიჭერს“. თუმცა, როგორც ლონდონის კოლეჯის საბჭოური მედიის სპეციალისტი კრისტინ როთერი აცხადებს, ხრუშჩოვის ამბიცია ვერ დაკმაყოფილდა.

1985 წელს მიხეილ გორბაჩივის ხელისუფლებაში მოსვლით და მისი „გლასნოსტის“ პოლიტიკის გატარებით უცხოური რადიოების ჩახშობის ტენდენცია დასრულდა. თავისუფალ გარემოში ყველამ გაშალა ფრთხები – გაზეთებმა, სალიტერატურო ჟურნალებმა, თეატრმა, ტელევიზიამ და კინომ. „რადიო თავისუფლება“ უფლება მისცეს მოსკოვში საკუთარი ბიურო გაეხსნა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ უერთდებოდა დანარჩენ მსოფლიოს.

1990 წელს საბჭოთა რადიოდან გამოდევნილმა რამდენიმე ჟურნალისტმა გადაწყვიტა რუსეთის დედაქალაქში ახალი სადგური გაეხსნა. ეს იქნებოდა რადიო, რომელიც ობიე-



„კუტილი არასდროს ილიმაგა. მან უბრალოდ გახილა მარტი, თუ რა განზომილებაში ვარსებობ მისთვის. ისის, რომ ზურგში მახვილს არ ჩავსამ, ისის, რომ გავაკეთობ იმას, რასაც ვაკეთობ. ამიტომ ვათხარი, „თუ გსურთ „ებოს“ დახურვა, დახურეთ. ჩვენ საქმეზე კი უარს თვითონვე ვერ ვიზუვო“.

## წერილი მოსკოვიდან

ქტურად გააშუქებდა ახალ ამბებს, მოაწყობდა დისკუსიებს და თოქ-შოუებს, პირდაპირ ეთერში დაუშვებდა მსმენელების ზარებსაც კი, ანუ ხალხს მისცემდა საშუალებას პირდაპირ ეთქვა სათქმელი. გაკეთდებოდა რადიოფორმატი, რაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უკვე ბანალობად ითვლება. დამფუძნებლებმა სადგურს „ეხო მასკვი“ უწოდეს და სტუდია ერთ პატარა ჩახუთულ ოთახში მოაწყვეს, წითელ მოედანთან ძალიან ახლოს. „ეხომ“ მაუწყებლობა 1990 წლის 22 სექტემბერს დაიწყო. ეთერში პირველად ახალი ამბების ვრცელი გადაცემა გავიდა. წამყვანმა მსმენელს ახალგაზრდა მოსკოველ რეფორმისტთან, სერგეი სტანკევიჩთან, ინტერვიუც შესთავაზა, პროგრამა კი „ბითლზის“ სიმღერით All My Loving დაასრულა.

მაშინ, კრემლის მიერ ინიცირებული გათავისუფლებული პრესის პირობებში, „ეხო მასკვი“ ამ მასშტაბური მოვლენის – მეტნაკლებად თავისუფლადი პრესის – ერთი ნაწილი იყო. ახლა კი, 18 წლის თავზე, პუტინის ავტორიტარული ეკონისტების წიაღში იგივე რადიო გადაშენების პირას მყოფი სახეობის უკანასკნელი ნიმუშია. „ეხო მასკვი“ ჰგავს დრონტს, ჯერაც რომ დაახათქუნებს გიგანტურ ფრთხებს დედამინაზე.


დაარსების დღიდან, „ეხო მასკვის“ სტუდიის ხშირი სტუმარი გახლდით. ეს ვაზიტები სტატიებზე მუშაობის თვალსაზრისით იყო ძალიან კომფორტული: თუ რადიოში ცოტაზე მეტ ხანს შერჩებოდი, ათასი ჯურის საინტერესო ადამიანს წააწყდებოდი.

თუ ქალაქში რამე მნიშვნელოვანი ხდება – ან რამე სკანდალია, ან არჩევნები, ან გაფიცვები, ანდა ომი კავკასიაში – სიტუაციების წამყვანი მოთამაშები, ჭკვიან-ჭკვიანი კომენტატორები და აქტივისტები გამუდმებით ტრიალებენ ნოვი არბატის 11 ნომრის მე-14 სართულზე. ნიუ იორკიდანაც, როცა კი მინდა, რომ რუსეთში მიმდინარე მოვლენებს არ ჩამოვრჩე, „ეხოს“ ვებ-საიტს ვამოწმებ, echo.msk.ru ან ცოცხალ ეთერს ვუსმენ, ანდა დისკუსიებისა და ინტერვიუების ჩანაწერებს ვეცნობი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გვიან ღამით, „ეხო მასკვის“ ეთერში სერგეი პარხომენკოს გადაცემას ვუსმენდი. პარხომენკო, ელცინის ეპოქის გამოცემების ყოფილი რედაქტორია და იმ ღამით „ეხო მასკვის“ სტუდიაში სამხედრო დაზევურის ყოფილ ოფიცერს ვლადიმირ კვაჩიოვს ესაუბრებოდა. კვაჩიოვს სამიოდე წლის წინ აბრალებდნენ ანატოლი ჩუბაისის მყვლელობის დაგეგმვას, რომელსაც რუსების უმრავლესობა ვერ იტანს იმ დიდი როლის გამო, რაც მან მინისა და ბიზნესის სწრაფი პრივატიზაციის პროცესში ითამაშა ელცინის პრეზიდენტობის დროს. სასამართლო პროცესზე კვაჩიოვს ჩუბაისის აფეთქების გეგმის შედგენა დააპრალეს. ბრალმდებლის მტკიცებით, კვაჩიოვმა დაგეგმა გზის პირას ბომბის დამონტაჟება, რომელიც მაშინ აფეთქებოდა, როცა ჩუბაისის „ბმვ“ გვერდზე ჩაივლიდა. მანქანა დაჯავშნული იყო – რუსი მილიარდერები თავიანთ ფულს როგორც მოესურვებათ ისე და

თან ჭკვიანურად ხარჯავენ – და ჩუბაისიც გადარჩა. კვაჩიოვმა ბრალდება უარყო, თუმცა, არ დაუმალავს, თუ როგორ ეზიზლებოდა ჩუბაისი. მისი აზრით, ჩუბაისი წარმოადგენს „საზღვარგარეთულ დამპყრობელ ძალას“, რომლის მიზანიცაა რუსეთი შიგნიდან გატეხოს. კვაჩიოვი, რომელიც მაშინ გაამართლეს, ახლა „ეხო მასკვის“ ეთერში პარხომენკოს უუბნებოდა, რომ „ადამიანის მოკვლის უფლება არ გაქვს, მაგრამ, აუცილებელია, ჩამოიშორო მტერი“.

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ომს, რომელიც ცივი ომის განახლების საშიშროებას შეიცავდა, „ეხო მასკვი“ დალინებული, დაბალახსებული რეპორტაჟებით აშუქებდა. რადიო-პროგრამაში „საკუთარი თვალით“ გამუდმებით ერთვებოდნენ ომის ხაზზე მყოფი უურნალისტები და მსმენელს ახალ ამბებს აწვდიდნენ. იმართებოდა დისკუსიებიც, რომელთაც სტუმრების ფართო სპექტრი ჰყავდა – „ეხო მასკვის“ სტუდიაში ხან უურნალისტი მაქსიმ შევჩენკო აფრიალებდა ექსტრემისტულ-ნაციონალისტურ ბანერს, ხანაც კრემლის უმოწყალო კრიტიკოსი ანდრეი ილარიონივი გამოდიოდა, რომელიც პუტინის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს მისი ეკონომიკური მრჩეველი იყო. ომის ასეთი გაშუქება პუტინს სულაც არ ახალისებდა. 29 აგვისტოს ქვეყნის წამყვანი მედია საშუალებების 35 ალმასრულებელი პირი მან თავისთან, სოჭის სააგარაკო რეზიდენციაში იხმო. ბოლო რვა წლის განმავლობაში მს-



„ეხო მასკვი“ არსებობს სრულ იზოლაციაში, ზუსტად ისე, როგორც იძლიერებების რეზიდენციას ახარისის სამყვანო მედია საშუალებების 35 ალმასრულებელი პირი მან თავისთან, სოჭის სააგარაკო რეზიდენციაში იხმო. ბოლო რვა წლის განმავლობაში მს-

გავს შეხვედრებს პუტინი რეგულარულად მართავდა – ზოგჯერ თავისი პოლიტიკური შეხედულებების გასახმოვანებლად, ზოგჯერ მედიამფლობელების გადასაბირებლად, მაგრამ ყოველთვის უცვლელი მიზნით – შეხესენებისა მედიისთვის, თუ ვინ უკვეთავს მუსიკას. 29 აგვისტოს შეხვედრამ ცხადყო, რომ პუტინის ეს ტრადიცია არც ქვეწის ახალი მმართველის დიმიტრი მედვედევის არჩევის შემდეგ შეცვლილა.

და აი, იქ, სოჭში, პუტინმა თავისი ყურადღება და გაყინული მზერა „ეხო მასკვის“ მთავარ რედაქტორს ალექსეი ვენედიკოვს მიაპყრო. პუტინმა ის საქართველოს მოვლენების გაშუქების გამო გააკრიტიკა. დარბაზში მყოფი პუტინის ერთგული მედიამფლობელები ჩუმად ხარობდნენ იმის დანახვაზე, თუ როგორ უჯავრდებოდა პრემიერ-მინისტრი რადიოს რედაქტორს. გაჩნდა წინათგრძნობა და არა პირველად, რომ პუტინი რადიოსადგურის დახურვას აპირებდა. მოგვიანებით, კორიდორში გამოსულმა ვენედიკოვმა პუტინთან პირისპირ საუბრისას ბრალდება გააპროტესტა და პრემიერს უთხრა, რომ მას „უსამართლოდ“ მოექცნენ. პუტინმა კი ფურცლების დასტა აუფრიალა და უთხრა: „აი, ამაზე უნდა გასცე პასუხები ალექსეი ალექსეევი!“ ვენედიკოვი დაფრთხა, მაგრამ თან იმასაც მიხვდა, „ეხო მასკვის“ დახურვა მართლა რომ პქონოდა განზრახული, პუტინი სოჭში, ამხელა დელეგაციასთან ერთად, არ დაპატიჟებდა. დახურვას ცერემონიები არ სჭირდებოდა. საკმარისი იყო ერთადერთი სატელეფონო ზარი.

ვენედიკოვმა მიამსკ: – „შემდეგ უკვე, პუტინი და მე ერთი-ერთზე შეხვდით ერთმანეთს. უფრო მომლბალი ჩანდა, თუმცა, სათქმელი მაინც მტკიცედ მითხრა. მან დაგვანახა, რომ შეუძლია, თითოეულ ჩვენგანს ისე მოექცეს, როგორც თვითონ უნდა და როცა თვითონ უნდა“.

მოსკოვში დაბრუნებულმა ვენედიკოვმა უურნალისტები გააფრთხილა, რომ რეპორტაჟები „მეტი სიფრთხილით“ ეკეთებინათ, გადაემოწმებინათ ფაქტები და მოეძიებინათ საკმარისი შეხედულებები მთავრობის წევრებისგან. თუმცა, სამსახურიდან არავინ დაუთხოვიათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთავარმა რედაქტორმა თავიდან აიცილა უარესი შედეგი. „ჯერჯერობით“, – მითხრა ვენედიკოვმა, – „მხოლოდ ჯერჯერობით“.

„ეხოს“ დამფუძნებლები, სერგეი ბუნტმანის, სერგეი კორზენის და იური ფედუტინოვის ჩათვლით, რადიოს სპეციალისტები იყვნენ. ახალგაზრდობის წლები მათ სხვადასხვა საბჭოთა რადიოში გაატარეს, როცა მიეცათ საზღვარგარეთ წასვლის შანსი, ეს შანსი გამოიყენეს და ისწავლეს, თუ როგორ კეთდე-

ბა იგივე საქმე დასავლეთში. გლასნოსტის პოლიტიკამ მათ გზები გაუხსნა. ახალგაზრდობაში ბუნტმანი მოსკოვის 875-ე საშუალო სკოლაში თეატრის პროგრამას უძლვებოდა, სადაც ვენედიკოვთან ერთად მუშაობა უწევდა. ვენედიკოვი ისტორიას ასწავლიდა და საოცრად განათლებული და გაწონასწორებული კაცი ჩანდა. იმ პერიოდში, უურნალისტებს ჯერაც მოძველებული იდეოლოგური კომპლექსები ტანჯავდათ, ბუნტმანმა კი ვენედიკოვთან მეეავშირე დაინახა – პოლიტიკისადმი ღრმა ინტერესითა და ხალასი ცნობისმოყვარეობით მოვლენების მიმართ. და მიუხედავად იმისა, რომ ვენედიკოვს ოდნავადაც კი არ პქონია შეხება უურნალისტიკასთან, ბუნტმანმა ის თავის რადიოში რეპორტიორად აიყვანა. მალე ვენედიკოვი რადიოსადგურის მთავარი რედაქტორი და წამყვანი საზოგადო ფიგურა გახდა.

ვენედიკოვი რუსული ინტელიგენციის სტანდარტული ტიპია – სქელშუშიანი სა-თვალით, მოღუშული, ყოვლისმცოდნე გამომეტყველებით და ცირკის მასხარასავით ჩახუჭუჭებული თმით. ინტერვიუერის რანგში ის მაიკ უოლასივით აგრესიული და შემტევია, მაგრამ თან მასზე გაცილებით გონიერი და ინტელექტუალური. ანალიტიკოსის ამპლუაში კი – ხისტი, თვითდაჯერებული და კმაყოფილი იმით, რომ მისი პროგნოზები ან უკვე გამართლდა, ანდა მალე გამართლდება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ვენედიკოვი კრემლის შეტევების მოგერიებისა და საკუთარი რეპორტიორების დაცვის ნამდვილი ექსპერტია. „ეხოს“ სტუდიების კედლები დახუნდლულია სტუმრად მოწვეული ლირსშესანიშნავი ადამიანების ფოტოებით. ვენედიკოვს არც ერთი მათგანს განსაკუთრებული რიდი არ აქვს. რესპონდენტთან საუბარს ის ხშირად იწყებს ხოლმე შემტევი ფრაზით: „როგორ შეიძლება, რომ...?“ როცა ერთხელ ბილ კლინტომა ინტერვიუს ჩაწერისას ძალიან გაუტია, ვენედიკოვმა მაგიდის ქვეშ წაკრა ფეხი, გონს მოდიო.

„ეხო მასკვის“ მთავარი რედაქტორი კარიერის დასაწყისშიც ძალიან გაბედული იყო, თან თავიდანვე დაამტკიცა, რომ არ თამაშობდა. 1991 წლის აგვისტოში, კებ-ს მიერ ინიცირებული პუტჩის დროს, ის ტანკებით გარშემორტყმული პარლამენტის შენობაში დარჩა ბორის ელცინთან და მის მხარდამჭერებთან ერთად. 1993 წელს, როცა ელცინმა „ყავისფერ-წითელი კოალიციის“ მიერ ოკუპირებული პარლამენტის შენობის დასაცავად ტანკები იხმო, ვენედიკოვი რუსეთის თეთრ სახლში კვლავ დაბრუნდა.

ლასავლები

THE WALL STREET JOURNAL

Newsweek

THE  
TIME



# CORRIERE DELLA SERA GUARDIAN

The New York Times  
Expect the World®

# მსოფლიო საქართველოს შეაღება

თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო მალხაზ ხარბელიამ  
ფოტო: თომას ლორიშავი

პროექტის პარტნიორის ფარმაცეტული კომპანია „ჯი-პი-სი“

აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მოყოლებული, დასავლური პრესა თვალს არ აშორებდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მთელი ამ დროის მანძილზე აუარება სტატია, ისტორიული ნარ კვევი, შენიშვნა, მიმართვა თუ ინტერვიუ დაიბეჭდა უურნალ-გაზეთებში. პირველ დღეებში ნამდვილი მესთატეხა ატყდა, პრესა აბობოქრდა და რა უცნაურიც არ უნდა იყოს, რამდენიმე გაზიერში რუსული პოლიტიკის ქომაგებმაც გამოყვეს თავი (მაგ. „გარდიანის“ ფურცლებზე). ყველაზე მეტი სულელური აზრი სწორედ პირველ დღეებში გამოიიქვა, თუმცა მალე ასეთი ცეცხლოვანება სხვაგვარი ტონალობით შეიცვალა და მძიმე არტილერიის მიერ მოსრულ მედია-ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკაც შემოვიდა, შედარებით განონასწორებული მოფილოსოფოს პოლიტოლოგებითა და მოურნალისტი მწერლებით. თუკი თავიდან ყველაფერი კონკრეტული ფაქტის, რუსთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გარშემო ტრიალები და ავტორები ძირითადად მშრალი აღნირით, ან პირიქით, მხურვალე მოწოდებებით შემოიფარგლებოდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი გლობალური პოლიტიკის ჩარჩოებში გადავიდა, დალაგებული აზრებიც გამოჩნდა და ყველაზე ეჭვიანებმაც კი გაბედეს აზრის გამოთქმა.

მე მგონი, არავის გაკვირვებია, რომ პირველები საქმეში ორი სკანდალურად ცნობილი „მას-მედია-ფილოსოფოსი“, ბერნარ-ანრი ლევი და ანდრე გლუკსმანი ჩაერთნენ. ადამიანებმა, რომელთაც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ენასაც უწუნებდნენ, სადაც მაღალი სტილი საშინელ წეოლოგიზმებს ერწყმოდა და შედეგად ენობრივი მონსტრები იქმნებოდა, უეცრად, წარმოუდგენლად მარტივი „მონდება“ დაბეჭდეს, ვერ „კორიერ“ დელა სერაში“, მეორე დღეს კი იგივე წერილი სხვა სათაურით „ლიბერასიონშიც“ გამოქვენდა, რითაც ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს ინტელექტუალები მოახედეს ჩვენი ქვეყნისკენ.

მათ ცეცხლოვან ქომაგობას მეორე დღესვე უპასუხეს პრორუსულად განწყობილმა იტალიელმა და ფრანგმა მიმომხილვებმა,

ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ 27 აგვისტოს ბერნარ-ანრი ლევიმაც კი (ვისაც ნომ ჩიმსკის მნარე კრიტიკამაც კი ვერ „ჩაუქრო ალები“), შეიძლება ითქვას, ხელი ჩაიქნია, ოლონდ იგი ოპონენტებს არ დანებებია, მან უბრალოდ დატოვა სცენა გაოგნებულმა იმით, რომ მთელი ევროპა ხელს აწერდა „მედვედევის გეგმაზე“, სადაც „ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე“. „როგორც ჩანს, სამყარო ყირაზე დადგა. ნუთუ ეს მართლა ხდება?“ წერდა იმ დღეებში ფილოსოფოსი.

გამოჩენენ სხვა ოდიოზური ფიგურებიც და რუსეთის აგრესიაზე აზრის გამოთქმა ნორმატივების ჩაბარებას დაემსგავსა. თანაც ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ფუკუიამას კპენდა, რომელმაც ასე მცდარად ინინასნარმეტყველა „ისტორიის დასასრული“ და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება. ფრიდ ზაკარიამ ორი ახალი ცნება შემოიტანა, „პოსტამერიკული ხანა“ და „დანარჩენი სამყაროს ზეალსვლა“, ბევრი ეკოლოგიის პრობლემებზეც ალაპარაკდა, რაც თავისითავად ძალზე მნიშვნელოვანი თემა და კარგია, რომ ჩვენთან განვითარებული მოვლენების შემდეგ ამ კუთხით უკვე სერიოზული გადაწყვეტილებებიც მიიღეს ევროპაში, თუმცა გორდონ ბრაუნის განცხადებაში საკმაოდ ბუნდოვნად ჩანს ამ საკითხის გადაწყვეტა, რომ არაფერი ვთქვათ ა. სოლუჟენიცინის სახელით აბსოლუტურად არამართებულ მანიპულირებაზე, რითაც, პრემიერ-მინისტრთან ერთად, თითქმის ყოველი მეორე ავტორი ირთობდა თავს. ბევრს აღარ გავაგრძელებ, მოკლედ გეტყვით, რომ აქ მთელი ამ დროის მანძილზე ამოთქმული ყველაზე მხურვალე და ჭკვიანური აზრებია თავმოყრილი, სადაც ილუზიებს სიმართლე ენაცვლება ხოლმე და პირიქით, რეალობის ადგილს ოცნება იკავდს. ამ ავტორებისთვის მარტო ხმამაღალი სახელების გამო არ მოგვიყრია თავი, არამედ უფრო იმისთვის, რათა კარგად დაგვენახა დასავლური აზრის მსვლელობა ერთი თვის განმავლობაში. ამ წერილებში ქართველი მკითხველი მნარე სიმართლესაც იპოვის და გულის მოსაფხანსაც.

# ლავიცვათ თბილისი!

აცლი გლუქსმანი, ბერნარ-ანრი ლევი

ნუ დაუჯერებთ იმას, თითქოს საუპარი ლოკალურ კონფლიქტზე იყოს: შესაძლოა, ჩვენ ევროპის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენის პირისპირ ვდგავართ, შესაძლოა, ასეთი რამ ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ არც მომხდარა. მოსკოვიდან გვესმის ძახილი: „გენოციდი!“ – ბრალს დებს პუტინი, რომელსაც ეს სიტყვა აუშვიცის 60 წლისთავზეც კი არ უხსესნებია. „მიუნცენი“ – ღალადებს ნაზი მედვედევი.

ამგვარად, მედვედევს სურს ჩაგვინერგოს აზრი იმის შესახებ, რომ 4,5 მილიონიანი საქართველო მესამე რაიხის რეინკრინაციაა. არ გვინდა ორი ლიდერის გონიერივ შესაძლებლობებში შევიტანოთ ეჭვი, მაგრამ გვვინია, რომ თავიათი გადამეტებული აღმფოთებით რუსი მმართველები გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის სურვილს ამჟავნებენ. კრემლის პოლიტოლოგები კვლავ დაუბრუნდნენ ტოტალიტარული პროპაგანდის კლასიკურ ხერხებს: რაც მეტია ტყუილი, მით უფრო ზუსტია დარტყმები.

ვინ დაიწყო სროლა პირველმა? ეს საკითხი უკვე არააქტუალურია. ქართველები უკან იხევენ სამხრეთ ისეთიდან, დატოვეს ტერიტორიები, რომელსაც საერთაშორისო სამართალი – და ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს – მათ იურისდიქციაში მოიაზრებს. ქართველები მიმდებარე სოფლებიდანაც გამოიდნენ. ნუთუ მათ საკუთარი დედაქალაქიც უნდა დათმონ? სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის არმიის ჩარევა საკუთარი საზღვრების მიღმა მიმდინარე კონფლიქტში, ინტერვენცია გაეროს წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უკვე რამდენიმე ათწლეულია არ მომხდარა პლანეტის ამ კუთხეში (უფრო ზუსტად, ავღანეთში შექრის შემდეგ).

1989 წელს გორბაჩივმა უარი თქვა საბჭოთა ტანკების გაგზავნაზე პოლონეთის „სოლიდარობის“ წინააღმდეგ. 5 წლის შემდეგ ელ-ცინმა თავი შეიკავა იუგოსლავიაში, მილოშევრის მხარდასაჭერად ჯარების შეყვანისგან. თავად პუტინმაც ვერ გარისკა ჯარები გამოეყინებინა ჯერ „ვარდების რევოლუციის“ (საქართველო - 2003), შემდეგ კი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ (უკრაინა - 2004) ჩასაშობად. დღეს კი, ყველაფერი მოირდვა და ჩვენ თვალწინ ახალი სამყარო ყალიბდება, ახალი წესებით.

რას ელოდებიან ევროკავშირი და აშშ და რატომ არ შეაჩერებენ თავიათ მეგობარ ქვეყანაში სხვა ქვეყნის შექრას? თუ პროდასავლური ორიენტაციის, დემოკრატიული გზით არჩეულმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა აუცილებლად ჩამოგდებით, გადასახლებით, მარიონეტით ჩანაცვლებით ან ჩამოხრიბით უნდა დაასრულოს ცხოვრება?! ნუთუ ისეთივე წესრიგი დამყარდება თბილისში, როგორც 1956 წლის ბუდაპეშტში ან 1968 წლის პრაღაში? ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი

უნდა გაეცეს. უნდა გადავარჩინოთ დემოკრატია, რომელსაც სიკვდილი ემუქრება. იმიტომ, რომ ეს ამბავი მხოლოდ საქართველოს არ ეხება, არამედ უკრაინასაც, აზერბაიჯანსაც, ცენტრალურ აზიას, აღმოსავლეთ ევროპასა და თავად ევროპასაც. თუკი ტანკებსა და ბომბდამშენებს საქართველოს დანგრევის უფლებას მივცემთ, ამით მთელი რეგიონის ქვეყნებს, რომლებიც დიდი რუსეთის მეზობლად იმყოფებიან, მივანიშნებთ, რომ ჩვენ მათ არასდროს არ დავიცავთ და რომ ჩვენი დაპირებები მხოლოდ ქალალდის ნაგლევა, კეთილი სურვილები – უაზრობაა და ისინი ჩვენგან არაფერს უნდა ელოდნენ.

დრო ცოტა რჩება. ამიტომ, მოდით, მკვეთრად განვაცხადოთ თუ ვინაა აგრესორი – ვლადიმირ პუტინისა და დიმიტრი მედვედევის რუსეთი, ამ სახელგანთქმული უცნობი „ლიბერალისა“, რომელსაც თითქოს წინამორბედის ნაციონალიზმი უნდა გაეწინასწორებინა. უნდა მოვულოთ ბოლო თავის დაძვრენისა და თვალის ახვევის რეჟიმს: ტერორისტებად გასაღებული 200 ათასი მოკლული ჩეჩენები; ჩრდილოეთ კავკასიის ბედი – „შიდა საკითხი“; ანა პოლიტოვესკია, მოკლული უურნალისტი; ალექსანდრე ლიტვინენკო – მარსანელი... ამას დავუმატოთ, რომ პუტინის ავტოკრატია, რომელიც შავბენელი ტერაქტების შედეგად იშვა, რის შედეგადაც სისხლით მოირწყა 1999 წელს მთელი მოსკოვი, არაა საიმედო პატიონირო და, მით უმეტეს, მეგობრული სახელმწიფო.

რა უფლებითაა ეს აგრესული და უპირო ქვეყანა, რუსეთი, „დიდი რვიანის“ წევრი? რა ესაქმება მას ევროსაბჭოში? ინსტიტუციონალურ ორგანოში, რომელიც ჩვენი კონტინენტის ლირებულებების დასაცავად იშვა?

## პრემიერის პოლი- ბრუნებაზე კვლავ დაუბრუნდეთან ტა- პარალელური კო- პარაბრუნდის კლასიურ ხერხებს: რას მეტია და უფლი- ზუსტის დარტყმები.

რატომ უნდა ჩაიდოს დიდი ინვესტიციები – განსაკუთრებით ეს გერმანიას ეხება – ბალტიის ზღვის ქვეშ გამავალ გაზისადენში, რომელმაც, მხოლოდ რუსეთის სასარგებლოდ, გვერდი უნდა აუაროს უკრაინასა და პოლონეთს? თუკი კრემლი კვლავ ჯიუტად გააგრძელებს თავის აგრესიას კავკასიაში, ხომ არ იქცევა ეს მიზეზად, რათა ევროპამ გადახედოს დიდ მეზობელთან თავის ურთიერთობების მთელ სისტემას? რუსეთი ისევეა დაინტერესებული თავისი ნავთობის გაყიდვაში, როგორც ჩვენ ყიდვები. ხანდახან შესაძლებელი ხდება შანტაჟისტის დაშანტაჟებაც. თუკი ევროპას გამბედაობა ეყოფა და საკუთარ ძალებში დარწმუნდება, რათა მიღლოს ეს გამოწვევა, იგი თავის სიძლიერესაც გვიჩვენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკვდება.

ამ სტატიის ორივე ავტორი 2008 წლის 29 მარტის წერილში საჯაროდ ვთხოვდით ანგელა მერკელსა და ნიკოლა სარკოზის ხელი არ შეეშალათ



საქართველოსა და უკრაინის „ნატოსთან“ დაახლოების საქმეში. მათი სწორი გადაწყვეტილება დაიცავდა ამ ქვეყნების ტერიტორიებს, გამა ისევ მივიღებდით, ხოლო „ომის ლოგიკა“, რომელიც ასე აშინებს ჩვენს ნორპუბს, აღარ იმშავებდა. პირიქით, დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი უარი დამღუცელი სიგნალი იქნება ნაციონალ-კაპიტალისტური რუსეთის ახალი მეფებისთვის. იგი აჩვენებს მათ, რომ ევროპა სუსტი და არასამედოა, რომ საქართველო და უკრაინა ადვილი დასაპრობი ქვეყნებია და რომ ჩვენ მზად ვართ ისნი რუსეთს კვლავ ალორძინებული იმპერიალისტური ამბიციების სამსხვერპლოზე მივუტანოთ.

ყოყმანი ამ ქვეყნების ევროპული ცივილიზაციის სივრცეში ინტეგრაციის საკითხზე მთელი რეგიონისთვის დესტაბილიზაციის გამომწვევი იქნება. სხვა სიტყვებით, ვლადიმირ პუტინისთვის დათმობა ნიშნავს, რომ მზად ვართ ჩვენი იდეალები მას შევნიროთ მსხვერპლად. თუკი უკან დავიხევთ და არანაირ ნაბიჯს არ გადავდგამთ, ამით ვერაფერს მივაღწევთ, გარდა იმისა, რომ მოსკოვის, ანუ ყველაზე შხამიანი ნაციონალიზმის, გაძლიერებას შევეწყობთ ხელს. ერთი სიტყვით, ჩვენ უარესზე ვიქირობდით და ბოლომდე არც გვსურდა ამის დაჯერება. თუმცა უარესი უკავე მოხდა. მოსკოვი რომ არ გაღიზანებულიყო, საფრანგეთმა და გერმანიამ ვეტო დაადო უკრაინისა და საქართველოს

„ნატოში“ შესვლის პერსპექტივას. პუტინმა კარგად გაიგო ეს გზავნილი და მაღლობის ნიშნად შეტევაზე გადავიდა.

დადგა დრო მეთოდები შევცვალოთ. ევროპელები – თავიანთი შინაგანი გათიშულობით დაუძლურებული – მოწმენი გახდნენ სარაევოს ალყასა. თავიანთი სიბრძავის გამო ისინი უმოქმედოდ აკვირდებოდნენ გროზნოს ტრაგედიას. გვაიძულებს თუ არა შიში ამჯერადაც პასიურად და დაბრუებულებმა ვუუროთ დემოკრატიის კაპიტულაციას თბილისში? კრემლის გენშტაბს არასდროს სჯეროდა „ევროკავშირის“ არსებობისა. მან ბრწყინვალედ იცის, რომ ბრიუსელიდან ნარმოთქმული ლამაზი სიტყვების მიღმა ნაციონალურ სუვერენიტეტებს შორის საუკუნოვანი ქიმპობა დგას, რომლებიც ადვილად მანიპულირებადნი არიან და ერთმანეთის პარალიზებას ახდერენ.

ქართული ტესტი არსებობის ან არასებობის საბუთია: ევროპა, რომელიც რკინის ფარდის, გუშინდელი და დღევანდელი ფაშიზმის, თავისივე კოლონიალური ომების წინააღმდეგ აღიმართა, ევროპა, რომელიც ზეიმობდა ბერლინის კედლის დაცემას და მიესალმებოდა ხავერდოვან რევოლუციას, დღეს კომის ზღვარზე იმყოფება. 1045-2008: ნუთე ჩვენს ერთიან ხანმიკლე ისტორიას დღეს კავასიაში განვითარებული ტერორის ოლიმპიური თამაშები დაუსვამს ბეჭედს?

Time

14.08

## ეს 6 მოვისრით რუსების ნინაშა

ზბიგნევ ბჟეზინსკი



ნესით, „ცივი ომის“ დასასრულით ახალი ერა უნდა დაწყებულიყო, როცა დიდი სახელმწიფოები ვეღარ მოახერხებდნენ მეზობელი სახელმწიფოებისთვის იმის კარნასს, თუ როგორ მოიწყონ ცხოვრება. სწორედ ამიტომაა, რუსეთის თავდასხმა საქართველოზე ტრაგიკული მოვლენა, რომელსაც სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. დღეს მთელი მსოფლიო რუსეთს შეჰყურებს: გააგრძელებს თუ არა იგი თავისი იმპერიული მიზნების მიღწევას იძულებისა და ძალადობის მეთოდებით, თუ რუსეთი მზადა იმუშაოს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ფარგლებში, სადაც თანამშრომლობა და კონსენსუს სცემენ პატივს?

მოსკოვის უხეში მცდელობა, თავის ნებას დაუქვემდებაროს უმცირესი, მაგრამ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო, სტალინურ პერიოდს გვახსენებს. საქართველოზე თავდასხმა თითქმის იგივეა, რაც საბჭოთა კავშირმა გაუკეთა ფინეთს 1939 წელს: ორივე შემთხვევაში მოსკოვმა ძალა გამოიყენა – უხეშად, უპასუხისმგებლოდ და ყველას დაუკითხავად – და ეს ერთადერთი რამის გამო მოხდა: მთლიანად დაემორჩილებინა სუსტი დემოკრატიული მეზობელი. დღეს ერთი საკითხი რჩება: შეძლებს თუ არა მსოფლიო საზოგადოება კრემლს აჩვენოს, რომ იმპერიალისტური მიზნებისთვის ძალის დაუფარავად გამოიყენება დიდი ხანი წარულს ჩაბარდა და ეს მცდელობები მას შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

ეს კონფლიქტი წლების მანძილზე დვივდებოდა. რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებდა საქართველოს დანაწევრებას. სეპარატისტებს რუსეთი სამგან უჭერდა მხარს: აფხაზეთში, აფარაში და, რა თქმა უნდა, სამხრეთ ისეთში. იგი გვერდში ედგა და დღესაც უდგას მეამბოხე მთავრობებს ამ ტერიტორიებზე. რუსეთმა შეაიარალა მათი არმია და სეპარატისტები რუსეთის მოქალაქეობითაც გააწებივრა. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული პროდასავლური მთავრობა მოვიდა, ეს პროცესები კიდევ უფრო გააქტიურდა. ანტიპათია საქართველოსა და მისი პრეზიდენტის, ამერიკაში განათლებამიღებული მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს ნამდვილ სიგიუში გადაეზარდა, იგი შეპყრობილია საქართველოთის.

ამის საპასუხოდ საერთაშორისო საზოგადოებამ აშკარად ცოტა გააკეთა. უკანასკნელი კვირების მანძილზე, ცეცხლის შეწყვეტის მყიფეზოლზე, საქართველოს ტერიტორია რომას გადასერილი, მოხდა რიგი ინციდენტებისა, რომელმაც ძალადობის ესკალაცია გამოიწვია და საბოლოოდ მიგვიყვანა საქართველოს წარუმატებელ მცდელობამდე სამხრეთ ისეთის „მთავრობის“ მოსამორებლად. შეიძლება ითქვას, რომ

## დასავლეთი

ეს იყო დაუგეგმავი და ბრიყული ნაბიჯი, მაგრამ რუსეთის სამხედრო პასუხი გვაფიქრებინებს, რომ რუსეთი სულმოუთქმელად ელოდა ასეთ აქტის და მისით სარგებლობას აპირებდა, რათა შემდგომში ძალა გამოეყენებინა. სამხრეთ ისეთში მომენტალურად შევარდნენ რუსული ჯარის უზარმაზარი კონტინგენტები და მთელს საქართველოს მოედნენ: გორი ტანკებით გაივსო, იმავე გორისა და თბილისის თავზე ბომბები ჩამოყარეს.

რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არაა ერთჯერადი აგრესია. ფაქტი ფაქტად რჩება: პუტინსა და მის ქვეშევრდომებს კრემლში არ სურთ მიიღონ პოსტსაბჭოთა სამყაროს რეალიები. პუტინი სრულიად გულახდილი იყო, როცა ამბობდა, საბჭოთა კავშირის დაშლა „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო“ -ო. პუტინის რეაქტის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყნები არა მხოლოდ ისტორიული ანომალიაა, არამედ რეალურ პოლიტიკურ საშიშროებასაც შეიცავს.

შემდეგ „ცხელ წერტილად“, საგესბით შესაძლებელია უკრაინა იქცეს. რუსეთის ხელმძღვანელობა უკვე ლიად აცხადებს, პატივი სცენ მას და არა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის ლიდერებმა ასევე არაერთხელ აღნიშნეს, რომ ყირიმი – უკრაინის ნაწილი – ოდესმე კვლავ გახდება რუსეთი. მისმა მოლდოვას მიმართ გატარებულმა ასეთივე პოლიტიკამ უკვე მიიყვანა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ფაქტობრივ დანაწევრებამდე. უფრო მეტიც, მოსკოვი აგრძელებს თავისი მეზობელების, ყაზახეთისა და უზბეკეთის ეკონომიკურ იზოლირებას ცენტრალურ აზიაში. ხოლო რაც შეეხება ბალტიის ქვეყნებს, ლიტვას, ლატვიასა და ესტონით, ისინიც არაერთხელ გახდნენ რუსეთის მხრიდან მუქარის, ასევე ეკონომიკური სანქციებისა და დამანგრევლი კიბერნეტიკული მის მსხვერპლი.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ კითხვის

ნიშნის ქვეშ დადგა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა. რუსეთი კვლავ ფიქრობს, რომ უნდა არსებოდეს რაღაც ზენაციონალური წარმონაქმინი, რომელსაც კრემლი მართავს და მოიცავს ყოფილი საბჭოთა ტერიტორიის უდიდეს ნაწილს. ამგვარი დამოუკიდებულება, გარკვეული აზრით, ასახავს წარმონალისტურ განწყობილებებს, რომლითაც გაუდენითი რუსეთის პრეზიდენტმა, ამჟამად კი პრემიერ-მინისტრმა, კარგად აუღო აღლო ამ ტალღას, ახდენს მის პოლიტიკურ ექსპლუატაციას და ავრცელებს მას რუსეთის შიგნით. საუბარი დაიწყეს კუბაზე რუსეთის ჯარების შეყვანის შესახებაც, რითაც თითქოს ისინი შურს იძიებდნენ აშშ-ზე, რომელმაც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას დაუჭირა მსარი.

დასავლეთისთვის, განსაკუთრებით კი აშშ-სთვის, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი მორალური და გეოსტრატეგიული გამოწვევაა. მისი მორალური ასაკეტი ცხადზე ცხადია: პატარა ქვეყნისთვის, რომელმაც სულ ახლახან მიიღო დამოუკიდებლობა ლამის ორსაუკროვანი რუსული ბატონიბის შემდეგ, საერთაშორისო მხარდაჭერა მხოლოდ თანაგრძობის ფორმით არაა სავარისი. ხოლო რაც შეეხება გეოსტრატეგიულ საკითხებს, დამოუკიდებელი საქართველო კრიტიკულად მნიშვნელოვანი რგოლი მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის შენარჩუნებისთვის. დღეს მიღავდნი, სადაც ნავთობი კასპიის ზღვიდან საქართველოს გავლით თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირეთში გაედინება, დასავლეთისთვის ცენტრალური აზიის ენერგოენერგეტიკული ხდის ხელმისაწვდომის. თუკი დასავლეთისთვის ეს მისადგომი გაქრება, ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იგი მნიშვნელოვანი დაკარგავს.

დასავლეთმა ზუსტი და მტკიცე პასუხი უნდა გასცეს რუსეთის აგრესიას. „მტკიცე“ არ ნიშნავს „ძალას“. ახალი „ცივი მოის“ დაწყებასაც არა აქვს აზრი. თუმცა დასავლეთმა, და პირველ რიგში აშშ-მ, უნდა გააგრძელოს საერთაშორისო საზოგადოების მობილიზაცია რუსეთის საქციელის დასაგმობად. პრეზიდენტობის კანდიდატებში – ბარაკ ობამა (რომელსაც მე ვგულშემატევორობ) და ჯონ მაკენიმა – მხარი უნდა დაუჭირონ პრეზიდენტ ბუშის ძალისმებას რუსეთის მოქმედებაზე დაპირისპირების საქმეში. ამ საკითხზე უცილებელია ერთიანი პოზიცია, რომელიც ორივე პარტიისთვის ხელსაყრელი იქნებოდა. სამწეხარო, ზოგიერთი კანდიდატის მომხრემ უკვე დაიწყო თავისი ოპონენტების საქართველოს კრიზისის შესახებ გამონათქვამთა კრიტიკა. ასე არ შეიძლება, ეს კრიზისი ძალზე მნიშვნელოვანია.

იმაზე საუბარი, თუ რა კონკრეტული ზომები უნდა მიიღოს დასავლეთმა, ჯერ ნაადრევია, თუმცა უცილებელია ისე მოვიცეთ, რომ რუსეთმა შეიგნოს: იგი საერთაშორისო ოსტრაგიზმის საშიშროების წინაშე დგას. განსაკუთრებით მტკიცებული იქნება ეს რუსეთის ახალი ბიზნეს-ელიტისთვის, რომელიც ძნელად უძლებს გლობალური ფინანსური სისტემის მხრიდან ზეწოლას. გავლენიან რუს ოლიგარქებს დასავლეთის ბანკებში ანგარიშებზე ასეულობით მიღიარდოდ დოლარი უდევთ და „ცივი მოის“ დაწყების შემთხვევაში ძევრს კარგავენ, რადგან, ამგვარი დაპირისპირების შედეგად, დასავლეთმა შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე გაყინოს ეს ანგარიშები.

რაღაც მომენტში დასავლეთმა ოლიმპიური საკითხიც უნდა გაიხსენოს. თუკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ადეკვატურად არ გადაწყდება (ზაგალითად, ვგულისხმობ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მართლა საერთაშორისო ძალების შევყანას რუსების ნაცვლად), აშშ-მ უნდა განიხილოს 2014 წლის ოლიმპიადაში არმონანილების ვარიანტიც. ეს ოლიმპიადა რუსეთის ქალაქ სოჭში გაიმართება და იგი ძალიან ახლოსაა საქართველოს დარღვეულ საზღვართან. მით უტერეს, პრეცედენტი უკვე გვაქვს: სწორედ კარტერის მთავრობაში ვმუშაობდი, როცა ოლიმპიური ჩირალდანი ჩვენს სიმბოლურ იარაღად იქცა. მაშინ საბჭოთა კავშირის ავლანეთში შესვლის საპასუხოდ, ჩვენ უარი ვთქვით მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადაში მონაცილებით მონაცილების შემთხვევაში აპირებდა პრობლემა მოაწყო 1936 წლის ბერლინში, მაგრამ ამერიკის ბიუგომბა ლეონიდ ბრეზნევსა და მის კომუნისტურ სისტემას ძლიერი დარტყმა მიაყენა და მოსკოვს არ მისცა საშუალება მსოფლიო ტრიუმფით დამტკარიცვნენ.

ମାର୍ତ୍ତାଳୀଙ୍କ, କ୍ଷାରଟୀଲୁ ସାଠିଗୁବାଦୂର୍ବାସା ଦା ପିରିଗୁଲ ରିଗଶି ଓଫିଶିଆଳିଶ ତାଙ୍ଗି ଲେ ଉପାର୍କିଣ୍ଟାଙ୍କ, ତିନିଜକୁ ସାନିନ୍ଦ୍ରିଯର୍କୁ କ୍ଷୁଲାଚ ଏବଂ ଆରିବି, ରାଶାଚ ଏବଂ ବିଶିଷ୍ଟତାକୁ ମିଳିଲୁଣ୍ଡନ୍ତିବେ ଏମମାଳାଶବ୍ଦରେ କିମ୍ପାରିବା ଦା ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠତାକୁ ମଧ୍ୟରେ ଦାଶାବ୍ଲେଟିବି, କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହି, ଅଶ୍ରୁକୁଳି ମେଡିକୁଲି ଏଥିରିବି ଏବଂ ଏହିକାଳ ଘାରାମିନ୍‌ପ୍ରେଟର, ମେଗରାମ ମେରିନ୍‌ମୁନ୍ରେଟ, କ୍ଷୁଲାଚ ଏବଂ ଏହିନ୍ଦିବା, ରା ପାନିକୁପିବା ଦା ପାନିକୁପିବା ଏମମାଳାଶବ୍ଦରେ କିମ୍ପାରିବା ଦା ଉପାର୍କିଣ୍ଟାଙ୍କ ହିର୍ବନ୍ଦି ମେହିନ୍ଦାବ୍ଲେଟ ରାନ୍ଦା କ୍ଷାରଟୀଲୁ-ର୍ଯୁଶୁଲୁ କ୍ରନ୍ତିଲୋକିତାବି ମିଳିରାତିବିଦିତ.

ამიტომაც აქტიურობდა რუსეთი და პრაქტიკულად შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ მუსლიმურ აღმოსავლეთში პროცესები თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მიყერძოებულად გაეშუქრინა. ამ საქმეში ჩართული იყო დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობები, რომელიც არამხოლიც ქვეწის დიპლომატიურ სამსახურებს, არამედ მეცნიერ აღმოსავლეთმცოდნეებსაც თავისი მიზნებისათვის შესანიშნავად იყენებდა.

ତଥାଲୋକଶିଳ୍ପୀ ସାନାମ ଜ୍ଞାନ କୁଣ୍ଡଳ ରମାଶ ଆରକ୍ଷେଣ୍ଯରେ, ରୂପସଂଧି ହିତେଣଙ୍କ ଅଭ୍ୟାସକ୍ଷିତ୍ରେ ଶୈତ୍ତିଗାସ ଆପିର୍କୁପ୍ରଦେଶେ ତୁମ ଆରା, ଏବଂ ସାନାମ ଦ୍ୱାଳିଗାନ ସାମିନିକୁଟ୍ରିନ୍ସ ବାରମନ-

მოკლედ, „ჩვენი კოლმეურნების თაგმჯდომარისა“ არ იყოს, კონკრეტულად არცერთი ქვეყანა და პრეზიდენტის გვარი არაა დასახელებული, მაგრამ უამისოდაც ყველაფერი დღესავით ნათელია.

მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პოლიტიკურმა მიმომხილველებმა აპარატინუებულის აღნიშნული განცხადება ირანის მთავრობის მხრიდან რუსეთის მხარდაჭერად შეაფასეს.

როგორც კი ეს შეფასებები გაისმა, მეორე დღესვე გამოიგდა ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოთაქაქი და ალნიშნა, რომ „ირანის ისლამური რესპუბლიკა ომის წინააღმდეგია და დარწმუნებულია, რომ რეგიონული უსაფრთხოების საკითხების გადაჭრა მოლაპარაკება-თა გზით საგსებით შეიძლება.“

ამ განცხადებიდნ გარეულად ისე ჩანს, რომ ირანი ქართულ-რუსული კონფლიქტის შეფასებისას არცერთ მხარეს არ ამართლებს და ზოგადად, ომს ეწინააღმდეგება, თუმცა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აპეალინებადმა სხვა, უფრო ადრინდელი განცხადებით, ომის წამოწყებაში საქართველოს პრეზიდენტი დაადანაშაულა, ნათელი გახდება, ვის არიგებენ ჭკუას მოცემულ შემთხვევაში.

ଦୂରଲ୍ଲ ପ୍ରକ୍ରିୟେଶ୍ଵରୀ ତଥାଲ୍ୟୁଗୁରୀଙ୍କ ମିଳିଷ୍ଵେନ୍ଦ୍ରାକ୍ଷମ, ରିହମତିଗୁଣ ଗ୍ରହଣ ସାନ୍ତ୍ରିକର୍ମସ ତ୍ରୈ-  
ଧର୍ମପାଦ ଗାମିକୁଗ୍ରୋତା. ସାଗାର୍ଜୁ ତେଲାଲ୍ଲିତ୍ରିକାଶୀ ଖୋଗ୍ରତା କ୍ଷେତ୍ରିକୀୟ ପରିବର୍ତ୍ତନା ଏବଂ  
ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ କ୍ଷେତ୍ରିକୀୟ ସାଗାର୍ଜୁ ସାହିତ୍ୟର ମନ୍ଦିରକୁର୍ବୀରେ ତେଲାଲ୍ଲିତ୍ରିକାଶୀ ଗାର୍ଜନ୍ତୁରୁଣ୍ଟାକୁ  
ମାନ୍ଦ୍ରାଜା ମନ୍ଦିରରେ ପରିବର୍ତ୍ତନା ଏବଂ ମନ୍ଦିରରେ ପରିବର୍ତ୍ତନା ଏବଂ ମନ୍ଦିରରେ ପରିବର୍ତ୍ତନା ଏବଂ

არების სსვადასსვა სცენარისას, სხვადასხვაგარად შეიძლება გადმოიცეს. ერთი რამ (ზანადია: ინანი იჯრთხილობს კველა შემთხვევაში და ეს სიჯრ-

ირანელებს ეუპნებოდნენ, როგორ ჩაგრავდნ ქართველები მათ „თანამოძმე“ ოსებს, არაბულ სახელმწიფოებში საქართველო-ისრაელის სიახლოესა და ქართველი მინისტრების ებრაულ წარმომავლობაზე მიუთითებდნენ. საერთოდ კი მთელ აღმოსავლეთში ყველა ამ დემაგოგიურმა სარჩეულმა შესანიშნავდ იმუშავა.

თუმცა ვინც ოდნავ მაინც იცნობს ირანის შიდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სამართლოს, კარგად იცის, რა ფრთხილად მოქმედებს იგი მეზობელ სახლმიზღვებთან ურთიერთობისას.

ყველა კონკრეტულ საკითხზე ჯერ ანალიტიკოსები მუშაობენ და მათი ნააზრევის ის ნაწილი, რომელსაც ოფიციალური კონიუნქტურა მაღლად იზიარებს. პრესაში იბეჭდის.

ამიტომაც, ვერაფერში შეედავებოდი, მაგრამ ირანული პრესის ჩევნთვის საინტერსო თემატიკაზე თვალის გადავლება კარგად გვიჩვენებდა, რა პოზიცია აერჩია ისლამური რესუბლიკის მთავრობას უკანასკნელ ქართულ-რუსულ კონფლიქტთან მიმართებით.

ოდნავ მოგვიანებით, ეს პოზიცია უკვე ოფიციალურად განაცხადა ირანის პრაზიდენტმა.

შანხაის ქვეყნების მეთაურთა სამიტის შემდგომ მაცმულ ამჰადინებულმა აღნიშვნა, რომ „დასავლეთის ზოგიერთი ძალა, პოლიტიკურ პროცესთა და მთავრობათა წაქეზებისა და მათი ამა თუ იმ სამხედრო ბლოკთან შეერთების მონაბეჭდის საშუალებით, დარტყმებას აყენებს რეგიონში არსებულ ინტეგრაციას და მეზობლებს შორის წინააღმდეგობასა და შუღლს აღვივებს, რათა ამით შეემნას წიადაგი საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო გავლენის სფეროთა აღართობისათვის.“

თხილე ორი ფაქტორით აიხსნება. ერთი, რასაკვირველია, ამერიკა და მისი გეგმებია, ხოლო მეორე – რესეთი, რომელთან ურთიერთობის არცთუ ისე პოზიტიური ისტორიული გამოცდილება დღევანდელი ისლამური რესპუბლიკის მთავრობას პროცესში აქტიურ ჩაურევლობას აიძულებს.

ხოლო იმას, რასაც გარემოებათა გამო, ოფიციოზი ხმამაღლა ვერ გამო-  
თქვამს, ანალიტიკოსები ამბობენ.

ამდენად, საინტერესოა, რას გვეტბნებიან ანალიტიკოსები.

აღმოსავლეური პრესის ქართულ-რუსული კონფლიქტისადმი მიძღვნილი მასალები, რამდენადც ჩემთვის ცნობილია, ქართულად თითქმის არ ითარგმნებოდა, ყოველ შემთხვევაში იმ საიტებზე, რაც საგანგმებოდ ამ მიზნით შეიქმნა, ვთქვათ, იმავე ირანელი ავტორების ნაწერები არსად შეიქმნა.

ამ სიცარიელის ამოვსებას ემსახურება დღევანდელი პუბლიკაცია, სადაც  
სამი ირანელი პოლიტიკონიქის სტატიას წარმოაიდგინა.

ვფიქრობ, ამ სტატიებიდან ბევრი რამის დადგენა შეიძლება. ასე მანც დავადგინოთ სიმართლე, თორემ წაყრუების პოლიტიკა, რაც აღმოსავლეთის მიმართ ჩვენმა მთავრობამ აირჩია და რაც არავითარ ხეირს არ დაგვაყრის, იქამდე მივიდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ თითქმის არ გაშუქებულა ქართულ მედიაში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის – მანუჩერ მოთავაქის ოფიციალური ვიზიტი. სამთავრობო ტელევიზიები მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლენ და ოფიციალურ შეხვედრებზე დასმული საკითხები გაკვრითაც კი არ უხსესებიათ. ერთადერთი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე გვამცნობდა გაბრძყინებული სახით: ირანი ჩვენ ჯიჭირს მხარს ყველაზეოში უპირობოდა.

ତୁଳନାବୀଦୀରୁ ରା ମିଳଗାବସେନିରୁ, ମାଘରାତି ସାକ୍ଷାତ୍ତ୍ୱେଲ୍ଲା ମିତାଵରଣକାଳ ନୂଳଦାତ ତେବେ-  
ରୀରୁ, ରାତ୍ରି ରୋହିନୀ ପାରାଣାମି ଉତ୍ସଫଳିତାର୍ଥିରୁ ଆଶିଖାନାଟ.

အလုပ် ပါရေး နည်းလွှာ မြတ်စွာ ပိုမို ဖြန့်ဆောင်ရွက်မှုများ...  
အလုပ် ပါရေး နည်းလွှာ မြတ်စွာ ပိုမို ဖြန့်ဆောင်ရွက်မှုများ...

# ირანი და საქართველოს კრიზისი



საქართველო ირანის მეზობელი ქვეყანაა. ერთი მხრივ გეოგრაფიულმა სიახლოვემ, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და გეოსტრატეგიულმა საკითხებმა განაპირობა ის, რომ ოფიციალურ თეორანს საქართველო-რუსეთის ამჟამინდელი დაპირისპირებისათვის თვალი დიდი ინტერესით მიეღვნებონა. ირანი ამერიკისა და ისრაელის მხრიდან სამხედრო საფრთხის ქვეშაა. ორივე ამ ქვეყანას ახლა საქართველო-რუსეთის ომის გამო საკუთარი თავი ნაკლებ შეზღუდულად მიაჩნია.

ირანის მთავრობას რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით დღემდე არ განუცხადებია თავისი ოფიციალური პოზიცია. ირანელთა მხრიდან ამ მიმართებით გადადგმული ერთადერთი ნაბიჯი ირანის საგარეო საქმეთა მინისიტრის მანუჩერ მოთახქის სატელეფონო საუბარი იყო რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან, რომლის დროსაც მოთახქიმ განაცხადა, რომ „ირანის სურვილია რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს დაპირისპირება, რათა რეგონში მშვიდობამ და სტაბილურობამ დაისადგუროს.“ დაახლოებით ასევე მოიქცნენ თეორანის გაზეთები და კრიზისის ლრმა ანალიზისა თუ ამ საკითხზე თავიანთი თვალსაზრისის გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავეს. ოფიციალურმა პრესაშ ახალი ამბებიც კი ისე მიაწოდა საზოგადოებას, რომ რუსეთის მთავრობის გაღიზიანება არ გამოეწია.

ირანის ოფიციალური დუმილის უკან მნიშვნელოვანი ფაქტორების მთელი წევება იმაღლება. ეს კომპლექსი მოიცავს ირანის მთავრობის ერთსულოვნებას მოსკოვის მთავრობასთან ჩრდილოაზლანგიური ალიანსის გაფართოებისათვის ნინააღმდეგობის განვეის საკითხში. ასევე, ირანის მერქნიბიარობას მოსკოვის შეშფოთებებისადმი ამ ქვეყნის შიდა უსაფრთხოების გამო. პირველ ფაქტორთან დაკავშირებით, თეორანიცა და მოსკოვიც, საქართველოს უკანასკნელ კრიზის თბილისის მთავრობის დასავლეთის თავხედური მოკავშირების ჩრდილების ფაქტორთან ნატოს გაფართოების უდიდეს მარცხად აღიქვამენ. მეორე ფაქტორი კი, ამერიკის გეგმების ფონზე, კიდევ უფრო მკვეთრდება აღმოსავლეთ ევროპაში ბირთვული საფარის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

კავკასიის კრიზისმა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას სერიოზული ზიანი მოუტანა. ამ ომის გაერთი უშიშროების საბჭოც დააბნია და სათავე დაუდო ორი სამხედრო ზესახელმწიფოს შორის ცივი ომის შესახებ საუბრის ხელახალ წამოწყებას. ამ კრიზისმა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება დროებით მოწყვიტა ირანის ბირთვულ პროგრამას, რამაც შესაძლოა ირანის წინააღმდეგ მიმართული ექვსი ქვეყნის დიპლომატიის მარცხი გამოიწვიოს. ეს ექვსი ქვეყანა: ამერიკა, ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და გერმანია, რომელებიც მოლაპარაკებებს აწარმოებენ ირანის მიერუანის გამდიდრების თაობაზე.

რა თქმა უნდა, ბევრი საკითხი დამოკიდებულია საქართველოში მიმდინარე დაპირისპირების ხანგრძლივობასა და მასშტაბებზე და, რა თქმა უნდა, ისიცაა მოსალოდნელი, რომ მოსკოვმა, რომელიც მსოფლიოში შელახული ავტორიტეტის აღდგენას შეეცდება, სხვა ფრონტებზე ძალისხმევა გააორმავოს, რათა ეს დაკარგული ავტორიტეტი როგორმე აღიდგინოს. თორემ დღეს რუსეთის გამოკვეთილი ხატი მსოფლიოში არის ძლიერი ქვეყანა, რომელიც ახორციელებს ზენოლას პატარა მეზობელ სახელმწიფოებზე და აღვევს ამ სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. ამას გარდა, რუსები გრძნობენ იმ საფრთხესაც, რომ შესაძლოა, ამერიკამ ისინი დიდი რვიანიდანაც გააძევოს.

ირანისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველოს კრიზისი მხოლოდ სამხედრო კავკასიით არ შემოიფარგლება და მთელ რეგიონზე, კერძოდ, შუა აზიისა და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს. ეს გავლენა ერთნაირად შეიძლება, როგორც დადებითი, ასევე უაყოფითი იყოს. ერთი მხრივ, რეგიონში გაიზრდება რუსეთის მილიტარიზაცია, მეორე მხრივ კი, ირანს შეუძლია რუსეთთან კავშირურიერთობები განამტკიცოს. ამით გაიზრდება ირანის შანსები შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფში კი მთავარი ძალაუფლება ხელთ რუსებსა და ჩინელებს უჰყურიათ.

ამის მიუხედავად, ამ ვითარებით გამოწვეული ირანის დიდხნიანი ზარალი შესაძლოა, უფრო მეტი იყოს მის მცირევადიან სარგებელზე. თეირანის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მკაცრად არ გაუკრიტიკებია და აღბათ, ეს არის ამ მთავრობის თვალსაჩინო შეცდომა. ირან-საქართველოს ერთმანეთთან მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა აკავშირებს. საქართველო 400 წლის განმავლობაში ირანის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, ვიდრე ცარისტული რუსეთი ყაჯართა დინასტიას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამარცხინოდ დაამარცხებდა. ხსენებული ომი 1813 წლის გოლესთანისა და 1828 წლის თურქმანჩაის ზავებით გათავდა. ამ ზავთა შესაბამისად ირანის ტერიტორიის დაახლოებით ერთი მესამედი რუსეთის ხელში გადავიდა. საქართველოცა და სომხეთიც რუსეთისათვის გადაცემულ ამ ტერიტორიებს ეკუთვნიდა.

ირანი იმ დროიდან მოკიდებული მუდმივი შეშფოთებით ცდილობდა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები დროულად ამოეცნო. ამ ბოლო ხანს, სულ რაღაც შვიდი წლის წინათ, კასპიის ზღვის გადანაწილების მიზნით ჩატარდა სხდომა, რომელმაც სრული კრახი განიცადა. მაშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კასპიის ზღვაზე დიდი სამხედრო საზღვაო მანევრები ჩაატარა, რათა ირანისათვის მკაცრი, შესაბამისი პასუხი გაეცა.

ხოლო თუ დღეს უკვე რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი სამხრეთ კავკასიაში „თავის პატარა ბრწყინვალე ომიდან“ გამარჯვებული გამოვიდა, რუსეთის აღმოსავლეთის მეზობლები რუსეთის ძლევამოსილების გაფართოების სხვა მაგალითებსაც უნდა დაელოდნენ. ეს პერსპექტივა ირანსაც მოიცავს და აღელვებს. ამიტომაც მათი პოლიტიკა, ვინც საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს თეირანში, პარადოქსული და ურთიერთგამომრიცხავი ხასიათისა იქნება.

ერთი მხრივ, რაც არ უნდა თბილი და მეგობრული იყოს ირან-რუსეთის დღევანდები ურთიერთობები, დიდი მეზობლის ძლევამოსილება და მისი ყოველდღიური გაფართოება სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ირანის ეროვნული უსაფრთხოების გათვლებზე გარკვეულ ზეგავლენას იქნიებს. ამან შესაძლოა იმ ადამიანთა პაზიცია განამტკიცოს, რომლებიც თეირანში ბირთვული თავდაცვის სტრატეგიის მომხრებად გვევლინებიან.

მეორე მხრივ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა: მსოფლიოს შეუძლია დაივიწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა!“ ეჭვგარეშე, რომ თეირანისათვის მისაღები სულაც არა საქართველოსთან დაკავშირებით გამოთქმული ასეთი თვალსაზრისი, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როცა ბოლო ხანს ირანმა მსოფლიოს თანამშრომლობის წინადაღებათა პაკეტი შესთავაზა.

რუსეთის ძალა დემონსტრაცია ძალიან ჰგავს ამერიკის უკანონო მოქმედებებს 11 სექტემბრის შემდგომ, რაც ავლანეთისა და ერაყის ოკუპაციით დასრულდა. მიუხედავად რუსეთის სამართლიანი ჩივილისა ამერიკისა და ნატოს ზრახვათა და მოქმედებათა თაობაზე, ირანს არ შეუძლია ამერიკის საქციელი – ერთი, ხოლო რუსეთის მოქმედება მეორე კრიტერიუმით შეაფასოს.

თეირანმა საგარეო პოლიტიკის წარმოებისას სიმტკიცე და თანმიმდევრულობა უნდა გამოიჩინოს, თუნდაც ამან ირანის საერთაშორისო ავტორიტეტსა და მის დღევანდელ პოზიციებს რეგიონში ზიანი მიაყენოს და რამდენადაც უკავშირო არ უნდა დარჩეს კრემლი მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე კრიზისთან დაკავშირებით ირანის მთავრობის მტკიცე და გაბედული პოზიციით.

იმ დროს, როცა მოპამად ხათამის პრეზიდენტობისას ირანს სურდა ჩეჩენითის კრიზისში შუამავლის როლი შეესრულებინა, ახლა განსაკუთრებით თვალშისაცემია ამ ქვეყნის მსგავსი ინიციატივის აშკარა არარსებობა საქართველოს კრიზისთან მიმართებით. სამწუხაროდ, ვითარება ამგვარია, თორემ ირანს, როგორც მესამე ქვეყანას, შეეძლო, შუამავლის მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა.


საერთაშორისო კონფლიქტებში შუამავლობა მოლაპარაკებათა ოსტატურად წარმართვის ცოდნასა და დაპირისპირებულ მხარეთა დიალოგის განმუხტვის უნარს მოითხოვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ირანს შეეძლო ესარგებლა თავისი მიუმსრობლობითა და კონფლიქტის მხარეებთან საკუთარი მეზობლობით და ამდენად, შუამავლისათვის დაკისრებული მისიისათვის თავი წარმატებით გაერთმია. ირანი ამ საქმეში დადგებოდა სხვა ისეთი გავლენიანი ძალების გვერდით, როგორსაც გაერო და ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების საბჭო წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ უწინ ირანი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოსთან ტაჯიკეთის სამოქალაქო ომისა და აზერბაიჯან-სომხეთს შორის მთიანი ყარაბახის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებაზეც მუშაობდა.

მაგრამ ირანმა იმის მაგივრად, რომ აქტიური როლი ეთამაშა, დუმილის პოლიტიკა აირჩია და ვითარების პასიურ დამკვირვებლად მოგვევლინა. ეს, რა თქმა უნდა ირანის, როგორც რეგიონის ანგარიშგასანევი ძალის, ავტორიტეტს მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს. ამ ვითარებიდან გამოსავალი კი კონფლიქტში შუამავლის როლის შესრულებაა ირანის საგარეო პოლიტიკის პრინციპებისა და კრიტერიუმების სრული დაცვითა და გათვალისწინებით.

რუსეთის მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა და ამით საფრთხე ექმნება რუსეთის სხვა მეზობლების, მათ შორის, ირანის უსაფრთხოებასა და მთლიანობას. ამ ნახევარი საუკუნის წინათ ირანიც ხომ იდგა დაშლის რეალური საფრთხის წინაშე, როცა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, რუსეთის წითელი არმია ირანის ჩრდილოეთიდან გასვლას აღარ აპირებდა.

ნათელია, რომ დუპას რიგის მსოფლიო სავაჭრო მოლაპარაკებათა ჩაშლა და სამხრეთ კავკასიის კრიზისი საერთაშორისო კანონმდებლობის მოძეველებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ანენილობის ნიშანია. ეს მსოფლიოსათვის უკან გადადგმული ნაბიჯია. გამორიცხული არაა, მსოფლიო ცივი ომის პერიოდის მსგავსად დღესაც ორ ბანაკად გაიყოს. რუსეთი ამ ვითარებას აღბათ თავისი მონროს დოქტრინის მეშვეობით ამართლებს, განსაკუთრებით იმას, რომ ასეთი ორბანაკიანობა, ამგვარი დოქტრი-

## რაც არ უდაბის თბილი და მიმდინარეობის იყოს ირან- რუსეთის დღევანდები ურთიერთობები, დიდი მაზობელის ძლევამოსილების და მოქმედების გაფართოება და მისი მოსილებების გავლენის შესაბამისი პასუხი გაეცა.



## ალმოსავლური პერსპექტივა

ნები და ამონურული კლიშეები, როგორც ჩანს, დღეს უკვე ძალიან მოძველებულია.

მაგრამ ის, რომ ცივი ომი დასრულდა და ჩვენ ამ ომის შემდგომ ხანაში გადავედით, ჯერჯერობით ვარაუდის დონეზეა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გადადებენ თუ არა გვერდით მსოფლიოს ძლევამოსილი სახელმწიფოები თავიანთ შინაგან, დაფარულ მისწრაფებებს უხეში ძალის გამოსაყენებლად საკუთარი გავლენისა და ჰეგემონის გასაფაროთოებლად. ძველი წეს-ჩვეულებები ძნელად თუ ავინწყდებათ და ამიტომაც დასრულდა ამერიკის შექრა ნატოს ხელმძღვანელობით რუსეთის სამფლობელოში, საქართველოს ტე-

რიტორიაზე რუსეთის გამბიტით\*. ეს კიდევ ერთხელ გვაფხიზლებს და გვაფიქრებინებს, რომ ცივი ომის დასრულება ჯერ მხოლოდ თეორიაა. ეს მხოლოდ წარმოსახვაა, რომელზედაც ყველა ოცნებობს.

\* გამბიტი - საჭადრაკო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ვითარებას, როცა მოთამაშე სწირავს ერთი-ორ შედარებით უმნიშვნელო საჭადრაკო ფიგურას, რათა ამით საერთო პოზიციები განიმტკიცოს. (ავტორის შენიშვნა)

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ

ქავე აფრასიაბი წარსულში თეირანის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ამჟამად ასწავლის კემბრიჯის უნივერსიტეტში. იგი იყო გაეროს ცივილიზაციათა დიალოგის პროგრამის მრჩეველი და არასამთავრობო ორგანიზაციის „რელიგიათა შორის მსოფლიო მშვიდობა“ დამაარსებელი. მისი სტატიები სისტემატურად ქვეყნდება, „ზია ტამსისა“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ქრონიკის“ ფურცლებზე. ავტორია წიგნებისა: „აიათოლა ხომეინის შემდეგ: ირანის საგარეო პოლიტიკის ახალი ვექტორები“, „ისლამი და ეთნოლოგია“, „ირანის ბირთვული პროგრამა“. წინამდებარე სტატია „აზია ტამსისა“ ამა წლის 26 აგვისტოს წომერში გამოქვეყნდა.

მირ მეპრდალ მირ სანჯარი

## სამხრეთი რსეთი და კავკასია: შესაფერისი კალაპოტი ირანის რეგიონული პეგემონისათვის



### საქართველოს პოზიცია კავკასიაში

საქართველო ერთ-ერთია იმ სამი კავკასიური რესპუბლიკიდან, რომელიც ისტორიის მანძილზე უხსოვარი დროიდან ირანის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, იბერიის სახელწილდებით, ისტორიულად მუდმივად ირანის შემადგენლობაში იყო, ხოლო დასავლეთი, რომელიც ეგრისად იწოდებოდა, მუდამ მაშინდელი დიდი მსოფლიო ძალების ანუ ირანისა და ბიზანტიის იმპერიის განუწყვეტილი ქიშის საგანს წარმოადგენდა. ეს რეგიონი ისტორიის შემდეგ ეტაპებზეც არაერთხელ გამხდარა უცხო ძალთა თარეშის ასპარეზი, მაგალითად, ოსმალური თურქეთისა და რუსეთისა, ვიდრე 1812 წელს გოლესთანის სამარცხვინი ზავით, ირანელი ერისა და კავკასიის ხალხების კავშირი საუკუნეების განმავლობაში განყდებოდა.

ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე მოელი კავკასიის ირანული ტერიტორია „სპარსულთა მიწებად“ იწოდებოდა; ვიდრე 1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ საბჭოთის მმართველი კომუნისტური რეჟიმი გადაწყვეტილებას მიიღებდა საბჭოთის სხვადასხვა რეგიონის გეოგრაფიული საზღვრები მონათე-

სავე ხალხთა ერთმანეთისაგან გათიშვის პოლიტიკური პრინციპით გადაწილებინა. ამ საფუძველზე სხვადასხვა რეგიონში და განსაკუთრებით, შეუ აზიასა და კავკასიაში ჩამოყალიბდა რამდენიმე კონფლიქტური ტერიტორიული ერთეული, რომელიც საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ უპირატესობას ისახავდა მიზნად. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ სამარყანდისა და ბუხარის – ტაჯიკებით დასახლებული და სპარსულენოვანი – რეგიონების მიერთება უზბეკეთის რესპუბლიკასთან.

კავკასიაშიც ანალოგიურმა პოლიტიკამ შემდგომ პერიოდში მრავალი ხალხის ეთნოკონფლიქტების გალვივებას შეუწყო ხელი. მაგალითად, ერთი მხრივ, ყარაბაღზე, მეორე მხრივ კი ნახტევანის რეგიონზე შეგვიძლია მიუუთითოთ, რომელიც სომხეთ-ირანის საზღვარზე მდებარეობს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან საერთო საზღვარი არ გააჩნია და ოფიციალური აღიარება არანისა და შირვანის რესპუბლიკის საზღვრებში მოიპოვა.

ოსეთსა და კავკასიის აღანიაში მოსახლე ხალხებიც, რომლებიც ისტორიულად ირანული წარმომავლობისანი არიან, დღემდე სპარსულ-

თან ძალიან ახლო მდგომ ისურ ენაზე საუბრობენ და თავს მუდამ ირანული ცივილიზაციის მეტევიდრეებად მიჩნევენ, საბჭოთა წყობილებისას, ორ ნაწილად დაყვეს. ერთი ნაწილი, ჩრდილო ისეთის სახელით, რუსეთის ფედერაციის, ხოლო მეორე ნაწილი, ანუ სამხრეთ ისეთი, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში მოაქციეს.

პოლიტიკური ცვლილებებისა და საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დაქცევის შემდგომ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რეგიონის ნაციონალური პრინციპით ადრინდელი გადანანილება მიძინებული ეთნოკონფლიქტების გაღვივების მიზეზად იქცა და მთელი კავკასიის რეგიონი, ერთი მხრივ, ყარაბაღის თაობაზე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის, მეორე მხრივ კი, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან სამხრეთ ისეთის, აფხაზეთისა და აჭარის ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლის ქარცეცხლში გაეხვია.

## საქართველოს ურთიერთობა ისრაელთან და დასავლეთთან

მთავრობა, რომელიც დღეს საქართველოს მართავს, სათავეში დასავლეთისა და განსაკუთრებით ამერიკის, სრული მხარდაჭერით მოვიდა. იმდენად, რომ თავიდანვე დასავლეთსა და ისრაელთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ამ მთავრობის ყველა სამოქმედო პროგრამის მაგისტრალურ ხაზად გამოცხადდა. მსოფლიო პრესაში არაერთხელ ასახულა საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის მთავრობის ისრაელთან მჭიდრო ურთიერთობისა და ორმხრივი მსხვილი გარიგებების ფაქტები, რომელთაგან ქვემოთ რამდენიმეზე შეგვიძლია შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

სააკაშვილის მთავრობის არაერთ წევრს, რომელიც თავისუფლად საუბრობენ ეპრაულად, მჭიდრო კავშირურთიერთობა აქვთ ისრაელთან. მაგალითად, დავით კუზერაშვილს, საქართველოს თავდაცემის მინისტრსა და სააკაშვილის მთავრობის მეორე პირს, რომელიც 1993 წლიდან ისრაელში ბებიასთან ცხოვრობდა, იქ განათლების მიღების შემდგომ კი საქართველოში დაბრუნდა და დღვეანდელი მთავრობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

მეორე ქართველი მინისტრი – თემურ იაშვაბაშვილიც (ავტორი საგანგებოდ ეპრაული ფორმით წერს გვარში ასახულ ეპრაული წარმომავლობის სახელ იაკობს – გ. ლ.), ვიდრე მინისტრის პოსტამდე მიაღწევდა, ისრაელის რეუიმში ცხოვრობდა. ამ რეუიმშა საქართველოში განახორციელა მსხვილი კაპიტალდაბანდებები, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია ისრაელის ნავთობის ნავთობით მდიდარ რეგიონთა განვითარებლად. გარდა ამისა, სოონისტმა მილიარდერმა იალ ლუპერმა 78 მილიონი დოლარი დააბანდა საქართველოს დედაქალაქის თბილისის განვითარებისათვის, ხოლო ამ რეუიმის მეორე პიზნესმენმა ეფრემ გურმა, როგორც ქართველმა ეპრაულმა, თბილისში 1000 საცხოვრებელი ერთეულის შენება წამოიწყო და ისრაელიდან საინვესტიციო კომპანიის „შალგარის 50-მილიონიანი ინვესტიცია საქართველოში ჩაიტანა.

მეორე მხრივ, თბილისის მთავრობის თანადგომამ ისრაელისა და ამერიკის ანტირანული პროგრამებისადმი რეგიონში, ერაყში 1000

ჯარისკაცის გაგზავნით ამერიკისათვის ერაყის დაპყრობაში დახმა-ების აღმოსაჩენად განსხვავებული ელფერი შეიძინა იმ-დენად, რომ საქართველო ამერიკისა და ინგლისის შემდგომ ერაყის დამპყრობთა რიგში მესამე სახელმწიფოდ მოგვევლინა.

საქართველოს მხრიდან კავკასიაში წატოს გაფართოებისათვის ან-თებული მწვანე შუქი არის ამერიკის განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი საქართველოს შესაძლებლობათა საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის გამოსაყინებლად. ამიტომაცა, რომ 150 ამერიკელი სამხედრო, ქართული ჯარის განვითარებისა და შეიარაღების მიზნით, დღესაც ამ ქვეყანაში იმყოფება.

აღნიშნულმა ურთიერთობამ განაპირობა კასპიის ზღვის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტურების მიზნით აგებული ნავთობსადენის ე. წ. ბაქო-თბილის-ჯეიპანის საქართველოს ტერიტორიაზე გატარება, რათა ამით ირანისა და რუსეთის ინტერესების საპირისპირ დასავლეთის ინტერესი ყოფილიყო დაცული და დაბალანსებული.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში არსებული ვითარება, რომ მუდმივ გავლენას იქონიებს რეგიონის სხვა ქვეყნების – რუსეთისა და ირანის ეროვნულ ინტერესებზე, რადგანაც ისეთი ქვეყნების როგორიცაა საქართველო და აზერბაიჯანი (იგივე ისტორიული არა-

ნი და შირვანი) მომეტებული სიახლოვე დასავლეთთან გააძლიერებს რეგიონში უცხო ძალა ფეხის მოკიდებას. დასავლეთის მიერ საქართველოს და აზერბაიჯანის წაეზება წატოს წევრობისაკენ და რეგიონში ანტისარაკეტო საფარის დამონტაჟება რამდენადაც რუსეთისათვის არის საშიშროება, იმდენადვე სერიოზული საფრთხეა ირანისთვის. ამ მიმართებით აღნიშნულ ორ ქვეყანაში სამხედრო ბაზების შექმნა და ბაქო-ჯეიპანის ნავთობსადენის აშენებაც იყო პოლიტიკა, რომელიც ირანისა და რუსეთის რაც შეიძლება მეტი იზოლაციისათვის განახორციელეს. ამ ვითარებაში მიუხდავად დასავლეთის ჰაერსანიანალ-მდეგო სისტემების რეგიონში დამონტაჟების პროცესის შენელებისა, რაც რუსეთის მიერ სამხრეთ ისეთში სამხედრო ძალის გამოყენებამ გამოიწვია, ირანის მხრიდან აქტიური რეგიონული ძალის ჰეგმინიური გამოყენება შესაბამისი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ ჩვენს

ირანელ თანამოძმეულს რეგიონში მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიოთ. ის, რომ საქართველოში სამხრეთ, ასევე ჩრდილო ისეთსა თუ ალანიაში მცხოვრებ ისებასა და აზერბაიჯანის თაღის რეგიონში მცხოვრებ თაღისძებს ირანული ძირები აქვთ და ისინი ამ ირანული ძირებით, კულტურითა და სპარსული ენით ამაყობენ, არის შესაბამისი კალაპოტი, რომელსაც აქამდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევთ. ამდენად, უპრანი იქნება ირანის მიერ ამ ხალხებსა და ერაყელ ქურთაბაზაც კი, როგორც ირანული წარმომავლობის ხალხს, ყოველმხრივი კულტურული და ნივთიერი დახმარება გენერის. რადგანაც ამ ხალხის ძლიერების შენარჩუნება ირანის რეგიონული ჰეგმინიის განმტკიცებისა და რუსეთთან ძალის გათანაბრების გარდა შეიძლება ირანის ეროვნული ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღმოსაფერულებად საჭირო დროსა და შესაფერის მომეტში შესანიშნავ საშუალებად გამოგვადგეს.

## სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ

**დასავლეთის მიერ საქართველოს  
და აზერბაიჯანის წაეზება წატოს  
ნევროპისაკენ და რეგიონში ანტი-  
სარაკეტო საფარის დამონტაჟება  
რამდენადაც რუსეთისათვის არის  
საშიშროება, იმდენადვე სერიოზული  
საფრთხეა ირანისთვის. ორ ქვეყანაში  
სამხედრო ბაზების შექმნა და ბაქო-  
ჯეიპანის ნავთობსადენის აშენებას  
იყო კოლიზიკა, რომელიც ირანისა  
და რუსეთის რაც შეიძლება მეტი იზოლაციისათვის განახორციელობა მიუხდავად დასავლეთის ჰაერსანიანალ-მდეგო სისტემების რეგიონში დამონტაჟების პროცესის შენელებისა, რაც რუსეთის მიერ სამხრეთ ისეთში სამხედრო ძალის გამოყენებამ გამოიწვია, ირანის მხრიდან აქტიური რეგიონული ძალის ჰეგმინიური გამოყენება შესაბამისი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ ჩვენს**

## სააკაშვილის შეცდომა: დასავლეთის დახმარების იმაღლი



### შეცდომის გამო აასუბისმგებლობის

#### თავიდან აცილება

სააკაშვილმა ორშაბათს, 10 აგვისტოს, „უოლსტრიტ ჯურნალში“ დაბეჭდილ სტატიაში სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო მთლიანად რუსეთის მხარე დაადანაშაულა. მან სტატიის უმთავრესი ნაწილი დაუთმო პასუხს შეკითხვაზე: „რა იყო ამ ომის მიზანი“, აღნიშნული საკითხი ქართველი ხალხის შეკითხვად წარმოგვიდგინა და განაცხადა, რომ „ეს ომი საქართველოს არ აურჩევია და არც დაუწყია. ეს იყო ომი, რომელიც კრემლის მთავრობის მიერ დაიგეგმა.“ საქართველოს პრეზიდენტის მტკიცებით, რუსეთი დიდი ხანია ყველანაირად ცდილობდა საქართველოს პროვოცირებას ომში ჩასაბმელად, განსაკუთრებით აფხაზეთის რესპუბლიკასთან, თუმცა შესაბამის მომენტში, როცა საჭირო სამხედრო პირობები შექმნა, ასანთი სამხრეთ ოსეთის კრიზისის „დენონის კასრთან“ გაკრა.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაზეც სააკაშვილი აღნიშნულ სტატიაში მიუთითებს და რამდენადმე აშკარავებს თბილისის მთავრობის დასავლეთთან ცალხმრივ ურთიერთობებზე დაყრდნობით გამოწვეულ უმთავრეს შეცდომას, არის „პირადად თავისი და მისი ხალხის დასავლეურ ორიენტაციაზე“ ხელახლი აპელირება. სააკაშვილის განცხადებით, ქართველმა ხალხმა აშკარად გამოხატა საკუთარი სწრაფვა ევროპისაკენ და თავის მომავალს სწორედ ევროპას უკავშირებს. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ სააკაშვილი თბილიში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე მიუთითებს და აცხადებს, რომ მაშინ გამოკითხულთა სამი მეოთხედი ქვეყნის ნატოში განვირინანდას დაეთანხმა.

პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთში ომის წამოწყებას მიმთაც ამართლებს, რომ „თავისუფლება და დამოუკიდებლობა უსასყიდლოდ არ მიღწევა და ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ის საფასურია, რაც საქართველომ საკუთარი ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის გადაიხადა.“

იგი ევროპის მხარდაჭერის მოპოვებას სხვა არგუმენტაციითაც შეეცადა და თქვა, რომ საქართველოს დამარცხება ამ უკანასკნელ მოვლენებში მთელი ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე ევროპის, ევროპული პოზიციების დამარცხებად შეიძლება შეფასდეს და სა-

მხრეთ ოსეთის გამო საქართველოს მთავრობის დაპირისპირება რუსეთის მთავრობასთან მთელი ევროპის დაპირისპირებაა.“

#### შეჯამება

ბოლო დროს სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების თაობაზე ევროპელი ექსპერტების მოსაზრებათა თვალის მიღვენება მიგვანიშნებს იმ რეალობაზე, რომ ამ ექსპერტების თითქმის ერთსულოვანი შეხედულებით, მოსკოვთან შედარებით საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობის პირობებში, სააკაშვილის მხრიდან ომის წამოწყება უდიდესი შეცდომა იყო. განსაკუთრებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი წარმოდგენილია ევროპის უშიშროების საბჭოში და შეუძლია ვეტო დაადოს ყველა გადაწყვეტილებას, რასაც თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიზნევს, მათ შორის უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებითაც. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს ევროპის უშიშროების საბჭოს უუნარობა, რომელმაც რამდენიმე სხდომის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში დაპირისპირების დასასრულებლად საჭირო მინიმალური ზომების მიღებაც კი ვერაფრით მოახერხა. სააკაშვილი, რომელმაც ეს ომი არა საქართველოს რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, არამედ დასავლეთის დახმარების იმედად წამოიწყო, საბოლოოდ, როცა ვერც ქმედითი შეწევნა მიღლო და რუსეთის უეჭველი სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობაც დაინახა, იძულებული გახდა, საკუთარი შეცდომა ელიარებინა და სი-ენ-ენისათვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა თბილისის მთავრობის მზადყოფნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოსაწერად.

მაგრამ ჩანს, ცეცხლის შეწყვეტა სულაც არ არის დაპირისპირებათა დასასრულო, არამედ, როგორც მედვედევმა აღნიშნა, „ამ ომის გამჩაღებელი უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს“ და თბილისი მოსკოვის სადამსჯელო ღონისძიებისათვის უნდა მოემზადოს.

**სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ**



# **SYNDICATE**

**104.3 FM**

**[WWW.RADIOSYNDICATE.GE](http://WWW.RADIOSYNDICATE.GE)**



## უკატრონი ქალაქი

ავტორი: დალიან კოდალევისი  
ერთობენ: მარიამ ჩიხეილიძე

<<< ლასახყუსი გვ. 42

სამხელობრ პოსპიტალი

- „ხელთათმანი აიღე, ნუ, რა ვიცი, რამდენიმე წყვილი, და ამოთხარე“, - ჩაილაპარა-კა ტელეფონში გორის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა. დალუპულთა რაოდენობაზე, ციფრებზე არავინ საუბრობს, ამბობენ, საიდუმლო არ არის, მაგრამ... 100 კაციც უკვე ბევრიაო.

մօև զանոնեցիքո, մացօդածի, սամեցրո-աճալու-  
թոյսուրո շարժալու „արսենալու“ ձեզես. շարժալու  
գաճազեցեց. Տիւալույնը, օլումորույնը, օնթյերզոյսու-  
նու պատուացու աջական մովլենցիքնու. Տատա-  
րույնը գաճազեցաւ ամամականացրած: „մօնօնուրո, չարասույացու ու  
Պուրացու միւրու“, „Ռայսեմա յասեպուրուս գաճա-  
զայսուրու ծոմենցիքնու... նացոյտեց, րոմ այցելյէն ծեղցագ, մեսեցը ըլուս և եղուլին  
հիենա Ենրունու նամեսեացրացու, րոմելմաւ ծեղ-  
ուացու առ մոյլաս, մացրամ մուցու քեռացրեա  
աճամուս աճամունո. ամիշտոմ, յեխիմուն, այցելյէն պալ-  
տա գաճասահիենաց, օմուլունցուն արուն կունց-  
րունը ամիշտացու գայսպուրոն. շարժալուս պար-  
ագարակն այս սամոնելու, գամալունինանցիքնու յուլու-  
սուա: Օյնոնց ქարտունու գուգա ჩանս, նոն ծագարա-  
ծուի - տաշից ծենցանու, սամեցրո շուկացուտ  
գաճաշու մաշաց ճաճանչուն խանցուտ. ქյան նար-  
ներա „կունցաց գութունց ալցուտ լուցուն, մը լուսուսանու“. գայունոյեր - սանամ ալցուտ լուցու-  
նու գութունց յույնուս առ շերպնցաւու, մաճամու-  
սուն ամ ալցունու Յունինուտ, սուն.

— „გინდათ ფილმი გაჩვენოთ? ჩვენმა ბულალ-ტერმა გადაიღო. მარტო 4 დღის მანძილზე, 1200-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანეს. გაჩვენებთ, რა ხდებოდა პისტიტალში“. სრულ საგი-ჟეტში, ხედავ საკაცებს, ძირს, ერთად დაყ-რილ ცოცხლებს და მკვდრებს. საწოლების არ ქონის გამო, ექიმებს პირდაპირ იატაზე აწერდათ პირველადი დახმარების აომირენა.

როთმანეთის მიყოლებით შემოჰყავთ, დაქრილი  
თუ გარდაცვლილი ადამიანების უსასრულო  
ნაკადი. თითო შემოყვანაზე, სულ ცოტა 50  
კაცი მაინც. ძირითადად, ნაღმზე აფეთქებული  
ქალები, კაცები, ბავშვები, ჯარისკაცები... ამ-  
პუტირებული სხეულის კიდურები, გადასხილი  
ჭრლობები, ოპერაციები... ექიმებს 24-ი საათი  
უწევდათ მუშაობა, რამდენიმეს შუა მუშაობი-  
სას წასვლია გული. 12-ში, ევაკუაციის დღეს,  
ჰოსპიტალის ეზოში ექიმი მოკვდა, გოგა აპრა-  
მიშვილი. თითმის ყველა ევაკუირებული იყო  
შენობიდან, მაგრამ გოგა დაბრუნებულა, იქნებ  
ვინმეს ჩემი დახმარება დასჭირდეს. ზუსტად  
იმ ღამით კი, ჰოსპიტალში გასაძარცვად შემო-  
პარულია. ქართველები იყვნენო - მითხრა მთა-  
ვარმა ექიმმა.

დოკუმენტურ მასალას, თითქმის ბოლომდე  
უცყვროთ. ხმა არ ამომიღია, გამეხებული ვი-  
ჯეტი. ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდე-  
ბოდა ფილმი, რომ ოთახიდან გამოვსულიყვავი. მარტო  
ოთახიდან კი არა, არ ვიცი... ჰოსპი-  
ტალიდან, ქალაქიდან, ქვეყნიდან... მიმღებში  
ერთად ჩამომსხდარი ექიმები დავინახე. 5-6  
ქალი იქნებოდა. ჩუმად ისხდენენ. მაგიდაზე  
ხმის ჩამწერი დავდე და რაღაც ვკითხე. უცებ,  
ერთი შემომიტრალდა და გაპრაზებულმა  
მკითხა:

– „6-ը մերց, սասմարո մծցօմարշոնձ ոյս  
գամուքագրեպսլո. նցուու արց ըրտ շշորնալ-  
ութիս ար մունճա այ մուսյուլոպո՞! Շըմօնսյուլոպո  
ան գարուո մծցարուոց դա գաճաւոլու ևս սասակոլառ.՝  
տյզենց ծրճանեցեծ լլուութիոտ? Տագ ույազուո,  
աելլա րոմ դագուսարո? պայլաս դավազոնցուոտ,  
արազոն ար մուսյուլա ամ ամեցեաս մերց, արց Ար-  
շուութենցու, արց ջանճաւուոս մոնուութրո. Հըպայս-  
ուուց ար գամուքագրեպսատ, ույ շըմթօմինազնենց րու-  
սույցնու: Քից եռմ այտենուուց գամուզարցու, մա-  
ցրամ ասեու արայերո ցունահազը.... երտագրերոտ,  
Ռուուց զօրշինոտ. Ռոմ զոռաւաս զակեազայտ.

ვიღლაცა გვერდში გვედგა – სამღვდელოება იყო. მამაოები შემოდიოდნენ, გვაჭმევდნენ, გვივთლიდნენ. ჩვენს პერსონალს და დაწრილებს ლამის ყოველ დღე აზიარებდნენ. მერე გოგოებს შეეშინდათ, რამე ხომ არ ხდება, აღსარების გარეშე რატომ გვაზიარებთო.

22ი-ში განაღმეს ეს შენობა. ზემოთ ნაღმი იპოვეს. არ აფეთქებულა, ამდენი ხანი თავზე გვედო.<sup>“</sup>

ხალხის „დაზარისხებაზე“ დაინტერეს ლაპარაკი. როგორ ტოვებდნენ აგონიაში მყოფ ადამიანებს და ცოცხლებს ეძებდნენ – ამათ მაინც არაფერი ეშველებათო. – „ზოგჯერ, ნარკაზის გაკეთებასაც ვერ ვასწრებდით და პირდაპირ ვაჭრიდით ხალხს კიდურებს, გინდა გაჩვენო?“ – მომიტრიალდა ერთი ექთანი და სახეზე ამაფარა ტელეფონში შენახული ფოტო.

ზოგი სპეცნაზელების ვაჟუაცობაზე მიყვებოდა, ჭრილობას შეხვევას და გამამყუჩებლის გაკეთებას რომ სთხოვდნენ, უკან უნდა დავპირუნდეთ. ზოგი - რეზირვიტებს იხსენებდა, სერიოზული არაფერი სჭირდათ და მაინც მეხვენებოდნენ, ხელი და ფეხი არ მოგვაჭრა, ჯერ 19 წლისები ვართომ. შესინებულები იყვნენ.

ოკუპაციის დღეებში, რუსების, ჩეჩენების და კაზაკების მოყვანაც დაუწყიათ. მათგან ვინც შემოდიოდა, თითქმის ყველა ტანკიდან ყოფილა გადმოვარდნილი. თვითონვე ამბობდნენ, ტანკიდან გადმოვარდა და მიხედეთ.

- მშვიდობა? რა მშვიდობა იქნება, ნახევარი საქართველო წაიღეს - თქვა ბოლოს ერთ-ერთმა.

მერე გავიგე, იმ ქალს, გაბრაზებულმა რომ  
დამინცყო ლაპარაკი, 21 წლის სიცე ჩააკვდა  
ხელში. ერთ-ერთ ბომბს შეენირა. გარეთ მდგა-  
რან ბიძები, სახლის ეზოში.

უნივერსიტეტის დაცხრილულ შენობასთან გა-  
ვიარეთ. გზად, კარვებთან, ბოლოჯერ შეეტერდით  
და სახლში მივედით, თბილისში წამოსავლელად  
მოვემზადეთ. ლაპარაკის თავიც არ მქონდა.  
კარალეთი, დამწვარი სახლები, დევნილები, ჰის-  
პიტალი, ვიდეოზე ნანახი - ერთი და იმავე კა-  
დრებს ალბათ მესახევრ ვატრიალებდი თავში.  
სამზარეულოში ტელევიზორი იყო ჩართული.  
მიშა დავინახე. იასამნისფერი პერანგი და თეთრი  
შარვალი ეცეს; მზით გაჩახახებულ აღვილას  
იდგა და მიკროფონი ფრენკ სინატრასავით ეჭირა  
ხელში. უკან, ფონზე, ამფითეატრის მაყურებე-  
ლივით ჩამომსხდარი კახელები ისხდენ. პირდა-  
პირი ჩართვა იყო, მგონი თელავიდან. გაბადრუ-  
ლი ჰყვებოდა, რაღაც ახალი პროგრამის, ვიდაც  
ახალი რწმუნებულის შესახებ; როგორ დაასაქმე-  
ბენ გლეხებს, რა კარგი იქნება სოფლად ცხოვრე-  
ბა... ვოორი თა. არც არათერი მოწმობარა.

რაც მთვარია, ყველაფერი კეთდება, ფერად-  
ფერადად იღებდება, რემონტდება.



ლიტერატურული კაფე „ჩარავანი“  
ცარმოგილგათ:

12 ოქტომბერი, პარა, 15.00

ნანა ღვინეფაძე – 80

19 ოქტომბერი, პარა, 15.00

ჩვენი უცნობი ფრთხები – მერაბ მამარდაშვილი

26 ოქტომბერი, პარა, 15.00

ზალ ქიქოძის გახსენება



„შელი შოკოლადის“ ქველი ნომრები შეგიძლიათ  
შეიძინოთ 3 ლარად შომშებ მისამართზე:

ლიტერატურული კაფე „ჩარავანი“, ფურცელაძის 10

აარნასი, კოსტავას 22, ლესელიძის 33  
სანტა ესარანა, სანკტ პეტერბურგის 12, გუდვილი



<< დასახული გვ. 50

„კალხოზიკის“ კაცები სალოცავში შედიან, მე გარემოს ვათვალიერებ. „როინი ბესააშვილი, 1989 წ.“, ვკითხულობ ერთ-ერთი ხის მერქანზე საშვილიშვილოდ ამოტვიფრულ, უკვე ისტორიულ წარნერას. ერთ-ერთი მეტზური მიხსნის, რომ ბესააშვილები მისი მეზობლები იყვნენ ატენში... ძნელია, სულ რაღაც ერთი თვის წინ დატრალებული საომარი მოქმედებების შემდეგ, ქართულისურ მეობრობაზე წერო, მაგრამ ატენში ხეობაში ყველიან, აგვისტოს ომის დროს, კარალეთში მყოფი ქართული ოჯახი როგორ გადაარჩინა ისმა რძალმა და კარგად ახსოვთ წმ. გიორგის სალოცავში როგორ ლოცულობდნენ ქართველები და ოსები ერთად. ახლა, იმაზე ვფიქრობ, რა უფრო მალე მოშუშდება და ალდეგება, დამწვარი ტყე თუ დანგრეული ურთიერთობა.

## საერთო ფონი

თითქმის მთელი საქართველოდან მოპილიზებულმა სახანძრო მანქანებმა ბორჯომის ტყეები, ხანძრის გაჩინიდან მხოლოდ 25 დღის შემდეგ დატოვეს. ხეობებში ადგილობრივი მეხანძრები დარჩინენ და იმედია, მთელი აგვისტოს განმავლობაში მუხლმოუხრელი შრომის შემდეგ, შემოდგომის გრილ სალამოებს ცეცხლთან ბრძოლის ნაცვლად, კოცონთან დომინოს თამაში გაატარებენ...

რუსული აგრესიის შედეგად გაჩინილმა ხანძრმა, რომელიც საქართველოში მთელი თვე გრძელდებოდა, 1000 ჰექტრამდე ტყის მასივი დააზიანა. მეცნიერების ნაწილი შეშობს, რომ შესაძლოა, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში, არა მხოლოდ მინერალური, არამედ ჩვეულებრივი სასმელი წყაროს წყლის რაოდენობაც შემცირდეს. შეიქმნება ეროზიული პროცესების, მეწყრბის, ღვარცოფებისა და წყალდიდობების საშმროება... ეს გადამნვარი ტყეების რეგიონში...

გორის სარკინიგზო გადასარჩენზე, სკრაში დანაღმული ტერიტორია აფეთქდა. აფეთქებამ

ნავთობპროდუქტებით დატვირთული სამი ვაგონიც დააზიანა. შედეგად, 750 ტონა ნავთობი დაიღვარა. ახლა, დაბინძურებული ტერიტორიიდან ნავთობს ტუმბავენ... ჯერ რეზერვუარებში აგროვებენ, შემდეგ ზედაპირიდან მოხსნიან. მხოლოდ ამას შემდეგ დაინწებენ რუსული აგრესიის მორიგი ეკოლოგური პრობლემის შესწავლას ნიადაგისა და წყლის სპეციალისტები. პირველადი დათვალიერებით კი ჯერ ერთი იციან – უნდა მოხდეს გრუნტის აღება და დაახლოებით ორი ათას კვადრატულ მეტრზე ნიადაგის გადანერგვა.

პირველადი ინფორმაციით, კატარლების აფეთქებისა და ჩაძირვის შედეგად ფოთის აკვატორიაში 80 ტონამდე ნავთობი ჩაიღვარა. გარემოს დაცვის სამინისტროში ოდნავ ამოისუნთქეს, როცა შავი ლაქა აჭარის სანაპიროსკენ არ ნავიდა. ესე იგი, იქ ტურიზმის განვითარება აგრესიას გადაურჩა. თუმცა მთავარი ისაა, რომ ლაქა ნაკრძალის მხარეს არ გავრცელდა. სამნუხაროდ, პერიმეტრს რუსები აკონტროლებენ და ჩვენებს ჯერ მხოლოდ მკითხაობა შეუძლიათ. საერთაშორისო კონვენციებით და შეთანხმებებით დაცული გადამფრენი ფრინველები, დელფინები, კოლხური ზუთის ჯერ კადევ დიდი ეკოლოგიური საფრთხის ქვეშ დგას.

რუსული აგრესიის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ვებ-გვერდ ოდნოკლასნიკი.რუ-ს მეშვეობით რუსი გლაციოლოგი დამიკავშირდა. ჯერ მყინვარწერის ფოტოები შემიფასა და მერე, რომ გაიგო რა პროფესიის ვიყავი, მთებში და ბუნებაში ხეტიალი მიყვარდა და თანაც, უმცროსი ბოდროვის შესახებაც მქონდა გაგონილი, სექტემბერში გლაციოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე დამპატიუ, რომელიც, წესით, ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა მიმდინარეობდეს.

კონფერენციის ერთ-ერთი თემა, რამდენიმე წლის წინ კარმადონის ხეობაში დატრიალებული ეკოლოგიური კატასტროფაა. თემა, მართლაც შესასწავლი და დასაფიქრებელი, მით

უმეტეს, რომ კარმადონის ხეობის მოსაზღვრე ხეობები და იქიდან ჩვენი მყინვარწერისკენ ამავალი თრუსოს, გერგეტისა და დევდორაკის მყინვარები უკვე ჩვენი ტერიტორიაა. ფაქტია, რომ რუსებსაც და ქართველებსაც ეკოლოგიური საფრთხე ერთნაირად გვემუქრება... თუმცა ეს სხვა საუბრის თემა.

## SOS – საქართველო შვალას ითხოვს

ხუთი შეკითხვა და ხუთი კონკრეტული პასუხი, სწორედ ამ ფორმით გადავვიტე, ირაკლი მაჭარაშვილი კიდევ ერთხელ შემეწუხებინა.

## რა მოცულობისაა საბოლოოდ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად მოყენებული ზარალი?

ჯერჯერობით ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. არ გვაქვს რუსები, სადაც დატანილი იქნება თუნდაც დამწვარი ტყის კორომები. რუსების გარეშე ძნელია გაიგო, მაგალითად, იქონია თუ არა ხანძარმა ზემოქმედება ცხოველთა სამიგრაციო გზაზე, ან რომელი სახეობის საბინადრო გარემოზე მოახდინა გავლენა ტყის ხანძარმა. არ ვიცით, რა სიმძლავრის აფეთქებები იყო ფოთის პორტში. აქედან გამომდინარე, რა მანძილზე და რა მიმართულებით გავრცელდა ბგერითი დაბინძურება, რომელმაც გარკვეულ პირობებში შეიძლება ძლიერი ზემოქმედება იქონის ზღვის ძუძუმწოვრებსა და თევზებზე. ამას ყველაფერს ინტენსიური მუშაობა უნდა.

## არის თუ არა მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფა?

ეკოლოგიური კატასტროფა – ამ ტერმინის გამოყენება, ალბათ, მაშინ იქნება უფრო ზუსტი, როცა გვეცოდინება რუსეთის აგრესიის შედეგად გარემოზე მიყენებული ზარალის მასშტაბები. ეს ზარალი კი მრავალი ეპიზოდისგან შედგება – ხანძარი ბორჯომის ხეობაში, ატენის ხეობაში, ნავთობის დალერა და წევ სკრაში, ფოთის აკვატორიის დაბინძურება ნავთობით და ა.შ. რა ხდება ლიახვის ხეობაში არ ვიცით, არადა, იქ არის შესანიშნავი ლახვის ნაკრძალი. თუმცა, რაც გააკეთეთს რუსებმა, ეს არის ბუნების მიმართ ჩადენილი ბარბაროსული აქტი, რომლითაც არაერთი საერთაშორისო კონვენცია დაირღვა და ამაზე ძალიან დასაბუთებული უნდა ითქვას. ძალზედ ძნელია ემოციისგან თავი შეიკავო, როდესაც ათას ჰექტარ გადამწვარ ტყეს უყურებ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ დასკვნები ცივი გონებით გავაკეთოთ.

როგორ ვამტკიცებთ, რომ ეს ყველაფერი რუსებმა ჩაიდინეს? რამდენად გათვლილი იყო მათი ქმედება?

ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ფოთში კატარლები, ასევე სკრაში მატარებლის შემადგენლობა რუსებმა ააფეთქეს. რაც შეეხება ხანდარს, ამასთან დაკავშირებით არსებობს მოწმების ჩვენებები, სხვა მასალებს გამოძება იყვლევს. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ხანდრის გაჩერის შემდეგ რუსი სამხედროები ცეცხლის ჩასაქრობად არ უშვებდნენ არც ჩვენს მეხანძრებს და არც თურქულ და უკრაინულ სახანძრო ავიაციას. ეს იგივეა, დაჭრილის მისაშველებლად მიმავალი ექიმი რომ არ გაუშვა და ავადყოფი სასიკვდილოდ გაწირო. ესეც უპატიებელი დანაშაულია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიაყენა ჭრილობა.

#### რა ღონისძიები უნდა განხორციელდეს ეკო-ტერორის შედეგების აღმოსაფხვრელად?

ამ სამხედრო აგრძელის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია. შეიძლება ნიადაგი და ზღვა განმინდონავთობისგან, მაგრამ ნავთობის ლაქით დასვრით წყალმცურავი ფრინველები დაიღუპებიან. ტყის ლანდშაფტები ათასწლეულობის მანძილზე „სხვანაირი“, არაბუნებრივი იქნება. იქ, სადაც ახლა დასწვარი ტყებია, ტრასიდანაც მოჩანდა მოყვითალო ფერის დახრამული, ოდესალაც დამეწყრილი ფერდობი. ეს, ოდესალაც მომხდარი ბუნებრივი მოვლენის, შეიძლე-

ბა ხანძრის შედეგიც იყოს. შესაძლოა, წლების მერე ამ ხანძრმაც გაამრავლოს ასეთი ხრამები. ეს გავლენას იქონიებს სახეობების არეალზე. ამას ვერანაირი ხელოვნური ღონისძიებით ვერ აღუდგები წინ.

#### ვინ დაეხმარება საქართველოს?

საკუთარ თავს პირველ რიგში თავადვე უნდა ვუშველით. ღმერთმა თქვა, ხელი გაანძრიება და გეშველებო. მთავარია, სწორად მოითხოვო რაც გჭირდება და ამ მოითხოვის სწორი ადრესატი შეარჩიო, ქვეყნის და ჩვენი ბუნების მოვლის სურვილი უნდა გვეკონდეს. ამ ხანძრების განვითარებას, წინა წლებში ტყების უმოწყალო ჩეხვამაც შეუწყო ხელი. როდესაც ხელუხლებელი ტყების მოქრის ლიცენზიების გაყიდვაზე იღებენ გადაწყვეტილებას, მაშინაც უნდა გვახსოვდეს, რომ გაეროს მარტო უნიკალური კონვენცია კი არ აქვს მიღებული და სხვა კონვენციების, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ორჟუსის კონვენციების დარღვევაც „არ არის კარგი“.

P.S.

ახლა, რაც შეეხება ტყებს, ბოლო წლებია საქართველოს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ქართული ტყების უსისტემოდა გაუაზრებელ ექსპლუატაციას ეპრძვიან. ბების გაუქმებას მოითხოვენ...

შარშან, 40-ზე მეტმა არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციამ ღია წერილით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს, რათა როგორმე წინ აღდგომოდნენ ტყების ფართომასშტაბიან ექსპლუატაციას. მეცნიერებმა და გარემოსდამცველებმა საქართველოს ტყების გადასარჩენად დეკლარაციაც მიიღეს (2007 წლის 25 მაისს, „მწვანე ალტერნატივას მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სემინარზე“). დეკლარაციაში აღინიშნა, რომ „თუ შენარჩუნდა საქართველოს ტყიანი ეკოსისტემების მერქული რესურსების გამოყენების არსებული ტემპი, მიუხედავად იმისა, კანონიერი ქრები იქნება ეს, თუ უკანონო, 10-15 წლიწანში მთლიანად მოისპობა საქართველოს ტყები“.

ამ დღეებში CENN-მა გაავრცელა განცხადება, რომელშიც 7 ოქტომბერს დანიშნულ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების აუქციონს აპროტესტებს და არსებულ პირობებში საქართველოს ხე-ტყის რესურსების ფართომასშტაბიანი ათვისების მიზანშემონილობას ეჭვევეშ აყენებს. თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია კი „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელს განიხილავს, სადაც გარემოსდამცველები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან 2007 წლის მაისში, ხე-ტყის დამზადებაზე სამი ხანგრძლივგვადანი ლიცენზიებს შესახებ პრძანებების გაუქმებას მოითხოვენ...

მარჯანი არა მარჯანი  
MARIJANOFF EXPRESS

მარჯანი, არა მარჯანი # 8  
ტელ: +995 32 36 95 10  
[www.marijanoffexpress@yahoo.com](http://www.marijanoffexpress@yahoo.com)





# ზურგი

<< დასაცილებელი გვ. 56

— აქვე ბალში ვიქნებით და წასვლას რომ გადაწყვეტთ, დამიძახეთ, — მიბარებს ვანო. ვანო და თიკუნა ხელჩაკიდებული მიდიან ბალისკენ.

ჩვენ პატარა კაფეში დაებანაკდით. ცხელა. ციკ წყალს ვსვამთ და ტელეფონებს ვუჩეხიერებთ. სულ ტყუილად ვეწვალებით. როგორც ჩანს, ფოთში კომუნიკაცია მოიშალა.

— ნუ დელავ, — ვეუბნები კრისტოფს, — გუშინდელი ხომ გახსოვს? დამიჯერე, დღესაც ასე იქნება, ცოტა ხანს დაველოდოთ, თუ არ დაგვირეეს, მაინც ჩავიდეთ, ჩვენი თვალით მაინც ენახავთ, რუსების პოსტებზე რა ხდება.

როგორც ჩანს, გაჭრა ჩემმა ნათქვამშა.

— მართალი ხარ, — გამოტყდა, — გუშინ უკვე არაფრის იმედი აღარ მქონდა...

კაფეში ორი პატარა მსუქანი ბიჭი შემოიყვანა მამამ ლიმონათის დასალევად.

— ერთი ამას შეხედე, — გვეუბნება უცებ კრისტოფი.

— ვის?

— აი, იქით, პირდაპირ, ხედავთ? — კრისტოფი ხელს იშვერს წინ და ქირქილებს.

ბალის სიღრმეში ვანო მოჩანს, მაგრამ მონატრებულ გოგოს კი არ ელაპარაკება, მის წინ დგას და თავის სტიქიაში. ისევ მობილურზე ლაპარაკობს.

— ვერაფერი გამიგია. ნახევარი საათი რომ მქონდეს ჩემი გოგოს სანახავად, ტელეფონზე ლაპარაკის ნაცვლად სხვა საქმით დავკავდებოდი. ჰა, შენ რას იტყვი, ჰელმუტ?

ჰელმუტს ჩუმად ელიმება.

— კი მაგრამ, — გაკვირვებას ვერ ვმალავ, — ჩვენ რომ ვერსად ვერ ვრეკავთ, ამ ბიჭის

ტელეფონი როგორ მუშაობს?

ფოთში უპრობლემოდ შევდივართ, მაგრამ პორტის სამხედრო ნაწილში არ გვიშვებენ, იმ ნავსადგურში, სადაც გემები დაძირეს. ჩვენ სამოქალაქო ნაწილის თანამშრომლები ვართ, იქ ვერ გამოგყვებით, და ვერც თქვენ გაგიშვებთ, უსაფრთხოების გარანტია არ გვაქვს... ტერიტორია ჯერ გამინდილი არ არის, დღეს დილასაც შემოვიდნენ რუსები, შეიძლება ნაღმიც იყოს სადმე.., — გვიხსნიან პორტის თანამშრომლები. ვანო დაიძაბა. უთხარით, რომ ძალიან საშიშია, რომ დანაღმულია მთელი ტერიტორია, რომ რუსები გადმოდიან და ძარცვავენ..., — გააქტიურდა. ძალიან აღლებულია, ნერვიულობისგან სუნთქვა ეკვრის. ჩემკენ მოტრიალდა: გადაუთარგმნე, ჩქარა! ეგენი გიუბები ხომ არ არიან, სად მიდიან, ვერ ხედავენ, რას ეუბნებიან? მე არსად არ ნამოვალ, ეგენი სადაც უნდათ, იქ წავიდნენ.

— გზას თუ გვეტყვიან, ჩვენ თვითონ წავალთ ფეხით, — მეუბნება კრისტოფი, — ამას უთხარი, სადაც უნდა, იქ დარჩეს და დაგველოდოს. იცი, უკვე თავი მომაბეზრა.

როგორც იქნა, პორტის სამხედრო ნაწილში შესვლის ნებართვა ავიღეთ. გამყოლიც გვყავს, პორტის რამდენიმე თანამშრომელი. რუსებმა გემები რომ ააფეთქეს, მაშინ ეს ბიჭებიც იქ ყოფილან. „ფანჯარაში ვიყურებოდი. დავინახე, გემზე აღი რომ ავარდა. ვიდექი ფანჯარასთან და ვტიროდი ამხელა კაცი. უმწერ ვიყავი. რა უნდა გამეკეთებინა?“ — გვიყვება „მისტერ ფოთი“, სანაპირო დაცვიდან. ასე ჩვენმა სტუმრებმა შეარქვეს. ჰელმუტი ფოკუსს ასწორებს. ნავსადგურში ვდგავარ და ვითვლი ჩაძირულ გემებს. არასდროს მინახავს ასეთი დაღუმებული პორტი. თოლიებიც კი არსად ჩანან. მარტო

მზე ანათებს და დროდადრო ფოტოაპარატის ჩიხუნი ისმის. საბრალო „აიეტი“...

— იცით, რატომ იყო ეს გემი ხის? — გვეკითხება კრისტოფი.

— არა. რატომ? — ვუპრუნებ კითხვას.

— წყალქვეშა ნაღმების მაძიებელი გემი იყო და იმიტომ, — ამაყად გვპასუხობს და მერე რაღაცებს ჰყვება გემებზე, ჯარში საზღვაო ნაწილში უმსახურია და ბევრი რამე იცის... ფოთის პორტის ბრიტანელი დირექტორის კაბინეტიდან გამოვდივართ. იქაც ინტერვიუ გვქონდა.

— მაგიდას დააკვირდი? — მეკითხება უცებ ჰელმუტი, — ყველაფერი სიმეტრიულად რომ ჰქონდა დაწყობილი. და რუკა? წინ რომ ედო მაგიდაზე? ოდნავ გვერდზე თუ გადასრიალდებოდა, მაშინვე სიმეტრიულად ასწორებდა იმასაც...

— ტიპიური ბრიტანელი იყო, არა?

— ჰა.

ვჩქარობთ.

— სასტუმროში უნდა მივიღეთ დროზე. მასალა უნდა დავწერო და რედაქციაში გადავაზიანო. რაო ვანომ, სად დაგელოდებითო? — მეკითხება კრისტოფი.

— უჰ, ისევ ვანო... ეს რა გამახსენა, მეც არა ვთქვი, რა თავისუფლად ვგრძნობ-მეტე თავს.

— ერთი კარგი სასტუმრო ვიცი ქობულეთში, თხუთმეტი წუთის სავალზე, — საზემოდ გვაცნობა ვანომ.

ქობულეთი ბევრად უფრო შორსაა, მაგრამ ვანოს სინდისტე იყოს. ნეტა რა ჩაიფიქრა?

— ეტყობა, მაინც უხერხულად გრძნობს თავს, ხვდება, რომ ბევრი მიქარა და უნდა, რომ ამ ყველაფრის მერე რაღაც სასიამოვნო სიურპრიზი გაგვიკეთოს — მყუდრო, ლამაზი სასტუმრო მოგვიძებნოს ზღვის პირას, ალბათ ასეა, — კრისტოფი მანქანაში ნოუთბუქს გადაშლის და მუშაობას იწყებს.

